სახელმძღვანელო
საერთო ისტორია
11
LAVITA

Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

LAYİHƏ

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

LAYİHƏ

LAYİHƏ

ფერვიზ ადალაროვი, ჰაფიზ ჯაბაროვი, როვშენ ჰეთემოვი,
ელნურ ჰუსეინოვი, ნიამედინ კულიევი

საერთო ისტორია 11

ზოგადსავანმანათლებლო სკოლების
მე-11 კლასისათვის საერთო ისტორიის საგნის

სახელმძღვანელო

LAYIHƏ

გთხოვთ ამ გამოცემასთან დაკავშირებული
თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ
info@eastwest.az და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

ŞƏRQ-QƏRB
BAKI 2018

სარჩევი

შესავალი 5

I

მსოფლიოს ქვეყნები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში

1. აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი 7
2. გერმანია და იტალია 12
3. რუსეთი 17
4. ოსმალეთის იმპერია 22
5. ირანი, ინდოეთი, ჩინეთი და იაპონია 27
6. სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში 33
7. პირველი მსოფლიო ომი 39
8. კულტურა 45

II

მსოფლიოს ქვეყნები 1918–1945 წლებში

9. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა 51
10. აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი 56
11. გერმანია, იტალია და სსრ კავშირი 61
12. თურქეთი და ირანი 67
13. აზიის ქვეყნები (არაბული ქვეყნები, ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია) 72
14. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები XX საუკუნის 20-30-იან წლებში 78
15. მეორე მსოფლიო ომი. ფაშისტური ბლოკის უპირატესობა 83
16. გარდატეხა ომში და ფაშისტური ბლოკის დამარცხება 87
17. კულტურა 93

III

მსოფლიოს ქვეყნები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945-2017)

18. აშშ 97
19. დასავლეთ ევროპის ქვეყნები 101
20. სსრ კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები 107
21. თურქეთი და ირანი 111
22. ინდოეთი, პაკისტანი და არაბული ქვეყნები 119
23. ჩინეთი, იაპონია და კორეა 125
24. «ცივი ომის» პერიოდი 130
25. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები თანამედროვე პერიოდში 136
26. კულტურა 141

გამოყენებული ლიტერატურა 144

პირობითი ნიშნები

- საკვანძო სიტყვები
- კითხვა
- დავალება
- კითხვები და დავალებები
- წყარო
- განმარტებები
- ეს საინტერესოა

LAYIHE

შესავალი

სახელმძღვანელოში საუბარია მსოფლიო ისტორიის XIX საუკუნე - XXI საუკუნის დასაწყისის მომცავი საფეხურის შესახებ. თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ეტაპი - ეს პერიოდი ხალხებისა და სახელმწიფოების ისტორიებში მომხდარი გრან-დიოზული მოვლენებით - ეკონომიკის სწრაფი განვითარებით, პოლიტიკური სისტემების დინამიკური ევოლუციით, მეცნიერული აღმოჩენებით, რეფორმებით, აჯანყებებით, რევოლუციებით, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობებითა და სხვა სიახლეებით დარჩა მეხსიერებაში. ევროპის ქვეყნები XIX საუკუნეში რევოლუციურ საფრანგეთთან ომების პირობებთან ერთად შევიდნენ. ომების შემდეგ კონტინენტზე რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელების აღკვეთის მცდელი გამარჯვებული სახელმწიფოების მმართველი წრეები იძულებული გახდნენ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს მომცავი დარგების რეფორმები განეხორციელებინათ. ამის უარმყოფლები კი აჯანყებისა და რევოლუციების წინაშე აღმოჩნდნენ და ხელისუფლებიდან ჩამოაცილეს. აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმები არასრულ ხასიათს ატარებდა და მათ ხელისუფლების განმტკიცებას დახმარება ვერ გაუწიეს. მართლია XX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიაში, ირანში და ჩინეთში მომხდარი რევოლუციები ამ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში საფუძვლიანი ცვლილებების მიზეზი გახდა, მაგრამ მათ მსხვილ სახელმწიფოებზე დამოკიდებულებას ბოლო ვერ მოუღო.

ამ პერიოდში ევროპამ ეკონომიკური განვითარების გზაზე წინ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა. XIX საუკუნიდან დაწყებული მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სამრეწველო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო და ეს XX საუკუნის შუა ხანებამდე გაგრძელდა. XVIII საუკუნეში დიდ ბრიტანეთში დაწყებული ინდუსტრიული რევოლუცია შემდგომში დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. XIX საუკუნეს ხშირად **მეცნიერების საუკუნესაც** უწოდებენ. ამ პერიოდის მეცნიერებს მოპოვებული აღმოჩენების გამო, იმ დროის ილუზიონისტებივით უყურებდნენ. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დაჩქარებული გაგრძელება დასავლეთის ქვეყნების არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ სოციალური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორადაც იქცა. საუკუნის დასაწყისში „**ორთქლი-სა და რკინის საუკუნისათვის**“ საფუძვლის ჩამყრელი ევროპის ქვეყნები საუკუნის ბოლოსაკენ ელექტროენერგიის, ფოლადისა და ნავთობის მქონე ახალი წარმოების ხანაში ცხოვრობდნენ. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, დაიწყო პლასტმასისა და სინთეტიკური ქსოვილების წარმოება, გამოჩნდა ტელეგრაფი, ტელეფონი, ავტომობილები და თვითმფრინავები. გაიზარდა ქალაქების მოსახლეობა. სპეციალისტ მუშაკებზე მოთხოვნილების გაზრდა დასავლეთ ევროპაში გახდა განათლების გაფართოების მიზეზი. XIX საუკუნის ბოლოს ეკონომიკაში გაძლიერდა ახლად შექმნილი საწარმოო გაერთიანების მონოპოლიების როლი. წარმოების მასშტაბების, ფასებისა და გასაღების ბაზრების შესახებ შეთანხმებით მეწარმეთა ერთობამ - მონოპოლიებმა „დაახრჩეს“ მცირე და საშუალო მეწარმეები, მოისპო ღია კონკურენციის გარემო. ხელახლა შეიქმნა მსოფლიო მეურნეობის სისტემა. XIX საუკუნის ბოლომდე აქ წამყვანი პოზიცია ეკავა დიდ ბრიტანეთს, ხოლო შემდეგ იგი აშშ-მა შეცვალა.

ამ დროს სოფლის მეურნეობამ აგრარული რევოლუციის პერიოდი განვლო. შეიქმნა დაქირავებულ შრომასა და ბაზარზე გაყიდვაზე დაფუძნებული ფერმერული მეურნეობა. მოხდა სოფლის მეურნეობის ტექნიკის სრულყოფა, დაიწყო ნიადაგის დამუშავების უფრო ეფექტიანი და ნაყოფიერი ხერხების გამოყენება. მრეწველობის სწრაფი განვითარების პირობებში ქვეყნების საერთო წარმოებაში შემცირდა სოფლის მეურნეობის წილი.

ამ პერიოდში მსოფლიო ქვეყნების ნახევარზე მეტი კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ პირობებში ცხოვრობდა. კოლონიურ დაპყრობებში ახალი სახელმწიფოების ჩართვამ გააძლიერა მათ შორის კონკურენცია და როგორც ამისი შედეგი სწრაფი შეიარაღების და ეკონომიკის გასამხედროების მიზეზი გახდა. კოლონიური დაპყრობების მწარმოებელ სახელმწიფოებში შეიქმნა შოვინიზმის, რასობრივი დისკრიმინაციისა და ეროვნული იდეოლოგიების გაფართოების ხელსაყრელი პირობები. ამის შედეგად XIX-XX საუკუნეებში გაიზარდა საერთაშორისო დაძაბულობები, შეიარაღებული კონფლიქტები, მსოფლიო ორჯერ იქნა ჩათრეული ფართომასშტაბიან ომში. ორივე მსოფლიო ომი საზოგადოების ყველა სფეროში ძირეული ცვლილებების მიზეზი გახდა. იმპერიები დაეცა, შეიქმნა ახალი ეროვნული სახელმწიფოები. განსხვავებულ იდეოლოგიებზე დაყრდნობილი პოლიტიკური რეჟიმები მსოფლიოსა და რეგიონში მბრძანებლობისათვის სახიფათო კონკურენციას შეუერთდნენ.

აღმოსავლეთის (აზია) ქვეყნების განვითარებისაგან ჩამორჩენის კიდევ უფრო გაზრდის პირობებში დასავლეთის ქვეყნების (დასავლეთი ევროპა და აშშ) სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ სამხედრო-პოლიტიკური მბრძანებლობაზე, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროებში მოპოვებულ მნიშვნელოვან წარმატებებზე, ხალხების კეთილდღეობის საკმაო გაუმჯობესებაზე მოსაუბრე პარაგრაფების გაცნობის შემდეგ, დარწმუნებული ვართ თქვენი ლოგიკური გაანალიზებით იპოვით კითხვებზე პასუხებს. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების არსის კიდევ უფრო კარგად აღქმისათვის სახელმწიფოების გავლილი ისტორიული განვითარების გზის განხილვითი სახით შესწავლა უფრო სასარგებლო იქნებოდა. ამიტომ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ნაწყვეტები ისტორიული წყაროებიდან დაგეხმარებათ ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებებისადმი დამოუკიდებელ მიდგომასა და შეფასებაში.

LATTE

მსოფლიოს ქვეყნები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში

მართალია მსოფლიოს ქვეყნების XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში გავლილი ისტორიული განვითარების გზები განსხვავებულია, მაგრამ მის წინა პერიოდებთან შედარებით საზოგადოების ყველა სფეროს მომცავი გრანდიოზული სიახლეებით დარჩა მეხსიერებაში. ეს პირველ რიგში ეხება ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორიას. ზოგიერთ ამ ქვეყანაში მომხდარი რევოლუციების შედეგად პოლიტიკურ სისტემებში პროგრესიული წესები იქნა დადგენილი. მიღებული იქნა კონსტიტუციები,გამოცხადდა ადამიანთა უფლებები და თავისუფლება. უმრავლეს ქვეყნებში ამ დროს შექმნილი პოლიტიკური პარტიები დღესაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ევროპაში და ამერიკაში შეიქმნა ახალი ეროვნული სახელმწიფოები. დასრულდა გერმანიისა და იტალიის ეროვნულ სახელმწიფოებად გაერთიანება.

ევროპისა და ამერიკის ქვეყნების სწრაფ განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, მეცნიერული აღმოჩენების ზრდასთან ერთად საზოგადოების პრობლემების შემცირებას თითქოს და ომებისა და რევოლუციების ისტორიასთან შერწყმის წარმოდგენას ქმნიდა. თუმცა XX საუკუნის პირველი წლებიდანვე დაწყებული, როგორც ამ ქვეყნებში ისე მათ შორის გამწვავებულმა დაპირისპირებამ კაცობრიობა ღრმა კრიზისისკენ შეატრიალა.

მართალია, რუსეთმა XIX საუკუნის II ნახევრამდე თავისი ფეოდალურ - ბატონყმური სახე შეინარჩუნა, მაგრამ ეკონომიკურმა ჩამორჩენამ მის სამხედრო ძლიერებაზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა და აიძულა რეფორმების გზაზე გადაედგა ნაბიჯები. ოსმალეთის იმპერიაშიც მიღებული იქნა გადაწყვეტილება რეფორმების გატარებაზე. რეფორმების დაუსრულებლობამ XX საუკუნის დასაწყისში ორივე იმპერიაში გამოიწვია რევოლუცია.

XIX საუკუნეში აზიის ქვეყნები მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფობის კოლონიური პოლიტიკის ძირითადი სამიზნეები გახდნენ. ამ ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და მეცნიერულ სფეროებში სიმწვავე კიდევ უფრო გაიხარდა ხდებოდა კოლონიალიზმის წინააღმდეგ სახალხო აჯანყებების დაუნდობელი ჩახშობა. მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში ევროპის რიგი ქვეყნებისადმი დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩენილმა იაპონიამ საუკუნის ბოლოს ამ დამოკიდებულების დაძლევაში მიაღწია წარმატებას.

ლონდონში პირველი მსოფლიო საშრეწველო გამოფენა

LAYTHO

1 აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი

საკვანძო სიტყვები

- სამოქალაქო ომი
- აბრაამ ლინკოლნი
- პირველი რკინიგზა
- ჩარტისტული მოძრაობა
- ნაპოლეონ ბონაპარტი
- II იმპერია

ამერიკის კონტინენტის პირველი რესპუბლიკა – აშშ XIX საუკუნეში სწრაფი განვითარებით კონტინენტის პეგემონ სახელმწიფოდ იქცა. XX საუკუნის დასაწყისში კი მრეწველობის განვითარების მხრივ პირველ ქვეყანად იქცა. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა XIX საუკუნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროების საფუძვლიანად გათანამედროვების ეტაპის გავლით მსოფლიოს ყველაზე მოწინავე პოლიტიკურ და დინამიკურ, ეკონომიკურ წყობას მიაღწიეს. ამ ქვეყნებმა, რომლებიც XIX საუკუნეში შეკვდნენ როგორც შეურიგებელი მტრები, XX საუკუნის დასაწყისში მოკავშირეობრივი ურთიერთობები დაამყარეს.

აშშ XIX საუკუნის I ნახევარში. XVIII საუკუნის ბოლოს - XIX საუკუნის დასაწყისში ევროპაში მიმდინარე ომების დროს აშშ-ის სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილებაგაიზარდა.მართალია ქვეყანაში პირველი ფაბრიკა 1790 წელს აშენდა, მაგრამ სამრეწველო გადატრიალება XIX საუკუნის პირველივე წლებიდან დაიწყო. უკვე XIX საუკუნის შუა ხანებში ქვეყნის მრეწველობა სოფლის მეურნეობაზე მეტ პროდუქციას აწარმოებდა. 1830 წელს გაყვანილი იქნა პირველი რკინიგზა. აშშ-ის მთავრობის გამოყენებულმა პროტექციონისტურმა პოლიტიკამ ძლიერი ბიძგი მისცა ქვეყნის მრეწველობის განვითარებას. 1793-1807 წლებს აშშ-ის ვაჭრობის „ოქროს ხანას“ უწოდებენ.

აშშ-ის ტერიტორიის გაფართოება XIX საუკუნეში.

საპრეზიდენტო არჩევნებზე მეტოქე პარტიის შემადგენლობაში განხეთქილების გაფართოებამ გააადვილა **თომას ჯეფერსონის (1801-1809)** გამარჯვება. თ. ჯეფერსონმა მიაღწია კანონების მიღებას სახელმწიფო ვალის შემცირებაზე, ზოგიერთი გადასახადის გაუქმებაზე, მიწის ფართობების მოქალაქეების მიერ უფრო ხელსაყრელი პირობებით მიღებაზე, 1807 წლის 1 იანვრიდან ქვეყანაში მონების შემოყვანის აკრძალვაზე და სხვა საკითხების შესახებ მთავრობის ხარჯების შემცირებისათვის მოხდა შემცირებები არმიასა და ფლოტში. იგი, სამხედრო შტატების პლანტატორების განრისხების თავიდან ასაცილებლად მონობის ჩინაღმდეგ ღია კრიტიკისაგან თავს იკავებდა. ცდილობდა განეხორციელებინა მონების უკან - აფრიკაში დაბრუნების იდეა.

"...ყველა ამ სიკეთით ჩვენი ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის კიდევ რა არ გვყოფნის? თანამემამულენო, მხოლოდ ერთი რამ – ბრძენი და მომჭირნე მთავრობა არ გვყოფნის. ამ მთავრობამ უნდა აღმოფხვრას, რომ ადამიანებმა ერთმანეთს ზიანი მიაყენონ. ისინი წყნარად უნდა გაუშვას, რათა ისინი საკუთარი საქმით დაკავდნენ და საკუთარი ცხოვრება გათამეჯობესონ. მუშის მოპოვებული ლუკმა, მას პირიდან არ უნდა წაეგლეჯოს. კარგი მთავრობა სწორედ ამას ნიშნავს. ჩვენი სრული ბედნიერებისათვის საჭირო სწორედ ეს არის."

თომას ჯეფერსონი
4 მარტი 1801 წელი.

! *შეეცადეთ განმარტოთ მონობის საკითხებში თ. ჯეფერსონის სამხრეთი შტატების პლატაციორებისაგან მორიდების მიზეზები.*

LAYTHE

კანადელი მოხალისეები აშშ. არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1812 წელი

გენტის ზავის ხელმოწერა. დეკემბერი, 1814 წელი

აშშ-მა ისარგებლა ევროპაში ომებით დაკავებული დიდი ბრიტანეთის სირთულეებით. კანადის დაპყრობის მიზნით დაიწყო ომი (1812-1814). თუმცა ჯარები კანადაში ადგილობრივი მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობას წა-აწყდნენ. საფრანგეთთან ომის დამთავრების შემდეგ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დაესაჯა აშშ-ის ოფიციალური წრეები კანადაში განხორციელებული ნგრევების გამო. ამ მიზნით 1814 წელს ვაშინგტონის ხელში ჩამგდებმა ინგლისის ჯარებმა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენობები გადაწვეს. ამ პერიოდიდან დაწყებული აშშ კვლავ იძულებული გახდა დაეცვა დამოუკიდებლობა. დიდი ბრიტანეთის ინიციატივით ხელმოწერილი გენტის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე მხარეებს შორის აღსდგა ომის წინა მდგომარეობა.

ომის შემდეგ აშშ-ის ხელისუფლებამ დაიწყო ინგლისის ჯარების მხარეს მებრძოლი ინდიელთა ტომების შევიწროება. ისინი ქვეყნის დასავლეთით მდებარე მწირ ტერიტორიებზე იქნენ განდევნილი. დატოვებულ ტერიტორიებზე კი ქვეყანაში მოსული ემიგრანტები და უმიწო მოქალაქეები დასახლდნენ.

? *ითქვენი აზრით, ამ ომს შეიძლება "აშშ-ის ახალი დამოუკიდებლობის ომი ეწოდოს?"*

XIX საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ში ჩამოყალიბდა მონობის გაუქმების მცდელი **აბოლიციონისტების** მოძრაობა. მოძრაობის ხელმძღვანელები სამხრეთ შტატებში მონობის აჯანყების ორგანიზებასთან ერთად, ასევე ახდენდნენ მათ ჩრდილოეთით შტატებში გაქცევის ორგანიზებასაც. თუმცა თეთრკანიანი ამერიკელების უმრავლესობას აფრო-ამერიკელების მათთან თანასწორუფლებიანობის მოსაზრების მიღება არ სურდა.

მონობა აკრძალული შტატების რაოდენობის ზრდამ სენატში მონათმფლობელური შტატების გავლენა მნიშვნელოვნად შეამცირა. სამხრეთი შტატების კავშირის დატოვებასთან დაკავშირებით მუქარის შემდეგ 1820 წელს მიღებულ „მისურის კომპრომისის" თანახმად, განისაზღვრა მონობის გავრცელების ნებადართული ტერიტორიები, მიღებული იქნა გადაწყვეტილება თავისუფალი და მონათმფლობელური შტატების წონასწორობის შენარჩუნების მიზნით კავშირში ყოველ ჯერზე მხოლოდ წყვილი რაოდენობის ახალი შტატის შესვლაზე.



დეკლარაცია გათავისუფლების შესახებ

აშშ XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. 1860 წელს ახლად შექმნილი რესპუბლიკელების პარტიის კანდიდატმა **აბრაამ ლინკოლნმა** გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. ამას არ დაეთანხმა სამხრეთის 11 მონათმფლობელური შტატი, 1861 წლის თებერვალში კავშირიდან გამოვიდნენ და შექმნეს ამერიკის შტატების კონფედერაცია (**აშკ**). **აშშ**-სა და **აშკ**-ს შორის 1861-1865 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს მხარეები ერთმანეთის წინააღმდეგ შეუბრალებლად იქცეოდნენ. **აშშ**-ის ხელმძღვანელობამ პირველ ხანებში **აშკ**-ის სამხედრო პოტენციალი სწორად ვერ შეაფასა. ომის დროს მოხდა 2 ათასამდე ბრძოლა. 1862 წლის 17 სექტემბერს მომხდარი ენტიტეტის ბრძოლა ომის ყველაზე სისხლიან ბრძოლად ითვლება. მოსახლეობას შორის უფრო მეტი მომხრის მოპოვების მსურველმა ლინკოლნმა 1862 წლის 20 მაისს კონგრესში მიაღწია რომ მიეღოთ „აქტი ჰომსტერდების შესახებ". აქტის თანახმად, ნიადაგის დამუშავების

LAVITA

მსურველ და **აშშ**-ის წინააღმდეგ ბრძოლაში არ მონაწილე ან მის არ დამხმარე თითოეული ოჯახის თავს 10 დოლარის სარეგისტრაციო თანხის გადახდით 160 აკრა მიწის ფართობის (65 ჰა) მიღება შეეძლო. ხუთი წლის შემდეგ ჰომსტედინის უფასოდ კერძო საკუთრებაში გადაცემა იყო გათვალისწინებული. ჰომსტედში მონური შრომის გამოყენება იკრძალებოდა და იქ მეურნეობის შეუქმნელობის შემთხვევაში იგი ჩამოერთმეოდა.

"ანაკონდას გეგმა" – ითვალისწინებდა მტრის ძალების ალყის შემორტყმით, თანდათანობით ალყის შევიწროებით განადგურებას

ლინკოლნის ხელმოწერილი „თავისუფლების (ემანსიპაცია) შესახებ დეკლარაციის" თანახმად, 1863 წლის 1 იანვრიდან **აშშ**-ის წინააღმდეგ მებრძოლ სამხრეთის შტატებში გაუქმდა მონობა. კონფედერაციის წინააღმდეგობის დაძლევისათვის **აშშ**-მა ცხოვრებაში გაატარა ***გეგმა ანაკონდა*** და 1865 წლის 9 აპრილს **აშშ** დანებდა. **აშშ**-ის ისტორიაში ყველაზე სისხლიან ომად ჩათვლილ ამ ომში 1 მლნ-მდე ადამიანი დაიღუპა. **აშშ**-ის კონგრესმა ომის შემდგომ წლებში მიიღო კონსტიტუციის დამატებები, რომელიც ითვალისწინებდა მონობის გაუქმებას და აფრო-ამერიკელების თეთრ-კანიანებთან ერთნაირ უფლებებს. თუმცა ქვეყანაში რასობრივი დისკრი-მინაციის შემთხვევები XX საუკუნის 60-იან წლებამდე გვხვდებოდა.

! *დაასაბუთეთ მოსაზრებები აშშ–ში მონობის გაუქმებისათვის ომის ალტერნატივის შესახებ.*

აშშ-ის ეკონომიკამ XIX საუკუნის ბოლოს - XX საუკუნის დასაწყისში თავისი განვითარების ტემპების მიხედვით მთელი მსოფლიოს ქვეყნები უკან მოიტოვა და მრეწველობის მხრივ პირველი გახდა. **აშშ**-ის ეკონომიკური განვითარების პირობების შემქმნელი ერთ-ერთი ფაქტორი სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების წარმოებაში სწრაფი გამოყენება იყო. **აშშ**-ს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მარცვლეულისა და ბამბის წარმოებაშიც.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული ქვეყანაში დაიწყო ძირეული რეფორმების განხორციელების მომთხოვნი საზოგადოებრივი მოძრაობის გაფართოება XIX საუკუნის ბოლოს - XX საუკუნის დასაწყისში ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ პრობლემებს შორის იყო ფერმერთა და მუშათა მოძრაობების გაძლიერება. რასობრივი დისკრიმინაცია, ინდიელების შევიწროვება, ქონებრივი მომსახურების რეფორმირება, ბრძოლა მონოპოლიების წინააღმდეგ და სხვა. პროგრესული ძალების ზეწოლით XX საუკუნის დასაწყისიდან **აშშ**-ის პრეზიდენტებმა რესპუბლიკელმა **თეოდორ რუზველტმა** და დემოკრატმა **ვუდრო ვილსონმა** მონოპოლიების თვითნებობის შემზღუდავი, შრომითი კონფლიქტების გადაწყვეტაში სახელმწიფოს როლის მზარდი, პოლიტიკური მმართველობის კიდევ უფრო დემოკრატიულ გზაზე გადამყვანი, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე მიმართული გარკვეული რეფორმები გაატარეს.



პირველი მსოფლიო სამრეწველო გამოფენა ლონდონში

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარება. XIX საუკუნის დასაწყისში დიდი ბრიტანეთს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული ხანა ედგა. ევროპის ქვეყნებთან ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობების შესუსტება ქვეყანაში სურსათის გაძვირების, უმუშევრობის, გადასახადების ზრდის, მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი შემცირების მიზეზი გახდა. 1815 წლის შემდეგ ევროპის ქვეყნების ეკონომიკის აღდგენისათვის ინგლისის სამრეწველო პროდუქციაზე მოთხოვნილება გაზრდილი იყო. ქვეყანა ფლობდა მსოფლიოს უდიდეს სავაჭრო და სამხედრო ფლოტს. 1825 წელს მსოფლიოში პირველი რკინიგზის მშენებლობამ ძლიერი ბიძგი მისცა ეკონომიკის გავითარებას. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მიზეზი მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრების იქ არსებობასთან იყო დაკავშირებული. 1851 წელს ლონდონში ჩატარებულმა მსოფლიოს პირველმა სამრეწველო გამოფენამ მთელ მსოფლიოს თვალსაჩინოდ წარმოუდგინა ქვეყნის მოპოვებული ეკონომიკური წარმატებები.

XIX საუკუნის შუა ხანებში მრეწველობის ტექნოლოგიური და ორგანიზაციული თვალსაზრისით ხელახალი მოწყობის პროცესის - სამრეწველო გადატრიალების პირველი ეტაპი დამთავრდა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო მისი ახალი ეტაპი და XX საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა. ამ

LATHE

პერიოდში დაიწყო ახალი ენერგიის წყაროების გამოყენება. იმპერიის კოლონიების გაფართოებამ, განსაკუთრებით ინდოეთის დაპყრობამ და ჩინეთის დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩენამაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ეკონომიკის განვითარებას. ნედლეულისა და სურსათის ძირითადად კოლონიებიდან და სხვა ქვეყნებიდან იაფ ფასებში შემოტანისათვის უპირატესობის მინიჭების გამო დიდი ბრიტანეთის სოფლის მეურნეობა თანდათან დაეცა. ამან კი ქვეყანა უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქციაზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააგდო, ომის დროს მისი დაცვისათვის დიდი საფრთხე იქმნებოდა.

სწრაფი ინდუსტრიალიზაციის შედეგად საზოგადოების სოციალურ წყობაში მოხდა მკვეთრი ცვლილებები. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სამრეწველო ქალაქებში ცხოვრობდა. მათი უმრავლესობა დაქირავებული მუშაკი იყო. 1836-1848 წლებში ძირითადად მუშებისაგან შემდგარმა **ჩარტისტულ-მა მოძრაობამ*** მათი პოლიტიკური და სიციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მოძრაობის მონაწილეები ცდილობდნენ საერთო არჩევნების უფლების შესახებ ქარტიის მიღებას.

ქალაქ დუბლინში შიმშილისაგან დაღუპულებისადმი მიძღვნილი ძეგლი

დიდი ბრიტანეთის შიდა პოლიტიკური მდგომარეობა. საპარლამენტო არჩევნების დროს ხდებოდა პოლიტიკური კორუფცია და თვითნებობა, მთავრობაში ტორიები და ვიკები (XIX საუკუნ-ის II ნახევრიდან კონსერვატორები და ლიბერალები) ერთ-მანეთს ენაცვლებოდნენ. ვიკების მთავრობამ მიაღწია 1832 წელს საპარლამენტო არჩევნებში სამრეწველო ქალაქებისა და უფრო მეტი მოქალაქის მონაწილეობის უზრუნველყოფის გამთვალისწინებელი კანონის მიღებას. XIX საუკუნის 60-80-იან წლებში როგორც კონსერვატორების ისე ლიბერალების მთავრობამ ახალი საპარლამენტო რეფორმები გაატარა.

1837-1901 წლებში ქვეყნის მონარქი ვიქტორია ცდილობდა მეფის ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლებას. XIX საუკუნის 70-იან წლებში მან მიაღწია იმას, რომ თავი ინდოეთის იმპერატორად გამოაცხადა.

XX საუკუნის დასაწყისში ლოიდ ჯორჯის ინიციატივით ლიბერალების მთავრობის მხრიდან გაგრძელებული იქნა. 70 წელს მიღწეულებისათვის პენსიამ, მუშაკთა სოციალურმა დაზღვევამ, პარლამენტის რეფორმამ და სხვა ღონისძიებებმა გაზარდეს პარტიის ავტორიტეტი. 1911 წელს გატარდა ახალი საპარლამენტო რეფორმა. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ქვეყნის შიდა პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა დაკავშირებული იყო ირლანდიასთან. აქ ცხოვრებაში გატარებულმა მკაცრმა სადამსჯელო პოლიტიკამ ირლანდიელების ეროვნულ-გამმანთავისუფლებელი მოძრაობის აღკვეთა ვერ შეძლო. 1845-1852 წლებში ირლანდიაში შიმშილის შედეგად ასიათასობით ადამიანი დაიღუპა. დიდი ბრიტანეთის მთავრობები იძულებული იყვნენ წასულიყვნენ დათმობებზე აგრარულ და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროებში.

? *რომელმა ფაქტორებმა ჩაუყარეს საფუძველი ირლანდიაში ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას?*

საფრანგეთი საკონსულოსა და I იმპერიის ხანაში. “18 ბრუმერის” გადატრიალების შემდეგ დადგენილი საკონსულო რეჟიმის მეთაურმა **ნაპოლეონ ბონაპარტმა** ქვეყანაში მკაცრი სახელმწიფო მმართველობა გამოიყენა. წამოწყებული აჯანყებები ჩახშობილ იქნა, იაკობინელებსა და როიალისტებს გაუსწორდნენ, გაზეთების უმრავლესობის საქმიანობა შეჩერებული იქნა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების თვითმმართველობის უფლებები გაუქმდა, დეპარტამენტებს დაენიშნათ პრეფექტები. 1802 წელს ნაპოლეონის მუდმივ კონსულად გამოცხადების შემდეგ, მისი დაბადების დღე ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა, მისი გამოსახულებიანი ფული იქნა გამოშვებული. 1804 წელს სენატის მიღებული გადაწყვეტილებით ნაპოლეონ ბონაპარტი ნაპოლეონ I-ის სახელით საფრანგეთის იმპერატორი გახდა **(1804-1814)**. იმავე წლის 2 დეკემბერს რომის პაპის მონაწილეობით ჩატარდა მისი გვირგვინის დადგმის ცერემონიალი.

! *განსაზღვრეთ საფრანგეთში საკონსულო რეჟიმის შიდა პოლიტიკის ხასიათი.*

I იმპერიის დროს საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში ახალი მცენარეების, მათ შორის კარტოფილის ნათესები გაფართოვდა. პროტექციონისტურმა პოლიტიკამ და კონტინენტის ბლოკადამ ძლიერი ბიძ-

* ჩარტისტების მოძრაობამ თავისი სახელი ქარტია (Charter.) სიტყვიდან აიღო ქარტია სოციალური ფენებისა და კლასების პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნების ამსახველი საბუთია.

LAYIHE

გი მისცა ქვეყნის სამრეწველო განვითარებას. გამარჯვებული ომები სოლიდური თანხით კონტრიბუციისა და ჩამორთმეული მატერიალური ქონების ქვეყანაში შემოდინების მიზეზი გახდა.

იმპერატორი დამოუკიდებლობის მიმანიშნებელ ნებისმიერ ქცევაზე ავლენდა მოუთმენლობას, გარშემო პირადი ნებისყოფის არ მქონე მლიქვნელები იკრიბებოდნენ. მტრის ჯარების 1814 წლეს პარიზში შესვლის დროს ნაპოლეონ I-ის პირველი მოღალატეები სწორედ ისინი იყვნენ.

საფრანგეთი ახალი პოლიტიკური სისტემის ძიებაში. 1814 წლის აპრილში უცხო ქვეყნების დახმარებით საფრანგეთში ბურბონების დინასტიის ხელისუფლება აღდგა. თუმცა ბურბონები რევოლუციის წინა წესების დამყარებას ცდილობდნენ. ბურბონების მმართველობისათვის ბოლოს მიმღები ივლისის (1830) რევოლუციის შედეგად შექმნილმა **ივლისის მონარქიამაც** (1830-1848) არ გაამართლა ხალხის იმედები. 1848 წლის თებერვალში საფრანგეთში მომხდარი რევოლუციის შედეგად შეიქმნა რესპუბლიკა. ხელისუფლებაში წარმოდგენილ რესპუბლიკებს შორის მიმდინარე კინკლაობებმა მოსახლეობაში ახალი წყობის მიმართ უნდობლობა გამოიწვია.

"1805 წელს ნაპოლეონ I-ის ქალაქ ბულონში არსებულ სამხედრო ბანაკში ყოფნისას მას შეატყობინეს, რომ ტყვეობაში მყოფმა ორმა ინგლისელმა საჰაერო მეზღვაურმა დამზადებული პატარა ნავით ლა-მანშის სრუტის გადაცურვა გადასვლა სცადეს. იმპერატორის ამ ტყვეებთან შეხვედრის დროს მის მოსაზრებას, რომ ეს ფაქტი საეჭვოა მართალი რომ იყოს, ტყვეებმა შეატყობინეს, რომ ისინი მისთვის გამეორებით ამის გასაეთებლად მზად იყვნენ. ნაპოლეონ I-მა კი პასუხში, მამაც ადამიანებს დიდი კეთილგანწყობა შეატყობინათ, აღნიშნა, რომ თანახმა არაა, რათა მათ საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდონ. იმპერატორის მითითებით ეს ტყვეები მაშინვე გაათავისუფლეს და ინგლისის გემით გაგზავნეს."

ჰორატსი ვერნიე. ნაპოლეონის ისტორია

? *როგორ შეაფასებთ ნაპოლეონ I-ის დამოკიდებულებას ტყვეების მიმართ?*

1848 წლის დეკემბერში ქვეყნის პრეზიდენტად არჩეული **ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი** მონარქიის აღდგენის მიზნით 1851 წლის დეკემბერში სახელმწიფო გადატრიალებით მეტოქეების გზიდან ჩამოშორების შემდეგ 1852 წლის 2 დეკემბერს **ნაპოლეონ III**-ის სახელით იმპერატორად გამოცხადდა. **II იმპერიის** დროს (1852-1870) საფრანგეთის ეკონომიკური განვითარება დაჩქარდა. ნაპოლეონ III თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის მომხრე იყო. ქალაქ პარიზში ვრცელი კეთილმოწყობითი სამუშაოები ჩატარდა. ლიბერალური რეფორმე-ბით ხელისუფლების განმტკიცების მცდელმა ნაპოლეონ III-მ ამას ვერ მიაღწია. 1870 წლის ივლისში პრუსიისათვის ომის გამომცხადებელი იმპერატორი გერმანული სახელმწიფოების ძლიერ კავშირს წააწყდა. მისი სამხედრო დამარცხებები ახალი რევოლუციის მიზეზი გახდა. 1870 წლის სექტემბერში მომხდარი რევოლუციის შედეგად ქვეყანაში კვლავ რესპუბლიკა გამოცხადდა. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქვეყანაში მომხდარმა გარკვეულმა პოლიტიკურმა და ფინანსურმა სკანდალებმა რესპუბლიკის არსებობამ დიდი საფრთხე შეუქმნა.

XX საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა საფრანგეთში მრეწველობის განვითარების ახალ ეტაპს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ავიაციისა და ავტომობილების წარმოება. გამალებულმა შეიარაღებამ სამხედრო მრეწველობის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი. ვრცელი კოლონიური დაპყრობები მრეწველობას უზრუნველყოფდა იაფი ნედლეულითა და გასაღების ბაზრით. ამ დროს ხელისუფლებაში მყოფმა რადიკალურმა რესპუბლიკელებმა ცხოვრებაში ვრცელი რეფორმები გაატარეს: მოხუცებულობის გამო პენსია, უმუშევრობისა და ავადმყოფობის გამო დაზღვევა იქნა გამოყენებული, მომუშავეებს კვირაში ერთი დღე - გამოსასვლელი დღე მიეცათ მთავრობის საშინაო პოლიტიკაში კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლამაც ერთ-ერთი ძირითადი ადგილი დაიკავა. ამ მიზნით მოხდა ეკლესიის ქონების ერთი ნაწილის კონფისკაცია.

კითხვები და დავალებები

1. *ფანსაზღვრეთ აშშ-ში სამოქალაქო ომის პერიოდში განხორციელებული აგრარული რეფორმების მნიშვნელობა.*
2. *რა რეფორმები განხორციელდა აშშ-ში XX საუკუნის დასაწყისში?*
3. *რა იყო XIX საუკუნე - XX საუკუნის დასაწყისში დიდ ბრიტანეთში ლიბერალებისა და კონსერვატორების პარტიების საპარლამენტო რეფორმების განხორციელების მიზეზი?*
4. *გაანალიზეთ საკონსულოსა და პირველი იმპერიის დროს საფრანგეთში განხორციელებული ღონისძიებები*
5. *რატომ უქმნიდა რესპუბლიკურ წყობას საფრთხეს XIX საუკუნის 80-90-იან წლებში საფრანგეთში მომხდარი პოლიტიკური და ფინანსური ხმაურიანი მოვლენები?*
6. *აწარმოეთ გამოკვლევა და მოახდინეთ წარდგენა დედოფალი ვიქტორიას შესახებ.*

LAYTHE

2 გერმანია და იტალია

საკვანძო სიტყვები

- პრუსიის სამეფო
- "ახალგაზრდა გერმანია"
- ოტო ფონ ბისმარკი
- პიემონტის სამეფო
- კარბონარიები
- ქამილო ქავური

XIX საუკუნეში პოლიტიკური თვალსაზრისით დაშლილ ქვეყნებად შესული გერმანია და იტალია რევოლუციისა და ომების გავლით საუკუნის მეორე ნახევარში მონარქიის მმართველობაში წარმატებულები აღმოჩნდნენ თავისი ეროვნული სახელმწიფოების შექმნაში. ამან ქვეყნების სოციალურ ეკონომიკურ განვითარებას ძლიერი ბიძგი მისცა. გერმანიამ უფრო დიდ წარმატებას მიაღწია.

გერმანია XIX საუკუნის I ნახევარში. XIX საუკუნის დასაწყისში ასეულობით სახელმწიფოსაგან შემდგარი გერმანიის ტერიტორიაზე ყველაზე ძლიერი პრუსიის სამეფო და ავსტრიის იმპერია იყო. ნაპოლეონ I-მა გერმანიის საზღვრებში პრუსიისა და ავსტრიის წინ აღდგომისათვის სხვა გერმანული სახელმწიფოები გააძლიერა, ახალი სახელმწიფოები (ბერგის საჰერცოგო, ვესტფალის სამეფო) შეიქმნა. პრუსიისა და საფრანგეთს შორის დადებული **თილზითის ხელშეკრულებით (1807)** სამეფომ თავისი ტერიტორიების ნახევარი დაკარგა. ცოტახნის შემდეგ ავსტრიაც იძულებული გახდა ტერიტორიის ერთი ნაწილი საფრანგეთისათვის გადაეცა. ფრანგული ჯარების მიერ დაპყრობილ გერმანიის ტერიტორიებზე კონფისკაციასთან ერთად პროგრესიული სოციალურ-ეკონომიკური წესებიც გამოიყენებოდა. 1813 წელს გერმანიაში ნაპოლეონ I-ის წვალების წინააღმდეგ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომი გამარჯვებით დასრულდა. ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით შექმნილი გერმანიის კავშირი 34 სახელმწიფოსა და 4 თავისუფალი ქალაქისაგან შედგებოდა.

! *განსაზღვრეთ ნაპოლეონ I-ის გერმანიაში გატარებული პოლიტიკის დადებითი მხარეები.*

პოლიტიკური დანაწევრება, ფეოდალური წესების ბატონობა მკვეთრად აფერხებდა გერმანიის ეკონომიკურ განვითარებას. მიწების დიდი ნაწილი ფეოდალების მფლობელობაში იყო. მათი ერთი ნაწილი მეურნეობაში დაქირავებულ შრომას იყენებდა, იქმნებოდა გადამამუშავებელი საწარმოები. გერმანიის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სახელმწიფოებში, მათ შორის პრუსიის რკინის მხარეში ფეოდალური მოვალეობები გაუქმებული იყო. XIX საუკუნის I ნახევარში გერმანიაში დაიწყო სამრეწველო რევოლუცია. იმავე ხანაში ქვეყანაში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სამთომადნეულისა და ქიმიური მრეწველობა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა რეინვესტფალიის, საქსონიისა და სილეზიის მრეწველობა. 1834 წელს პრუსიის ხელმძღვანელობით შეიქმნა 18 სახელმწიფოს გამაერთიანებელი საბაჟო ავშირი. თუმცა, უცხოეთიდან განსაკუთრებით ინგლისიდან სამრეწველო საქონლის შემოდინება, მოსახლეობის სყიდვითუნარიანობის დაბალი დონე და ზოგიერ-*

ერთიან იმპერიაში გაერთიანებული გერმანული სახელმწიფოები

* იხ. გვერდი 34

LAYHe

თი სახის ნედლეულის უკმარისობა მრეწველობის სრულ განვითარებას შედარებით აფერხებდა.

ნაპოლეონის საფრანგეთთან ომის შემდეგ გერმანიის პოლიტიკური თვალსაზრისით გაერთიანებისათვის მოძრაობაში აქტიურობდა სტუდენტი ახალგაზრდობა. ისინი რეაქტიული პოლიტიკური მოღვაწეების წინააღმდეგ ტერორს მიმართავდნენ. ხელისუფლების მხრიდან მათ წინააღმდეგ მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებები ხორციელდებოდა. ქვეყნიდან იძულებით ემიგრირებულმა პოლიტიკური მოღვაწეების ერთმა ნაწილმა ორგანიზაციის ძირითად მიზნად რევოლუციური გადატრიალების გზით დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა დაისახა. 1848-1849 წლებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების დროს ერთიანი სახელმწიფოს შექმნის მისაღწევად ლიბერალურმა ოპოზიციამ ქალაქ მაინის ფრანქფურტში შეკრიბა საერთო გერმანული პარლამენტი. „***პროფესორების პარლამენტად***“ წოდებულ ამ თავყრილობაზე განხილული იქნა გერმანიის გაერთიანების ორი გზა - „პატარა გერმანია“ ანუ ავსტრიის მონაწილეობის გარეშე და „დიდი გერმანია“, ანუ ყველა გერმანული სახელმწიფოს მონაწილეობით. საკუთარი ხელისუფლების დაკარგვის არამსურველმა გერმანელმა მონარქებმა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის გამთვალისწინებელ კონსტიტუციაზე უარი თქვეს. 1849-1850 წლებში პრუსიის მცდელობა, კვლავ შეექმნა გერმანიის კავშირი, რუსეთის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. მართალია, „***ოლმუტსის შეურაცხყოფაძ***“ პრუსიის გერმანიაში ჰეგემონობის იდეას დარტყმა მიაყენა, მაგრამ „პატარა გერმანიის გეგმის“ მომხრეების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა. 1850-იან წლებში პრუსიამ ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებას მიაღწია. რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფმა ავსტრიამ კი დაიწყო გერმანიაში ავტორიტეტის დაკარგვა.

*“**პროფესორების პარლამენტი**”– მეჯლისის ამ სახელით მოხსენიების მიზეზი აქ არჩეული 49 პროფესორის თავყრილობის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობასთან იყო დაკავშირებული.*

*“**ოლმუტსის შეურაცხყოფა**” – პრუსიასა და ავსტრიას შორის წარმოშობილ მორიგ კონფლიქტში ჩარევით რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 1850 წლის 29 ნოემბერს ჩეხეთის ქალაქ ოლმუტსში პრუსიას პრეტენზიებზე იძულებით უარის მოქმელ ხელშეკრულებაზე მოაწერებინა ხელი.*

ოტო ფონ ბისმარკი

1848–1849 წლების რევოლუციის დროს რატომ გახდა შეუძლებელი გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს სახით გაერთიანება?

გერმანიის იმპერიის ორგანიზება. პრუსიაში კონსტიტუციურ კრიზისთან დაკავშირებით მთავრობის მეთაურად დანიშნულმა **ოტო ფონ ბისმარკმა** გერმანიის გაერთიანებისათვის რუსეთის თავშეკავებას მიაღწია. დანიის მეფის შლეზვიკისა და ჰოლშტეინში პოლიტიკის მწვავედ დამადანაშულებელმა ბისმარკმა 1864 წელს პრუსიის ომში დანიის წინააღმდეგ ავსტრიასა და სხვა გერმანულ სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობას მიაღწია. გამარჯვებისა და ამ ტერიტორიების დანიის სამეფოსაგან ჩამორთმევის შემდეგ, მათ მართვასთან დაკავშირებით ავსტრიასთან წარმოშობილი უკმაყოფილებით, როგორც მიზეზით მოსარგებლე ბისმარკმა 1866 წელს მის წინააღმდეგ ომი დაიწყო. გერმანული სახელმწიფოების დამპირისპირებელ ამ ომს ზოგჯერ „გერმანია-გერმანია“, "40 დღიან", ომსაც უწოდებენ. ომში იტალიის სამეფოსთან ერთად გამარჯვებულმა პრუსიამ აიძულა ავსტრია გამოსულიყო გერმანიის კავშირიდან და 22 გერმანულ სახელმწიფოსთან ერთად შექმნა ჩრდილოეთი გერმანიის კავშირი. 1867 წელს ძალაში შესული კონსტიტუცია ადასტურებდა, რომ კავშირში მმართველობა ეკუთვნის პრუსიას.

კონსტიტუციური კრიზისი პრუსიაში – 1860–1862 წლებში პრუსიის წარმომადგენლობით საკანონმდებლო ორგანოს (ლანდტაგი) მთავრობის სამხედრო რეფორმის დაფინანსებაზე უარის თქმის გამო მეფესთან კონფლიქტი მოუყიდათ.

1870 წლის ივლისში საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III-ის ომში წამქეზებლურად ჩამრთველმა ბისმარკმა მის წინააღმდეგ სხვა გერმანული სახელმწიფოების დახმარების გამოყენებით გაიმარჯვა.სამხრეთი გერმანიის 4 სახელმწიფოს ჩრდილოეთი გერმანიის კავირში შესვლის შემდეგ 1870 წლის დეკემბერში სამოკავშირეო გერმანია იმპერიად, მისი პრეზიდენტი, კი იმპერატორად (კაიზერად) იწოდა. 1871 წლის 18 იანვარს (პრუსიის 1701 წლის სამეფოდ გამოცხადების დღეს) ვერსალში „წმინდა იმპერიის“ აღდგენის გამოცხადების

LAYING

"...გერმანია პრუსიის ლიბერალიზმის კი არა, მის სიმტკიცეს იცავს. დაე, ბავარია, ვურტემბერგი, ბადენი ლიბერალიზმთან დათმობაზე წავიდნენ; თუმცა არავის მათთვის პრუსიის შესრულებული როლი არ შეუსრულებია; ვენის ხელშეკრულებების – ტრაქტატების საფუძველზე პრუსიის საზღვრები მის ჯანსაღ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ვერ ეხმარება; თანამედროვე პერიოდის დიდი საკითხები უმრავლესობის სიტყვებითა და რეზოლუციებით კი არა – ეს 1848 და 1849 წლების დიდი შეცდომა იყო, რკინითა და სისხლით წყდება..."

ო.ბისმარკის ლანდტაგის საბიუჯეტო კომისიაზე გამოსვლიდან. 30 სექტემბერი 1862 წელი

მიუხედავად, ახლად შექმნილი სახელმწიფოს გერმანიაში მეორე იმპერია (რეიხი)* უწოდეს. პრუსიის მმართველი ჰოჰენსოლერთა დინასტიიდან ვილჰემ I კი იმპერატორად გამოცხადდა.

გერმანიის იმპერია XIX საუკუნის ბოლოს – XX საუკუნის დასაწყისში. 1871 – 1890 წლებში მთავრობის მეთაურს (კანცლერს) ბისმარკს დიდი წვლილი მიუძღვის იმპერიის ჩამოყალიბებაში. ბისმარკმა ერთიანი ფულის, წონის, ზომის, ბანკის, ფოსტის, სასამართლო კანონმდებლობის გამოყენებით, პროტექციონისტური პოლიტიკით, მუშათა კანონმდებლობით, კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტის შერყევით, რადიკალური პოლიტიკური ძალების წინაღმდეგ მკაცრი სადამსჯელო პოლიტიკით და სხვა ღონისძიებებით მიაღწია გერმანიის გაძლიერებას. XIX საუკუნის 80-იან წლებში გერმანიაში სამრეწველო გადატრიალება დამთავრდა. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები. გერმანიის მრეწველობა ტექნიკური პროგრესის ახალი წარმატებებით იყო მომარაგებული და პროდუქცია კონკურენტუნარიანი იყო. XX საუკუნის დასაწყისში - ბულოვინის კანცლერობის დროს გერმანიაში სოციალურ - ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ სამმართველო სფეროებში განხორციელებულმა რეფორმებმა საზოგადოებაში მზარდი სოციალური უკმაყოფილების შედარებითი აღმოფხვრვა შეძლო.

? *როგორ შეაფასებდით ოტო ფონ ბისმარკის როლს გერმანიის ისტორიაში?*

იტალია XIX საუკუნის I ნახევარში. XIX საუკუნის დასაწყისში იტალიის ტერიტორია კვლავ იქცა ევროპის სახელმწიფოების საბრძოლო მოედნად. იტალიის სახელმწიფოებისა და ავსტრიის ფრანგული ჯარების შემოჭრის წინააღმდეგ წარმოებული წარუმატებელი ომების შედეგად ქვეყნის ერთი ნაწილი ფრანგული ჯარების მიერ იქნა დაპყრობილი. მხოლოდ სიცილია და სარდინია არ იყო დაპყრობილი. 1802 წელს ნაპოლეონ ბონაპარტის მეთაურობით შეიქმნა დაპყრობილი ტერიტორიების მომცავი იტალიის რესპუბლიკა. ომები მეურნეობის ნგრევის მიზეზი გახდა. ფრანგული ჯარების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ჩატარებული ფართომასშტაბიანი კონფისკაციები კიდევ უფრო ამძიმებდა მოსახლეობის მდგომარეობას. თუმცა უცხოელთა დაპყრობებით იტალიამ ზოგიერთი სარგებელიც ნახა. ასე რომ, დაემხო დესპოტური პოლიტიკური რეჟიმები, შეირყა ფეოდალური წესები, მოხდა ეკლესიის მიწების კონფისკაცია და გაუქმდა შიდა საბაჟო საზღვრები. 1805 წელს შეიქმნა **იტალიის სამეფო** და ნაპოლეონ I მის მეფედ გამოცხადდა. გარკვეული დროის შემდეგ ფრანგულმა ჯარებმა რომი დაიპყრეს და პაპის აქ არსებულ მსოფლიო მმართველობას ბოლო მოეღო. პაპმა კი ნაპოლეონ I ეკლესიისაგან მოწყვეტილად გამოცხადდა. იტალიაში ფრანგების ბატონობის დროს ფეოდალურ წესებს ძლიერი დარტყმა მიაყენეს, კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებისათვის ხელსაყრელი დრო დადგა. თუმ-

იტალია XIX საუკუნის პირველ ნახევარში

* I იმპერიად (რეიხად) 962-1806 წლებში არსებული წმინდა რომის იმპერია ითვლება.

LAYIHO

ცა ნაპოლეონ I იტალიელების ეროვნული ერთიანობის შექმნის სურვილის წინააღმდეგ მკაცრ ზომებს იღებდა. მართალია იტალიაში ნაპოლეონის დესპოტიზმის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები გაძლიერდა, მაგრამ ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ საზოგადოების ყველა ფენა ვერ მოიცვა. კარბონარიების - საიდუმლო ჯგუფების საქმიანობა გაფანტულ ხასიათს ატარებდა და ფართო ხალხთა მასებზე დაყრდნობა წარუმატებელი ხდებოდა.

კარბონარიები *– 1807–1832 წლებში ჯერ ფრანგი დამპყრობლების, შემდეგ კი ადგილობრივი მონარქების წინააღმდეგ მოქმედი ფარული ორგანიზაციის წევრები (იტალიურად კარბონარო მენახშირეს ნიშნავს).*

! *გაანალიზეთ საფრანგეთის მხრიდან დაპყრობის შედეგები იტალიისათვის.*

ვენის კონგრესის გადაწყვეტილების თანახმად, იტალია კვლავ პოლიტიკური ნგრევისათვის განწირული აღმოჩნდა. იტალიის ცენტრში ავსტრიელი უფლისწულები, სამხრეთში - **ნეაპოლის სამეფოში** ესპანელი ბურბონები ბატონობდნენ. კვლავ მსოფლიო მმართველობის აღმდგენი პაპის პოლიტიკური ავტორიტეტი იტალიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ლომბარდიისა და ვენეციის პროვინციები ავსტრიელების მიერ იყო დაპყრობილი. მხოლოდ იტალიის ჩრდილოეთში სავოიას დინასტიის ხელისუფლებაში მყოფი **სარდინიის (პუემონტის) სამეფომ** შეძლო თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ტერიტორიის ნაწილობრივი გაფართოება. იტალიაში კვლავ აღდგენილი და უფრო გაძლიერებული რეაქციული ფეოდალ-თვითმპყრობლური წესების წინააღმდეგ 1820-1830-იან წლებში ნეაპოლისა და პუემონტის სამეფოებში და ასევე ცენტრალურ იტალიაში მომხდარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციები ავსტრიის ჯარების მიერ უმოწყალოდ იქნა ჩახშობილი.

ჯუზეპე ჰარიბალდი და პუემონტის მეფე ვიქტორ ემანუელ II. 1860 წელი. ნეაპოლი

1846 წელს პაპის თანამდებობაზე არჩეული იტალიელი რელიგიური მოღვაწე **პიო IX–ის** დაწყებულმა ლიბერალურმა რე-ფორმებმა დიდი გამოცოცხლება გამოიწვიეს იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გაიზარდა იტალიელების იმედები, რომ შესაძლებელია ქვეყანა პაპის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანდეს. თუმცა ავსტრიის მუქარის წინაშე პაპს უკან დახევა მოუწია. 1848 წლის იანვარში სიცილიაში გამარჯვებული რევოლუციური გამოსვლები მალე მთელ იტალიაში გავრცელდა. იტალიის სახელმწიფოებში მიღებული იქნა კონსტიტუციები და გატარდა რეფორმები. 1849 წელს დაარსდა **რომის რესპუბლიკა**. ქვეყნის ეროვნული სახელმწიფოს სახით გაერთიანებისათვის 1848-1849 წლებში პუემონტის სამეფოს მეთაურობით ავსტრიის წინააღმდეგ მიმართული პირველი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომი წარუმატებლად დასრულდა. ავსტრიის, საფრანგეთისა და ესპანეთის ჯარები იტალიაში რევოლუციებს ახშობდნენ. ქვეყანაში რეაქციულმა რეჟიმებმა ავსტრიის ხელისუფლებაზე დაყრდნობით ეროვნული მოძრაობის მოწინააღმდეგეები გაანადგურეს. თუმცა, იტალიის ეროვნული ერთიანობის იდეის მომხრეების რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდებოდა. პაპის სიმტკიცის არქონისა და ეროვნული ინტერესების ღალატის დამნახველი იტალიელები ქვე-ყნის პუემონტის სამეფოს მეთაურობის ქვეშ გაერთიანების მომხრეები იყვნენ.

"... ამის გამო მე ნამუსიანი ადამიანების ღირსი, ბუნებრივი, უმრავლესობის სურვილებზე პასუხის გამცემი და ამის გამოც ძალადობითა და ტყეულით მიღებით საჭიროების არ მქონე რესპუბლიკური წყობის მომხრე ვარ... მე საკუთარ რესპუბლიკელობას, მაგალითად, ინგლისელებს ძალით არ მივაღებინებდა: თუ ისინი მეფე ვიქტორიას მმართველობით კმაყოფილები არიან, დაე, ასეც იყოს, ამ შემთხვევაშიც მათი მთავრობა რესპუბლიკურ მთავრობად უნდა ჩაითვალოს..."

ჯ. გარიბალდის მემუარებიდან

იტალიის სამეფოს შექმნა. XIX საუკუნის 50-იან წლებში მრეწველობის სწრაფი ტემპებით განმავითარებელი და კონსტიტუციური მონარქიის წყობის მქონე პუემონტის სამეფო ეროვნული

LAYTH

ქამილო ქავური

ერთიანობის მოძრაობის ძირითად ცენტრად იქცა. 1851-1861 წლებში აქ მთავრობის მეთაურად მყოფი გრაფი **ქამილო ქავურის** განხორციელებული ლიბერალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებით სამეფო ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერდა. 1859 წელს პუემონტის სამეფომ საფრანგეთთან კავშირის შეკრით ავსტრიასთან ომში გაიმარჯვა და ლომბარდიანი თავის ტერიტორიას შეუერთდა. 1860 წლის გაზაფხულზე აჯანყების დაწყებით დესპოტური მმართველობის დამხობით ტოსკანა, მოდენა და პარმა, შემოდგომით კი იტალიის ეროვნულ გმირად ქცეული ჯ. ჰარიბალდის გათავისუფლებული ნეაპოლის სამეფო პუემონტს შეუერთდნენ. 1861 წელს გამოცხადდა იტალიის სამეფოს შექმნა. პუემონტის მეფე ვიქტორ ემანუელ II იტალიის მეფე, ქავური კი მთავრობის მეთაური გახდა. სამეფოს დედაქალაქი ჯერ იყო ქალაქი ტურინი, შემდეგ ფლორენცია გახდა.

განსაზღვრეთ იტალიის სამეფოს შექმნაში, პუემონტის სამეფოს ხელმძღვანელობის მიზეზები.

იტალიის სამეფო XIX საუკუნის ბოლოს – XX საუკუნის დასაწყისში. იტალიის სამეფომ 1866 წელს პრუსიასთან ერთად ავსტრიის წინააღმდეგ ომი აწარმოა და ვენეცია შემოუერთა. რომს, რომელიც პაპის სამფლობელოდ ითვლებოდა 1849 წლიდან ფრანგული ჯარები იცავდნენ. პრუსიასთან ომში საფრანგეთის სამხედრო წარუმატებლობის გამო შესაბამისი იტალიის ჯარები 1870 წელს რომში შევიდნენ. 1871 წელს სამეფოს დედაქალაქი ფლორენციიდან რომში იქნა გადატანილი. პაპმა განაცხადა, რომ რომის დაპყრობას არ ცნობს და კათოლიკეს მოუწოდა უარი ეთქვათ იტალიის სამეფოსთან თანამშრომლობაზე.

იტალიის ეროვნული სახელმწიფოს მდგომარეობაში გაერთიანებამ ბიძგი მისცა მის ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნის ჩრდილოეთში მრეწველობის დარგების განვითარების პირობებში, სამხრეთი მსხვილი მიწათმფლობელური მეურნეობები რჩებოდა. 1876-1887 წლებში ხელისუფლებაში მყოფი „მემარცხენეების მთავრობებმა“ გარკვეული გადასახადები გაუქმეს, ჩაატარეს არჩევნებისა და განათლების რეფორმები.

ჯოვანი ჯოლიტი (მარჯვნივ)

XX საუკუნის დასაწყისში იტალიის სამეფო ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით გერმანიას, საფრანგეთსა და ინგლისს ჩამორჩებოდა, ამ დროის რამდენჯერმე მთავრობის სათავეში მყოფი **ჯოვანი ჯოლიტი** „ლიბერალური ხაზის“ პოლიტიკას ატარებდა. კაცებისათვის მიღებული იქნა კანონი საერთო არჩევნების შესახებ, მუშებს მიეცათ კვირაში ერთი დღე დასვენებისათვის. აღიარებული იქნა მათი გაფიცვის უფლება, სამხრეთის ეკონომიკური განვითარებისადმი გაიზარდა ყურადღება.

კითხვები და დავალებები

1. *ოლშუოტსში ავსტრიის წარმატება. რატომ შეგიძლიათ ჩათვალოთ წმინდა გამარჯვებად?*
2. *გააანალიზეთ ბისმარკის რეისკანცლერობის პერიოდში გერმანიაში განხორციელებული ღონისძიებების მნიშვნელობა.*
3. *მოამზადეთ იტალიელი ხალხის XIX საუკუნის 40-60-იან წლებში წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომებისა და მათი შედეგების ამსახველი სქემა.*
4. *როგორ აფასებთ ჯ.ჰარიბალდის როლს იტალიის ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს სახით გაერთიანებაში?*
5. *გაანალიზეთ ბისმარკის რეიხკანცლერობის დროს განხორციელებული ღონისძიებების მნიშვნელობა.*
6. *ახასიათეთ XIX საუკუნეში გერმანიისა და იტალიის ეროვნული სახელმწიფოს მდგომარეობაში გაერთიანების პროცესის შედარებითი ანალიზი და მოამზადეთ წარდგენა.*

LAYiHe

3 რუსეთი

საკვანძო სიტყვები

- დეკაბრისტების აჯანყება
- "ევროპის ჟანდარმი"
- "ყირიმის ომი"
- "ხალხთა საპყრობილე"
- სტოლიპინის რეფორმები

XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთი ავრძელებდა დამპყრობლურ ომებს და იპყრობდა ახალ ტერიტორიებს. თავისი დიდი ჯარის წყალობით ევროპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოდ იქცა. თუმცა დიდი სამხედრო ძალის მიუხედავად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გამწვავებული იყო. სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობის გადემავება XX საუკუნის დასაწყისში რევოლუციის მიზეზი გახდა.

სოციალური დაყოფა

რუსეთის საზოგადოების ყველაზე მახასიათებელი თავისებურება განტოტილ ფენებად დაყოფის დაცვა იყო. რუსეთის იმპერიის ძირითადი კლასები იყვნენ შემდეგი:



! *დიაგრამის საფუძველზე გაანალიზეთ რუსეთის სოციალური და ეკონომიკური წყობა.*

ბრძოლის გარეშე მოპოვებული გამარჯვება. 1801 წელს სასახლის გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ალექსანდრე I (1801-1825). ამ დროს კოლეგიების ნაცვლად, ევროპის მაგალითზე სამინისტროები შეიქმნა. **თავისუფალი მემარცვლეების** შესახებ კანონი მიწათმფლობელების მიერ თავისი გლეხების გარკვეული პირობების სანაცვლოდ გათავისუფლებას ითვალისწინებდა. თუმცა ეს კანონი სრულად ვერ განხორციელდა. შემდგომში ალექსანდრე I დაშორდა იმ ლიბერალური რეფორმების პოლიტიკას, რომლის გატარებაც სურდა ხელისუფლების დასაწყისში და გამოიყენა **დესპოტური** რეჟიმი. საგარეო პოლიტიკის სფეროში, მართალია რუსეთმა ჯერ საფრანგეთის წინააღმდეგ კოალიციაში მიიღო მონაწილეობა, გარკვეულ ბრძოლებში დამარცხდა და 1807 წელს მასთან **ტილზიტის** ზავს მოაწერა ხელი. საფრანგეთს დასავლეთი ევროპა, ხოლო რუსეთს აღმოსავლეთი ევროპა უნდა ემართა. რუსეთი საფრანგეთის ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ ბლოკადას შეუერთდა. ამის შემდეგ რუსეთმა ოსმალეთის იმპერიისა და შვედეთის წინააღმდეგ აწარმოა ომები. დაიპყრო ბესარაბია და ფინეთი. თუმცა რუსეთის მიერ ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობების გაგრძელება 1812 წელს საფრანგეთის რუსეთზე თავდასხმის მიზეზი გახდა. დროის მცირე მონაკვეთში ნაპოლეონის არმიამ მოსკოვამდე მიაღწია და ის დაიკავა. რუსები ღია ბრძოლას თავს არიდებდნენ და უკან იხევდნენ. იმისათვის, რომ ფრანგები აქ არ დამაგრებულიყვნენ, მოსკოვი გადამწვარი იქნა. ფრანგებს დასარჩენი ადგილი და სურსათი არ გააჩნდათ .

ალექსანდრე I

დესპოტური რეჟიმი – თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მართვის მეთოდი

? *რუსების ეს ტაქტიკა აზერბაიჯანის ისტორიის რომელი მოვლენის მსგავსია?*

LAVERI

რუსეთის არმიამ, რომელმაც ნაპოლეონის წინააღმდეგ ვერც ერთ ღია ბრძოლაში ვერ გაიმარჯვა გამოიყენა ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და პარტიზანული ომის ტაქტიკა. ფრანგული ჯარის მომარაგების გაუარესება და სიცივეების დადგომა ნაპოლეონის ჯარის უკან დახევის მიზეზი გახდა. ამით ისარგებლა რუსეთმა, დაიპყრო პოლონეთი, ბალკანეთი და სამხრეთი კავკასია, სურდა ევროპაში გაბატონებული მდგომარეობის დაკავება.

თქვენი აზრით, რა გავლენა მოახდინა ამ მოვლენამ რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტზე? რუსეთის ამ გამარჯვებამ, მოახდინა თუ არა გავლენა აზერბაიჯანის მომავალ ბედზე?

მეფე ამ მიზნის „ევროპის ხალხების ევროპის ჩაგვრისაგან გადარჩენის“ მიზეზით განხორციელებას აპირებდა. უფრო მეტიც, ამას რელიგიური **მისტიციზმთან** აკავშირებდა, საკუთარ თავს „ღმერთის მიერ რჩეულად“ წარმოადგენდა. სწორედ ამის გავლენით ის ყოველნაირი თავისუფლების გაგების წინააღმდეგ გამოდიოდა.

მისტიციზმი – სარწმუნოებრივი ბუნებრივი მოვლენების რწმენა



დეკაბრისტების აჯანყება

ნიკოლოზ I

დეკაბრისტების აჯანყება. ნაპოლეონ I-ის წინააღმდეგ ომის დროს დასავლეთ ევროპაში ლაშქრობებში მონაწილე რუსი ოფიცრების ერთმა ნაწილმა დაინახა, რომ რუსეთში ცხოვრებისპირობები, სახელმწიფოს მმართველობა და სოციალური წყობა ძალიან იყო ჩამორჩენილი. რეაქციული რეჟიმი და გლეხების ყმური მდგომარეობა განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომაც ევროპული მართვის სისტემისა და სოციალური წყობის რუსეთში გამოყენებისათვის დაიწყო საიდუმლო საზოგადოებების შექმნა. ეს საზოგადოებები მიზნად ისახავდნენ რუსეთში მეფის რეჟიმის დამხობასა და კონსტიტუციის მიღებას. მათ 1825 წლის დეკემბერში ისარგებლეს მეფის გარდაცვალებით და მოქმედებაზე გადავიდნენ. თუმცა რუსეთის ისტორიაში მეფის რეჟიმის წინააღმდეგ პირველი ღია დემონსტრაცია და შეიარაღებული აჯანყება ხელმძღვანელობის აუჩქარებელი ქმედების მიზეზით წარუმატებელი აღმოჩნდა. ამრიგად, ხელისუფლებაში **ნიკოლოზ I** (1825-1855) განმტკიცდა. ის ხელისუფლებაში ყოფნის დროს რუსეთის დესპოტურ რეჟიმს მართავდა. დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ არისტოკრატების ნდობა შემცირდა და სახელმწიფო მართვის მტკიცე კონტროლისათვის ბიუროკრატიული რეჟიმი შექმნა.

სკოლებსა და უნივერსიტეტებზე კონტროლი გაიზარდა. მეცნიერთა ევროპაში გასვლა აიკრძალა. მხოლოდ თავადთა და მოხელეთა შვილებს შეეძლოთ მიეღოთ საშუალო განათლება. გაძლიერდა ცენზურა წიგნებსა და პრესაზე. ნიკოლოზ I-ის ხელისუფლების პერიოდში რუსეთში ფეოდალურ წარმომადგენლობა ხელს უწყობდა ეკონომიკის დაშლას. ვაჭრობისა და მრეწველობის სფეროებში შედარებითი განვითარება გლეხთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებული სოფლის მეურნეობის არაეფექტურობაზე მეტყველებდა. გლეხთა წარმომადგენლობის შრომაზე დაფუძნებული მანუფაქტურები კოტრდებოდა. ასე, რომ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური წყობა ხელს უშლიდა ეკონომიკის განვითარებას. მაგრამ მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის 30-40-იან წლებში რუსეთში სამრეწველო რევოლუცია დაიწყო. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, რუსეთში სამ-

“რუსეთის შედარებითი სიძლიერე, ძირითადად 1815 წლის შემდეგ, მსოფლიო შშვიდობისა და ინდუსტრიალიზაციის პერიოდში უკან ჩამორჩა. მაგრამ ეს მდგომარეობა ყირიმის ბრძოლამდე (1853–1856) სრულიად არ გამოაშკარავებულა. ... რუსეთი ეკონომიკურ და ტექნიკურ სფეროებში 1815–1880 წლებში ევროპის სხვა დიდ სახელმწიფოებთან შედარებით ჩამორჩენილი იყო”.

პაულ კენედი, "დიდი ძალების აღზევება და დაცემა". გვ. 215.

LAYIle

რეწველო რევოლუცია ფეოდალური წყობის ბატონობის პირობებში განხორციელდა. ტექნიკური რევოლუცია ბატონყმობის გაუქმებამდე, სოციალური რევოლუცია კი შემდგომში დაიწყო.

ნიკოლოზ I-ის პერიოდში რუსეთი საგარეო დაპყრობით პოლიტიკას აწარმოებდა. აზერბაიჯანის ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია მთლიანად იქნა დაპყრობილი. ევროპაში 1848 წლის რევოლუციების ჩახშობაში აქტიური მონაწილეობისათვის რუსეთს „ევროპის ჟანდარმა"-ს უწოდებდნენ. ნიკოლოზ I-ის მიერ ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული ომიც დაპყრობით ხასიათს ატარებდა. მაგრამ მისი ოსმალეთის სახელმწიფო ტერიტორიების დაპყრობის სურვილი, იმის გამო, რომ რუსეთის გაძლიერების არა მოსურნე ინგლისისა და სხვა ევროპული სახელმწიფოების ინტერესებს არ შეესაბამებოდა, ამ პერიოდში არ განხორციელდა. მეფე ნიკოლოზ I-ის ძალადობრივი პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ ევროპულ სახელმწიფოთა ბლოკის ჩამოყალიბების მიზეზი გახდა. 1853 წელს დაწყებულ **ყირიმის ომში** ინგლისი და საფრანგეთი ოსმალეთის სახელმწიფოს მომხრეებად გამოვიდნენ. ომ ში, რომელიც 1856 წლამდე გაგრძელდა, რუსეთი დამარცხდა.

დიდი რეფორმების პერიოდი. ალექსანდრე II (1855-1881) ხელისუფლების სათავეში რთული საშინაო და საგარეო ვითარების პერიოდში მოვიდა. ყირიმის მარცხი ნიკოლოზ I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობაზე მეტყველებდა. ამიტომაც აუცილებელი იყო რეფორმების გატარება სხვადასხვა სფეროებში. საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ასევე მრეწველობის განვითარება ბატონყმობის გაუქმებას აუცილებელს ხდიდა. **1861 წელს** გაიცა განკარგულება გლეხთა ბატონყმური მდგომარეობის გაუქმების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ გლეხები იურიდიულად განთავისუფლდნენ, ამას მათი ეკონომიკურ მდგომარეობაში საფუძვლიანი ცვლილება არ გამოუწვევია. იმიტომ, რომ მათთვის განსაზღვრული გადასახდელის სანაცვლოდ გამოყოფილი მიწის წილი ძალიან მცირე იყო. ამასობაში საერთო გადასახადებთან ერთად, წილობრივი მიწის სანაცვლოდ გადახდილი გადასახადები გლეხთა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. ამიტომაც იყო, რომ გლეხთა საკითხები რუსეთის ერთ-ერთ ძირითად სოციალურ პრობლემად რჩებოდა.

"ოსმალური საკითხები ჩახლართულია. ეს სახელმწიფო თავისთავად იშლება ნაწილებად. მისი დაშლა ძალიან დიდი და კატასტროფული იქნება. ინგლისი და რუსეთი ამ საკითხზე უნდა შეთანხმდნენ. ... ჩვენს მკლავებში ძალიან ძძიმე ავადმყოფი იმყოფება. ჩვენ ყველას მისი სიცოცხლე გვსურს. ... მაგრამ, მისი ჩვენს მკლავებში უეცარი სიკვდილი შესაძლებელია ევროპის მასშტაბის ომის მიზეზი გახდეს. ამ არეულობაში, თუკი ინგლისი სტამბოლში განმტკიცებას ისურვებს, ჩვენ ამაზე თვალს ვერ დავხუჭავთ. მეც სტამბოლის დაპყრობა მსურს."

მეფე ნიკოლოზ I-ის საუბარი ინგლისის ელჩთან რუსეთში.

! *განიხილეთ წყაროსა და ტექსტში მოცემული ცნობები: თქვენი აზრით, შეესაბამებოდა თუ არა ნიკოლოზ I-ის წინადადება ინგლისის ინტერესებს?*

! *ზემსტვო – არჩევნების საფუძველზე ფორმირებული ადგილობრივი ორგანოები.*

გლეხთა განთავისუფლება აუცილებელს ხდიდა ცვლილებების შეტანას მართვის სფეროში. ამის შედეგად, ადგილებზე ეკონომიკური საკითხების გადაჭრის, ასევე საავადმყოფოებისა და სკოლების გახსნის მიზნით ზემსტვოები დაარსდა. ზემსტვოებში განსაზღვრული ქონების ფლობა არჩევნებში მონაწილეობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

1864 წელს გატარებული რეფორმების მიხედვით, სასამართლო ღია და დამოუკიდებელი იყო. გაკეთდა განცხადება ყველა ფენების კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ. გატარებული იქნა სამხედრო რეფორმა. დაწესდა საერთო სამხედრო ვალდებულება. შემცირდა სამხედრო სამსახურის პერიოდი.

1870 წელს გატარებული საქალაქო რეფორმის საფუძველზე, ქალაქის სამმართველოსა და დუმის ორგანიზების მიზნით ჩატარებული იქნა არჩევნები, სადაც კლასობრივი წესების გვერდის ავლით ყველა ფენა მონაწილეობას იღებდა. ქალაქებმა სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ მეურნეობისა და კულტურის სფეროში თვითმმართველობის უფლება მოიპოვეს. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ცვლილებებს ეკონომიკურ სფეროშიც. სახელმწიფო შემოსავლების გაზრდის მიზნით შაქრის, მარილისა და თამბაქოს გაყიდვა სახელმწიფოს მონოპოლიაში მოექცა. დიდი ყურადღება მიიპყრო რკინიგზის მშენებლობამ. ამ საქმისათვის მიზიდული იქნა საგარეო კაპიტალიც. დაარსდა რუსეთის სახელმწიფო ბანკი.

პრესაზე ზედამხედველობა ნაწილობრივ გაუქმდა. ეს, რუსეთში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მიზეზი გახდა. აღკვეთილი იქნა კლასობრივი და რელიგიური შეზღუდვები განათლების სფეროში. უნივერსიტეტებისათვის ავტონომიის მინიჭებამ დადებითად იმოქმედა მეცნიერების განვითარებაზე.

! *შეადგინეთ ცხრილი ალექსანდრე II-ის ხელისუფლების პერიოდში გატარებული რეფორმების შესახებ.*

LATHE

შეიხ შამილის ტყვედ ჩაგდება
მხატვარი ალექსეი კივშენკო

ჩრდილოეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის დაპყრობა. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის დამპყრობლობის წინააღმდეგ დაწყებული განმათავისუფლებელი ბრძოლა გაძლიერდა. XIX საუკუნის დასაწყისში, 1859 წელს **შეიხ შამილის** მეთაურობით დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობა დიდი სირთულით ჩაახშეს. მაგრამ მთიელ ხალხთა გმირული ბრძოლა ისევ გრძელდებოდა. მხოლოდ 1864 წელს დასრულდა მთლიანი კავკასიის დაპყრობა. რუსეთის მიერ გატარებული ეროვნული და რელიგიური ჩაგვრითი პოლიტიკის შედეგად, კავკასიის მუსლიმანი მოსახლეობის ერთი ნაწილი იძულებული გახდა ოსმალეთის სახელმწიფოში გადასულიყო. ამის შემდეგ მხარეში რუსი გლეხებისა და კაზაკების ჩასახლება დაიწყო.

ყირიმის ომში დამარცხებულმა რუსეთმა მიზნად ცენტრალური აზიის დაპყრობა დაისახა. ცენტრალურ აზიაში არსებული პოლიტიკური ვითარება რუსეთის მიერ მის დაპყრობას ხელს უწყობდა. პოლიტიკური არეულობის ვითარებაში მყოფ მხარეში კოკანდის, ხივას სახანოები და ბუხარას საამირო ერთმანეთთან ომს აწარმოებდნენ. ამ ფეოდალურ სახელმწიფოებს შიგნით ადგილი ჰქონდა ასევე საგვარეულო მტრობას. ყველა ეს ფაქტორები აიოლებდა რუსეთის მიერ მათ დაპყრობას. მაგრამ რუსეთს ამ მხარეში ავტორიტეტის შესანარჩუნებლად ინგლისთან ბრძოლა მოუწია. ინგლისი მხარის დასაპყრობად სამხედრო და დიპლომატიურ მეთოდებს იყენებდა. იგზავნებოდა ელჩები ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში, ხორციელდებოდა ზეწოლა. ბუხარას საამირომ და ხივას სახანომ რუსეთზე დამოკიდებულება აღიარეს. კოკანდის სახანო დაიშალა. რუსეთმა 1864-1895 წლების განმავლობაში მხარის დაპყრობა განახორციელა. თურქისტანის ოკუპაციის ძირითადი მიზეზი მხარეში ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს არ ყოფნა და მოსახლეობის საშინაო ბრძოლის შედეგად დასუსტებულობა იყო. რუსეთის სამხედრო-ტექნიკური უპირატესობაც ამ დაპყრობის ერთ-ერთ მიზეზთაგან შეიძლება ჩაითვალოს.

რეაქციის გაძლიერება. 1881 წელს ტერორიზმის შედეგად დაღუპული ალექსანდრე II-ის შემდეგ, ხელისუფლებაში **ალექსანდრე III** (1881-1894) მოვიდა. მის პერიოდში რეაქციული პოლიტიკა გაძლიერდა. სასამართველოებისა და ზემსტვოების დამოუკიდებლობა შეიზღუდა. ეროვნულ-რელიგიურმა ჩაგვრამ და გარუსების პოლიტიკამ ვრცელი ხასიათი მიიღო. გაძლიერებული იქნა ზეწოლა არარუს ერებზე. ყაზანის თათრების, ბაშკირების, ასევე ჩუვაშების გაქრისტიანებაც გატარებული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. რელიგიისა და ენის შეცვლის არამსურველების წინააღმდეგ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ზეწოლებს ჰქონდა ადგილი. მაგრამ ამ პოლიტიკამ ვოლგის გაღმა თურქთა შორის ეროვნული და რელიგიური გრძნობები კიდევ უფრო გააძლიერა.

ნიკოლოზ II

! *შეადარეთ ერთმანეთს მეფის რუსეთის ვოლგის გაღმა თურქებისა და აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული კოლონიზაციის პოლიტიკა.*

კავკასიის, ასევე თურქისტანის თურქი და სხვა მუსლიმანი ხალხების პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები შეზღუდული იყო. ზეწოლის ქვეშ აღმოჩენილ ხალხთა შორის ებრაელებიც იყვნენ. მათ წინააღმდეგ ხორციელდებოდა მიზანმიმართული მკვლელობები და ადგილი ჰქონდა დაყაჩაღებებს, ეზღუდებოდათ პოლიტიკური და კულტურული უფლებები. საერთოდ, მთლიანად არა რუსი ერების წინააღმდეგ გატარებული რეაქციული პოლიტიკის გამო რუსეთი „**ხალხთა საპყრობილედ**“ იწოდებოდა.

ნიკოლოზ II-ის ხელისუფლების პერიოდი (1894-1917) რუსეთში აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით გამოირჩევა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX-საუკუნის დასაწყისში რუსეთის ეკონომიკა კრიზისს განიცდიდა. ეს ევროპაში მომხდარი კრიზისის შედეგი იყო.

LAVIS

რუსეთში დაბანდებული კაპიტალის შემცირებამ უამრავი ფაბრიკებისა და ქარხნების დახურვა გამოიწვია. იმატა უმუშევრობამ, რომელიც გაფიცვებისა და აქციების მიზეზი გახდა. რუსეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი არა რუსი ერებისაგან შესდგებოდა. მათი, განსაკუთრებით კი თურქი-მუსლიმანური ხალხების პოლიტ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები შეზღუდული იყო. ეს პოლიტიკა ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის გამძაფრების მიზეზი გახდა. ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა გაუარესდა. 1904-1905 წლის ომში რუსეთის იაპონიის წინაშე მარცხმა საერთაშორისო საზოგადოებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა, ამასთან კიდევ უფრო გაუარესდა საშინაო მდგომარეობაც. გაღრმავებული იქნა არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც ბიძგი მისცა რუსეთში პირველი რევოლუციის დაწყებას.

მომიტინგეების დახვრეტა პეტერბურგში. მხატვარი ვლადიმირ მაკოვსკი

1905–1907 წლების რევოლუცია. 1905 წლის იანვარში პეტერბურგში დემონსტრანტების დახვრეტით დაწყებული რევოლუცია მთლიან ქვეყანას მოედო.

მოსახლეობის ყველა ფენა რეფორმების გატარებას მოითხოვდა. ამის შემდეგ, კოლონიური ხალხების ეროვნულ განმათავისუფლებელმა მოძრაობამაც ფართო ხასიათი მიიღო. მეფის წარმომადგენლები პროცესის წინაღობის მიზნით გზას უხსნიდნენ ეროვნულ და რელიგიურ წინააღმდეგობებს. ქვეყნის მომცველმა გაფიცვებმა მთავრობა აიძულა დათმობებზე წასულიყო. **1905 წლის** ოქტომბერში, მეფემ მიიღო დეკლარაცია სიტყვის, პრესის, ორგანიზაციის ჩამოყალიბების, კრების თავისუფლებისა და შეზღუდული საკანონმდებლო უფლებით სახელმწიფო დუმის მოწვევის შესახებ. 1907 წელს რევოლუცია მარცხით დასრულდა, თუმცა ამან ზემოქმედება მოახდინა მეზობელ ქვეყნებზეც. ოსმალეთისა და ყაჯართა სახელმწიფოებში, ასევე ჩინეთში ერთმანეთის მოყოლებით რევოლუციებს ჰქონდა ადგილი.

სტოლიპინის რეფორმები. 1906 წელს, დუმის დაშლის შესახებ ბრძანების გამცემ მეფეს, **პეტრე სტოლიპინი** პრემიერ-მინისტრად ჰყავდა დანიშნული. მან უკმაყოფილების აღსაკვეთად პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები გაატარა. სახელმწიფო დუმის არჩევნებში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელიც ეროვნული უმცირესობების უფლებების შეზღუდვას ითვალისწინებდა. სტოლიპინის მნიშვნელოვან ღონისძიებას მიეკუთვნებოდა მიწის რეფორმის გატარება. ეს რეფორმა თემის მიწების გლეხთა შორის განაწილებას მოიცავდა. უმიწო გლეხები ციმბირში, კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში იქნენ გადასახლებულნი. რევოლუციის დამთავრების შემდეგ, რუსეთში საგარეო კაპიტალის დაბანდება კვლავ გაიზარდა. 1909 წლიდან რუსეთის ეკონომიკაში მომხდარი გამოცოცხლების პოლიტიკა მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზეზი გახდა.

კითხვები და დავალებები

1. *რა იყო ნაპოლეონის წარუმატებლობის მიზეზები რუსეთში ლაშქრობისას?*
2. *რომელი ფაქტორები იწვევდა ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობას XIX-საუკუნის მეორე ნახევარში?*
3. *რომელი ტერიტორიები ჰქონდა დაპყრობილი რუსეთს XIX საუკუნის მეორე ნახევარში?*
4. *რომელმა ფაქტორებმა მისცა ბიძგი რუსეთში პირველი რევოლუციის დაწყებას?*
5. *რა შედეგები მოჰყვა 1905-1907 წლის რევოლუციას?*
6. *რას ითვალისწინებდა სტოლიპინის მიწის რეფორმა?*
7. *გაანალიზეთ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ეკონომიკაში არსებული კრიზისის მიზეზები და შედეგები.*
8. *განიხილეთ რუსეთის ეკონომიკაში 1909 წლიდან მომხდარი გამოცოცხლების მიზეზები და შედეგები.*

LAYTHO

4 ოსმალეთის იმპერია

საკვანძო სიტყვები

- იანიჩარი
- რეგულირება
- ჰათთი შერიფი
- "კაგშირი და პროგრესი"
- "ახალგაზრდა თურქები"
- ადირნას ზავი
- "ახალი ოსმალები"
- მიდჰათ ფაშა

ერთ დროს თავისი დიდებულებით გამორჩეული ოსმალეთის იმპერია, რომელიც ევროპას შიშის ზარს სცემდა, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ერთგვარად შესუსტდა და ევროპულ სახელმწიფოებზე ნახევრად დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ქვეყანაში მომხდარი ყველა უთანხმოების მიზეზის სულთნის ხელისუფ-ლებაში მხილველმა ახალგაზრდა თურქებმა, თუმცა ხელისუფლება ხელთ იგდეს, მაგრამ მათ მიერ გატარებული პოლიტიკა იმპერიის მთლიანი განადგურების მიზეზი გახდა.

საზოგადოებრივი და პოლიტიკური მდგომარეობა. XIX საუკუნის დასაწყისში ცენტრალური მართვის სისტემა, რომელიც ოსმალეთის სახელმწიფოს ძირითად სათავეს წარმოადგენდა, ქვეყნის ფართო ტერიტორიებს კონტროლს ვერ უწევდა. პროვინციებში ხელისუფლება გამდიდრებული ადგილობრივი მოწინავეებისა და ნაცვლების ხელში იყო თავმოყრილი. ეგვიპტეში გაძლიერებული იყო მამლუქების ხელისუფლება, აფრიკების სხვა ჩრდილოეთ პროვინციებში გაზრდილი იყო მიდრეკილება დამოუკიდებლობისაკენ. დიდი საომარი ხარჯები ძირითადი გადასახადის გადამხდელთა - გლეხთა მხრებზე მძიმე ტვირთს წარმოადგენდა. ეს კი, თავის მხვრივ გლეხებს აკოტრებდა. გლეხები მეურნეობის აყვავებით არც თუ ისე დაინტერესებულნი იყვნენ. იმიტომ რომ, მიწის მფლობელები და მოხელეები მოსავლის ძალიან დიდ ნაწილს ითვისებდნენ. ***თიმარი და ზიამეთი***, რომელიც სამხედრო ლენურ სისტემას წარმოადგენდა, გაკოტრებას განიცდიდა. მრავალი თიმარის მესაკუთრე, იმის გამო, რომ გაკოტრებული იყო, ნაწილებად ყოფდა თავის მიწებს და ჰყიდდა. ამ გზით ისინი ვერ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს და უჭირდათ ჯარში მებრძოლის გაგზავნა. იანიჩარებს, რომლებიც არმიის დამრტყმელ ძალას წარმოადგენდნენ, ბრძოლის უნარი და წესრიგი დაკარგული ჰქონდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობდნენ ხელისუფლებაზე ზემოქმედება მოეხდინათ.

სამხედრო ლენური სისტემა–სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გადაცემულ მიწებს ეწოდებოდა.

? *როგორი ზეგავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ქვეყნის სოციალურ – საზოგადოებრივ ცხოვრებას მის პოლიტიკურ მდგომარეობაზე?*

! *შეაფასეთ თიმარის მფლობელობა დროის მიხედვით.*

იმპერიის ფართო ტერიტორიებზე დამორჩილებულ ხალხთა ბრძოლა დღითი-დღე ძლიერდებოდა. ამ ბრძოლის გაზრდაში არც თუ მცირე იყო იმ დიდი სახელმწიფოების როლი, რომლებიც ოსმალეთის სახელმწიფოსაგან წილის მოწყვეტას ცდილობდნენ. რუსეთის მიერ სლავური ხალხების მხარდაჭერის პირობებში, ინგლისელები ეგვიპტეში, ხოლო ფრანგები ალ-ჯაზირაში პოზიციებს იმტკიცებდნენ. XIX საუკუნის პირველი ათწლეულები ბალკანეთის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერების პერიოდად მოიხსენიება. სერბების აჯანყებამ, ბერძნების მიერ 1821-1829 წლებში წარმოებულმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ, ასევე 1828-1829 წლების მომცველ რუსულ-თურქულმა ომმა მორიგი დარტყმა მიაყენა ოსმალეთის სახელმწიფოს. ომის შედეგად ხელმოწერილი იქნა ადირნას საზავო ხელშეკრულება, რომლითაც საბერძნეთის დამოუკიდებლობა, ხოლო სერბეთის სამთავროს ავტონომია იქნა აღიარებული.

? *როგორ შეიძლება შეფასდეს XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთის სახელმწიფოს პოზიცია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში?*

პირველი პრაქტიკული რეფორმები. ყოველივე ეს, ცენტრალურ ხელისუფლებას იმპერიის გაძლიერების მიზნით ახალი ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგებდა. ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები სულთან მაჰმუდ II-ის პერიოდში (1808-1839) იქნა გადადგმული. 1826 წელს ახალი ძვეითი კორპუსის შექმნის შესახებ ბრძანების გაცემის შემდეგ, იანიჩარების აჯანყება

LAYTIS

მოხდა. ამ აჯანყების ჩამხშობმა სახელმწიფომ, მალე იანიჩარების დაჯგუფებები, ასევე მათთან დაკავშირებული **ბექთაშის ორდენი** გააუქმა. 1830-იანი წლების პირველ ნახევარში, საერთო ჯარების შეკრების წესით დაიწყო ახალი არმიის ჩამოყალიბება. გაიცა ბრძანება სამხედრო ლენური სისტემის გაუქმების შესახებ. თიმარის მიწები სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. მათ მფლობელებმა პენსიის სახით კომპენსაცია მიიღეს. ცენტრალურ მმართველობის ორგანოებში ევროპული ფორმის სამინისტროები ჩამოყალიბდა. თურქულ და ფრანგულ ენებზე პირველი სამთავრობო გაზეთების ბეჭდვა დაიწყო.

ბექთაშის ორდენი *– აზერბაიჯანისა და ანადოლუში გავრცელებული ჰურუფი მიმდინარეობის გავლენით ჩამოყალიბებული, 12 იმამის საფუძვლისაკენ მიმართული სუფის მიმდინარეობაა. XIII საუკუნეში ხორასანიდან ჰეიდარ შეიხი ჰაჯი ბექთაშის მიერ ანადოლუში იყო ჩამოტანილი.*

? *1. თქვენი აზრით, რატომ იყო ასე აუცილებელი იანიჩართა დაჯგუფებების გაუქმება?*
2. როგორ შეიძლება შეფასდეს დროის მიხედვით მაჰმუდ II-ის მოღვაწეობა?

რეგულირება. 1839 წელს "**გულჰანე ჰათთი შერიფი**" გაიცა. ეს ჰათთი-შერიფი მომავალ ცვლილებებს ითვალისწინებდა. მაჰმუდ II-ის დავალებით, რეფორმის მომხრე მუსტაფა რაშიდ ფაშას მეთაურობით დამზადებული საბუთი სულთან აბდულ მაჯიდის პერიოდში იქნა მიღებული. საბუთი ეხება დაქვემდებარებულთა სიცოცხლის, ღირსებისა და საკუთრების დაცვას, გადასახადების სამართლიან მოკრებას, წესებს, ჯარის შეკრებას და ა.შ. გარდა ამისა გაკეთდა განცხადება, რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, მთლიან დაქვემდებარებულთა კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ. გათვალისწინებულმა ცვლილებებმა რეგულირების (რეფორმის) სახელი მიიღო. სინამდვილეში, ეს სიახლეები შემდგომ ათწლეულებში თანდათანობით და ნაწილობრივ განხორციელდა. ამ წესებმა რელიგიური მსახურთა, პროვინციების მმართველთა და მოხელეთა წინააღმდეგობა გამოიწვია. ამ დროიდან გაუქმებული იქნა გადასახადების აკრეფაში არსებული დისციპლინარული სისტემა, დარეგულირებული იქნა სასამართლო მოღვაწეობა. მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი განათლების სფეროში, დაწყებითი სკოლები საერო ხელისუფლებას დაექვემდებარა, დაარსდა საშუალო სკოლები და სპეციალური სამხედრო-სასწავლო კერები, გაიხსნა პირველი უნივერსიტეტები.



სულთან მაჰმუდ II

ყირიმის ომის შემდეგ, 1856 წელს გაცემული „ჰათთი-ჰიუმაიუნის" საფუძველზე მორიგი სერიული რეფორმები დაიწყო. ისინი ძირითადად ეკონომიკურ ურთიერთობებსა და სასამართლო სისტემას ეხებოდა. ამის პარალელურად, გატარებული იქნა ღონისძიებები ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ქვეყანაში გააქტიურდა ინგლისური და ფრანგული ფინანსური და სამრეწველო ორგანიზაციების მოღვაწეობა. მათ ვაჭრობაში შეღავათიანი პირობების პარალელურად მოიპოვეს პრიორიტეტი სასარგებლო გათხრების, რკინიგზებისა და ფაბრიკების მშენებლობის, ასევე სოფლის მეურნეობის საქონლის გადამუშავების სფეროში. XIX საუკუნის 70-იან წლებში ქვეყნის ცენტრალურ პროვინციებში უკვე დაიწყო რკინიგზის მოქმედება.

? *1. ოსმალეთის სახელმწიფოს შეშადგენლობაში მცხოვრებ ხალხთაგან, რომელი არა მუსლიმანური ხალხები შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?*
2. თქვენი აზრით, რა ზემოქმედება შეეძლებოდა მოეხდინა, უცხოელების მიერ ოსმალეთის სახელმწიფოსაგან პრიორიტეტის მიღებას? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

ამ პერიოდში კონსტიტუციის მიღებისა და არჩევითი ორგანოების შექმნისაკენ მიმართული მოძრაობა დაიწყო. **1865 წელს** ფარულად ფორმირებულ საზოგადოება „**ახალი ოსმალების**" მიზანი კონსტიტუციის მიღება და პარლამენტის ჩამოყალიბება იყო. ამ საზოგადოების წევრთა შორის ძირითადად უმაღლესი თანამდებობის პირთა შვილები, აგრეთვე ევროპული განათლების მქონე პირები უმრავლესობას შეადგენდნენ. მაგრამ მალე ისინი იძულებულნი გახდნენ ქვეყანა დაეტოვებინათ. თავიანთი იდეების გავრცელების მიზნით იმიგრაციაში თურქულ ენაზე გაზეთის გამოქვეყნება დაიწყეს. ამ გაზეთებს შორის გაზეთმა „**ჰურრიეთმა**" დიდი პატივი მოიპოვა. სულთნის ხელისუფლებისა და იმპერიის დაცვა-შენარჩუნებისადმი ლოიალური დამოკიდებულების მქონე საზოგადოება „**ახალი ოსმალებში**" ცვლილებებისა და სამართლიანი მართვის მომხრეები იყვნენ. ისინი ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მთლიანი იმპერიის დაქვემდებარებულთა ერთობის იდეას - ოსმალობას აყენებდნენ.

LATHE

1876 წელს კონსტიტუციის მომხრეები გააქტიურდნენ. რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებში, მედრესას მოსწავლეებმა სტამბოლში მთავარი ვეზირისა და შეიხულისლამის გადაყენების მოთხოვნით ფართომასშტაბიანი მიტინგები მოაწყვეს. „ახალი ოსმალების“ მომხრეებმა სულთანი ჩამოაგდეს. ცნობილი საჯარო მოღვაწე აჰმად მიდჰათ ფაშას ხელმძღვანელობით სახელმწიფო საბჭომ კონსტიტუცია მოამზადა, რომელიც **1876 წელს** სულთან აბდულჰამიდ II-ის მიერ იქნა მიღებული. მაგრამ ძირითადი კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელების არა მსურველმა სულთანმა მალე მიდჰათ ფაშა მთავარი ვეზირის თანამდებობიდან გაანთავისუფლა და ქვეყნიდან გააძევა იგი. 1877-1878 წლებში დეპუტატების მიერ თავიანთ ყრილობებზე მთავრობის გაკრიტიკებამ და რუსულ-თურქულ ომში მარცხის მიზეზების შესახებ მისგან ანგარიშების მოთხოვნამ, სულთნის მიერ პარლამენტის განუსაზღვრული დროით დათხოვნა გამოიწვია. ამის მოყოლებით ქვეყანაში მკაცრი რეპრესიული რეჟიმი ჩამოყალიბდა.

? *თქვენი აზრით, რა მოხდებოდა, რომ ოსმალების იდეის განხორციელება შესაძლებელი ყოფილიყო?*

! *შეაფასეთ ქვეყანაში არსებული ცხოვრებისეული პოლიტიკური ფაქტების გავლენა მის პოლიტიკურ განვითარებაზე.*



საზოგადოება"კავშირი და პროგრესის" წევრები

ახალგაზრდა თურქები. ასეთ პერიოდში ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკური მდგომარეობა უფრო გაუარესებული, ხაზინა დაცარიალებული, ხოლო ეკონომიკა ძირგამოთხრილი იყო. ევროპული ქვეყნებისაგან მიღებულ მაღალპროცენტიან ვალებს ქვეყანა კატასტროფისაკენ მიჰყავდა. სულთნის აბსოლუტურობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით 1889 წელს სტამბოლში „კავშირი და პროგრესი“ სახელწოდების საიდუმლო საზოგადოება ჩამოყალიბდა. ამ საზოგადოების წევრები და მისი მომხრეები თავს „ახალგაზრდა თურქებს“ უწოდებდნენ. მალე დაწყებული „ახალგაზრდა თურქების“ დევნა, მათი უცხოეთში იმიგრაციის მიზეზი გახდა.

XX საუკუნის დასაწყისში ქვეყანაში რევოლუციური პირობების მომწიფების პერიოდში, „ახალგაზრდა თურქები“ კიდევ უფრო გააქტიურდნენ. 1907 წელს პარტია „კავშირი და პროგრესის“ ხელმძღვანელობით პარიზში მოწვეულ კონფერენციაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, **1909 წლის** აჯანყების დაწყების შესახებ. მაგრამ კონფერენციის მონაწილეებმა, იმის გამო, რომ „ახალგაზრდა თურქების“ ხელმძღვანელობის გარეშე ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის დაწყებას, მაკედონიისა და სხვა კუთხური მხარეების ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობიდან გასვლას უფრთხილდებოდნენ, აჯანყების დაჩქარება გადაწყვიტეს.

? *რატომ წუხდნენ "ახალგაზრდა თურქები" იმის გარაუდით, რომ მათი ხელმძღვანელობის გარეშე ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობა შეიძლებოდა დაწყებულიყო?*

"ახალგაზრდა თურქების" აჯანყება

აჯანყების დაწყება. შეიარაღებული აჯანყების დროშა 1908 წელს მაკედონიაში იქნა აღმართული. მალე მრავალი ბალკანური ქალაქების გარნიზონები და ადგილობრივი პარტიზანული დაჯგუფებები მათ შეუერთდნენ. ნიაზი და ანვარ ბეგების მეთაურობით რევოლუციონერი დაჯგუფებები სელანიკში მოვიდნენ. „კავშირი და პროგრესის“ პარტიის ადგილობრივმა კომიტეტმა სულთნისაგან **1876 წლის** კონსტიტუციის კატეგორიულად აღდგენა მოითხოვა. ყველგან აჯანყებულთა მხარდაჭერის მხილველმა სულთან აბდულჰამიდ II-მ, ერთი დღის შემდეგ კონსტიტუციის აღდგენისა და პარლამენტის მოწვევის შესახებ თანხმობა განაცხადა. „ახალგაზრდა თურქები“, რომლებიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ასევე კონტროლს უწევდნენ ჯარსა და პარლამენტს. ვარაუდობდნენ,

LAYTHE

აბდულჰამიდ II

რომ უკვე ადგილი ჰქონდა რევოლუციის მიზნების განხორციელებას. ანტირევოლუციის მომხრეებმა გადაწყვიტეს ამით ესარგებლათ. 1909 წლის აპრილში ანტირევოლუციონერებმა სტამბოლის კორპუსის დახმარებით სულთან აბდულჰამიდ II-ის ხელისუფლება აღადგინეს. ასე რომ, სულთანმა თუმცა მოკლე დროით, მაინც შეძლო პარლამენტის უფლებამოსილების შეზღუდვა და ძველი წესების დაბრუნება. მაგრამ თავიანთ ერთგულ სამხედრო ნაწილებზე დაყრდნობილმა „ახალგაზრდა თურქებმა“ აჯანყების ჩახშობა და აბდულ-ჰამიდ II-ის ტახტიდან ჩამოგდება შეძლეს. მალე ტახტზე მეჰმეთ რეშათ V ავიდა.

„ახალგაზრდა თურქების“ მიერ გატარებულმა საგარეო პოლიტიკამ იმპერიის დაშლა დააჩქარა. **1911–1912 წლების** მომცველი იტალია-ოსმალეთის (ტრაბლისი) ომის შედეგად სტამბოლმა აფრიკაში მყოფი მისი ბოლო სამფლობელოები (ამჟამინდელი ლიბიის ტერიტორია) დაკარგა. ბალკანეთის I-მა ომმა **(1912-1913)** ოსმალეთის იმპერიას უფრო დიდი დარტყმა მიაყენა. ამ ომის შედეგად თურქების ევროპაში არსებული ტერიტორია ფრაკიას ერთ-ერთი მცირე ნაწილით შემოიფარგლა. ყოველივე ამან ქვეყანაში მათ წინააღმდეგ უთანხმოების გაზრდა გამოიწვია. ოპოზიციურმა ხელისუფლებამ „ახალგაზრდა თურქები“ რეპრესიების დაწყებისაკენ უბიძგა 1913 წელს ანვარ ბეგის მეთაურობით ოფიცერთა ერთი ჯგუფის მიერ განხორციელებული იქნა ხელისუფლების გადატრიალება. ქვეყანაში დიქ-

ოსმალეთის იმპერიის საზღვრები XIX საუკუნეში
ოსმალეთის იმპერიისაგან გამოყოფილი ტერიტორიები
XIX საუკუნეში
1911–1912 წლები იტალია–ოსმალეთის ომის შედეგად
1912–1913 წლები ბალკანეთის ომის შედეგად
1914–1918 წლები პირველი მსოფლიო ომის შედეგად
თურქეთის ტერიტორია 30.X.1918 წლის მუდრისის ზავის მიხედვით
ავსტრია-უნგრეთი
რუსეთი
რუმინეთი
ბულგარეთი
სერბეთი
ალბანეთი
ალბანეთი
ალბან

ტატორული რეჟიმი დამყარდა. პირველი მსოფლიო ომის დროს „ახალგაზრდა თურქებმა", რომლებიც სახელმწიფოს დაშლის თავიდან აცილებასა და ევროპულ სახელმწიფოებზე დამოკიდებულებისაგან სრულ განთავისუფლებას ცდილობდნენ, მხარი გერმანიას დაუჭირეს. ეს კი, ოსმალეთის იმპერიის განადგურების მიზეზი გახდა.

ახალგაზრდა თურქები სულთან აბდულჰამიდ II-ის წინააღმდეგ

"ახალგაზრდა თურქების" მიერ 1913-წლის კონფერენციაზე მიღებული პროგრამა.

ამონაწერი ეკონომიკური ნაწილიდან.

მუხლი 18. სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, მიწის მფლობელებზე დაბალ პროცენტიანი, გრძელვადიანი კრედიტის გაცემა. ამისათვის საჭიროა მცდელობა, ქვეყანაში გაიხსნას იმთიელის ბანკი.

მუხლი 19. არსებული ცივილიზაციური მოთხოვნების შესრულების ხელშემშლელი, საგაჭრო ოპერაციების შემწყვეტელი და შემზღუდავი არსებული კანონმდებლობის შერბილების მიზნით განსაზღვრული სამუშაოების ჩატარება. <.....>

მუხლი 22. საამქროთა ერთობის დამოუკიდებელ სპეციალობათა ერთობის სახით ცნობა და თავიანთი საშინაო საკითხების გადაჭრის საქმეში მათთვის სრული უფლებამოსილების მინიჭების მცდელობა.

მუხლი 23. როგორც კი, სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა გასაქანს მისცემს, აღმატებულის 10% შემცირების მცდელობა <.....>

მუხლი 25. ამჟამინდელი ძალიან უსამართლო და არაპროპორციული საშემოსავლო გადასახადის, რის ფასადაც რომ იყოს, ამ კანონის უცხოელებისათვის შეხებით სამართლიანი და პროპორციული ყოფისაკენ მიმართული მცდელობისათვის სპეციალური კანონის დამზადება. <....>

მუხლი 28. მიწის მესაკუთრეებს, მეიჯარეებს, სეზონურ მუშაკებსა და მოიჯარეებს შორის ურთიერთობის დამარეგულირებელი კანონის მიღების მცდელობა <.....>

მუხლი 30. მრეწველობის გაფართოების შესახებ კანონის მიღებისა და მისი ძალაში შესვლის დაჩქარება. <.....>

თუნაია თ.ზ. პოლიტიკური პარტიები თურქეთში. 1859-1952. სტამბოლი. 1952. გ. 216-217.

! *ამ მუხლების საფუძველზე მოამზადეთ თეზისები, რომელშიც აღწერილი იქნება ოსმალეთის სახელმწიფოს იმდროინდელი ეკონომიკური მდგომარეობა.*

კითხვები და დავალებები

1. *რა მოუტანა ახალგაზრდა თურქების ავანსცენამ ოსმალეთის სახელმწიფოს?*
2. *რა გადაწყვეტილებებს მიიღებდით თქვენ, რომ ახალგაზრდა თურქების ადგილზე ყოფილიყავით?*
3. *რაში შეიძლება გამოიხატოს, XIX- საუკუნეში ოსმალეთის სახელმწიფოს დასუსტება?*
4. *ოსმალეთის სახელმწიფოში გატარებული რეფორმების, რომელ საფეხურს მიანიჭებდით თქვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.*
5. *ჩაატარეთ გამოკვლევები ანვარ ფაშას შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.*
6. *სხვადასხვა სქემის ფორმით წარმოადგინეთ XX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებები.*

LAITHE

5 ირანი, ინდოეთი, ჩინეთი და იაპონია

საკვანძო სიტყვები

- ყაჯარები
- बაბიელები
- სიფაჰიების რევოლუცია
- ინდოეთის ეროვნული კონგრესი
- ოპიუმის ომი
- სიოგუნი
- შუცუჰიტო
- სამურაი
- ტაიპინების მოძრაობა
- სუნ იატსენი

XIX საუკუნეში, აღმოსავლური ქვეყნები დასავლურ ქვეყნებს განვითარების თვალსაზრისით უკან ჩამორჩებოდნენ. ეს კი, დასავლეთის სახელმწიფოებს კოლონიური პოლიტიკის გაგრძელების გასაქანს აძლევდა. მაგრამ ზოგჯერ უძველესი სახელმწიფოებრივი ადათ-წესების მქონე სახელმწიფოების სრული დაქვემდებარების შეუძლებლობის გამო, დასავლელები ეკონომიკური ექსპანსიის, საშედრო ზეწოლის და შეღავათიანი ხელშეკრულებების გზით ამ ქვეყნებს ნახევარკოლონიებად აქცევდნენ.

ირანი. XIX საუკუნის დასაწყისში ირანი ფეოდალური ურთიერთობების ბატონობის აგრარული ქვეყანა იყო. ქვეყანას შეუზღუდავი ხელისუფლების მქონე შაჰი მართავდა. ხელისუფლებაში მყოფი დინასტია თურქული მოდგმის ყაჯართა გვარი იყო.

პოლიტიკური მდგომარეობა: ქვეყანა XIX საუკუნის პირველივე წლებიდან ინგლისისა და საფრანგეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესის ობიექტად გადაიქცა. რუსეთის სამხრეთ კავკასიაში განმტკიცების სურვილმა ირანის ხან ინგლისისაკენ, ხან კიდევ საფრანგეთისაკენ გადახრა განაპირობა. იმიტომ რომ, ნაპოლეონ I-ის მიერ ევროპაში წარმოებულ ომს რუსეთი ინგლისთან დაეახლოვებინა, ხოლო ნაპოლეონი ინგლის-ინდოეთის ხელში ჩაგდების ხალისში ჩაეგდო. საბოლოო ჯამში ყაჯარებმა (ირანი), რომლებმაც ვერც ინგლისისაგან და ვერც საფრანგეთისაგან რაიმე სერიოზული დახმარება ვერ მიიღეს, რუსეთს, რომელიც სამხრეთ კავკასიისათვის ბრძოლას შეუდგა, ომი გამოუცხადეს.

თურქმენჩაის ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია
მხატვარი ვლადიმირ მოშკოვი

1804-1813 წლებისა და 1826-1828 წლების მომცველი I და II რუსეთ-ყაჯართა ომებში ყაჯარები დამარცხდნენ. საქართველო და არაზიდან ჩრდილოეთით არსებული აზერბაიჯანული მიწები რუსეთს შეუერთდა. ყაჯარები ვალდებულნი გახდნენ რუსეთისათვის დიდი ოდენობის კომპენსაცია გადაეხადთ. 1828 წლის თებერვალში თურქმენჩაის ხელშეკრულების გარდა, რუსეთსა და ყაჯრებს შორის **სპეციალური საგაჭრო ტრაქტატიც** იქნა ხელმოწერილი. ტრაქტატის მიხედვით, რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფებმა ირანში **ექსტერიტორიალურობა** და სხვა პოლიტ-ეკონომი-კური შეღავათები მოიპოვეს.

ექსტერიტორიალურობის უფლება-ხელშეუხებლობის უფლება. რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელების საქმეები არ შეეძლოთ განეხილათ ამ სახელმწიფოს სასამართლოებს.

რუსეთ-ყაჯართა ომის პერიოდში ჰერათისაგან დახმარების მიმღები ხორასანის ხანები ხშირი აჯანყებების მოხდენით ცენტრალურ ხელისუფლებაზე დაქვემდებარებისაგან თავის დაღწევას ცდილობ-დნენ. ხორასანის ხანების თვითნებობის, აგრეთვე ავღანების სისტანთან დაკავშირებული პრეტენზიის აღსაკვეთად, შაჰ მაჰამმადი (1834-1848) **1837 წელს** ავღანეთში შევიდა და ჰერათს შეუტია. ინგლისის უწყვეტი მუქარისა და ზეწოლის შედეგად შაჰ მაჰამმადი იძულებული გახდა ავღანეთიდან ჯარი გაეყვანა.

? *როგორ შეიძლება შეფასდეს ისტორიული დროის მიხედვით რუსეთ-ყაჯართა ომების შედეგები აზერბაიჯანთან დაკავშირებით?*

! *გადახედეთ რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის XIX საუკუნის დასაწყისის ისტორიას და გაანალიზეთ ამ ქვეყნების ირანში შეჯახებული ინტერესები.*

ეკონომიკური მდგომარეობა. მალე ინგლისსა და ყაჯრებს შორის დაიდო ხელშეკრულება ინგლისის დაქვემდებარებაში მყოფთა ექსტერიტორიალურობის შესახებ. XIX საუკუნის 60-იან

LAYING

წლების შუა ხანებში საფრანგეთის სათავეში ყოფნით, გარკვეულმა ევროპულმა ქვეყნებმა, მათ შორის აშშ-მ ყაჯართა სახელმწიფოსთან არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები დადეს.

უცხო ქვეყნებმა (განსაკუთრებით კი ინგლისი და რუსეთი), რომლებიც ყაჯართა სახელმწიფოს ტერიტორიას ნედლეულის წყაროსა და გაყიდვის ბაზრად მიიჩნევდნენ, მოპოვებული შეღავათების საფუძველზე, როგორც შიგა, ასევე საგარეო ბაზრებზე შეავიწროეს იგი. ფაბრიკულმა საქონელმა, რომელიც უფრო იაფად გამოდიოდა დარტყმა მიაყენა ადგილობრივ ხელოსნობასა და საშინაო მრეწველობას. სასაქონლო - ფულადი ურთიერთობების დაჩქარებამ ფეოდალურ ლენური სისტემის გაკოტრების გაძლიერება და ინდივიდუალური საკუთრების მიწის ფონდის გაზრდა გამოიწვია. მიწის გარეშე დარჩენილი გლეხები ქალაქისაკენ მიეშურებოდნენ, რითაც უმუშევართა არმიას ზრდიდნენ. გლეხების, ვაჭრებისა და ხელოსნების გარდა, სასულიერო პირებიც ქვეყნის საჯარო-პოლიტიკური მდგომარეობით უკმაყოფილო იყვნენ. 1840-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში ბაბის სექტის ხელმძღვანელობით სახალხო მოძრაობას ჰქონდა ადგილი. მაგრამ აჯანყებას სასტიკად გაუსწორდნენ.

ყაჯართა სახელმწიფო XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყაჯართა სახელმწიფოზე უცხო ესპანსია კიდევ უფრო გაიზარდა. შაჰის მთავრობისაგან სხვადასხვა შეღავათების მომპოვებელი ინგლისელები ქვეყნის სამხრეთში, ხოლო რუსები თეჰრანსა და ჩრდილოეთ პროვინცი-ებში ბატონობდნენ. საქმე იქამდე იყო მისული, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის თანამდებობებზე უცხოელები ინიშნებოდნენ. **1879 წელს** რუსი ოფიცრების ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული კაზაკთა რაზმები შემდგომში ყაჯართა არმიაში სამხედრო უნარიანობის მქონე ერთადერთ ნაწილად გადაიქცა. ამან კი, შაჰის რეჟიმის რუსეთზე დამოკიდებულება გააძლიერა.

ექსპანსია–სახელმწიფოს ან ორგანიზაციის პირთა წრის ნებისმიერი გზით გაფართოება.

XX საუკუნის დასაწყისში ყაჯართა სახელმწიფოს დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩავარდნა, აგრეთვე უცხო კაპიტალის ქვეყანაში გაძლიერება, ფართო სახალხო მასების მდგომარეობის გაუარესების მიზეზი გახდა. ძალიან გაჭირვებული მოსახლეობა, როგორც იქნა შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ აღდგა. 1905 წლის დასასრულს თეირანსა და სხვა ქალაქებში არსებულმა გამოსვლებმა სათავე დაუდო რევოლუციის დაწყებას. დემონსტრანტების ძირითადი მოთხოვნა კონსტიტუციის მიღება, შაჰის ხელისუფლებისა და უცხოელების პრიორიტეტების შეზღუდვა, ასევე რეფორმების გატარება იყო. **1905–1911 წლების** მომცველი ამ რევოლუციის ძირითადი შედეგი კონსტიტუციის მიღება გახდა.

? *რა სახის კავშირს აქვს ადგილი კონსტიტუციის მიღებასა და შაჰის ხელისუფლების შეზღუდვას შორის?*

ინდოეთი. ინგლისი, რომელიც XVIII საუკუნეში ინდოეთის დაპყრობას შეუდგა, XX საუკუნეშიც განაგრძო ეს პოლიტიკა. XIX საუკუნის I ნახევარში დაპყრობილი იქნა მარატხის კონფედერაციის და სიკჰების სახელმწიფოები. **1856 წელს** ინგლისელებმა დამოუკიდებელი სახელმწიფო **აუდის სამთავრო** დაიქვემდებარეს. ასე, რომ ქვეყანა დამპყრობთა მიერ გაერთიანებული აღმოჩნდა.

მმართველობა. უმაღლესი ხელისუფლებისა და გადასახადების აკრეფის ხელში ჩამგდები ინგლისელები ინდოეთში ზოგიერთ ადათ-წესებს არ შეეხნენ. ყოფილმა მმართველებმა პენსიის სახით სამუდამო შემოსავალის აღება დაიწყეს.

ოსტ-ინდოეთის კომპანიის მიერ ახალი საშტატო ბელოების ხელში ჩაგდება, ინგლისის მთავრობას ამ კომპანიის მიმართ ინტერესს ჰმატებდა. კომპანიას 1813-1833 წლებში მიღებული ახალი ქარტიების მიხედვით ჩინეთსა და ინდოეთში ვაჭრობის მონოპოლიური უფლებები უკვე აღარ გააჩნდა. ყველა ინგლისელ მეწარმეს ინდოეთისაკენ გზა ხსნილი ჰქონდა.

სიპაების აჯანყება. 1857 წლის გაზაფხულზე ინდოეთში ინგლისის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ სიპაების აჯანყება დაიწყო. რიგითი ჯარისკაცების მიერ ახალი ტყვიებით სარგებლობაზე უარის თქმამ აჯანყების საფუძველი განამტკიცა. იმიტომ რომ, ბრძოლის დროს ჯარისკაცებს ძროხისა და ღორის ქონით დაქონილი შეკვრა კბილებით უნდა გაეჭრათ. რადგან ეს ისლამისა და ინდუიზმის წესებს ეწინააღმდეგებოდა, ჯარისკაცები აჯანყდნენ და მონღოლთა უკანასკნელი წარმომადგენელი შაჰ ბაჰადური თავიანთ ხელმძღვანელად აირჩიეს.

LATHE

მოკლე დროის განმავლობაში აჯანყების ტალღა განგის ხეობის რამოდენიმე პროვინციას მოედო. ეს ბრძოლა, რომელიც დიდი სირთულით გრძელდებოდა, **1859 წელს** შეწყდა. ერთიანი ხელმძღვანელობისა და მეთაურობის არ ყოფნა, აგრეთვე აჯანყებულთა ინტერესების სხვადასხვაობა და არარეგულარულობა აჯანყების მარცხის მიზეზი გახდა.

სიპაების აჯანყება

? *რა სახის შეუსაბამობა ახლდა ახალი ტყვიებით სარგებლობას, ისლამისა და ინდუიზმის წესებთან?*

ვიცე-მეფობა ინდოეთში. სიპაების აჯანყებამ სტიმული მისცა მეტროპოლიური სახელმწიფოს საკმაო ნაბიჯები გადაედგა. მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით მალე მიღებული იქნა აქტი ინდოეთის მმართველობის გაუმჯობესების შესახებ. ამ აქტის მიხედვით, მმართველობა ინგლისის ტახტს მიეკუთვნა. ოსტ-ინდოეთის კომპანია გაუქმდა. ქვეყანაში ინდოეთის საკითხებთან დაკავშირებით მინისტრის თანამდებობა დაწესდა. ინდოეთში უმაღლეს ხელისუფლებად არსებული გენერალ გუბერნატორი ვიცე-მეფემ ჩაანაცვლა. **1876 წელს** დედოფალმა ვიქტორიამ ინდოეთის იმპერატორის ტიტულიც მიიღო.

XIX საუკუნის II ნახევარში ინდოეთში კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბება დაიწყო. ინგლისელი მეწარმეები კაპიტალს ძირითადად რკინიგზის მშენებლობაზე, აგრეთვე მორწყვის სისტემისა და პლანტაციის მეურნეობის ჩამოყალიბებაზე აბანდებდნენ. სოფლის მეურნეობაში ექსპორტის მიზნით ბამბა, ხორბალი, ჩაი, ყავა და კაუჩუკი მოჰყავდათ. მრეწველობაში პირველ ყოვლისა ქსოვისა და გადამამუშავებელი დაწესებულებები ყალიბდებოდა. ამის პარალელურად, ქვეყანაში პირველად ამუშავებული იქნა მეტალურგიული ქარხანა. იმავდროულად მრეწველობაში ეროვნული კაპიტალდაბანდებაც თავს იჩენდა. **1884 წელს** ბომბეიში ეროვნულ კაპიტალს კუთვნილი პირველი ქსოვის ფაბრიკა ამოქმედდა. მეტროპოლიისაგან განსხვავებით, ინდოეთში მუშათა მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. XIX საუკუნის ბოლოს მუშათა სამუშაო საათი 16 საათს აღწევდა. მხოლოდ 1890-იან წლებში ბავშვთა და არასრულწლოვანთა შრომით სარგებლობის შემზღუდავი პირველი კანონები იქნა მიღებული.

მეტროპოლია–თავისი კოლონიების, ეკონომიკური თვალსაზრისთ მასზე დამოკიდებული ტერიტორიების ეკსპლუატატორი სახელმწიფო.

აჯანყებულების მიერ 1857 წლის სექტემბერში დელის დაცვა/

“ სიპაები სხვადასხვა რაზმებად იყოფოდნენ და ყოველი მათგანი თავიანთ ტერიტორიაზე იბრძოდა, რითაც ყოველ სახლსა და ქუჩას თავგამოდებით იცავდნენ. ბრიტანელები ყოველთვის ერთმანეთთან კავშირის დამყარებით კოლონებად წინსვლას ახორციელებდნენ ...

აჯანყებულებს ოფიცრული მართვის მეცნიერება ინგლისელი მეთაურებისაგან ჰქონდათ ნასწავლი. ისინი ბრძოლის დროს მტერთან ცხენოსანი და ქვეითი სახით დაპირისპირებისას უფრო კარგად იბრძოდნენ. მაგრამ ბრიტანელების ერთიანი შეტევითი გეგმის ხვედრად ერთიანი წინააღმდეგობრივი გეგმის შემუშავება ვერ შეძლეს. დელის გმირი დამცველები, რომლებსაც არ შეეძლოთ სხვადასხვა ნაწილებს შორის კავშირის დამყარება და არც ერთიანი ხელმძღვანელობა გაეჩნდათ, ქალაქის სხვადასხვა მხარეებზე იბრძოდნენ და მკაცრი წინააღმდეგობის გაწევით თანდათან აღმოსავლეთ უბნებისაკენ იწევდნენ”.

ემა ვოგოდსკაია "რუსეთის ბრწყინვალება" სახელწოდების ისტორიული ნარკვევიდან

! *ვანსაზღვრეთ აჯანყებულთა სუსტი მხარეები.*

? *როგორ შეიძლება შეფასდეს, სიპაების აჯანყების შემდეგ ინგლისის მთავრობის მიერ ინდოეთში განხორციელებული ცვლილებები?*

! *შეადარეთ ერთმანეთს ინდოელი მუშების მდგომარეობა ინგლისში არსებული მუშების მდგომარეობასთან. შეადარეთ ერთმანეთს, ამ პერიოდში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში არსებული მდგომარეობა ინდოეთში არსებულ მდგომარეობასთან.*

LAYTHE

XIX საუკუნის დასასრულს საზოგადოებრივმა ცხოვრებამ აქტიური სახე მიიღო. ამაში დიდი როლი მიუძღოდა ევროპული განათლების მქონე, ასევე ეროვნულ ფასეულობებისა და ადათ-წესების მიმართ დიდი პატივისცემით გამორჩეულ ინტელიგენტებს. **1885 წელს** მათ ინგლისის მთავრობის თანხმობით **ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ИНК)** სახელწოდების ახალი საჯარო საზოგადოება დაარსეს. კონგრესის წარმომადგენლები ინდოელი ხალხის უფლებების გაფართოებასა და ინტერესების ინგლისის პარლამენტში წარმოდგენას ცდილობდნენ. XX საუკუნის პირველ წლებში ექსტრემისტების მასობრივი მოძრაობის წინააღმდეგ მკაცრი დასჯითი ზომები იქნა გამოყენებული. კოლონიური ჩაგვრის თანდათანობითი ზრდა და ინგლისელი მოხელეების თვითნებობა, საერთო სახალხო უთანხმოების მიზეზი ხდებოდა. კოლონიზატორების თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ინგლისური საქონლის ბოიკოტი დაიწყეს. პასიურობის მიუხედავად, ბოიკოტი ყველაზე მასობრივი ბრძოლის ფორმა იყო. ეს, ინდოეთის ისტორიაში პირველ საერთო სახალხო მოძრაობად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩინეთი. XVII საუკუნიდან მოყოლებული ჩინეთის იმპერატორების მიერ, ქვეყნის გარშემო სამყაროსაგან იზოლაციის პოლიტიკა ექსპონსიონისტური პოლიტიკის გამტარებელი ევროპის სავაჭრო კომპანიების გეგმებს ეწინააღმდეგებოდა. ინგლისელებმა, რომლებიც მდგომარეობის შეცვლას ცდილობდნენ, ინდოეთის პროვინციებში მათ მიერ მოყვანილი ოპიუმის ჩინეთში ექსპორტი გაზარდეს. ამით მათ დიდი შემოსავლის ხელში ჩაგდების პარალელურად, ჩინეთის ბაზარზე სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობაც მოიპოვეს. 1800 წელს ოპიუმით ვაჭრობის აკრძალვის გამო, კონტრაბანდული გზის გამოყენება დაიწყო. ამ მდგომარეობას არ შეეძლო კონფლიქტი არ გამოეწვია. სამხრეთ პროვინციების მმართველის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული მრავალი ნაბიჯი (ინგლისის ფაქტორიებში კონტრაბანდული საქონლის კონფისკაცია), 1839 წელს ინგლისელებთან დაპირის-პირების მიზეზი გახდა. საბოლოო შედეგად, ინგლისის სამხედრო ესკადრას ჩინეთის სანაპიროებზე მიახლოებით 1840--1842 წლების მომცველი, ისტორიაში **პირველი "ოპიუმის"**-ის სახელწოდებით ცნობილი ბრძოლა დაიწყო. ჩინეთის მარცხით დამთავრებული ბრძოლა **ნანკინის ხელშეკრულებით** დასრულდა. ხელშეკრულების მიხედვით, ჩინეთმა ინგლისს დიდი ოდენობით კონფისკაცია გადაუხადა, ვაჭრობისათვის 5 პორტი გაიხსნა, ინგლისელებს სავაჭრო შეღავათები, მათ შორის ფაქტორიებში საგარეო მისიისათვის ექსტერიტორიალობის უფლება მიანიჭა. სიანგანი (ჰონკონგი) ინგლისის საკუთრებაში გადავიდა. **1844 წელს** აშშ-მ და საფრანგეთმაც ცინის მთავრობა აიძულა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება გაეფორმებინა.

კარიკატურა ოპიუმის ომის შესახებ

თქვენი აზრით, რა დონის სარგებელი შეიძლებოდა ენახათ უცხოელებს ექსტერიტორიალობის უფლებით?

დამოკიდებულების ვაზრდა. მომდევნო ათი წლის განმავლობაში საგარეო პოლიტიკური პრობლემები საშინაო პრობლემებთან შერწყმული აღმოჩნდა. 1850 წელს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში ტაიპინების აჯანყება დაიწყო. მალე, აჯანყებულებმა ნანკინი შეიპყრეს და თავიანთი სახელმწიფო ჩამოაყალიბეს.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ ინგლისელებმა და ფრანგებმა ჩინეთში თავიანთი მოქმედებები გააქტიურეს. ისინი 1842-1844 წლების ხელშეკრულებების ხელახალ განხილვას, ასევე ახალ შეღავათებსა და უფლებებს მოითხოვდნენ. **1856 წელს** ჩინეთის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის **მეორე ოპიუმის** ომი **(1856–1860)** დაიწყო. ომის შედეგად ინგლისისა და საფრანგეთის დაქვემდებარებაში მყოფებმა იმპერიის ტერიტორიაზე თავისუფალი მოძრაობისა და მდინარე იანძის საშუალებით ვაჭრობის უფლება მოიპოვეს. მაგრამ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განხორციელება სირთულეებს აწყდებოდა. იმიტომ რომ, იანძის ერთი ნაწილი ტაიპინების ხელისუფლების დაქვემდებარებაში იყო. ასეთ პირობებში დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და აშშ-ს სამხედრო რაზმებმა ხმელეთსა და ზღვაზე ცინის ჯართან ერთად ტაიპინების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. დაძაბული ბრძოლის შედეგად ტაიპინები დამარცხდნენ. **1864 წელს** აჯანყებულთა დედაქალაქი დაეცა.

რა შეიძლებოდა ყოფილიყო, ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, ინგლისელებისა და ფრანგების მიერ ჩინეთში თავიანთი მოქმედებების გააქტიურების მიზეზი?

LAYIHA

რუსეთსა და ჩინეთს შორის ხელმოწერილი **აიგუნ ხელშეკრულების (1858)** მიხედვით, ამურის მარცხენა სანაპირო, ხოლო **პეკინის ხელშეკრულების (1860)** მიხედვით, უსურიისკის პროვინცია რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. XIX საუკუნის II ნახევარში ჩინეთის პოზიცია საგარეო პოლიტიკის სფეროში, საფრანგეთსა (1884-1885) და იაპონიასთან (1894-1895) წარმოებული ომების შედეგად კიდევ უფრო შესუსტდა. მარცხების შედეგად იმპერიამ ვიეტნამზე, კორეასა და ტაივანზე კონტროლი დაკარგა.

სუნ იატსენი

სამხედრო მარცხები და იმპერიის შესუსტება მმართველ წრეებს მწუხარებას ჰგვრიდა. ისინი გამოსავალის სახით, არმიისა და ფლოტის ხელახალი შეიარაღების, ასევე სახელმწიფო მრეწველობის განვითარების აუცილებლობას ხედავდნენ. მალე ქვეყანაში, როგორც ადგილობრივთა, ასევე უცხოელების კუთვნილი დაწესებულებების ჩამოყალიბება დაიწყო. ახალგაზრდებისათვის ჩვეულებრივი განათლების პარალელურად ევროპული პროგრამის სკოლები გაიხსნა.

1905 წელს რამდენიმე რევოლუციური ჯგუფის შეერთების შედეგად სუნ იატსენის ხელმძღვანელობით ორგანიზაცია „გაერთიანებული კავშირი“ ჩამოყალიბდა. სუნ იატსენს, რომელიც აცხადებდა, რომ ძირითადი მიზანი ეროვნულობა, დემოკრატია და სახალხო კეთილდღეობა იყო, ამ გზაზე ძირითად დაბრკოლებად მანჯურთა დინასტია მიაჩნდა. 1911-1913 წლების მომცველი რევოლუციის შედეგად ჩინეთში მიღებული იქნა დროებითი კონსტიტუცია, დაემხო ცინის დინასტია და შეიქმნა საპრეზიდენტო მმართველობაზე დაყრდნობილი რესპუბლიკა.

? *რასთან შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული ჩინეთის მარცხი ევროპის სახელმწიფოებთან?*

! *დაასაბუთეთ, რომ XX საუკუნის დასაწყისისათვის ჩინეთი ნახევარკოლონიად იყო გადაქცეული.*

იაპონია. XIX საუკუნის დასაწყისში იაპონიის ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორს ეკუთვნოდა, რეალური ხელისუფლება ტოგუგავას დინასტიის წარმომადგენელი სიოგუნების ხელში იყო. სიოგუნების ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიმართული დახურული პოლიტიკა ქვეყანას ასუსტებდა. ეკონომიკა ჩამორჩენილი, გლეხებიდან მოყოლებული სამურაი და კნიაზებამდე უმეტესი ფენების მდგომარეობა კი შესუსტებული იყო.

ტოკუგავას დინასტიის გერბი

დახურული პოლიტიკის კრიზისი. სიოგუნების რეჟიმი XIX საუკუნის დასაწყისში, მძიმე საშინაო მდგომარეობის პარალელურად იაპონიის დახურული პოლიტიკის დაშლის მსურველი ევროპული ქვეყნების გავლენას დაუპირისპირდა. აშშ ამ მიმართულებით აქტიურ პოლიტიკას ახორციელებდა. **1854 წელს** აშშ-სა და იაპონიას შორის ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება მშვიდობისა და თანამშრომლობის შესახებ. პირობების მიხედვით ამერიკულმა გემებმა სიმოდისა და ჰაკოდატეს პორტებში შესვლის უფლება მოიპოვეს. სიმოდაში აშშ-ს საკონსულო ჩამოყალიბდა. რამოდენიმე წლის შემდეგ ხელმოწერილი ახალი ხელშეკრულების საფუძველზე ამერიკელებს სავაჭრო შეღავათები და ექსტერიტორიალობის უფლება მიეცათ. მალე, რიგ ევროპულ ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთანაც ასეთი ხელშეკრულება დაიდო. ასე, რომ იაპონიის თვითგამოყოფის პოლიტიკა გაუქმდა.

ქვეყანაში მომხდარი ეს მოვლენები ერთმნიშვნელოვნად არ იქნა მიღებული. უამრავი სამურაიები და კნიაზები ფიქრობდნენ, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრებოდა. სიოგუნების პოლიტიკის გამაკრიტიკებელი ეროვნული სულისკვეთების მქონე სახელმწიფო მოღვაწეებმა „ზეციურ მბრძანებელს“ (იმპერატორს) მიმართეს.

? *თქვენი აზრით, რატომ ფიქრობდნენ სამურაიები და თავადები, რომ უცხო ქვეყნებთან ხელშეკრულების ხელმოწერით ქვეყნის დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრებოდა?*

რეფორმები. ამ საშინაო და საგარეო დაპირისპირებულობების პერიოდში 15 წლის იმპერატორმა მეცუჰიტომ (1867-1912) 1868 წელს სიოგუნის თანამდებობა და უფლებამოსილება შეზღუდა, რომლის შედეგად იმპერატორის ხელისუფლება აღადგინა. შემდგომი ათი წლის განმავლობაში

LAYITA

იაპონიის ადათობრივი ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების საფუძვლიანად შემცვლელი რეორგანიზაციული ღონისძიებები იქნა გატარებული. ეს ღონისძიებები მრჩეველთა მიერ მზადდებოდა და იმპერატორის სახელით ხორციელდებოდა. მრჩევლები ძირითადად ევროპაში განათლება მიღებული ახალგაზრდა და ენერგიული სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ, რომლებიც ქვეყნის ძალის გაზრდასა და კულტურის აყვავებას, ასევე იაპონიის მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ცივილიზაციის რიგში მოხვედრას ცდილობდნენ.

პირველ ყოვლისა გამარტივებული იქნა ნახევარფეოდალური საკნიაზო სამფლობელო სისტემა. ისინი **პრეფექტურებმა** ჩაანაცვლა. კნიაზებმა კი გუბერნატორის სტატუსი მოიპოვეს. კნიაზებმა და სამურაებმა, რომლებმაც სამფლობელოები დაკარგეს, ხაზინადან პენსიის მიღება დაიწყეს. სამურაის რაზმების ნაცვლად საერთო ვალდებულების საფუძველზე თანამედროვე არმია ჩამოყალიბდა. პირველი ევროპული მოდელის სამინისტროები ჩამოყალიბდა. სახელმწიფომ უარი თქვა ხაზინის კუთვნილი დაწესებულებების დაფინანსებაზე და ისინი კერძო კომპანიებს მიჰყიდა. შემდგომში მსხვილ კომპანიებად გადაქცეული **"მიცუი", "მიცუბიში"** და სხვ. ზუსტად იმ პერიოდში გამოვლინდნენ. ყოველივე ამან ნიადაგი მოუმზადა მეწარმეობისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. რეფორმების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა განათლების განვითარებას. ბავშვებისათვის 6 წლის ასაკიდან 4-წლიანი სავალდებულო სწავლა დაწესდა. ჩამოყალიბდა საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც ევროპული პროგრამა გამოიყენებოდა. განისაზღვრა ერთიანი ფულადი სისტემა, გაიხსნა პირველი ქალთა პედაგოგიური სკოლა.

პრეფექტურა–ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეული იაპონიაში

? *1. რა სარგებელი შეიძლებოდა მოეტანა განვითარებისათვის, ხაზინას კუთვნილ სამრეწველო დაწესებულებების კერძო კომპანიებისათვის მიყიდვას?*
2. იმპერატორის მიერ განხორციელებული ღონისძიებებიდან, რომელი მიგაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

1889 წელს იაპონიაში მიღებული იქნა კონსტიტუცია. კონსტიტუციის მიხედვით, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მქონე იმპერატორის სტატუსი წმინდად და ხელშეუხებლად ითვლებოდა. ქვეყნის მოქალაქეებმა საკუთრების, სინდისის, სიტყვის, პრესისა და შეკრების თავისუფლება მოიპოვეს.

დაპყრობები. ქვეყანაში გატარებულმა რეფორმებმა მალე თავისი შედეგი გამოიღო. ეკონომიკურად განვითარებულმა იაპონიამ კოლონიური დაპყრობები დაიწყო. პირველი სამიზნე რიუკიუს კუნძულები, ხოლო შემდეგი ტაივანი გახდა. ცოტა ხნის შემდეგ იაპონიამ მიზანში კორეა ამოიღო. კორეამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ჩინეთი დაამარცხა და მისგან დიდი ოდენობის კომპენსაციის მიღების, ასევე მის ტერიტორიაზე სამრეწველო დაწესებულებების აშენების უფლება მოიპოვა. რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში განმტკიცების სურვილი იაპონიის ინტერესებს არ შეესატყვისებოდა. 1904-1905 წლებში რუსეთ-იაპონიის ომში გამარჯვებულმა იაპონიამ ხელთ იგდო სამხრეთ სახალინი. ასე რომ, სამხრეთ მანჯურიასა და კორეაში უზრუნველყოფილი იქნა მისი დომინირებული მდგომარეობა.

XIX საუკუნის ბოლოს-XX საუკუნის დასაწყისში იაპონიამ მიაღწია მანამდე უცხო სახელმწიფოებთან დადებული უთანასწორო სამართლებრივი ხელშეკრულებების გაუქმებას.

კითხვები და დავალებები

1. შეადარეთ ერთმანეთს, ევროპელების მიერ ჩინეთსა და ინდოეთში განხორციელებული კოლონიური პოლიტიკა. რას გამოხატავდა ეს პოლიტიკა და რაში მდგომარეობდა განსხვავება?

2. რა შეიძლებოდა ეთვალიერა დასავლეთ სახელმწიფოების მიერ იაპონიისაგან ღია კარის პოლიტიკის მოთხოვნის მიზეზები?

3. დაახასიათეთ და შეაფასეთ ევროპელების ძალადობა ჩინეთზე.

4. იაპონიაში მუცუჰიტოს პერიოდს თანამედროვეები და ისტორიკოსები თან რეფორმებს და თან რევოლუციას უწოდებდნენ. გამოიყენეთ ფაქტები და დაასაბუთეთ ესა თუ ის გამონათქვამი.

5. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ 1870–იან წლებში ინდოეთში ან ჩინეთში ცხოვრობთ (აირჩიეთ თქვენთვის ასაკი, საქმიანობა, სოციალური ფენა და სხვ.) გამოხატეთ თქვენი აზრი უცხოელებზე.

LAYTHO

6 სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში

საკვანძო სიტყვები

- ვენის კონგრესი
- ძალთა წონასწორობა
- მეტტერნიხის სისტემა
- პარიზის კონფერენცია
- საფრანგეთ-პრუსიის ომი
- სამთა კავშირი
- ანტანტა
- ბალკანეთის ომები

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ევროპის დიდი სახელმწიფოები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში მბრძანებლის როლს ასრულებდნენ. სამრეწველო რევოლუციის გაფართოების შედეგად გამწვავდა ბრძოლა კოლონიების დაპყრობისათვის. ეს ბრძოლა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბების მიზეზი გახდა.

ევროპის პოლიტიკური რუკა XIX საუკუნის დასაწყისში

! *რუკაზე დაყრდნობით გაანალიზეთ ევროპაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა XIX საუკუნის დასაწყისში.*

LAYTHO

ნაპოლეონის ომები. 1804 წელს იმპერატორის ტიტულის მიმღებ ნაპოლეონს მთლიანი ევროპის დამორჩილება სურდა. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა საჭირო იყო ინგლისის დამარცხება. ამის საპასუხოდ ინგლისის, ავსტრიის, შვეიცარიის და რუსეთის მიერ მორიგი კოალიცია იქნა ჩამოყალიბებული. 1805 წელს **ტრაფალგარის** ბრძოლაში ინგლისის ფლოტმა გაიმარჯვა. მაგრამ ნაპოლეონმა ავსტრია და რუსეთი **აუსტერლიცის** ბრძოლაში დაამარცხა. 1806 წელს **საღვთო რომის იმპერიას** ოფიციალურად ბოლო მოეღო. შემდეგ პრუსია დამარცხდა. ნაპოლეონმა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ვესტფალიის ზავის შემდეგ შექმნილ სტატუსკვოს (არსე-

ბული მდგომარეობა) ბოლო მოუღო. იგი მიხვდა, რომ მსოფლიოს ყველაზე ძლიერი საზღვაო ფლოტის მქონე ინგლისს ვერ დაამარცხებდა და მის წინააღმდეგ **კონტინენტური ბლოკადა** გამოიყენა. საფრანგეთზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს აეკრძალათ ინგლისთან სავაჭრო კავშირების დამყარება. ნაპოლეონის სამხედრო სტრატეგია სწრაფ მოძრაობასა და გამარჯვებისათვის ძალების ერთ ფრონტზე შეკრებას ეყრდნობოდა. 1807 წელს ნაპოლეონმა რუსეთი დაამარცხა და მასთან ზავი დადო, რომლითაც აიძულა იგი, კონტინენტურ ბლოკადას შეერთებოდა. მაგრამ კონტინენტურმა ბლოკადამ უარყოფითი გავლენა, არა ეკონომიკურად ძლიერ ინგლისზე, არამედ საფრანგეთსა და მასზე დამოკიდებულ სახელმწიფოებზე მოახდინა. რუსეთმა დაარღვია კონტინენტური ბლოკადა და ინგლისთან კავშირები კვლავ აღადგინა. ამ ვითარებასთან და ევროპაში არსებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებული დაპირისპირებები **1812 წელს** ნაპოლეონის მიერ რუსეთში ლაშქრობის მიზეზი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მან მოსკოვი ხელში ჩაიგდო, ზამთრის მოსავლისა და რუსების მიერ პარტიზანული საბრძოლო ტაქტიკის გამოყენების შედეგად, ეს ლაშქრობა წარუმატებლად დამთავრდა. ნაპოლეონის წინააღმდეგ ევროპული სახელმწიფოების ახალი კოალიცია ჩამოყა-ლიბდა. 1814 წელს მოკავშირეები პარიზში შევიდნენ და ნაპოლეონი ხელისუფლებას ჩამოაშორეს.



ვენის კონგრესზე

ვენის კონგრესი. 1814 წელს ყველა ევროპული სახელმწიფო **ვენის კონგრესზე** შეიკრიბა. კონგრესის მიზანი ნაპოლეონის ომების შემდგომი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ახალი წესების განსაზღვრა იყო. კონგრესზე წამყვან როლს ინგლისი, რუსეთი, ავსტრია და პრუსია ასრულებდა. კონგრესის შედეგად, ნაპოლეონისაგან უკან დაბრუნებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით არა ეთნიკური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პრინციპი, არამედ მათი მონარქიებს შორის განაწილების წესი იქნა გამოყენებული. აღდგენილი იქნა საფრანგეთის რევოლუციამდელი საზღვრები. რუსეთმა პოლონეთის შუა ნაწილის ანექსია მოახდინა. ინგლისი მალტას, ცეილონსა და აფრიკის სამხრეთს დაეპატრონა.

ვენის კონგრესის გადაწყვეტილების საფუძველზე გერმანულენოვანი სახელმწიფოები კონფედერაციაში გაერთიანდნენ. საერთო დაცვის პრინციპზე დაფუძნებულ გერმანულ კონფედერაციაში ავსტრია და პრუსია ძირითად როლს ასრულებდნენ.

1814-1815 წლების ვენის კონგრესის შემდეგ ევროპაში ურთიერთობების რეგულირება პერიოდულად მოწვეული კონგრესებით ხდებოდა. ძალის თანასწორობასა და მონარქიების ხელისუფლების შემნარჩუნებელ ლეგიტიმურობაზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი დადგინდა. ამ სისტემის დამფუძნებელთაგან ერთ-ერთი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრი, **კლემენს მეტერნიხი** იყო. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ევროპაში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები "**მეტერნიხის სისტემის**" მიხედვით რეგულირდებოდა. ეს სისტემა მონარქიული დინასტიების ლეგიტიმურობის (კანონიერების) პრინციპს ეფუძვნებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველი სახელმწიფო მმართველი დინასტიის მბრძანებლის კუთვნილებად ითვლებოდა.

"აღმოსავლეთის საკითხი". XIX საუკუნეში სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში „აღმოსავლეთის საკითხს" მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. პოლიტიკური ცნობის სახით პირველად რუსეთის მიერ ვენის კონგრესზე დაყენებული ეს საკითხი, ოსმალეთის სახელმწიფო ტერიტორიების დაპყრობასა და განაწილებისაკენ იყო გამიზნული. მეფის რუსეთის სტამბოლისა და სრუტეების დაპყრობის სურვილი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ინტერესებს არ შეესაბამებოდა.

ამიტომაც იყო, რომ ისინი 1853 წელს რუსეთის მიერ ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ დაწყებულ ყირიმის ომში, ოსმალეთის სახელმწიფოს მხარეს გამოვიდნენ. იმის გამო, რომ დასაწყისში ბრძოლის ველი ყირიმი იყო, ბრძოლამ ასეთი სახელწოდება მიიღო. ამ ბრძოლაში ინგლისი, საფრანგეთი და სარდინია რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ომი, რომელშიაც რუსეთმა მარცხი განიცადა, 1856 წელს პარიზის ზავის კონფერენციით დამთავრდა. კონფერენციით, ვენის კონგრესის შემდეგ ევროპაში ჩამოყალიბებული ძალთა თანასწორობა ხელახლად იქნა

LAYITO

რეგულირებული. ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და ოსმალეთის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა კონფერენციაზე მონაწილე ევროპული სახელმწიფოების საერთო გარანტიის ქვეშ იქნა აყვანილი. ხელშეკრულების მიხედვით შავი ზღვა ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებისათვის დახურულად იქნა გამოცხადებული. რუსეთმა შავ ზღვაზე ფლოტის შენახვის უფლება დაკარგა. ოსმალეთის სახელმწიფომ გაიმარჯვა, მაგრამ ამ ომში პირველად იყო, რომ უცხო სახელმწიფოებისაგან ვალი ჰქონდა აღებული.

ბალკანების გავლენის ზრეში მოხვედრით დაინტერესებულმა რუსეთმა 1877 წელს ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ კვლავ ომი დაიწყო. სტამბოლისაკენ მიმართული რუსული ჯარების გაჩერების მიზნით, საქმეში ინგლისის ფლოტი ჩაერთო. 1878 წელს ხელმოწერილი **სან-სტეფანოს საზავო** ხელშეკრულების საფუძველზე, ოსმალეთის სახელმწიფომ გარკვეული ტერიტორიები დაკარგა.

"ევროპული სახელმწიფოების მოქმედება იცვლება გეოგრაფიული პოზიციის მიხედვით. საფრანგეთსა და რუსეთს მარტო ერთი საზღვარი ვაჩნიათ და ეს ძალიან ძლიერია. საშმკვრივანი ციხეები და მდინარე რაინი საფრანგეთისთვის საიმედო საზღვარს წარმოადგენს. მკაცრი კლიმატი კი მდინარე ნემანს რუსეთისათვის მტკიცე საზღვრად აქცევს. ავსტრია და პრუსია კი, ყველა მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან მოსალოდნელი შეტევებისათვის, თავს ყოველმხვრივ ღიად გრძნობენ. ამ ორი ძალის მხრიდან შუამავი საფრთხის ქვეშ მყოფ ავსტრია და პრუსია ერთმანეთთან, ავრეთვე მეზობლებთან კარგი ურთიერთობებით, ასევე ჭკვიანი და ზომიერი პოლიტიკით შეძლებენ მშვიდად იყვნენ..."

ავსტრიის იმპერიის პრემიერ-მინისტრი მეტერნიხი, 1815, (ჰ. კისინჯერი, დიპლომატია), გვ. 91

? *როგორ შეიძლება იმოქმედოს გეოგრაფიულმა პოზიციამ ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე?*

რუსეთის მიერ ბალკანეთში განმტკიცება და აღმოსავლეთ ანადოლუში განსაზღვრული ტერიტორიების დაპყრობა ინგლისის, გერმანიისა და **ავსტრია-უნგრეთის** ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების ხელახალი განხილვის მიზნით, 1878 წელს **ბერლინის კონგრესი** იქნა მოწვეული. კონგრესის გადაწყვეტილების მიხედვით **სერბეთის, ჩერნიგორიისა (მონტონეგრო)** და **რუმინეთის** დამოუკიდებლობა იქნა აღიარებული. **ბულგარეთი ოსმალეთის** სახელმწიფოზე დამოკიდებულ სამთავროდ გადაიქცა. **ყარსი, ერდაჰანი** და **ბათუმი** შემადგენლობაში შევიდა. სან-სტეფანოს ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, **მაკედონია** აღმოსავლეთ ანადოლუში, **ბეიაზიდის** ოსმალეთის სახელმწიფოში დარჩა.

ავსტრია-უნგრეთი - 1867 წლიდან ასე ეწოდებოდა ავსტრიის იმპერიას.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების მიხედვით კვიპროსი იჯარით ინგლისს, ხოლო ბოსნია-ჰერცოგოვინას მართვა დროებით ავსტრია-უნგრეთს გადაეცა.

კონგრესის გადაწყვეტილებები, რუსეთის გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან დაპირისპირების გაზრდის მიზეზი ხდებოდა.

ძალთა წონასწორობიდან კონკურენციული ბრძოლისაკენ. 1862 წელს **ოტო ბისმარკმა**, კანცლერად დანიშვნის შემდეგ, გერმანიისა და პრუსიის გაერთიანების მიზნით, აქტიური პოლიტიკის გატარება დაიწყო. პრუსიის გაძლიერება საფრანგეთს აწუხებდა. გერმანიის გაერთიანებაც საფრანგეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. 1866 წელს ავსტრიის დამარცხების შემდეგ, გერმანიის გასაერთიანებლად პრუსიის წინაშე ერთადერთი დამაბრკოლებელი ძალა საფრანგეთი იყო. ნაპოლეონ III პრუსიის წინააღმდეგ ომის დასაწყებად მიზეზებს ეძებდა. ესპანეთის ტახტის კანდიდატობისათვის ბრძოლა ომის დაწყების მიზეზი გახდა. ამის შედეგად, 1870-1871 წლების **საფრანგეთ-პრუსიის** ომი მოხდა. საფრანგეთის მარცხით დამთავრებული ამ ომის შედეგად, დასრულებული იქნა გერმანიის გაერთიანება. მხარეებს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების მიხედვით, გერმანიამ ელზასი და ლოტარინგია დაიკავა. საფრანგეთი იძულებული გახდა მისთვის კომპენსაცია გადაეხადა. გერმანიის გაერთიანების შედეგად, ვენის კონგრესის შემდეგ ევროპაში შექმნილი ძალთა წონასწორობა შეიცვალა. 1870 წლიდან 1890 წლამდე ევროპაში სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე გავლენა მოახდინა ბისმარკის საგარეო პოლიტიკამ. ის ავსტრიისა და საფრანგეთის მარცხის შემდეგ ჩამოყალიბებულ ძალთა წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა. მან, ჯერ საფრანგეთის განმარტოება უზრუნველყო, ხოლო შემედეგ, ევროპის სხვა მონარქიებთან კავშირის გაწყვეტის მიზნით, ქვეყანაში მხარი რესპუბლიკურ რეჟიმს დაუჭირა.

LAYTHO

ბისმარკი ინგლისის დიდ ეკონომიკურ ძალაზე, ფართო კოლონიებსა და მსოფლიოს ყველა ძლიერ სამხედრო ფლოტის ფლობაზე დაყრდნობილი პრიორიტეტით ანგარიშობდა. ამ პერიოდში ინგლისი კონფლიქტებისაგან თავის არიდების მიზნით **განყენების პოლიტიკას** ატარებდა. ინგლისის მიერ ევროპაში არსებული წონასწორობისათვის მნიშვნელობის მინიჭება, ბისმარკს იძულებულს ხდიდა, ეს წონასწორობა არ დაერღვია.

ბისმარკი წონასწორობის შენარჩუნების მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფოებთან კავშირებს ამყარებდა. 1879 წელს ავსტრია-უნგრეთთან კავშირი დამყარდა. 1882 წელს, ამ კავშირს იტალიაც შეუერთდა და „**სამთა კავშირი**“ ჩამოყალიბდა. სხვადასხვა ინტერესების მქონე სახელმწიფოების ერთ კავშირში გაერთიანება ბისმარკის ოსტატობაზე მიუთითებდა. 1890 წელს მისი გადადგომის შემდეგ, გერმანიამ მსოფლიო მასშტაბის იმპერიალისტური პოლიტიკა გააძლიერა. ეს კი, საფრანგეთის, რუსეთისა და ინგლისის, რომლებიც იმ სახელმწიფოს კონკურენტები იყვნენ, დაახლოების მიზეზი გახდა. 1890-იანი წლების პირველ ნახევარში ხელმოწერილი იქნა საფრანგეთისა და რუსეთის საკავშირო ხელშეკრულება. ამით ბისმარკის მიერ გატარებულ საფრანგეთის იზოლაციის პოლიტიკას ბოლო მოეღო.

კონკურენცია დიდ სახელმწიფოებს შორის. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში გაძლიერდა კონკურენცია ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის. 1873-1895 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა გაყიდვის ბაზრები და ნედლეულის საჭიროება აუცილებელ პრობლემად გადააქცია. კონკურენცია, ძირითადად, კოლონიების სფეროებში იყო გაძლიერებული. ყოველი დიდი სახელმწიფო თავისი კოლონიური ტერიტორიის გაფართოებას ცდილობდა. ეს კი ევროპულ სახელმწიფოებს შორის ინტერესების დაჯახებისა და წინააღმდეგობის გამწვავების მიზეზი ხდებოდა. ინგლისი და რუსეთი ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ავღანეთისათვის იბრძოდნენ. ინგლისელები ინდოეთის საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ცდილობდნენ, ხოლო რუსეთს ინდოეთის ოკეანესთან დაახლოება სურდა. აფრიკაში, საფრანგეთი და ინგლისი იბრძოდნენ. კონკურენციულ ბრძოლას, ასევე ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებშიც ჰქონდა ადგილი. ეს ფაქტორები უფრო ზრდიდა დაძაბულობას სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში და ნიადაგს უმზადებდა ახალი სამოკავშირეო სისტემების ჩამოყალიბებას. გერმანიის გაძლიერება, კონტინენტზე არც ერთი სახელმწიფოს გაძლიერების არა მსურველი ინგლისის ტრადიციულ საგარეო პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა.

ინგლისის მრეწველობა გერმანიის მრეწველობასთან კონკურენციაში მარცხს განიცდიდა. ამასთან გერმანიის

"რა აზრი გამოხატება კარიკატურაზე?"
"გერმანიის გეოპოლიტიკური პოზიცია [.....] ჩვენი გეოგრაფიული პოზიციაზე დაყრდნობით ძალნის მისაღწევად სხვა სახელმწიფოებზე უფრო მეტი უნდა ვეცადოთ. ევროპის ცენტრში ვიმყოფებით. შეიძლება წავაწყდეთ შეტევას, სულ ცოტა სამი ფრონტიდან. მაშინ როდესაც საფრანგეთს დასაცავი საზღვრები მხოლოდ აღმოსავლეთით, ხოლო რუსეთს დასავლეთით გააჩნია. გარდა ამისა, მსოფლიო ისტორიის საერთო დინების, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობისა და შესაძლებელია, გერმანელების სხვა ერებთან შედარებით დღევანდელ დღემდე ერთობის არქონის მიზეზით მტრების მიერ წარმოდგენილი მუქარის წინაშე უფრო ახლოს ვართ, ვიდრე სხვა ხალხები. ღმერთს ჩვენს სამეზობლოში ფრანგების სახით ყველაზე მოძალადე ხალხი მოუთავსებია. გააქტიურებულია რუსეთის ომის სიყვარულით გაჟღენთილი მოქმედება, მაშინ როდესაც, ეს ქვეყანა დღევანდელ დღეს მიღწეულ დონეებზე გასულ საუკუნეებში ვერც კი ოცნებებდა. ორივე მხრიდან მუქარის ქვეშ ვიმყოფებით".

ბისმარკის პარლამენტში გამოსვლიდან 1888-წელი. ისტორია. სტამბოლი 2002, გვ. 217

? *რომელი ფაქტორები მიაჩნდა ბისმარკს, საფრთხედ გერმანიის გეოპოლიტიკური პოზიციისათვის?*

კარიკატურა ბისმარკის გადადგომის შესახებ "კაპიტანი ტოვებს გემს" ჟურნალი "Punch", 1890 წელი.

? *თქვენი აზრით, რა მოსაზრებას გამოხატავს კარიკატურა?*

* გეოპოლიტიკა – სახელმწიფო პოლიტიკის გეოგრაფიულ ფაქტორებზე დაფუძნებით განსაზღვრა

LATTE

მიერ თავისი სამხედრო საზღვაო ფლოტის გაძლიერება, ზღვებზე გაბატონებულ ინგლისს წუხილს ჰგვრიდა. ყველა ამ ფაქტორებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლომდე მტრულად განწყობილი ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის დაახლოება გამოიწვია. ეს, XIX საუკუნეში, ყოფილი პრემიერ მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის **ჰენრი პალმერსტონის** გამონათქვამ პრინციპს: „ინგლისს არა ჰყავს მუდმივი მეგობარი და არც მუდმივი მტერი, მას მხოლოდ მუდმივი ინტერესი გააჩნია“ ასაბუთებდა.

XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთსა და დიდი ბრიტანეთს შორის დაახლოების პროცესი დაიწყო. გერმანიის გაძლიერება ამ დაახლოების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა. საფრანგეთმა და ინგლისმა დაიწყეს მოლაპარაკება კოლონიებთან დაკავშირებულ კონფლიქტურ საკითხებზე, რომლის შედეგად 1904 წელს დადეს გარიგება და ხელი მოაწერეს ისტორიაში **ანტანტად*** წოდებულ შეთანხმებას. ამ შეთანხმებამ, საფრანგეთის შუამავლობით ინგლისისა და რუსეთის შერიგებასაც ხელი შეუწყო. 1907 წელს, ინგლისსა და რუსეთს შორის ხელშეკრულების დადებით ანტანტას კავშირის ჩამოყალიბება დასრულდა. ასე რომ, ევროპა ორ მტრულ ბლოკად გაიყო.

კრიზისების პერიოდი. XX საუკუნის დასაწყისში ევროპაში მრავალ სახელმწიფოთაშორის კრიზისს ჰქონდა ადგილი. ბალკანებში არსებული მდგომარეობა მშვიდობისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ავსტრია-უნგრეთმა და რუსეთმა ისარგებლეს ოსმალეთის იმპერიის დასუსტებით და მხარეში თავისი გავლენის გაზრდას შეეცადნენ. რუსეთს, 1904-1905 წლების ომში იაპონიის წინაშე მარცხის შემდეგ, ყურადღება ბალკანებისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. აქ სლავურ ხალხებს, განსაკუთრებით კი, სერბეთს მფარველობდა. ბალკანებში მოსალოდნელი ნებისმიერი კრიზისი არსებულ კავშირებს (ავსტრია-უნგრეთის მოკავშირე გერმანია და იტალია, რუსეთის მოკავშირე საფრანგეთი და ინგლისი) შორის მტრობის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო. 1908-1913 წლებს შორის ბალკანებში რამდენიმე კრიზისი მოხდა:

- 1908 წელს ავსტრია-უნგრეთმა ისარგებლა ოსმალეთის სახელმწიფოს დასუსტებით და 1878 წლიდან მოყოლებული ბოსნია-ჰერცოგოვინას ოკუპაცია მოახდინა. 1905 წლის რევოლუციის შედეგად დასუსტებულმა რუსეთმა ამისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო.
- ოსმალეთის იმპერია, **პირველ ბალკანეთის ომში** (1912-1913 წლები), ბალკანეთის სახელმწიფოების მიერ ორგანიზებული კავშირის წინაშე დამარცხდა.

* ანტანტა (ფრ.) – გულწრფელი შეთანხმება

"ინგლისთან კავშირი ევროპაში ჩვენი მოდგაწეობის მწვერვალი გახდა. ... ეკონომიკური თვალსაზრისით სოფლის მეურნეობებსა და თუნდაც საშრეწველო სფეროებს შორის არსებული სხვაობა, ჩვენ ინგლისის ბუნებრივ მეგობრად გვაქცევს. ამასობაში, ზღვებზე უპირატესობის მქონე სახელმწიფოსთან კოლონიალიზმის სფეროში შეთანხმების მიღწევა, ჩვენს მხრიდან სარგებლის მოპოვებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, არ შეიძლება უარყოფილი იქნას ის ფაქტი, რომ ევროპული თვალსაზრისით, ინგლისის ჩვეულებითი პოლიტიკა კონტინენტზე მყოფ დიდ ძალებს შორის წონასწორობის შენარჩუნებაში გამოიხატებოდა. დღეს ამ წონასწორობის გარანტირებულობა, ვის შეიძლება არგებდეს უფრო მეტად, ვიდრე საფრანგეთს? [...] ათი წლით ადრე ბევრნი ფიქრობდნენ, რომ რუსეთის მოკავშირედ დარჩენა და ინგლისთან დაშეგობრება ბრწყინვალე, ამავდროულად წინააღმდეგობრივი იყო..."

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თეოფილე დელცესის გამოსვლა პარლამენტში. 1908 წელი. ისტორია. სტამბოლი 2002, გვ. 219

? *1. საფრანგეთის ინგლისთან კავშირის აუცილებლობაზე მეტყველ, რომელ ფაქტორებს ვხვდებით წყაროში?*
2. თქვენი აზრით, რატომ ითვლებოდა წინააღმდეგობრივად რუსეთის მოკავშირედ დარჩენა და ინგლისთან დაშეგობრება?

კარიკატურა ბალკანეთის კრიზისის შესახებ. ჟურნალი "Punch", 1912 წელი.

? *თქვენი აზრით, რა ძირითად იდეას წარმოადგენს კარიკატურა?*

LAYIHE

ბალკანეთის ომი

ტერიტორიების განაწილებისათვის წარმოებული ბრძოლა, 1913 წელს დაწყებული **მეორე ბალკანეთის ომის** მიზეზი გახდა. ამ ომმა ორ იმპერიალისტურ ბლოკს შორის არსებული კონკურენცია კიდევ უფრო გააღრმავა. მიყოლებით მომხდარი ეს კრიზისები, სხვადასხვა ქვეყნებში ნაციონალიზმის გაძლიერების მიზეზი გახდა.

"რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ფრთხილი პოლიტიკა და საფრანგეთი კონტროლის ქვეშ ვამყოფოთ. რა თქმა უნდა, ეს არ გახდება პოპულარული და ჩვენს შოვინისტებს არ დააკმაყოფილებს. შაგრამ ახლო მომავალში გერმანიისათვის სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავ".

გერმანიის კანცლერი ბეთმან ჰოლვეგი, 1913 წელი

? *როგორ აფასებთ გერმანელი კანცლერის აზრებს? თქვენი აზრით, შეიძლებოდა თუ არა, რომ ეს პოლიტიკა გერმანიისათვის უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო?*

ბალკანეთის ომში განსაცდელში მყოფი თურქი ოჯახი

კითხვები და დავალებები

1. *რა შედეგები ჰქონდა ვენის კონგრესს?*
2. *შეადარეთ ერთმანეთს მატერნიხის სისტემა და ბისმარკის საგარეო პოლიტიკა.*
3. *რა იყო დიდ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობის გაზრდის მიზეზები XX საუკუნის დასაწყისში?*
4. *რა გახდა ინგლისის ადათობრივი საგარეო პოლიტიკის შეცვლის მიზეზი XX საუკუნის დასაწყისში?*
5. *გაანალიზეთ ის ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებდნენ ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის დაახლოებაზე.*
6. *დაუკავშირეთ სახელმწიფოების გაძლიერებაში ისტორიულ პირთა როლი თანამედროვეობას და იმსჯელეთ მასზე.*

სსტ-ით ინტეგრაცია

ფილმები და ინტერნეტის რესურსები	დავალება
• The Balkan crises, 1903–1914. • Historic films about the Balkan Wars at europeanfilmgateway.eu • "ბალკანეთის სამხედრო 1912-1913". დოკუმენტური ფილმი (თურქულ ენაზე).	• ინტერნეტის საფუძველზე მოამზადეთ პრეზენტაცია, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით.

LAYING

7 პირველი მსოფლიო ომი

საკვანძო სიტყვები

- შლიფენის გეგმა
- სარიკამიშის ოპერაცია
- ჩანაკკალის ოპერაცია
- ბრესტ-ლიტოვსკის ზავი
- ქუთულ-ამარეს ბრძოლა

არსებობდა ვარაუდი, რომ 1914 წელს ევროპაში დაწყებული ომი დიდხანს არ ვავრძელდებოდა. მაგრამ ომმა თანდათან ფართო ინტენსიურობა მიიღო და პირველ მსოფლიო ომად გადაიქცა. ამ ომმა მსოფლიოს დიდ ნაწილზე, ამა თუ იმ სახით იმოქმედა. ამიტომაც მსოფლიო ომი ეწოდა.

ევროპული სახელმწიფოები პირველი მსოფლიო ომის დროს

"მთლიანი ევროპის შუქები ჩაქრა". 1914 წლის 28 ივნისს ავსტრიის პრინცი ფრანც ფერდინანდი სერბი ნაციონალისტის მიერ იქნა მოკლული. ავსტრია-უნგრეთმა, რომელმაც გერმანიის მხარდაჭერა მიიღო, ერთი წლის შემდეგსერბეთს ომი გამოუცხადა. ასე, ჩვეულებრივ მატერორისტულმა მოვლენამ მსოფლიო ისტორიის პირველი დიდი ომის დაწყებაში ნაპერწკალის როლი შეასრულა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ცნობა ომის დაწყების შესახებ ასე ჰქონდა შეფასებული: „მთლიანი ევროპის შუქები ჩაქრა. ალბათ, კიდევ დიდხანს არ აინთება".

სამხედრო წრეების მიერ გამზადებული გეგმები მოკლევადიან შეტევით ომზე იყო დაფუძნებული.

ფრანც ფერდინანდისა და მისი მეუღლის მკვლელობა. მხატვარი ახილ ბელთრამი

LAYTHS

"სლიფენის გეგმა ბრწყინვალე, ამავდროულად სტრატეგიული თვალსაზრისით ნაკლოვანების მქონე გეგმას წარმოადგენდა. დიდი გამოცდილება უჩვენებდა, რომ დიდი ბრიტანეთი არ დათანხმდებოდა ბელგიის დაპყრობაზე და ომში ჩაერთმებოდა, მაგრამ ეს სინამდვილე კაიზერისა და გერმანიის მთავარი შტაბის ყურადღებას ეტყობა გამოპარვოდა".

ჰ. კისინჯერი. "დიპლომატია", გვ. 229

გერმანიის მიერ გამოყენებული **სლიფენის გეგმა**, რამდენიმე კვირის განმავლობაში ფრანგების დამარცხებას, ხოლო შემდეგ რუსეთის არმიასთან ბრძოლას ითვალისწინებდა. 1914 წლის აგვისტოში ნეიტრალური ბელგიის გერმანული ჯარის მიერ დაპყრობა, დიდი ბრიტანეთის მხრიდან გერმანიისათვის ომის გამოცხადების მიზეზი გახდა.

1914 წლის სექტემბერში მდინარე მარნას სანაპიროზე ბრძოლაში გერმანელების შეტევის შეწყვეტამ საფრანგეთი გადამწყვეტი მარცხისაგან იხსნა. აღმოსავლეთ ფრონტზე კი, რუსეთის ჯარების შეტევები გერმანელების მიერ იქნა შეჩერებული. 1914 წლის აგვისტოში თანენბურგის ბრძოლაში რუსეთის არმია იქნა დამარცხებული

ომის გავრცელება მსოფლიოში. 1914 წელს იაპონიის ანტანტას მხრიდან ომში ჩართვას სამხედრო მოქმედებების მსვლელობაზე ძლიერ არ უმოქმედია. 1915 წელს ანტანტის წევრები იტალიას გარკვეულ ტერიტორიებს შეპირდნენ და იგი თავიანთ მხრიდან ომში ჩართეს. იმავე წელს ბულგარეთთან გერმანია და მისი მოკავშირეები ომშ ჩაებნენ.

სარიკამიშის ბრძოლა

ოსმალეთის იმპერია ომის დასაწყისში განმარტოებული იყო. იმ ორი გერმანული გემის მიერ, რომელებმაც ოსმალეთის სახელმწიფოსაგან თავშესაფარი მიიღეს, რუსეთის პორტისა და გემების მიმართ ცეცხლის გახსნის შედეგად, რუსეთმა 1914 წლის ოქტომბერს ოსმალეთის სახელმწიფოს ომი გამოუცხადა. შემდეგ საფრანგეთმა და დიდ ბრიტანეთმაც ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი გამოაცხადეს. გერმანიისა და ოსმალეთის სამხედრო მეთაურობის მიერ 1914 წლის ოქტომბერში მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რუსეთის წინააღმდეგ კატეგორიული შეტევის განხორციელების შესახებ. მაგრამ კავკასიის ფრონტზე მყოფი ოსმალური ჯარი საზამთრო ოპერაციისათვის აუცილებელ აღჭურვილობას არ ფლობდა. ამიტომაც 1914 წლის დეკემბერსა და 1915 წლის იანვარში განხორციელებული **სარიკამიშის ოპერაციის** შედეგად ოსმალეთის სახელმწიფო კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ბრძოლა, რომელმაც ისტორია შეცვალა. ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთისათვის დახმარების აღმოსაჩენად, ჩანაკკალეს სრუტის ხელში ჩაგდების გეგმა გაამზადეს. ამ გეგმის მიხედვით სტამბოლის დაპყრობა, ხოლო ოსმალების იძულებით დანებება უნდა განხორციელებულიყო, რომლის შედეგად რუსეთისათვის სამხედრო და ეკონომიკური დახმარება შესაძლებელი გახდებოდა.

1915 წლის თებერვალში დაწყებულ საზღვაო ბრძოლებთან ერთად საფრანგეთის, ინგლისისა და მისი დომინიონების, ავსტრიისა და ახალი ზელანდიის ძალები დამარცხდნენ სახმელეთო ბრძოლებშიც, რომელიც იმ წლის ბოლომდე გრძელდებოდა. მსოფლიოს ორი ძლიერი სახელმწიფოს - ინგლისისა და საფრანგეთის მაღალი დონის აღჭურვილობის მქონე არმიების წინაშე თურქული ჯარების გამარჯვების მიზეზთაგანი იყო ის, რომ ისინი თავიანთ სამშობლოს იცავდნენ. 1916 წლის იანვარში ანტანტას ძალების უკან დახევით დასრულებული ჩანაკკალეს ბრძოლებმა თურქ ხალხს, მუსტაფა ქამალის სახით გენიალური სამხედრო ლიდერი შესძინა.

დიდი ბრიტანეთის საშჯედრო მინისტრი, ლორდი კიტჩენერი ჩანაკკალეს ბრძოლის ხელმძღვანელ ინგლისელ მეთაურს სწერდა: "თუ ჩვენი ფლოტი სრუტეს გავლის, სტამბოლი თავისთავად დანებდება და თქვენ ერთ ბრძოლაში კი არა, ომში გამარჯვებული აღმოჩნდებით".

? *ზოგიერთი ისტორიკოსები თვლიან, რომ თურქი ჯარების მიერ ჩანაკკალეს ბრძოლაში გამარჯვების შედეგად, ომი ისევ გრძელდებოდა. ადასტურებს თუ არა ამ აზრს წყაროში მოცემული ცნობა?*

ჩანაკკალეში, თურქული სამყაროს ყოველი მხრიდან და ჩრდილოეთ აზერბაიჯანიდან თავიანთი ნებით, დასახმარებლად ჩამოსული შეჰიდების საფლავებიც არის. ამასობაში, ეს კიდევ

LAKHE

ერთხელ მოწმობს თურქი ხალხების მიერ ურთიერთ დახმარებას გაჭირვების ჟამს.

ბრძოლები ახლო აღმოსავლეთში. ახლო აღმოსავლეთის ნავთობის წყაროების ხელში ჩაგდების მსურველი ინგლისი ორმაგ სტანდარტულ პოლიტიკას ატარებდა. არაბულ ტომებს დამოუკიდებლობას ჰპირდებოდა და მათ ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ უბიძგებდა, მეორე მხრიდან ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ებრაელების მხარდაჭერის მისაღებად და აშშ-ს ომში ჩართვის უზრუნველსაყოფად განსაზღვრულ ნაბიჯებს დგამდა.

ინდოეთში მიმავალ საზღვაო გზის ზედაპირზე მყოფ ირანის ყურესათვის დიდი მნიშვნელობის მიმნიჭებელ ინგლისელებს აქ ჯარი ჰყავდათ გამოყვანილი. ინგლისის არმია, რომელიც ბაღდადის ხელში ჩაგდებას ცდილობდა, 1916 წელს **ქუთულ-ამარეში** თურქი ჯარების მიერ იქნა დამარცხებული. ამ არმიამ მდანებება აღიარა.

ქუთულ-ამარეში ინგლისის გენერალი ნებდება

დიდი ტყუილი. ანტანტას სახელმწიფოების მხრიდან შეიარაღებულმა და წაქეზებულმა სომხურმა ტერორისტულმა რაზმებმა, 1915 წლის აპრილის შუა რიცხვებში ვანში ამბოხება მოაწყვეს და მშვიდობიანი თურქ-მუსლიმანური მოსახლეობის მასობრივი მკვლელობები დაიწყეს. მცირე ხნის შემდეგ, სომხებმა მთლიან აღმოსავლეთ ანადოლუში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორიზმი განახორციელეს. ამასობაში გაზარდეს ჯაშუშური მოქმედებები ანტანტას ქვეყნების სასარგებლოდ. სომხების მიერ განხორციელებული გენოციდის სამიზნე მხოლოდ მუსლიმანური მოსახლეობა არ იყო. მხარეში მცხოვრები ბერძნები და ებრაელებიც ამ ტერორის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ამის საპასუხოდ ოსმალეთის სახელმწიფომ, პირველ რიგში სომეხი რელიგიურ-პოლიტიკური ხელმძღვანელებისაგან, მკვლელობებისა და ყაჩაღობების შეწყვეტა მოითხოვა. მაგრამ სომხების მხრიდან გაწყვეტების გაგრძელება 1915 წლის 24 აპრილს ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ ამ საქმეში ბრალდებულთა დაპატიმრების შესახებ ბრძანების გაცემით დასრ-

ჩანაკკალეს ბრძოლა

ა) "ზოგიერთი მხარეების [თანამედროვე სირია და ლიბია] მოსახლეობა მთლიანად არაბები არ არის. ამიტომაც ეს მიწები თქვენს მიერ მოთხოვნილ ტერიტორიებს გარეთ უნდა იქნას დაჭერილი. ამ ცვლილებების გათვალისწინებით, უფრო ადრე სხვა არაბ შეიხებთან ხელმოწერილი ხელშეკრულებების ხელშეუხებლობის პირობით. [...] ინგლისი მზად არის მექქას შერიფის მოთხოვნილ ტერიტორიებზე აღიაროს არაბების დამოუკიდებლობა და მათ მხარი დაუჭიროს".

დიდი ბრიტანეთის ეგვიპტეში გუბერნატორის ჰენრი მაკ მაჰონ მიერ მექქას მმართველის შარიფ ჰუსეინისათვის მიწერილი წერილი. 1915

ბ) "ინგლისის მთავრობა ეთანხმება აზრს, პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული მამულის დაარსების შესახებ. ... პალესტინაში მცხოვრები არა ებრაელი მოსახლეობის სამოქალაქო და რელიგიური უფლებებისა და სხვა ქვეყნებში ებრაელების პოლიტიკური უფლებებისათვის ზიანის მიმყენებელი რაიმე ღონისძიებაზე ინიციატივის გამოუჩენლობის პირობით შეეცდება ამ მიზნის განხორციელებას".

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის არტურ ბალფურის ებრაელობის ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთისათვის მიწერილი წერილი. 1917

ისტორია. სტამბოლი, 2002, გვ 282.

? *შეადარეთ ერთმანეთს წყაროში მოცემული ცნობები. თქვენი აზრით, რა იყო ინგლისის მიერ ორმაგი სტანდარტული პოლიტიკის გატარების მიზანი? გვაძლევს თუ არა თანამედროვე პერიოდში არსებული არაბ-ისრაელის დაპირისპირებულობის გაგრძელება, იმის გარაუდის საფუძველს, რომ ეს ხდება პირველი მსოფლიო ომის ზეგავლენით?*

LAYTHO

ა) სომეხი ტერორისტული რაზმების ბრძანებები:

"1. რუსი არმიის მიერ საზღვრის გადალახვის მომენტში სომეხი რაზმები და მოსალოდნელი მათ შეუერთდებიან და ოსმალეთის არმიას შეუტევენ. 2. ზურგის ფრონტზე ორი წლის ასაკს ზევით ყველა მუსლიმანი მოკლული უნდა იქნას. 3. სომხებმა უნდა გადაწვან სომხების მიერ მიტოვებული სახლები, საკვები პროდუქტი, ეკლესიები და საქველმოქმედო დაწესებულებები, ხოლო შემდეგ ეწეოდნენ პროპაგანდას, თითქოს ეს ყველაფერი მუსლიმანებს ჩაუდენიათ. 4. ფრონტიდან დაჭრილად დაბრუნებული ოსმალეთის ჯარისკაცები უნდა მოკლულნი იქნენ".

თურქეთის მთავარი შტაბის არქივი, ATASE, ნომერი 1/2, დოკუმენტი/2061; K.S.Papazian, Patriotizm Perverted, გვ. 37-38, Aram Turabian, Les Volontaires Armeniens sous les Drapaux Francais, გვ. 6; C. de Maleville, 1915 წლის სომხური ტრაგედია, გვ. 34-35

ბ) 27 მაისი 1915 წელი კანონი გადასახლების შესახებ:

"1. ისინი, რომელთა გადასახლებაც საჭიროდ ითვლება, მისასვლელ ადგილამდე უსაფრთხოდ მიიყვანებიან; 2. გზებზე უზრუნველყოფილი იქნება მათი დასვენება, ასევე სიცოცხლისა და ქონების უსაფრთხოება; 3. მისასვლელ ადგილას სრულ მოთავსებამდე, მათ გაეწევათ ყოველგვარი დახმარება, რათა უზრუნველყოფილნი იქნენ საგადასახლებო გადასახადით, სარჩოთი და საჭმელ-სასმელით; 4. მატერიალური მდგომარეობის შესაბამისად, ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან საქონლითა და მიწის ნაკვეთით; 5. მთავრობის მიერ სახლი იქნება აშენებული".

იუსუფ ჰალაჯოღლუ, სომეხთა გადასახლება, სტამბოლი, 2007, გვ. 70-71

! *შეადარეთ ერთმანეთს წყაროში მოცემული ცნობები. გადაწყვიტეთ, თუ სინამდვილეში ვის მიმართ იყო ჩადენილი გენოციდი. დაასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილება.*

ომის ლტოლვილები. ბელგია, 1914 წელი.

LAYHe

რულდა. სომხების მიერ ყოველწლიურად „გენოციდის დღედ“ აღნიშნული თარიღი, სინამდვილეში, სომეხი ყაჩაღთა რაზმების მეთაურთა დაპატიმრების დღეა. ხოლო მაისში მიღებული იქნა კანონი ფრონტის მხარეში მცხოვრები სომხების დროებით გადასახლების შესახებ. მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ს მთავრობას ამ კანონის უფრო მკაცრი ფორმა იაპონიის წინააღმდეგ ჰქონდა განხორციელებული.

კავკასიის ფრონტზე მყოფ რუს სამხედრო მეთაურებს აღიარებული ჰქონდათ სომეხთა რაზმების მიერ მუსლიმანი მოსახლეობის წინააღმდეგ ველური გაწყვეტის ჩადენა, ასევე სქესისა და ასაკის მიუხედავად ყოველი მათგანის მკვლელობა. ეს ველურობა ჯერ კიდევ გადასახლების შესახებ კანონის მიღებამდე სისტემატური ფორმით ხორციელდებოდა.

ომი და სამოქალაქო მოსახლეობა. სამხედრო მოქმედებების მსვლელობაში მილიონობით სამოქალაქო მცხოვრები იძულებული გახდა საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინა.

სინამდვილეში, ორივე მებრძოლი მხარე სისასტიკეს სჩადიოდა მშვიდობიანი ადამიანების წინააღმდეგ და მასობრივად წყვეტდა მათ. ბავშვებსა და მოხუცებს იძულებით სამუშაოებში იყენებდნენ. ომში მონაწილე ყოველ სახელმწიფოს ეკონომიკა ომის მოთხოვნის შესაბამისად ჰქონდა მოწყობილი. თითქმის ყოველი შრომისუნარიანი მამაკაცის ფრონტზე ყოფნის გამო, ქარხანა-ფაბრიკებსა და სოფლის მეურნეობის სფეროში მათ ქალები და ბავშვები ანაცვლებდნენ. ამასთან სამხედრო ტყვეები, კოლონიებიდან მოსულები და ფრონტიდან დაბრუნებული სპეციალისტებიც ზურგის ფრონტზე მუშაობდნენ.

? *თქვენი აზრით, ომებში პროპაგანდის რომელი საშუალებებით სარგებლობენ და რა მიზნები გააჩნია მას?*

ადამიანების მობილიზებისათვის სახელმწიფოები პროპაგანდის საშუალებებს იყენებდნენ. იმიტომ რომ, პროპაგანდა ომის შეუწყალებელ სინამდვილეებს მალავდა. ყოველგვარი პროპაგანდისტული საშუალების მიუხედავად, 1916 წლიდან დაწყებული ზურგის ფრონტზე უკვე მშვიდობისაკენ მოწოდებები გაისმოდა. ომით უკმაყოფილო მოსახლეობა თავის პროტესტს გაფიცვების მოწყობით გამოხატავდა. ფასების მომატება, სამუშაო საათების დამატება და სასურსათო ბარათის გამოყენება ადამიანების მდგომარეობას ამძიმებდა.

აშშ-ს ომში ჩართვა. ინგლისის ფლოტის მიერ ბლოკადაში მოქცეული გერმანია ეკონომიკური თვალსაზრისით დიდად ზარალდებოდა. ბლოკადის საპასუხოდ გერმანიის წყალქვეშა ხომალდები მტრული სახელმწიფოების სამხედრო და სამოქალაქო გემების ჩაძირვას შეუდგნენ. 1917 წელს გერმანია წყალქვეშა ბრძოლების გაძლიერებით ინგლისის დანებების მიღწევას ცდილობდა. მაგრამ სავაჭრო ინტერესების მხრივ დაზარალებულმა და მოქალაქეებ გაწყვეტილმა აშშ-მა უარი თქვა ნეიტრალიტეტზე და გერმანიას ომი გამოუცხადა. აშშ-ს პროცესში ჩართვამ ომის მსვლელობაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა.

ომის დროინდელი პლაკატი: "მიწის არმიაში შედი!" აშშ 1918.

რუსეთის ომიდან გასვლა. ომმა რუსეთის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა დაამძიმა. ეს კი, 1917 წლის თებერვალში ქვეყანაში რევოლუციის მიზეზი გახდა. რუსი ჯარისკაცები ფრონტიდან მასობრივად გარბოდნენ და დეზერტირობდნენ. 1917 წლის ოქტომბერში გადატრიალების მოხდენით ხელისუფლების ხელში ჩამგდები ბოლშევიკების მიერ გერმანიასა და მის მოკავშირეებთან ხელმოწერილი იქნა **ბრესტლი-ტოვსკის საზავო ხელშეკრულება** (3 მარტი, 1918 წელი). ორ ფრონტზე ომის წარმოებით განთავისუფლებული გერმანული ძალების დიდმა ნაწილმა დასავლეთ ფრონტზე თავი მოიყარა.

ტანკები პირველად პირველ მსოფლიო ომში იქნა გამოყენებული

"მთავრობის სახელით, ჩვენი ხალხის სახელით თქვენი – არა, გამბედაობის არქონის გამო, არამედ ძალიან დაბალი ასაკის გამო ომში არა მონაწილე ბავშვების მამაც გულებს შეეხმახებ. თქვენგან სათბურებში საქმიანობის გაგრძელებასა და მოსავლის მოგროვებაში მონაწილეობის მიღებას, ასევე მომავალი წლისათვის სარგავ-სათესად მომზადებას მოვითხოვ. [...] ფრანგო ქალებო, ბავშვებო, სამშობლოს გოგონებო და შვილებო! ომის მოედნებზე მებრძოლებს სარგავ-სათეს ველებზე ჩაენაცვლეთ!"

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი რენე ვივიანი. აგვისტო, 1914. ისტორია. სტამბოლი, 2002, გვ. 249.

"ტანკებსა და ამერიკელებს ველოდები". გერმანიის სამხედრო მეთაურები ომის გამარჯვებისათვის ბოლო იმედს ამერიკელების მოსვლამდე საკითხის გადაწყვეტაში ხედავდნენ. ამი-ტომაც იყო, რომ გერმანულმა ჯარმა 1918 წლის დასაწყისიდან შეტევა დაიწყო. სამხედრო მოქმედებები ახალი იარაღებით, განსაკუთრებით კი თვითმფრინავებითა და ტანკებით სრულდებოდა. ინგლისი და საფრანგეთი ძალიან წინ უსწრებდა გერმანიას ტანკებისა და თვითმფრინავების წარმოებით. 1917 წელს, როცა ფრანგ მეთაურს ომის შედეგზე ჰკითხეს, მან თქვა: „ტანკებსა და ამერიკელებს ველოდები“.

? *რას ასაბუთებს ისტორიული წყაროს შინაარსი? რა იყო ის მიზეზები, რომლებიც ბავშვებისა და ქალების მუშაობას აუცილებელს ხდიდა?*

გერმანია და მისი მოკავშირეები 1918 წელს სამხედრო-ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით დასუსტების გამო დამარცხებულნი იქნენ. ბლოკადების შედეგად, მათი ეკონომიკა დასუსტებული, ხოლო არმიების მდგომარეობა გაუარესებული იყო. 1918 წლის სექტემბერში ბულგარეთი, ოქტომბერში ოსმალეთის იმპერია, ხოლო 3 ნოემბერს ავსტრია-უნგრეთი დანებდა. 11 ნოემბერს გერმანიამ კომპიენის ტყეში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას დანებების შესახებ. ასე რომ, ევროპის ისტორიისათვის კატასტროფის მომტანი ომი დასრულდა. დიდად დაზარალდა ევროპის სოციალ-ეკონომიკური სფერო. მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში ევროპის უპირატესობამ დასუსტება დაიწყო.

LAYTHS

მოგონილი "სომეხთა გენოციდი"

"შემდგომში, სომხებსა და ანტანტას სახელმწიფოებს პოლიტიკური ინტერესების გამო, ეს მოვლენები გაყალბებული ჰქონდათ და მას პროპაგანდის საშუალებად იყენებდნენ. მოგონილი "სომეხთა გენოციდის" პროპაგანდის გამწევ პირველ წყაროთაგან ერთ-ერთი 1916 წელს ინგლისის მთავრობის მიერ მომზადებული "ცისფერი წიგნი" იყო. წიგნი თუწყება ცნობების დამამზადებელთა ობიექტურ, სანდო და პატიოსანმულ პირებად ყოფნის შესახებ. მაგრამ ამ პირთა სახელები საიდუმლოდ ინახებოდა. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის ჯ. მაკკარტის მიერ ინგლისის არქივიდან ამ პირთა ვინაობის მაჩვენებელი საბუთის პოვნის შემდეგ "ცისფერი წიგნის" სიყალბე დასაბუთებული იქნა. გამოაშკარავებული იქნა, რომ წიგნში მოცემული საბუთებისა და ცნობების დამამზადებელი პირები სომხების მფარველები, ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ პროპაგანდის გამწევი ამერიკელი მისიონერები, რუსული არმიის შემადგენლობაში შესულთ ოსმალეთის არმიის წინააღმდეგ მებრძოლი, ანადოლუში მუსლიმანი მოსახლეობის წინააღმდეგ გენოციდის ჩამდენი დაშნაკთა პარტიის ხელმძღვანელები და აქტივისტები იყვნენ. ***(Justin McCarthy, "Dünya Savaşında İngiliz Propagandası ve Bryce Raporu", ანკარა, 2001, გვ. 21)*** *ამ წიგნის ერთ-ერთი რედაქტორთაგანი, ცნობილი ისტორიკოსი ა. ტოინბი შემდგომში აღიარებდა, რომ მოვლენები არა ობიექტურად ჰქონდა გაანალიზებული და ისტორიული სინამდვილეები სუბიექტურად იყო წარმოდგენილი.* ***(William H. Mc Neil, Arnold Toynbee a life, Oxford University Press, გვ. 74).*** *გარდა ამისა 1922 წელს გამოქვეყნებული 'The Western Question in Greece and Turkey' სახელწოდების ნაწარმოების 50-ე გვერდზე მოცემული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ "ცისფერი წიგნი"ს მიზანს "ომის პროპაგანდა" წარმოადგენდა. ინგლისის მთავრობა ამ წიგნის მომზადებით ძირითადად ამერიკელი საზოგადოების წარმოდგენებში სომხების მიმართ სიბრალულის გრძნობის გამოვლენით, ომში აშშ-ს უფრო ადრე ჩართვის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. ამასთან ინგლისის მთავრობის მინისტრები აცნობებდნენ იმის შესახებ, რომ ამ წიგნმა აშშ-ს პრეზიდენტის ვილსონის მიერ ომში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა."*

შუქრუ ელექდაღ, ისტორიული სინამდვილისა და საერთაშორისო სამართლის შუქზე "სომეხთა გენოციდის" იდეა. სტამბოლი, 2010.

"რატომ სტამბოლში, იზმირში, იმპერიის ევროპის ნაწილსა და სხვა მხარეებში მცხოვრები ათიათასობითი სომეხის გენოციდი არ მომხდარა? ისინი ცოცხლად და ჯანმრთელად დარჩნენ, არც არავის არ გადაუსახლებია. ...დასავლური პრესა, რომელიც თურქების მკვლელობაზე თავლს ხუჭავდა, ვაცალებით აზვიადებდა მოკლულ სომეხთა რიცხვს და ავრცელებდა. თუ ოსმალებს მთლიანი სომხების განადგურება სურდათ, რატომ მისცეს მათ საშუალება გადარჩენილიყვნენ? ყველაზე სარწმუნო საბუთს კი წარმოადგენს ის, რომ დეპორტირებულთა უმრავლესობა ცოცხლად დარჩენილი იყო".

ჯასტინ მაკკარტი, "თურქები და სომხები". გვ. 87

? *როგორ ასაბუთებს ავტორი "სომეხთა გენოციდის" მოგონილობას და რაში სდებს ბრალს დასავლურ პრესას? დაუკავშირეთ წყაროს საფუძველზე დასავლური პრესა თანამედროვე პერიოდს.*

კითხვები და დავალებები

1. *რომელ ფაქტორებს შეიძლებოდა ზემოქმედება მოეხდინა პირველ მსოფლიო ომის დაწყებაზე?*
2. *თქვენი აზრით, რას გამოხატავდა გამონათქვამი: "მილიანი ევროპის შუქი ჩაქრა?"*
3. *როგორი ზემოქმედება მოახდინა ომმა ქალებისა და ბავშვების ცხოვრებაზე?*
4. *რატომ გამოიყენებოდა ომის პერიოდში პროპაგანდის საშუალებები?*
5. *თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა, პირველი მსოფლიო ომის მიზეზთაგანი ოსმალეთის სახელმწიფოს დანაწილება ყოფილიყო?*
6. *როგორ დაასაბუთებთ, რომ მოგონილი "სომეხთა გენოციდი" ყალბ პროვოკაციულ საშუალებას წარმოადგენს?*
7. *რა იყო ჩანაკკალეს ბრძოლაში თურქული ჯარების გამარჯვების მიზეზი?*

სსტ-ით ინტეგრაცია

ფილმები და ინტერნეტის რესურსები	დავალება
• Allied Tanks during World War I (video) • ფილმი "საბრძოლო ცხენი". • "ჩანაკკალეს ლომები" (The Lions of Gallipoli War) (1964) • ფილმი "120" (2008)	• ინტერნეტის საფუძველზე მოამზადეთ პრეზენტაცია პირველ მსოფლიო ომში გამოყენებული ახალი სამხედრო ტექნიკისა და იარაღების შესახებ.

LAYTHO

8 კულტურა

საკვანძო სიტყვები

- "სამრეწველო საზოგადოება"
- მასობრივი კულტურა
- იმპრესიონიზმი
- ეიფელის კოშკი
- "კრისტალური სასახლე"
- რადიო
- ძმები ლუმერები

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში, მსოფლიო კულტურაში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული. ახალმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა და გამოგონებებმა ზემოქმედება მოახდინა მსოფლიოს შემდგომ ეკონომიკურ-ტექნიკურ და კულტურულ განვითარებაზე. ხელოვნებაში გამოვლენილი ახალი მიმდინარეობები ჩვეულებით ხელოვნურ მიმართულებებს ჩაენაცვლა.

"სამრეწველო საზოგადოება" და კულტურა. სფერო, რომელიც ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა, ისტორიის სხვადასხვა საფეხურებზე ცვლილებებს განიცდიდა. მჯდომარე ცხოვრებაზე გადასვლით დამწყები და სოფლის მეურნეობის უპირატესობის მატარებელი აგრარული საზოგადოება სამრეწველო რევოლუციის შედეგად, სამრეწველო საზოგადოებამ ჩაანაცვლა. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მომხდარი ეს ცვლილებები კულტურის განვითარებისა და მისი ახალი თვისებებით შემკობის მიზეზი გახდა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სავაჭრო, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალების განვითარებამ ხალხთა შორის კულტურული კავშირების გაფართოება დააჩქარა. ამით საფუძველი ჩაეყარა კულტურის განზოგადების პროცესს.

> *"ცივილიზაციის ჩამოყალიბებისას ბუნება საფრთხის ქვეშ ხვდება. მაგრამ ჩამოყალიბების შემდეგ, თავს აღწევს ამ მუქარას. ბუნებრივი პირობების წინააღმდეგობის გაწევაზე უძლური საზოგადოებები გამქრალან. კულტურა, ბუნების მიერი მუქარისათვის წინააღმდეგობის გამწევი საზოგადოებების ნაყოფია. ... ისტორია კულტურათა ისტორიაა".*
>
> **ინგლისელი ისტორიკოსი არნოლდ ტოინბი ისტორიული ნაშრომი, სტამბოლი 1988 გვ. 154**

? *როგორ ზემოქმედებას ახდენს კულტურაზე საზოგადოებაში მომხდარი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ცვლილებები? განიხილეთ მოსაზრება "ისტორია კულტურათა ისტორიაა"*

მასობრივი კულტურისაკენ. კულტურის განზოგადება XIX საუკუნის დასასრულიდან დაიწყო. ამას სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები ჰქონდა. ასე, რომ რკინიგზის სფეროში ტრანსპორტის განვითარება მოხდა. სავალდებულო სამხედრო სამსახურმა ხელი შეუწყო მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის სოციალური თვალსაზრისით კავშირების გაფართოებას. განათლების სფეროში მომხდარმა განვითარებამ და პრესის გავრცელებამაც ზემოქმედება მოახდინა კულტურის განზოგადებაზე. ამასობაში ტექნიკურმა განვითარებამ (ფოტოგრაფია, კინო და ა.შ) საშუალება მისცა კულტურის გავრცელებას მოსახლეობის უფრო ფართო ფენებს შორის. ფოტო, ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად გადაიქცა. 1895 წელს ძმები **ლუმერების** მიერ შექმნილი კინო, 1920-იანი წლების ბოლომდე უხმო ფორმით ვითარდებოდა.

შთაბეჭდილება მხატვარი კლოდ მონე. "მზის ამოსვლა".



იმპრესიონიზმის ("შთაბეჭდილების") ცნება პირველად "მზის ამოსვლა"სახელწოდების ნაწარმოებისათვის იქნა გამოყენებული. შემდგომში მხატვრობის მიმდინარეობამ ამგვარი სახელწოდება მიიღო.

რეალურობიდან იმპრესიონიზმისაკენ. XIX საუკუნიდან დაწყებული კულტურის ყველა სფეროში თავი იჩინეს აბსტრაქტული ხასიათის ჟანრებმა. ამის მიზეზები საზოგადოებაში მომხდარი პოლიტიკური, ეკონომიკური

LAYTHO

და სოციალური ცვლილებები იყო. XIX საუკუნის შუა ხანებში ფრანგმა მხატვარმა კუსტავ კურბემ ბოლო მოუღო არსებული ხელოვნების ცნებებს და ყოველდღიური ცხოვრების შესახებ სურათების დახატვა დაიწყო. ის ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელმაც სათავე დაუდო რეალისტური ხელობის მიმდინარეობას. ამ მიმდინარეობამ, რომელიც თავდაპირველად კრიტიკის ქვეშ მოექცა, შემდგომში გავრცელება დაიწყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მხატვრობაში იმპრესიონისტური მოძრაობა დაიწყო. ამ მოძრაობის წევრები საღებავის სპეციალურ ჭურჭელში შენახვის უზრუნველმყოფელი ტექნიკური სიახლის შედეგად, ღია ცის ქვეშ სურათებს ხატავდნენ. ნაწარმოებების ძირითად თემად გადაქცეულ ხედებზე სინათლის ანარეკლი გამოიხატებოდა.

ჰოლანდიელი მხატვარი **ვან გოგი** იმპრესიონიზმის ცნობილ წარმომადგენელთაგან ერთ-ერთი იყო..

! *ჩაატარეთ მცირეოდენი გამოკვლევა ვან გოგის შემოქმედების შესახებ.*

თურქულ მხატვრობაში დასავლური სტილი XIX საუკუნეში სამხედრო სკოლებში ტექნიკური სამხატვრო გაკვეთილებით იყო დაწყებული.

ეიფელის კოშკის აშენება

სიახლეები არქიტექტურაში. XIX საუკუნეში მრეწველობა უკვე საზოგადოების ყველა სფეროებზე - ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და კულტურაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. ბურჟუაზიას საზოგადოებაში დომინირებული ადგილი ეკავა. სამრეწველო საზოგადოება აღდგენილი იყო. იმის გამო, რომ მრეწველობა აუცილებელს ხდიდა მოქნილი მეთოდების ძიებასა და სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, ვითარდებოდა ჩვეულებითი სფეროები და ყალიბდებოდა ახალი სამეცნიერო მიმართულებები. სამრეწველო გადატრიალების დაჩქარებას ზემოქმედება მოეხდინა კულტურის ყველა სფეროზე. მოქანდაკეობაში შემოტანილ სიახლეთაგან ერთ-ერთი რკინისა და ფოლადის კონსტრუქციების გამოყენება იყო. ამ თვალსაზრისით პარიზში 1889 წელს აშენებული ეიფელის კოშკი ბრწყინვალე ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. კოშკი საფრანგეთის რევოლუციის ას წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებული გამოფენის შესასვლელი კარის სახით, ინჟინერის **გუსტავ ეიფელის** მიერ დროებით იყო აშენებული. მაგრამ ამ პერიოდში განვითარებადი კავშირგაბმულობისათვის ხელსაყრელად ყოფნის გამო, ის შენარჩუნებული იქნა.

რკინა, მინა და ბეტონი ამ პერიოდის ძირითადი საქანდაკო ელემენტები იყო. დროის თავისებურებების განმასახიერებელ შენობათაგან ერთ-ერთი, ლონდონში აშენებული პირველი მსოფლიო სავაჭრო შენობაა. 1850 წელს აშენებულს და "კრისტალურ სასახლედ" წოდებულ შენობას ჩვეულებრივი ფორმა არ გააჩნდა.

XIX საუკუნეში ოსმალეთის მოქანდაკეობაში დასავლურმა სტილმა ფართო გავრცელება დაიწყო. სულთან აბდულმეჯიდის დროს აშენებული და ევროპული სასახლეების მსგავსი **დოლმა–ბაღჩას სასახლეც** პერიოდის მოქანდაკეობის ყველაზე პოპულარულ ნიმუშს წარმოადგენს.

მუსიკა. 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ და XIX საუკუნის ადრეული წლების ეროვნულ განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა კლასიკური მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის, **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის** შემოქმედებაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა. მან „მესამე სიმფონია" იმის გამო, რომ სჯეროდა ევროპას დემოკრატიას მოუტანდა, თავდაპირველად ნაპოლეონ ბონაპარტს მიუძღვნა. მაგრამ 1804 წელს ნაპოლეონის მიერ თავის იმპერატორად გამოცხადების გამო, ამაზე უარი თქვა. ბეთჰოვენის მიერ დაწერილი „მეცხრე სიმფონია", თანამედროვე პერიოდში ევროკავშირის ჰიმნს წარმოადგენს. **რომანტიზმში** XIX საუკუნის ბოლომდე მუსიკის სფეროში უპირატესობა შეინარჩუნა. რუსი კომპოზიტორის, **პეტრე ჩაიკოვსკის** ნაწარმოებები თანამედროვე პერიოდშიც ინარჩუნებს თავის გავლენას. იტალიელი კომპოზიტორმა **ჯუზეპე ვერდიმ** იტალიის ავსტრიის დაპყრობის წინააღმდეგ თავისუფლების მოძრაობას რამდენიმე ოპერა მიუძღვნა. მისი სახელი და ნაწარმოებები ავსტრიის მიერ დაპყრობის წინააღმდეგ იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ სიმბოლოდ იყო გადაქცეული.

ლიტერატურა. ამ პერიოდში პოეტებმა და მწერლებმა თავიანთ ნაწარმოებებში საჯარო-პოლიტიკურ პრობლემებზე შეხედულებების ფართოდ გამოხატვა დაიწყეს. თურქულ ლიტერატურაში დასავლური კულტურის ნიმუშის სახით პირველად მიმღები **იბრაჰიმ შინასი**

LAYTHE

ყოფილა. მან საფუძველი ჩაუყარა თურ-ქულად გამოქვეყნებულ გაზეთსა და თეატრს. XIX საუკუნის თურქული აზროვნების ისტორიის ყველაზე დიდი სახე, სამშობლოსა და თავისუფლების პოეტი **ნამიკ ქამალია**. მისი აზრით, სიამაყით სავსე მდიდარი წარსულის მქონე თურქმა ხალხმა უნდა მიითვისოს დასავლეთის ცივილიზაციის მიღწევები და განავრცოს ის სხვა აზიურ ხალხებზე.

ნამიკ ქამალი

ინდოელი კულტურისა და საზოგადო მოღვაწე **რაბინდრანათ თაგორის** ნაწარმოებებს თავისი მხატვრული სისუფთავითა და ფილოსოფიური სიღრმით მსოფლიო მასშტაბის პოპულარობა გააჩნდათ. მისი „გორა“ სახელწოდების რომანმა 1913 წელს ლიტერატურისათვის ნობელის პრემია მიიღო. რომანის ძირითადი გმირი გორა ინდოეთის თავისუფლებასა და განვითარებას ყველა ფენების ინდუიზმის რელიგიის გარშემო შეკრებაში ხედავს. ავტორი აქ კიცხავს სოციალურ უთანასწორობას. ლიტერატურაში **ჟიულ ვერნის** ნაწარმოებებში ფანტასტიკას უპირატესობა ენიჭებოდა. ამ პერიოდში რომანტიზმი გრძნობებისათვის უფრო ნაკლები ადგილის დამთმობმა მიმდინარეობებმა ჩაანაცვლა. რუსმა მწერლებმა **თედორე დოსტოევსკიმ**, **ანტონ ჩეხოვმა** და **ლევ ტოლსტოიმ** მსოფლიო ლიტერატურაზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს.

ფრანგი მწერალი **ემილ ზოლა**, როგორც თავისი ნაწარმოებებით, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში უსამართლობის წინააღმდეგ დაკავებული პოზიციითაც იყო ცნობილი. მას, ფრანგულ არმიაში მოსამსახურე დრეიფუსისადმი ებრაელობის მოტივით უსამართლო დამოკიდებულების წინააღმდეგ პროტესტული განცხადება ჰქონდა გაკეთებული.

მეცნიერება. იმპრესიონისტი მხატვრების მიერ ხელოვნებასა და რეალურ ცხოვრებას შორის ურთიერთობებისადმი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ, 1850-იანი წლების შემდეგ, დიდად განვითარებულ მეცნიერებაზეც ზეგავლენა მოახდინა. მედიცინაში, ბიოლოგიასა და ფიზიკაში არსებული გამოცდილების მეთოდიკა, ახალი აღმოჩენების მიზეზი გახდა. XIX საუკუნის დასასრულს,

“ბრალს ვსდებ!”

(ემილ ზოლას მიერ საფრანგეთის პრეზიდენტისათვის მიწერილი წერილი)

"პატივცემულო პრეზიდენტო!

დრეიფუსის მოვლენა სახელისა და მშართველობისათვის ლაქას წარმოადგენს! რომელიც სამხედრო საბჭომ, ზემოდან მოსული ბრძანებით მაითრ ესტერაზსს სუფთად გამოყვანა, სანამდვილისაგან და სამართლიანობისათვის დარტყმის მიყენებისაგან ზემოთ დაიჭირა. ... საფრანგეთის შუბლს ლაქა დაატყდა. ისტორია დაწერს, რომ ასეთი საზოგადოებრივი დანაშაული თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში იქნა ჩადენილი. ... სამართლეს ვიღაპარაკებ. ... თხრობა ჩემი მოვალეობაა. არ მინდა დანაშაულში თანამონაწილე გავხდე. თორემ ჩემი ღამეები საუდღენელი დანაშაულისათვის წვალების ყველაზე საშინელს წამწყდომი არა ბრალეული ადამიანის მოჩვენებას ვერ გადაურჩება. ... საფრანგეთის თავს უბედურებად დაატყდარი უსამართლოების ავადმყოფობა თავს გამოიჩენს. ... დრეიფუსი ... ეკლესიის პირობის "ცოდი ებრაული" ნადირობის მსხვერპლი გამხდარა. ეს მოვლენა ჩვენი დროის პირშავობაა".

Cinq Centimes — JEUDI 13 JANVIER 1898

ERNEST VAUGHAN — Directeur — 142 Rue Montmartre — 142

L'AURORE

Littéraire, Artistique, Sociale

J'Accuse...!

LETTRE AU PRÉSIDENT DE LA RÉPUBLIQUE

Par ÉMILE ZOLA

LETTRE A M. FÉLIX FAURE Président de la République

გაზეთ “ავრორა”ს 1898 წლის 13 იანვარს გამოქვეყნებული მთავარი გვერდი, რომელშიც ე. ზოლას “ბრალს ვსდებ!” დასათაურების ქვეშ წერილი იყო გამოქვეყნებული

? *როგორ აფასებთ მწერლის პოზიციას?*

LAYTIE

ჯამალედდინ აფგანი

ისმაილ გასპირალი

მატერიასა და ენერგიას შორის ურთიერთობების დამდგენი აღმოჩენები გაკეთდა.

XIX საუკუნის მუსლიმანური სამყაროს ყველაზე პოპულარული ფილოსოფოსთაგანი **ჯამალედდინ აფგანი (1839-1897)** ყოფილა. ის ინდოეთსა და ავღანეთში ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ გამოდიოდა და დასავლურ იმპერიალიზმთან საბრძოლველად, მუსლიმანთა გაერთიანების იდეა ჰქონდა დაყენებული. აფგანის აზრით, მეცნიერების, ასევე განათლების განვითარება და მოდერნიზაცია ისლამის პროგრესისათვის ძირითად პირობას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში თურქული სამყაროს აზროვნების ისტორიაზე ყველაზე დიდი ზეგავლენის მომხდენთაგანი, ყირიმის თათარი **ისმაილ გასპირალი (1851-1914)** იყო. მას, რუსეთში მყოფი თურქ-მუსლიმანური ხალხების კულტურისა და განათლების გზით გაერთიანება, ამ უკანასკნელის კი, ქალთა უფლებებისადმი პატივისცემისა და საერო საფუძვლებზე ჩამოყალიბება სურდა. გასპირალის აზრებმა ყაზანელ თათარს, **იუსუფ აკჩურასა** და აზერბაიჯანელ თურქ **ალი ბეგ ჰუსეინზადაზეც** დიდი ზეგავლენა მოახდინა.

გერმანელმა ფილოსოფოსმა **ფრიდრიხ ნიცშემ** და სხვებმა პიროვნების დიდების მქადაგებელ მიმდინარეობას საფუძველი ჩაუყარეს. 1870 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომში მოხალისედ მონაწილე და დაავადებული ნიცშეს ნაწარმოები "**ასე იტყოდა ზარატუსტრა**" მსოფლიო კლასიკურ ნიმუშებს შორის მოიხსენიება. მიუხედავად იმისა, რომ მის უმრავ ნაწარმოებებში გერმანელებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება იგრძნობა, შემდგომში გერმანიაში ნაცისტები ნიცშეს ფილოსოფიას იყენებდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მეცნიერებმა ჩაატარეს გამოკვლევები ელექტრომაგნიტური ტალღების შესახებ. ამ გამოკვლევების შედეგად, რუსმა მეცნიერმა **ალექსანდრე პოპოვმა** და იტალიელმა მეცნიერმა **კულიელმო მაკრონმა** რადიოს საფუძველი ჩაუყარა. XIX საუკუნის დასასრულს, გერმანელმა მეცნიერმა **ვილჰელმ რენტგენმა** უხილავი სხივების არსებობა დაასაბუთა. ამ ტალღებს, რომლებიც ელექტრომაგნიტური ტალღების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს, „რენტგენის“ სხივები ეწოდება.

? *რა იცით რენტგენის სხივების, მედიცინასა და ტექნიკაში გამოყენების შესახებ?*

XIX საუკუნის დასაწყისში, **ალბერტ აინშტაინმა** ზოგადი ფარდობითობის თეორია ჩამოაყალიბა. მან სხეულების ზომებისა და დროის ხანგრძლივობის ფარდობითობა, ასევე სივრცისა

"ჩვენი ჩამორჩენილობის ერთადერთი მიზეზი უმეცრებაა. არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რა არის გამოგონილი და რა მომხდარა ევროპაში. ამ იზოლაციიდან დასახსნელად ჩვენ უნდა შეგვეძლოს ამის წაკითხვა. ევროპულ აზროვნებას ევროპული წყაროებიდან უნდა ვსწავლობდეთ. ჩვენ ეს დისციპლინები დაწყებით და საშუალო სკოლების პროგრამაში უნდა შევიტანოთ, რომ მოსწავლეებმა ეს აზრები შეისწავლონ".

ისმაილ გასპირალი

შეჰშედ არსლანი. ისმაილ ბეი გასპირალის განათლების რეფორმა. გორნეს აბერეიის უნივერსიტეტი, 2016, გვ. 19.



ალბერტ აინშტაინი

? *როგორ აფასებთ ავტორის აზრებს? დაუკავშირეთ თქვენი შეხედულება თანამედროვე პერიოდს.*

LAYHE

და დროის მატერიალური ობიექტების მოძრაობაზე დამოკიდებულება დაასაბუთა. ამის შედეგად შეიცვალა წარმოდგენა სივრცისა და დროის ურთიერთ თანაფარდობის შესახებ.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერების ახალი სფეროს, ფსიქოანალიზის ჩამომყალიბებელი **ზიგმუნდ ფროიდის** ნაწარმოებებში ყურადღება გამახვილებულია ბავშვების განვითარების ყველაზე აუცილებელ პერიოდში მშობლების დამოკიდებულების მნიშვნელობაზე. ის, ასევე აყალიბებდა თეზისს ბავშვების მიმართ გამოჩენილი ზრუნვის ინტერესის, სიყვარულისა და გაცნობიერების, აგრეთვე მათი მომავალ ფორმირებაში ძირითადი როლის შესრულების შესახებ. ის, აზრის გამოკვლევისათვის ფსიქოანალიზის კლინიკური მეთოდის შემოქმედადაა ცნობილი

> *"ქრისტიანობამ ანტიკური კულტურის საძვიდრო ჩვენგან მიიღო. ხოლო შემდეგ ისლამური კულტურის საძვიდრო ჩამოგვაცალა. ძირითადად ჩვენთან საბერძნეთისა და რომისაგან უფრო ახლოს მყოფი, პირდაპირ ჩვენს გრძნობასა და გემოვნებაზე მეტყველი, ეხპანეთის ჩინებული აღმოსავლური კულტურა ფეხქვეშ გთალა..."*
>
> **ფ. ნიცშე. ნაწარმოები "დაჯჯალი" სტამბოლი, 2000, გვ. 43**

? *როგორ აფასებთ ნიცშეს ამ აზრს?*



ზიგმუნდ ფროიდი

განათლება. ეკონომიკის განვითარებამ განათლების სფეროშიც სიახლეები გამოიწვია. ტექნიკური პროგრესის წაკითხვა და განსაზღვრული გაანგარიშებები აუცილებელი იყო. ამიტომაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში, დასავლეთ ევროპის გარკვეულ ქვეყნებში 13 წლის ასაკამდე ყველა მოსწავლისათვის აუცილებელი და უფასო სწავლება იქნა დადგენილი. ამ ფაქტორმა გაზეთისა და წიგნის მკითხველთა რიცხვი გაზარდა. ამის შედეგად, დასავლეთ ევროპაში განვითარდა მეცნიერება და განათლება, რომელმაც თავის მხვრივ სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედება მოახდინა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ოსმალეთის სახელმწიფოში გატარებულმა რეფორმებმა, ასევე განათლების სფეროზეც ზეგავლენა მოახდინა. განათლების სფეროში გატარებული რეფორმები ძირითადად საერო დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების გახსნას ითვალისწინებდა.

კითხვები და დავალებები

1. *როგორი ზეგავლენა მოახდინა "საძრეწველო საზოგადოებამ" კულტურის განვითარებაზე?*
2. *რომელი სოციალ-ეკონომიკური მიზეზები გააჩნდა კულტურის განზოგადებას?*
3. *XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, რომელ სიახლეებს ჰქონდა ადგილი მოქალაქეობაში?*
4. *შეადგინეთ ცხრილი, XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო სფეროების განვითარებასთან დაკავშირებით.*
5. *გააკეთეთ განმარტება, XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, მსოფლიო კულტურისა და აზერბაიჯანის კულტურის ურთიერთ ზეგავლენის შესახებ.*
6. *რა მიზეზები და შედეგები გააჩნდა კულტურის განზოგადებას?*
7. *გააკეთეთ განმარტება, XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპის გარკვეულ ქვეყნებში სავალდებულო და უფასო სწავლების გამოყენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ.*
8. *შეასრულეთ ცხრილი, XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში კულტურის სხვადასხვა სფეროებში არსებული სიახლეების შესახებ.*

კულტურის სფეროები	სიახლეები
არქიტექტურა	
მეცნიერება და განათლება	

LAYITO

მსოფლიოს ქვეყნები 1918–1945 წლებში

პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა ზეგავლენა მოახდინა შემდგომ ისტორიულ მოვლენებსა და პროცესებზე. ომის ფინალებმა სახელმწიფოთა-შორისი წინააღმდეგობები ვერ აღმოფხვრა. გამარჯვებული სახელმწიფოები, არა სამართლიანი მშვიდობის აღდგენაზე, არამედ თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების განხორციელებაზე ფიქრობდნენ. ეს კი, შემდგომში ახალი პრობლემების გამოვლენისა და მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი გახდა. ეს ომი, ნგრევის ძალისა და მასშტაბის მიხედვით უფრო დიდი იყო.

1918–1945 წლები, მსოფლიოს პოლიტ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში ახალი თავისებურების გამოვლენით გამოირჩევა. ადგილი ჰქონდა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობასა და რევოლუციებს. რამდენიმე იმპერია დაიშალა და მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ახალ-ახალი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. ამ თვალსაზრისით, სსრკ-ის ჩამოყალიბებამ მთლიანობაში XX საუკუნის ისტორია განსაზღვრა.

1918–1945 წლები, არა მხოლოდ სახელმწიფოთა შორის, არამედ ახლად გამოვლენილ იდეოლოგიებს – ბოლშევიზმს, ფაშიზმსა და ნაციზმს შორის არსებული წინააღმდეგობითაც გამოირჩევა. ეს პერიოდი, ასევე სოციალ-ეკონომიკური და კულტურის სფეროებში არსებული სიახლეებით გამოირჩევა.



ვაშინგტონის კონფერენცია

LAYTHE

9 ვერსალ - ვაშინგტონის სისტემა

საკვანძო სიტყვები

- პარიზის სამშვიდობო კონფერენცია
- 14 მუხლიანი პრინციპები
- ვერსალის საზავო ხელშეკრულება
- ერთა ლიგა
- "სამანდატო რეჟიმი"
- ვაშინგტონის კონფერენცია

პირველი მსოფლიო ომი კატასტროფით დამთავრდა. მილიონობით ადამიანი დაიღუპა და დაჭრილი იქნა. მსოფლიოს პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში დიდი ცვლილებები მოხდა. ოთხი დიდი იმპერია დაშალა. ომის შემდეგ ჩამოყალიბებული სტაბილურობა, შემდგომში ახალი წინააღმდეგობებითა და დაპირისპირებებით შეიცვალა.

ევროპა 1920-იან წლებში

? *რა ცვლილებები მოხდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის პოლიტიკურ ვითარებაში? როგორი ზემოქმედება შეეძლო მოეხდინა ამას, მსოფლიოს შემდგომ განვითარებაზე?*

გამარჯვებულთა მშვიდობა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ახალი წესების განსაზღვრის მიზნით, მშვიდობის კონფერენციის მოწვევა გადაწყვიტეს. 1919 წლის იანვარში, პარიზში დაწყებული სამშვიდობო კონფერენცია, დამარცხებული ქვეყნების დასჯასა და საზავო ხელშეკრულების პირობების მომზადებას ისახავდა მიზნად. გამარჯვებულებმა პარიზის მშვიდობის კონფერენციას ისტორიაში ახალი პერიოდის დაწყება უწოდეს. კონფერენციაზე მხოლოდ გამარჯვებული და ნეიტრალური

LATHE

> *ინგლისის პრემიერ-მინისტრს, ლოიდ ჯორჯს გერმანიასა და ანტანტას შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება, ასე ჰქონდა შეფასებული: "ამ ისტორიულ დღეს ვიმედოვნებ, რომ ყველა ომები ჩავამთავრეთ".*
>
> **ჰ. კისინჯერი, "დიპლომატია", გვ.243**

? *თქვენი აზრით, სწორი იყო თუ არა მისი აზრი? რისი კეთებაა საჭირო, ყველა ომების დასასრულებლად?*

ქვეყნები იყო წარმოდგენილი. ომის დაუმთავრებლად, გერმანიასა და მის მოკავშირეებთან სეპარატისტული საზავო ხელშეკრულების დამდები **საბჭოთა რუსეთიც** კონფერენციაზე არ იქნა მიწვეული. საზავო ხელშეკრულებების, 1918 წელს, აშშ-ს პრეზიდენტის ვ. ვილსონის მხრიდან წარმოდგენილი **14 მუხლიან პრინციპებზე** დაფუძნება იყო გათვალისწინებული. ამ მუხლთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი, ტერიტორიასთან დაკავშირებული უთანხმოების, ხალხის მიერ თავისი თვითგამორკვევის პრინციპზე დაყრდნობით მოგვარება იყო. მაგრამ გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის კონფერენციაზე გამოვლენილმა აზრთა სხვადასხვაობამ მდგომარეობა გააუარესა.

ვილსონის "14 მუხლიანი" პრინციპები:

1. კიდევ ერთჯერ ფარულად ხელშეკრულებების ხელმოწერის დაუშვებლობა, საზავო ხელშეკრულებების საზავო პრინციპების შესაბამისად მომზადება; [...] 2. ტერიტორიული წყლების გამოკლებით, როგორც მშვიდობიან პერიოდში, ასევე საომარ მდგომარეობაშიც ზღვებზე თავისუფალი ყოფა; 3. მთლიანი ეკონომიკური შეზღუდვების შეძლებისდაგვარად მოხსნა და თანასწორი საგაჭრო პირობების ჩამოყალიბება [...]; 4. [...] ყველა ქვეყნების იარაღებისა და რესურსების შემცირება [...]; 5. კოლონიებთან დაკავშირებული მთლიანი მოთხოვნების, [...] შესაბამისი ხალხების ინტერესებს მისადაგებით და სახელმწიფოთა მოთხოვნების სამართლიანი მოგვარება; 6. რუსული მიწების საგარეო ძალებისაგან სრულიად განთავისუფლება, ხოლო რუსეთთან დაკავშირებული პრობლემების [...] სრულიად დამოუკიდებლად და თავისი პოლიტიკური განვითარების შესაბამისად მოგვარება [...]; 12. [...] თურქული ხელისუფლების ქვეშ მცხოვრები ხალხებისათვის, შემდგომი არსებობის გარანტიის მიცემა [...]; სრუტეების ღიად ყოფნა და ყველა ქვეყნის გემებისათვის თავისუფლება. [...]; 14. პატარა სახელმწიფოებისათვის, ისევე როგორც დიდი სახელმწიფოებისათვის პოლიტიკური თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტიის მიცემის მიზნით [...] ერების ლიგა უნდა იყოს ორგანიზებული.

ისტორია. სტამბოლი, 2002, გვ. 277

ვილსონი და ერთა ლიგა
ვილსონი: *"ესეც ზეთისხილის შტო. ახლა კი საქმეზე!"*

მტრედი: *"მინდა ყველა ვასიამოვნო, მაგრამ ეს ძნელი".*
ჟურნალი "Punch", 1919 წელი, ინგლისი.

? *რას წარმოადგენს კარიკატურის ძირითადი იდეა?*

პლებისციტი *– საერთო სახალხო ხმის მიცემა*

საზავო ხელშეკრულებების პირობები, მომზადების შემდეგ, დამარცხებულ სახელმწიფოებისათვის ულტიმატუმის სახით იქნა წარდგენილი. კონფერენციაზე პირველ რიგში გერმანიისა და **ვერსალის საზავო ხელშეკრულება** იქნა ხელმოწერილი. ხელშეკრულების პირველი ნაწილი საზღვრის საკითხებს ეხებოდა. გერმანიას ელზასი და ლოტარინგია საფრანგეთისათვის უნდა დაებრუნებინა. საარის რეგიონი საფრანგეთს გადაეცა, მაგრამ მისი მდგომარეობის, 15 წლის შემდეგ, ***პლებისციტის*** გზით განსაზღვრა იყო გათვალისწინებული. პოზნანი და დასავლეთ პრუსია პოლონეთისათვის უნდა გადაცემულიყო. ამასობაში, გერმანია კისრულობდა ვალდებულებას ავსტრიასთან გაერთიანების შესახებ, რომლითაც მთლიან კოლონიებს კარგავდა. ხელშეკრულების სამხედრო პირობების მიხედვით, გერმანიას სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა გაეუქმებინა, ხოლო მისი არმია და ფლოტი შეეზღუდა. მდინარე რეინის მიყოლებით გერმანიას არ შეეძლო ჯარის შენახვა. ხელშეკრულების ყველაზე მძიმე პირობათაგანი გერმანიის მხრიდან ომში ბრალეულობის აღიარება და საამისოდ მის მიერ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება იყო. ამან, შემდგომში გერმანიის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

LATHE

ვერსალის ხელშეკრულება სხვა დამარცხებულ სახელმწიფოებთან ხელმოწერილი ხელშეკრულებებით დამთავრდა. ავსტრიასთან 1919 წელს **სენ ჟერმენის**, ბულგარეთთან **ნეის**, ხოლო უნგრეთთან 1920 წელს ტრიანონის ხელშეკრულებები იქნა ხელმოწერილი. ამ ხელშეკრულებების მიხედვით მათ თავიანთი ტერიტორიების ერთი ნაწილი მეზობელი სახელმწიფოებისათვის უნდა გადაეცათ, ასევე მსგავსად გერმანიისა, უნდა შეეზღუდათ სამხედრო ძალები და კომპენსაცია გადაეხადათ.

ანტანტას სახელმწიფოებს, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში პრობლემად მიჩნეული „აღმოსავლეთის საკითხის“ კატეგორიული გადაწყვეტა სურდათ. საკითხი, რომელიც ოსმალეთის სახელმწიფოს დანაწილებას ითვალისწინებდა, განხილული იქნა და ამ პროცესში ინგლისსა და საფრანგეთს შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა, ამ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების ხელმოწერა დააგვიანა. 1920 წელს ოსმალეთის სახელმწიფოსთან დადებული **სევრის ხელშეკრულებაში** უფრო მძიმე პირობები იყო გათვალისწინებული. ოსმალეთის სახელმწიფოს ტერიტორიები ინგლისს, საფრანგეთს, იტალიასა და საბერძნეთს შორის იქნა განაწილებული. მაგრამ **მუსტაფა ქემალის** მეთაურობით, თურქი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყებამ ამის განხორციელებას ხელი შეუშალა.

პარიზის კონფერენციაზე სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ხელახალი ჩამოყალიბების პროცესში, ეროვნულმა ფაქტორმა ძირითადი როლი შეასრულა. ეს ურთიერთობები უკვე არა ძალის წონასწორობით, არამედ **ერების თვითგამორკვევის პრინციპით** რეგულირდებოდა. ეს, ყოველი ხალხის მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უფლების აღიარებას ნიშნავდა. კონფერენციის შედეგად, განსაკუთრებით ევროპაში, ასევე ახლო და შუა აღმოსავლეთში საზღვრები შეიცვალა. გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიები დაიშალა. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შედეგად ახალი სახელმწიფოები, **ავსტრია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, დასერბეთი–ხორვატია–სლოვენიის სამეფო** (შემდგომში იოგოსლავია) შეიქმნა. ამასთან **პოლონეთის** დამოუკიდებელი სახელმწიფო აღდგენილი იქნა. ხალხის თვითგამორკვევის უფლების აღიარებისას ახალი ეროვნული უმცირესობების პრობლემა გამოვლინდა. ასე რომ, ეროვნული უმცირესობის საკითხი და ეროვნულობა, ომის შემდეგაც მშვიდობისათვის საფრთხეს წარმოადგენდა. კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მშვიდობიანი გზით რეგულირების მიზნით **ერთა ლიგის** ჩამოყალიბება იყო. მაგრამ დამარცხებული სახელმწიფოები და საბჭოთა რუსეთი ამ ორგანიზაციაში არ მიიღეს.



ვერსალის ხელშეკრულების გაშაკრიტიკებელი გერმანული კარიკატურა: ვილიოტინას დანაზა დაბმული თოკის დამჭერი კლემანსო, მარცხენივ ვილსონი, მარჯვნივ ლოიდ ჯორჯი
ჟურნალი "Simplissimus" 1919

1. თქვენი აზრით, მსჯავრდებული ვის წარმოადგენს?
2. რა არის კარიკატურის იდეა?

წინააღმდეგობები და "დამსჯელი მშვიდობა". პარიზის კონფერენციამ გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობის არსებობა დაასაბუთა. გამარჯვებულები, ასევე დამარცხებულებიც საზავო ხელშეკრულებებით უკმაყოფილო იყვნენ. ახლო აღმოსავლეთის დანაწილებისა და სხვა საკითხებში ინგლისსა და საფრანგეთს შორის უთანხმოება მოხდა. საფრანგეთმა ვერ მიაღწია იმ შედეგს, რომელიც მას თავისი უშიშროებისათვის მნიშვნელოვნად მიაჩნდა. იტალია, იმის გამო, რომ ომის დროს ფარული ხელშეკრულებით გათვალისწინებული დათმა, რომლის მიხედვითაც ტერიტორიებს მიიღებდა, არ შესრულდა, უკმაყოფილო იყო. აშშ, რომელსაც ევროპაში ძალთა წონასწორობის შენარჩუნება სურდა, გერმანიის სრულიად დასუსტება არ სურდა. ამიტომაც, ინგლისისა და საფრანგეთის გაძლიერების წინაღობის მიზნით,

LATIE

გერმანიისა და ოსმალეთის სახელმწიფოსაგან ჩამორთმეული მიწების, ერთა ლიგის სამანდატო სისტემის საფუძველზე მართვის შესახებ წინადადება დააყენა. აშშ, იაპონიის შორეულ აღმოსავლეთში გაძლიერებასაც ეწინააღმდეგებოდა. სენატმა, იმის გამო რომ, ერთა ლიგის წევრობა აშშ-ს ჩვეულებით იზოლაციის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა, ვერსალის ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მოახდინა. ამის შედეგად აშშ ერთა ლიგის გარეთ დარჩა.

გერმანიის კოლონიები და ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი შუა აღმოსავლეთში არსებული მიწები სახელწოდება **"სამანდატო რეჟიმის"** ქვეშ, ზოგიერთ გამარჯვებულ სახელმწიფოებს გადაეცა. ამის შედეგად, კოლონიების საკითხი ინგლისის, საფრანგეთისა და იაპონიის სასარგებლოდ გადაწყდა. გერმანიის აფრიკასა და წყნარ ოკეანესთან მყოფი კოლონიები, ასევე ოსმალეთის სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთში არსებულ ტერიტორიებზე კონტროლი ხელში ჩაიგდეს. ინგლისი და მისი დომინიონები, საფრანგეთი, ბელგია და იაპონია მანდატის მფლობელნი გახდნენ. კოლონიები **ა**, **ბ**, და **მ** კატეგორიებად დაიყვნენ. მანდატის მფლობელ სახელმწიფოს **ა** და **ბ** კატეგორიებში შემავალი ქვეყნები დამოუკიდებლობისათვის უნდა მოემზადებინა. **მ** კატეგორიაში შემავალი ტერიტორიები კი, მანდატის მფლობელი სახელმწიფოს საკუთრებად ითვლებოდა. სინამდვილეში, სამანდატო რეჟიმი გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ ტერიტორიული დაპყრობების ერთ-ერთი სახეობა გახდა.

პარიზის კონფერენციის შედეგები. პარიზის მშვიდობის კონფერენცია, არა ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ, არამედ დამარცხებული სახელმწიფოების დასჯისაკენ იყო მიმართული. ომის მიზეზებში ბრალდებულ გერმანიას სამხედრო ძალების შენახვა აეკრძალა. გერმანიამ თავისი ტერიტორიების დიდი ნაწილი და ყველა კოლონია დაკარგა, ასევე უკიდურესად მძიმე სანქციების ქვეშ მოექცა. მას, ამავდროულად ომის კომპენსაციაც უნდა გადაეხადა. ეს და ვერსალის ხელშეკრულების მძიმე პირობები შემდგომში, 1920-იან წლებში გერმანიაში ნაციონალური პოლიტიკური ჯგუფების აქტიურობის მიზეზი გახდა.

"14 მუხლიანი" პრინციპების, რომლებზეც დაყრდნობით ვერსალისა და დამარცხებულ სახელმწიფოებთან დადებული სხვა ხელშეკრულებები იყო გაფორმებული, განხორციელებაში ორმაგი სტანდარტი გამოიყენებოდა. ეს პრინციპები, თუმცა ევროპაში განსაზღვრულ დონეზე გამოიყენებოდა, აზიის, აფრიკისა და ზოგიერთ ამერიკელ ხალხებს არ შეეხო. ომში, ინგლისის არმიაში მებრძოლ ინდოელ ხალხებს დამოუკიდებლობა არ მიეცათ. ომის პერიოდში ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ამბოხების სანაცვლოდ არაბებისათვის მიცემული შეპირება არ შესრულდა. ერაყი და ეგვიპტე მანდატის საფუძველზე ინგლისის კონტროლის ქვეშ დარჩნენ. სირია საფრანგეთის ზედამხედველობის ქვეშ გადაეცა. ჩინეთის ერთი ნაწილი და კორეა იაპონიის შემადგენლობაში დარჩა. იზოლაციის პოლიტიკის გამტარებელი აშშ-ს ერთა საზოგადოებაში შეუსვლელობა და საბჭოთა რუსეთის განზე დარჩენაც, ვერსალის სისტემის სისუსტეზე მეტყველებდა. ყოველი ეს წინააღმდეგობები, შემდგომში თანამედროვე პერიოდამდე ზეგავლენის მომხდენი შერკინებების გამოვლენის მიზეზი გახდა.

ვაშინგტონის კონფერენცია. ევროპაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში პრობლემების მოგვარების შემდეგ, შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის ზონაში ურთიერთობების რე-

ვერსალის ხელშეკრულების ზოგიერთი პირობები:

მუხლი 51. *... 1871 წლის ფრანკფურტის ხელშეკრულებით გერმანიისათვის გადაცემული ტერიტორიები ... კვლავ საფრანგეთის ხელისუფლებას გადაეცა.*

მუხლი 231. *გერმანია, თავისი და მისი მოკავშირეების მოძალადეობის მიზეზით ანტანტას სახელმწიფოებისათვის დამდგარი მთლიანი ზარალისათვის თავის პასუხისმგებლობას აღიარებს.*

მუხლი 232. *ანტანტას სახელმწიფოები თავიანთი სამოქალაქო მოსახლეობისა და მათი ქონებისათვის მიყენებული მთლიანი ზარალის ანაზღაურების მოითხოვს და გერმანია ამ კომპენსაციის გადახდას კისრულობს.*

? *რა უფრო მძიმე შედეგი შეეძლებოდა მოჰყოლოდა გერმანიისათვის, ვერსალის ხელშეკრულებას? დაასაბუთეთ მიზეზი.*

"ომის დამასრულებელი ზავი, ევროპის ყველაზე ძლიერ ორ სახელმწიფოს არ მოიცავდა: გერმანიასა და რუსეთს. ეს ქვეყნები ევროპის მოსახლეობის ნახევარზე მეტს და ყველაზე დიდ სამხედრო პოტენციალს შეადგენდნენ. მხოლოდ ამ სანამდვილესაც კი შეეძლო ვერსალის სისტემის წარუმატებლობა გამოეწვია."

ჰ. კისინჯერი. "დიპლომატია", გვ. 258

? *რომელი ფაქტორი ითვლება ძირითად მიზეზად, ვერსალის ხელშეკრულების წარუმატებლობისათვის? რა არის ამის დამამტკიცებელი საფუძვლები?*

LAVIRE

გულირების მიზნით, 1921-1922 წლებში, ვაშინგტონში კონფერენცია ჩატარდა. ერთ-ერთი შედეგი, რომელიც კონფერენციას მოჰყვა, აშშ-ს, ინგლისს, საფრანგეთსა და იაპონიას შორის ხელმოწერილი ოთხი სახელმწიფო ხელშეკრულება იყო. ხელშეკრულება მხრეების მიერ წყნარი ოკეანის რეგიონში არსებული სამფლობელოების აღიარებას ითვალისწინებდა. კონფერენციაზე, ჩინეთთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელი ხელშეკრულების მიხედვით ჩინეთის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა აღიარებული იქნა. ამ ქვეყნის სამრეწველო და სავაჭრო სფეროებში თანასწორუფლებიანობის პრინციპი გამოიყენებოდა. სინამდვილეში, ყოველივე ეს, აშშ-ს **"ღია კარის" პოლიტიკის** ცხოვრებაში გატარებას ნიშნავდა.

ვაშინგტონის კონფერენცია

კონფერენციაზე ხელმოწერილი მესამე ხელშეკრულება კი, საზღვაო იარაღების შეზღუდვას ეხებოდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგთაგანი, რომელიც ხელშეკრულების დადებას მოჰყვა, იაპონიის წყნარ ოკეანეზე მოქმედების შეზღუდვა იყო. სხვა შედეგს კი, ინგლისის საზღვაო უპირატესობის აშშ-სთან განაწილება წარმოადგენდა. კონფერენციის შედეგებმა იაპონიის უკმაყოფილება გამოიწვია, ამასობაში აშშ-ს წინააღმდეგ მის შურისძიების პოლიტიკას სათავე დაუდო.

ვერსალისა და ვაშინგტონის კონფერენციების გადაწყვეტილებებით, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ახალი სისტემა ჩამოყალიბდა. მაგრამ ამ სისტემამ მსოფლიოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემები სრულიად და სამართლიანად ვერ მოაგვარა.

კითხვები და დავალებები

1. *რა იყო პარიზში დაწყებულული მშვიდობის კონფერენციის მიზანი?*
2. *თქვენი აზრით, რატომ იყო რომ, გამარჯვებულებს პარიზის მშვიდობის კონფერენცია, ისტორიაში ახალი პერიოდის დასაწყისად ჰქონდათ გამოცხადებული?*
3. *რატომ არ იქნა მიწვეული საბჭოთა რუსეთი კონფერენციაზე?*
4. *შეადარეთ ვილსონის "14 მუხლი" ვერსალის ხელშეკრულების პირობებს.*

ვილსონის "14 მუხლი"		*ვერსალის ხელშეკრულება*
სახელი	**მსგავსი ნიშნები**	**განმასხვავებელი ნიშნები**

5. *რომელი პრინციპების საფუძველზე რეგულირდებოდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, პარიზის კონფერენციაზე?*
6. *შეაფასეთ ვერსალის სისტემის წინააღმდეგობები.*
7. *განსაზღვრეთ დროის ისარზე მოცემული მოვლენების თარიღები.*

LAYTHO

10 აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი

საკვანძო სიტყვები

- "პროსპერიტი"
- "ახალი სექტორის" პოლიტიკა
- ლოიდ ჯორჯი
- ლიბერალისტული მთავრობები
- ედუარდ ერიო
- სახალხო ფრონტი

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, გამარჯვებული სახელმწიფოების წამყვანი პოლიტიკური ძალები საშინაო პოლიტიკაში სერიოზულ პრობლემებს წააწყდნენ. ეკონომიკურ სფეროში გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებული სოციალური საპროტესტო მოძრაობების გაფართოებამ, სახელმწიფოები აიძულა დათმობებზე წასულიყვნენ. მმართველმა წრეებმა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების კონტროლის ქვეშ შენარჩუნების მიზნით, მმართველობის ახალ საშუალებებზე დაყრდნობა დაიწყეს. მაგრამ ყოველ გამარჯვებულ სახელმწიფოს, საკუთარი საშინაო პოლიტიკური სპექტრი გაჩნდა.

უორენ ჰარდინგი (მარცხვნივ) და კელვინ კულიჯი

აშშ. პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობამ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ფინანსური ძალის გაზრდა გამოიწვია. იმის გამო, რომ მის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებები არ ხორციელდებოდა, აშშ-მ ომიდან შემოსავალი მიიღო, ასევე გაზარდა ეროვნული სიმდიდრე და მსოფლიოს ოქროს რეზერვის ნახევარზე მეტი თავის ხელში მოაქცია. ომში მონაწილე ევროპული ქვეყნების უმრავლესობა, აშშ-ზე ფინანსურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა.

ვუდრო უილსონის საგარეო პოლიტიკაში წარუმატებლობა და ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის დაწყება, 1920 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატიული პარტიის მარცხის მიზეზი გახდა. რესპუბლიკელი **უორენ ჰარდინგი** პრეზიდენტად იქნა არჩეული. მისი მოულოდნელი სიკვდილის გამო, ამ მოვალეობის შემსრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა **კელვინ კულიჯმა** მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. აშშ-ს ეკონომიკის სწრაფი განვითარების პერიოდში, კულიჯის მიერ ქვეყნის მმართველობამ მისი ავტორიტეტი გაზარდა. რესპუბლიკელები საბაზრო პრინციპების გაფართოებისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს რეგულატორის როლის შეზღუდვის პოლიტიკის მომხრეები იყვნენ და „ნორმალურ პერიოდში", ანუ თავისუფალი ეკონომიკური, სამეწარმეო მოღვაწეობის ბატონობის პირობებში დაბრუნებას ჰპირდებოდნენ. 1922 წლიდან ქვეყანაში სამრეწველო აღზევება დაიწყო. ფოლადის წარმოების შედეგად, ნავთობის მოპოვება და ავტომობილის წარმოება განსაკუთრებით გაიზარდა. ამ პერიოდს, რომელიც 1922 წლამდე გრძელდებოდა, „პროსპერიტის" (ინგლ. prosperity-პროგრესი) პერიოდს უწოდებენ. აშშ, მსოფლიოში ნავთობის მოპოვების 70%-ს, ხოლო ფოლადის წარმოების 50%-ს წარმოადგენდა. ამ წლებში, ავტომობილი „ამერიკული ცხოვრების სტილის განუყოფელ ნაწილად" გადაიქცა. მისი საშუალებით საცხოვრებელი პუნქტები და სამრეწველო დაწესებულებები ერთმანეთთან სანდო სატრანსპორტო ქსელით იყვნენ დაკავშირებულნი. ჰ. ფორდის ქარხნებში გამოყენებულმა, წარმოების ორგანიზების კონვეიერის წესმა გასაქანი მისცა იაფი მანქანების მასობრივ წარმოებას. მსოფლიოში არსებული მთლიანი ავტომობილების 90% აშშ-ში იყო. 1929 წელს, მსოფლიო სამრეწველო წარმოების, დაახლოებით 50%-ის წარმომდგენმა აშშ-მა, ამასობაში საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვის მიხედვით, დიდ ბრიტანეთს გაუსწრო.

ჰ. ფორდის საავტომობილო ქარხანა

წარმოების ორგანიზების კონვეიერის წესი
წარმოების პროცესის, სამეწარმეო ადგილებზე თანმიმდევრულად განლაგებული სპეციალური მოწყობილობებით შესრულებას, ასევე პროცესის სხვადასხვა და შედარებით მოკლევადიან ოპერაციებად დაყოფას ითვალისწინებს.

LAXiTe

ტექნიკური პროგრესის შედეგის სახით, საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოებასთან დაკავშირებული სამრეწველო სფეროები ვითარდებოდა. ამერიკულ ოჯახებში, ამ პერიოდში მაცივარი, ტელევიზორი და სარეცხი მანქანაც გამოიყენებოდა. ევროპაში მათ, მხოლოდ 1950 წლიდან იყენებდნენ. ქვეყანაში დაიწყო რადიო გადაცემების გავრცელება. მოსახლეობის კეთილდღეობა უმჯობესდებოდა, სამუშაო დღე მცირდებოდა და ხელფასი იზრდებოდა. ეს ფაქტორები აშშ-ში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას - გაფიცვებსა და მასთან დაკავშირებულ მოძრაობას ასუსტებდა.

? *როგორი ზეგავლენა მოახდინა "პროსპერიტის" პერიოდის მიღწევებმა, ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზე?*

ომის შემდეგ, აშშ-ში, მოსახლეობას შორის უცხოელი მოქალაქეებისა და რადიკალების მიმართ უნდობლობა იყო გავრცელებული. ქვეყანაში **ანტისემიტიზმისა** და **რასიზმის** აყვავებას ჰქონდა ადგილი. კონსტიტუციაში შეტანილი დამატებით, ქვეყანაში სპირტიანი სასმელების წარმოების, გაყიდვისა და გადაზიდვის აკრძალვამ, ამით უკანონოდ მოვაჭრე ორგანიზებული დამნაშავეები საკმაოდ გააძლიერა. ამიტომაც მცირე ხნის შემდეგ ეს აკრძალვა გაუქმდა. პროტესტანტული ეკლესიის მოთხოვნით, 1925 წლის ივლისში ქალაქ დეიტონში გამართულმა „მაიმუნის სასამართლომ“ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სკოლებში ადამიანის ევოლუციის თეორიის სწავლების ამკრძალავი გადაწყვეტილება მიიღო.

ანტისემიტიზმი *– ებრაელების მიმართ, ეროვნული და რელიგიური თვალსაზრისით გაუსაძლისი შეხედულებების ერთობლიობას წარმოადგენს.*
რასიზმი *– ადამიანთა რასების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უთანასწორობისა და ადამიანთა რასობრივ კუთვნილებასთან დაკავშირებით მათთვის გამორჩევის უფლების მოპოვებების შესახებ იდეოლოგიური შეხედულებების ერთობლიობას წარმოადგენს*

ფრანკლინ დელანო რუზველტი(შუაში)

1929 წლის 24 ოქტომბერს, ნიუ-იორკში მომხდარი ბირჟის გაკოტრება „დიდი ეკონომიკური კრიზისის“ მიზეზი გახდა. ქვეყანაში წარმოება დაახლოებით 50%-ით შემცირდა, უმუშევარ პირთა რიცხვმა 17 მილიონს მიაღწია. თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის პრინციპებისათვის უპირატესობის მიმნიჭებელმა, რესპუბლიკელმა პრეზიდენტმა ჰერბერტ ჰუვერმა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება ვერ შეძლო. 1932 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის მომხრე დემოკრატმა **ფრანკლინ რუზველტმა** გაიმარჯვა. 1933 წლიდან "**ახალი სპექტრის**" **პოლიტიკის** განმახორციელებელმა რუზველტმა, თავისი ხელისუფლების პირველი ასი დღის განმავლობაში 70-ზე მეტი კანონის მიღება შეძლო: გამოყენებული იქნა სახელმწიფო კონტროლი საბანკო სისტემაზე, ორგანიზებული იქნა საზოგადოებრივი სამუშაოები უმუშევართათვის, გაიზარდა ყურადღება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენაზე, ასევე გაიზარდა სახელმწიფოს როლი შრომითი ურთიერთობების რეგულირებაში, ქვეყნის ისტორიაში პირველად ჩამოყალიბდა სახელმწიფო პენსია და დახმარების სისტემა, გაფართოვდა სოციალური დაზღვევა. მაგრამ რეფორმების მოწინააღმდეგეებმა, ეკონომიკური სტაბილურობის აღდგენის შემდეგ, „ახალი სპექტრის“ გარკვეული კანონების კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის მიზეზის დაყენებით, მათი სასამართლოს გზით გაუქმება შეძლეს. მიუხედავად ამისა, ფ. რუზველტის პოლიტიკური ავტორიტეტის გაზრდამ, ზედიზედ კიდევ სამჯერ მის პრეზიდენტად არჩევას ხელი შეუწყო.

! *განსაზღვრეთ სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი ფ. რუზველტის საშინაო პოლიტიკაში.*

დიდი ბრიტანეთი. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ეროვნული სიმდიდრის $^1/_3$-ის დამკარგავი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ დამძიმდა. სამრეწველო წარმოება 20%-ით, ხოლო საგარეო ვაჭრო ბრუნვა 2-ჯერ შემცირდა. მართალია, დიდმა ბრიტანეთმა კოლონიური ტერიტორიები გააფართოვა, მაგრამ მან მსოფლიოს ფინანსური ცენტრის როლი დაკარგა.

ხელისუფლებაში მყოფი ლიბერალი ლოიდ ჯორჯის კოალიციური მთავრობის შიგნით (კონსერვატორები, ლიბერალები, ლეიბორისტები) აზრთა სხვადასხვაობამ ზრდა დაიწყო. ლეი-

LAYTHE



ლოიდ ჯორჯი



1923 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები

– ლიბერალები
– კონსერვატორები
– ლეიბორისტები

ბორისტების მიერ სამთავრობო კოალიციის დატოვების შემდეგ, 1918 წლის დეკემბერში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორებმა და ლიბერალებმა უფრო მეტი ადგილი დაიკავეს. მთავრობას კვლავ ლოიდ ჯორჯი მეთაურობდა. მთავრობას უჭირდა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება. ეკონომიკური კრიზისის მძიმე შედეგები, კონსერვატორებთან აზრთა სხვადასხვაობა და საგარეო პოლიტიკური წარუმატებლობა, 1922 წლის ოქტომბერში, **ლოიდ ჯორჯის** მთავრობის გადადგომის მიზეზი გახდა.

! *განსაზღვრეთ, ომის შემდგომი დიდი ბრიტანეთის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზები.*

1923 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში პროტექციონისტული პოლიტიკისათვის უპირატესობის მიმნიჭებელი კონსერვატორები, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტი მანდატის მომპოვებელ პარტიას წარმოადგენდნენ, თავისთავად მთავრობის ჩამოსაყალიბებელ საპარლამენტო უმრავლესობას არ ფლობდნენ. იმის გამო, რომ ლიბერალებთან კოალიცია არ გამოუვიდათ, მთავრობის ორგანიზების მიზნით ლეიბორისტებთან, რომლებიც საპარლამენტო უმცირესობას წარმოადგენდნენ, დათმობებზე წავიდნენ. დიდ ბრიტანეთში 1924 წლის იანვარში, რამსეი მაკდონალდის მეთაურობით ორგანიზებული პირველი ლეიბორისტული მთავრობის მიერ, მუშებისათვის საცხოვრებლის აშენების მიზნით, მიღებული იქნა კანონი სახელმწიფო ფინანსების გაზრდის შესახებ. ასევე გაუმჯობესებული იქნა სადაზღვევო სისტემა უმუშევრობისათვის, შემცირებული იქნა გარკვეულ საკვებ პროდუქტებზე დადებული ფასები და სხვა. ლეიბორისტებმა, იმის გამო, რომ ლიბერალების წინააღმდეგობას წააწყდნენ, შახტებისა და რკინიგზების ნაციონალიზაციის შესახებ, წინასაარჩევნო დაპირების შესრულება ვერ შეძლეს. გაფიცვების წინააღმდეგ ჯარის გამოყენებაც, მთავრობის ავტორიტეტს არყევდა. მთავრობის მიერ პროტექციონიზმზე უარის თქმის განზრახვა კონსერვატორების წინააღმდეგობას წააწყდა. 1924 წლის ოქტომბერში მთავრობა გადადგა. ამ თვეში ჩატარებულ საფარლამენტო არჩევნებში კონსერვატორებმა გაიმარჯვეს. მთავრობამ ადგილობრივი მეწარმეებისათვის დახმარების მიზნით საშემოსავლო გადასახადი შეამცირა. საფინანსო სისტემის გაძლიერების მიზნით, ფუნტი სტერლინგის ოქროს ღირებულების გაზრდის ღონისძიებებმა, მსოფლიო ბაზარზე ინგლისური საქონლის გაყიდვის შემცირება გამოიწვია. სამრეწველო სფეროებმა შემცირება დაიწყო. ძირითად სამრეწველო სფეროებში (მანქანათმშენებლობა, ქიმია, ავტომობილი, ავიაცია) წარმოება ომის ადრინდელ დონეზე ვერ ავიდა. სარგავსათესი მინდვრების შემცირება აღინიშნებოდა. ქვეყანაში სოციალურმა დაძაბულობამ იმატა. 1926 წელს ქვეყნის ისტორიაში პირველად, მუშათა საერთო გაფიცვა მოხდა. მთავრობამ უარყო მათი ეკონომიკური მოთხოვნები და გაფიცვის ჩახშობის მიზნით მკაცრი ზომები მიიღო. 1927 წელს მიღებული კანონის მიხედვით, მთავრობაზე ზეწოლის მიზნით საერთო გაფიცვების მოწყობა აიკრძალა.

1929 წლის საპარლამენტო არჩევნების მიჯნაზე კონსერვატიული პარტიის შიგნით გაზრდილ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. ნაციონალიზაციის შესახებ მოთხოვნაზე უარის მთქმელმა ლეიბორისტებმა პირველად იყო, რომ არჩევნებში გაიმარჯვეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ პარლამენტში უფრო მეტი ადგილი დაიკავეს, უმრავლესობას ვერ ფლობდნენ, რომლის გამოც კონსერვატორებისა და ლიბერალების ინტერესებისათვის ანგარიში უნდა გაეწიათ. **რამსეი მაკდონალდის** მეთაურობით მეორე ლეიბორისტული მთავრობა (1929-1931) ჩამოყალიბდა. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენამ, ქვეყანაში სოციალ ეკონომიკური მდგომარეობა დაამძიმა. დიდ ბრიტანეთში არსებული კრიზისის შედეგები აშშ-ს, საფრანგეთსა და გერმანიაზე უფრო სუსტი იყო, ხოლო წარმოების დონე კი შედარებით ნაკლებად შემცირდა. 1930 წლის პირველ თვეებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენამ დაამძიმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური

LAYING

მდგომარეობა. მთავრობის მიერ სოციალური ხარჯების დამატებამ, ბიუჯეტში დანაკლისი გაზარდა. ქვეყანა ფინანსური გაკოტრების წინაშე იდგა. ადგილი ჰქონდა მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისა და სოციალური ხარჯების შემცირების აუცილებლობას. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობაში არსებული აზრთა სხვადასხვაობის გამო, რ. მაკდონალდი გადადგა.



რამსეი მაკდონალდი

? *რა იყო რ. მაკდონალდის მეორე ლეიბორისტული მთავრობის გადადგომის მიზეზი?*

შემდგომში ის, ლეიბორისტების ერთი ნაწილის, კონსერვატორებისა და ლიბერალების 1931 წელს ერთად შექმნილი ეროვნულ მთავრობას მეთაურობდა. ეროვნულმა მთავრობამ საგარეო ვაჭრობაში გამოიყენა პროტექციონიზმის პოლიტიკა, გააუქმა ფუნტი სტერლინგის ოქროს ღირებულება, განახორციელა ვრცელი სოციალური პროგრამები. თუმცა უმუშევრობა ისევ რჩებოდა მძიმე სოციალურ პრობლემად. 1932 წელს შექმნილი ბრიტანეთის ფაშისტების კავშირი იყენებდა რა შექმნილ მძიმე მდგომარეობას, ცდილობდა გაეფართოებინა საქმიანობა, თუმცა საზოგადოებაში ძლიერი სოციალური საყრდენის არ არსებობის გამო ფაშიზმმა ვერ შეძლო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში განმტკიცება.

1935 წლიდან მთავრობის ხელმძღვანელი კონსერვატორების განხორციელებული ვრცელი ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების შედეგად ქვეყანა გადავიდა სტაბილური განვითარების ეტაპზე.

საფრანგეთი. ამ ქვეყნის ტერიტორიაზე საომარი მოქმედების მიმდინარეობის გამო, მის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო განვითარებული 10 დეპარტამენტი განადგურებული იყო. შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი შემცირებული იყო. საფრანგეთმა ომში ეროვნული სიმდიდრის $^1/_4$ ნაწილი დაკარგა. საფრანგეთს, რომელიც ომის დაწყებამდე მსოფლიოს ერთ-ერთ ძირითად კრედიტორ ქვეყანას წარმოადგენდა, ომის შემდეგ მოკავშირეების წინაშე საკმაო ვალი გააჩნდა. რუსეთის, ოსმალეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიებში მოხდარი რევოლუციების შედეგად, მისი კაპიტალური დაბანდება საგრძნობლად შემცირდა. ომის წლებში, ტექნიკური თვალსაზრისით მრეწველობის ხელახალი მოწყობით საფრანგეთი კვლავ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სამრეწველო სახელმწიფო გახდა. სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთად გადაქცევამ, საერთაშორისო ურთიერთობებში მას წამყვანი პოზიცია მოაპოვებინა. კოლონიური ქვეყნების გაფართოებამ, ელზასისა და ლოთარინგიის უკან დაბრუნებამ, გერმანიის მიერ საარის ქვანახშირის მაღაროების გამოყენებამ და ფართომასშტაბიანი აღდგენითი სამუშაოების ჩატარებამ, ეკონომიკის განვითარებას ძლიერი ბიძგი მისცა.

? *გაანალიზეთ პირველი მსოფლიო ომის პოზიტიური და ნეგატიური შედეგები საფრანგეთისათვის.*

ეროვნული ბლოკი – 1920-1924 წლებში შედგა 5 მთავრობის კაბინეტი.

საპარლამენტო არჩევნებში რამდენიმე პოლიტიკური ძალის გამაერთიანებელმა **ეროვნულმა ბლოკმა** გაიმარჯვა. ეროვნული ბლოკის მთავრობები, ქვეყანაში ომის შემდგომ დაწყებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევას ცდილობდნენ. მთავრობები, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების საქმეში სახელმწიფოს როლის შემცირებას უპირატესობას ანიჭებდნენ, ლმობიერ საგადასახადო სისტემას იყენებდნენ. გაზრდილი საბიუჯეტო დანაკლისის საკითხის მოგვარების მიზნით, ეროვნული ბლოკის მთავრობის მიერ, რუსეთისაგან ვალების უკან დაბრუნების მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი გერმანიის მხრიდან კომპენსაციის გადახდის გაწელვის საპასუხოდ, 1923 წლის იანვარში, საფრანგეთისა და ბელგიის ჯარების მიერ რურის სამრეწველო მხარის დაპყრობა საფრანგეთის საშინაო პოლიტიკური კრიზისისა და მისი მოკავშირეებთან ურთიერთობის გამწვავების მიზეზი გახდა. 1924 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში მემარცხენე ბლოკმა გაიმარჯვა. **ედუარდ ერიოს** მეთაურობით მთავრობის მცდელობების შედეგად, ქვეყნის ეკონომიკა განვითარების სიჩქარის მიხედვით მხოლოდ აშშ-ს ეკონომიკას ჩამორჩებოდა. ეს ტენდენცია 20-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. 1930 წლის შემოდგომაზე, საფრანგეთში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მძიმე ზეგავლენამ თავი იჩინა.

! *განსაზღვრეთ ეროვნული ბლოკის მთავრობის მიერ რურის პროვინციის დაპყრობის მიზნები.*

LAYTHO

სახალხო ფრონტის მთავრობის შეთაურები ლეონ ბლუმი (მარჯვნივ) და კამილ შოტანი

ხალხო ფრონტის წინააღმდეგ მომზადებული კარიკატურა

1. 1924 – ერიო: "მემარცხენეთა კავშირი ჩამოყალიბდა. მე თქვენ ბედნიერებას გპირდებით". შედეგი: ფრანკის ფასის დაკარგვა.
2. 1932 – ერიო: "კვლავ მემარცხენეთა კავშირი იქნა ჩამოყალიბებული. მე თქვენ ბედნიერებას გპირდებით". შედეგი: 934 წლის 6 თებერვალს ტყვიების წვიმა.
3. 1935 – ერიო: "მემარცხენეთა ბრწყინვალე კავშირი, სახალხო ფრონტი იქნა ჩამოყალიბებული და თქვენ დაინახავთ". შედეგი: "ნეტა, კიდევ რა კატასტროფა მოხდება?"

პოლიტიკური არასტაბილურობა ქვეყანაში ფაშისტური ორგანიზაციების აქტიურობის მიზეზი გახდა. საფრანგეთის ფაშისტური ორგანიზაციების ძირითადი მიზანი ქვეყანაში საპარლამენტო წყობის გაუქმება და საკუთარი დიქტატურის დამყარება იყო. 1934 წლის თებერვალში პარიზში ფაშისტური აჯანყება წარუმატებლად დასრულდა.

ფაშიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სოციალისტებმა, კომუნისტებმა და რადიკალებმა 1935 წელს სახალხო ფრონტი ჩამოაყალიბეს. 1936 წლის აპრილში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში სახალხო ფრონტის ბლოკმა გაიმარჯვა. ორ წლამდე ვადით მოქმედმა სახალხო ფრონტის მთავრობებმა ფართო სოციალური რეფორმები გაატარეს. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში გაიზარდა, ფაშისტური ორგანიზაციები აიკრძალა, საგადასახადო და განათლების სისტემებშიც რეფორმები იქნა გატარებული და ა.შ. მთავრობამ მუშათა და მეწარმეთა შორის ურთიერთობების მარეგულირებელი შეთანხმების ხელმოწერას მიაღწია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები სახალხო ფრონტის ხელისუფლებას არ ენდობოდნენ და ქვეყნიდან კაპიტალის გატანა საკმაოდ გაიზარდა. ამან კი, ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითი ზეგავლენა მო-ახდინა. მართალია ფაშისტური ორგანიზაციები აკრძალული იქნა, მიუხედავად ამისა ისინი სხვა სახელებით მაინც განაგრძობდნენ თავიანთ მოქმედებებს. სახალხო ფრონტის ბლოკის შიგნით, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით, პარტიებს შორის გამწვავებული იდეოლოგიური აზრთა სხვადასხვაობა, მისი დაშლის მიზეზი გახდა. რადიკალური პარტიის წევრთაგან დაკომპლექტებულმა ახალმა მთავრობამ სახალხო ფრონტის ხელისუფლების დროს მიღებული გარკვეული კანონები და გადაწყვეტილებები გააუქმა.

კითხვები და დავალებები

1. *რაში მდგომარეობდა ომის შემდეგ აშშ-ის კონსტიტუციაში შეტანილი დამატების აზრი?*
2. *განსაზღვრეთ აშშ-ში სხვაობა რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ეკონომიკურ პოლიტიკაში.*
3. *რა იყო საფრანგეთში სახალხო ფრონტის ჩამოყალიბების მიზეზები?*
4. *რომელი პარტიები შედიოდნენ დიდი ბრიტანეთის ეროვნული მთავრობის შემადგენლობაში?*
5. *გაანალიზეთ ინგლისის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა XX საუკუნის 20-იან წლებში.*
6. *განსაზღვრეთ, ომის შემდეგ საფრანგეთის ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორები.*

LAYTHO

11 გერმანია, იტალია და სსრ კავშირი

საკვანძო სიტყვები

- "ვეიმარის რესპუბლიკა"
- "ბროლის ღამე"
- ლატერანის კონკორდატი
- "კორპორატიული სახელმწიფო
- ოქტომბრის რევოლუცია
- საშოქალაქო ომი

XX საუკუნის 20–30-იან წლებში ევროპულ ქვეყნებში, მოსახლეობის უმრავლესობა თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, სახელმწიფო პრობლემების მოგვარების შესაძლებლობის არ მქონე პარლამენტარიზმით და დემოკრატიაზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემით უკმაყოფილო იყო. იმის გამო, რომ ადამიანებს უფრო ძლიერი პოლიტიკური რეჟიმისა და სოციალურ დემაგოგიური იდეები ასტიმულირებდა, ამ რეაქციული პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში მოსვლის გარანტია გამოვლინდა. ამის შედეგად განსაზღვრულ ქვეყნებში ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი ჩამოყალიბდა.

გერმანია. 1918 წლის ნოემბრის დასაწყისში, ქალაქ კილში სამხედრო მეზღვაურების აჯანყებით დაწყებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, მონარქიის დამხობითა და გერმანიაში პირველად, რესპუბლიკის გამოცხადებით დამთავრდა. 1919 წელს მიღებული კონსტიტუციის მიხედვითპირველი მუხლის თანახმად, გერმანიის იმპერია რესპუბლიკად გამოცხადდა და განაცხადა, რომ პოლიტიკური ხელისუფლების წყარო ხალხია. დამკვიდრდა საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკური წყობა და ფედერატიული ადმინისტრაციულ-სამმართველო სისტემა, გამოცხადებული იქნა დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებები. რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს რეიხსტაგი (იმპერიის საბჭო), სახელმწიფოს მეთაურს იმპერიის პრეზიდენტი, მთავრობის მეთაურს რეიხსკანცლერი ეწოდა.

ომის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამრეწველო წარმოება ომამდელი დონის ნახევარზე ნაკლებს შეადგენდა. საომარ ხარჯებს ქვეყნის ფინანსური სისტემა შერყეული ჰქონდა. ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიისაგან მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრები და ნედლეულის წყაროები ჩამორთმეული იქნა, ქვეყანამ დაკარგა მოსახლეობის 10%, იძულებული გახდა გამარჯვებული სახელმწიფოებისათვის კომპენსაცია გადაეხადა. რურის კრიზისის დროს გერმანიას ქვანახშირის წარმოების, ასევე თუჯის და ფოლადის დნობის დიდი ნაწილებიც ჩამორთმეული ჰქონდა. დამპყრობთა საწინააღმდეგოდ პასიური მოძრაობა (დამპყრობი ძალების ინსტრუქციების შეუსრულებლობა და მასობრივი დაუმორჩილებლობა) ფართოდ გავრცელებული იყო.

აჯანყებული რაზმები ბერლინის ქუჩებში. 1918 წელი, ნოემბერი

კონსტიტუციას, იმის გამო, რომ ქალაქ ვეიმარში ჩატარებულ დამფუძნებელთა კრებაზე იყო მიღებული, ვეიმარის კონსტიტუცია, ხოლო 1919–1934 წლებში გერმანიაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს კი, "ვეიმარის რესპუბლიკა" ეწოდებოდა.

ნაცისტების აჯანყება მუნჰენში. 1923 წელი

* ვეიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ფორმულირება "გერმანიის იმპერია" შენარჩუნებული იყო, როგორც ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის ატრიბუტი.

LAYIHA

კომუნისტებმა, სოციალ-დემოკრატებმა და ნაციონალ-სოციალისტებმა, რომლებიც არსებული მდგომარეობით სარგებლობას ცდილობდნენ, ქვეყნის სხვადასხვა ადგილას აჯანყებების მოწყობის გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდება სცადეს, რომელიც უშედეგო აღმოჩნდა.

! *განსაზღვრეთ გერმანიის ომის შემდგომი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზები.*

პრეზიდენტი ჰინდერბურგი და ადოლფ ჰიტლერი

ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტია *– 1919 წლის იანვარში, მიუნჰენში ანტონ დრეკსლერის მიერ ჩამოყალიბებულ გერმანულ მუშათა პარტიას, ადოლფ ჰიტლერის წინადადებით 1920 წლის თებერვალში, ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტია ეწოდა. ამავე წლის აპრილში, პარტიის "25 პუნქტის" სახელწოდების პროგრამა იქნა მიღებული. პარტიის იდეოლოგია სოციალიზმის, ფაშიზმის, ანტიკომუნიზმის, ანტისემიტიზმის, ნაციონალიზმისა და რასიზმის დებულებებისაგან შესდგებოდა. 1921 წლის იანვრიდან ადოლფ ჰიტლერი პარტიის ხელმძღვანელი გახდა.*

ტოტალიტარიზმი *– პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი სფეროს სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მოქცევას ითვალისწინებს.*

1924-1929 წლები, ვეიმარის რესპუბლიკის „ოქროს ხანად ითვლებოდა. უცხოური კაპიტალის დახმარებით აღდგენილი ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა. ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა აღინიშნებოდა. მაგრამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად, სამრეწველო წარმოება მკვეთრად შემცირდა, ხოლო უმუშევართა რიცხვმა მოიმატა. ნაციონალისტ-სოციალისტებმა და კომუნისტებმა, რომლებმაც მთავრობის კრიზისთან ბრძოლაში უძლურობით ისარგებლეს, ფართო პროპაგანდისტული კამპანიის წარმოების გზით მომხრეების რიცხვი გაზარდეს.

1932 წელს რეიხსტაგში ჩატარებულ არჩევნებში ნაცისტებმა სხვა პარტიებთან შედარებით უფრო მეტი ადგილი მოიპოვეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ადგილიები მთლიანი ადგილების ნახევარზე ნაკლებს შეადგენდა. მათი ლიდერი ადოლფ ჰიტლერი, ამ პერიოდში კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების, ასევე სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდების წინააღმდეგი იყო. 1933 წლის იანვარში, რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰინდერბურგმა მცირედი ყოყმანის შემდეგ, ის რეიხსკანცლერად დანიშნა. ჰიტლერი ჯერ იძულებილი გახდა მთავრობის შემადგენლობაში თავდაპირველად ნაცისტებთან ერთად სხვა პარტიების წარმომადგენლებიც შესულიყვნენ.

გერმანიაში დაიწყო რესპუბლიკური წყობის თანდათან ტოტალიტარულ დიქტატურად გადაქცევა. ძირითად კონკურენტი და რეიხსტაგის გადაწვაში ბრალდებული ძირითადი კონკურენტების სახით კომუნისტების მიმართ მტრულად განწყობილმა ნაცისტებმა, შემდგომში სხვა პარტიების მოქმედებებიც აკრძალეს. მთავრობამ საგანგებო უფლებამოსილებები მოიპოვა. მოქალაქეთა კონსტიტუციური თავისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გაუქმდა. ჰიტლერი, პარტიის შიგნით მის წინააღმდეგ გამომსვლელ ოპოზიციას გადაემტერა. ჰინდერბურგის სიკვდილის შემდეგ ჰიტლერმა რეიხსკანცლერის, პრეზიდენტისა და მთავარი სარდლის უფლებამოსილებები თავის ხელში გააერთიანა. ჩატარებულ რეფერენდუმში, ქვეყნის მოსახლეობამ მთლიანი ხელისუფლების ჰიტლერის ხელში გაერთიანებას მხარი დაუჭირა. ჰიტლერმა 1935 წელს ჩატარებულ ყრილობაზე განაცხადა: „ეხლა სახელმწიფო ჩვენ კი არ გვიბრძანებს, არამედ ჩვენ ვუბრძანებთ სახელმწიფოს“.

? *რომელმა ფაქტორებმა მისცა გარანტია ნაცისტების მოსვლას ხელისუფლებაში?*

გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის დამკვიდრების მიზნით, პროპაგანდა და ტერორი მნიშვნელოვანი საშუალებები სახით გამოიყენებოდა. ქვეყანაში აშენდა დიდი საპატიმროები და ჩამოყალიბდა საიდუმლო პოლიცია (გესტაპო). ახლად დაწესებულ სახალხო განათლებისა და პროპაგანდის სამინისტროს, ქვეყნის მთლიანი პრესა, რადიო, კინო, ლიტერატურა და ხელოვნება ნაცისტური რეჟიმის განმტკიცების მიზნით განხორციელებულ პროპაგანდას დაუქვემდებარა. პროპაგანდის გაწევისას ნაციონალიზმსა და შოვინიზმის პარალელურად, ფართოდ გამოიყენებოდა

LAVITA

ისეთი დებულებები, როგორიცაა რევანშიზმი, რასიზმი, ანტისემიტიზმი და ანტიკომუნიზმი. 1938 წლის ნოემბერში, პარიზში გერმანელი დიპლომატის მკვლელობის მიზნით განხორციელებული აქტის მომიზეზებით, ქვეყანაში ნაცისტების ხელისუფლებამ ებრაელების წინააღმდეგ, ისტორიაში **"ბროლის ღამედ"** ანუ **"ჩამტვრეული ვიტრინების ღამედ"** ცნობილი ძარცვები განახორციელა. ნაცისტებმა ეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლი აღადგინეს. ეკონომიკის ომის სამზადისისათვის დაქვემდებარების შედეგად, სამრეწველო წარმოებამ ორჯერ მოიმატა. უმუშევართა რიცხვი შემცირდა. ნაცისტებმა აგრარული რეფორმის გატარების შესახებ დათქმული შეპირება არ შეასრულეს. მაგრამ გლეხთა ვალების ნახევრის წაშლისა და გადასახადების ნაწილობრივი შემცირების შედეგად, სოფლის მეურნეობის შემოსავალმა მოიმატა. ყოველივე ამის მიუხედავად, II მსოფლიო ომის მიჯნაზე გერმანია თავს პროდუქტით მთლიანად ვერ უზრუნველყოფდა.

"ჩამტვრეული ვიტრინების ღამის" შემდეგ. ნოემბერი, 1938 წელი

იტალია. მსოფლიო ომიდან „გამარჯვებულთა რიგში დამარცხებული სახელმწიფოს" სახით გამოსული იტალიის მოსახლეობის ყველა ფენებს შორის ომში მოპოვებულ მცირედ სარგებელთან დაკავშირებით იმედგაცრუებისა და პესიმიზმის გრძნობები იყო გავრცელებული. ქვეყანაში ადგილი ჰქონდა რთულ პოლიტიკურ ვითარებას. კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო. მმართველი წრეები სოციალური პროტესტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ფაშისტური ორგანიზაციების ძალებს იყენებდნენ.

ბ. მუსოლინის (შუაში) მომხრეების შეტევა რომზე. 1922 წლის 30 ოქტომბერი

ფაშისტების ხელმძღვანელის, **ბენიტო მუსოლინის** ბრძანებით მისი ათიათასობითი მომხრე, 1922 წელს რომში შევიდა. მეფემ მუსოლინი მთავრობის მეთაურად დანიშნა. ოპოზიციური ძალების შიგნით გაძლიერულმა დაპირისპირებამ, იტალიაში ლიბერალური სახელმწიფოს გაუქმება და ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების განმასახიერებელი ფაშისტური დიქტატურის დამყარებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა.

! *შეეცადეთ განმარტოთ ცნება "გამარჯვებულთა რიგში დამარცხებული სახელმწიფო".*

1925 წელს, პარლამენტმა მუსოლინს დიქტატორის უფლებამოსილებები მიანიჭა. მუსოლინსა და რომის პაპს შორის ლატერანის სასახლეში ხელმოწერილი კონკორდატით ვატიკანის სახელმწიფო ჩამოყალიბდა. 1929 წლიდან, მთავრობას რომის პაპისათვის, იმის გამო, რომ მას ქალაქ რომთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე უარი ჰქონდა ნათქვამი, დიდი

იტალიის ბრძოლის კავშირი *(Fasci italiani di combattimento – "იტალიის ბრძოლის კავშირი") – 1919 წლის გაზაფხულზე მილანში ბენიტო მუსოლინის მეთაურობით ჩამოყალიბებული პირველი ფაშისტური ორგანიზაციაა. თავდაპირველად, განსაზღვრულ პრიციპებზე დაფუძნებული პროგრამა არ არსებობდა; ისინი საზოგადოების სხვადასხვა ფენების სიმპათიის მოსაპოვებლად, პოპულარულ და რადიკალურ მოთხოვნებს აყენებდნენ მონარქისა და ეკლესიათა ტიტულების გაუქმებას, 8 საათიანი სამუშაო დღის გამოყენებას, "მიწის მისი დამამუშავებელთათვის გადაცემის" პრინციპის საფუძველზე აგრარული რეფორმის ვატარებას, საერთო საშინაო ვალდებულების გაუქმებას და სხვ.*

კონკორდატი *– რომის პაპის მიერ სხვა სახელმწიფოებთან დადებული შეთანხმებების სახელწოდებაა.*

* 1938 წლის 9-10 ნოემბერს გერმანიის მთელ ტერიტორიაზე ხელისუფლების ორგანოების მოვლენებისადმი ყურადღების მიუქცევლობის პირობებში ებრაელების კუთვნილი მაღაზიები, სინაგოგები და შენობები გაძარცვული იქნა ფაშისტური ორგანიზაციის წევრების მიერ.

LAYTHe

ლატერანის კონკორდატის ხელმოწერა

კორპორატიული სახელმწიფო – საზოგადოების ყველა ფენების ფარული კონტროლის ქვეშ ყოლისათვის, ტოტალიტარული რეჟიმების სოციალ-ეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსი პირველად იტალიაში, ხოლო შემდეგ გერმანიასა და ესპანეთში იქნა გამოყენებული.
ავტარკია – ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის მიერ თავის უზრუნველყოფასა და სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის უარყოფელი დახურული ეკონომიკის გამოვლენას ითვალისწინებს.

ვლადიმირ ილიჩ ლენინი

ოდენობის კომპენსაცია უნდა გადაეხადა. პაპი მუსოლინის პოლიტიკას მხარს უჭერდა.

1927 წელს მიღებული კანონის მიხედვით, გაკეთდა განხცადება, რომ იტალიაში **„კორპორატიული სახელმწიფო"** ჩამოყალიბდებოდა. ქვეყნის ეკონომიკის ძირითად სფეროებში მეწარმეთა, პროფკავშირებისა და ყველა მოამაგეთა გამაერთიანებელი კორპორაციები ჩამოყალიბდა, გამოყენებული იქნა 8 საათიანი სამუშაო დღე და 40 საათიანი სამუშაო კვირა. მუსოლინი იტალიის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და თვითუზრუნველყოფისაკენ მიმართულ **ავტარკიის პოლიტიკას** ატარებდა. ეკონომიკის ტექნიკური და სტრუქტურული თვალსაზრისით ხელახალი მოწყობისა და სახელმწიფოს მხრიდან სოციალ-ეკონომიკურ პროცესებში ჩარევის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური განვითარება დაჩქარდა, იტალია ევროპის მოწინავე ქვეყნებს მაინც უკან ჩამორჩებოდა. ეთიოპიის დაპყრობის შემდეგ, 1936 წლის მაისში მუსოლინმა გააკეთა განცხადება იტალიის იმპერიად გადაქცევის შესახებ.

რუსეთი – სსრკ. პირველ მსოფლიო ომში რუსული არმიების მარცხებმა, ასევე მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩენილი ეკონომიკით არმიისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის შეუძლებლობამ რუსეთში საშინაო პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური წინააღმდეგობები გაამწვავა. ომისა და მთავრობის წინააღმდეგ გამომსვლელებმა მოიმატეს. 1917 წლის თებერვალში, პეტროგრადში მომხდარი რევოლუციური გამოსვლები გამარჯვებით დამთავრდა. რუსეთში თებერვლის რევოლუციის შედეგად მონარქია დაეცა. 2 მარტს ორგანიზებულმა დროებითმა მთავრობამ, ქვეყნის მომავალი მმართველობის ფორმის განსაზღვრის მიზნით, დამფუძნებელთა კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. იმიგრაციიდან დაბრუნებული ბოლშევიკების ლიდერი ვ.ი. ლენინი, საბჭოების მხრიდან ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. მთავრობამ ბოლშევიკებს გერმანიის სასარგებლოდ მოქმედებით სახელმწიფო ღალატში ბრალი დასდო და მათი რამდენიმე ხელმძღვანელი დააპატიმრა კიდეც. ქვეყანაში უფრო მკაცრი სახელმწიფო წესრიგის მომხრედ გამოსული, რუსული ჯარების მთავარსარდალის, კორნილოვის მიერ 1917 წლის აგვისტოში მთავრობის წინააღმდეგ ორგანიზებული ამბოხების ჩახშობის შემდეგ, 1 სექტემბერს რუსეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. დროებითი მთავრობის, ქვეყნის რთული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მიმართულებით მოქმედებების უკმარისობამ, საზოგადოებაში მისი ავტორიტეტი შეასუსტა. ამ მდგომარეობით ისარგებლეს ბოლშევიკებმა, რომლებმაც 1917 წლის ოქტომბერში, წინა დამეს პეტროგრადში სახელმწიფო გადატრიალების მიზნით ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს. ლენინის მეთაურობით ორგანიზებულმა საბჭოთა მთავრობამ - სახალხო კომისართა საბჭომ მიღებული პირველი დეკრეტების საფუძველზე გლეხებისათვის მიწის გადაცემითა და ქვეყნის ომიდან გამოყვანით მოსახლეობის უმრავლესობის პატივისცემა მოიპოვა და 1918 წლის თებერვლამდე რუსეთის ყოფილი იმპერიის დიდი ნაწილი თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია. 1918 წლის იანვარში ბოლშევიკების მიერ, პეტროგრადში მოწვეული დამფუძნებელთა კრების დათხოვნამ ამ ქვეყანაში სამამულო ომის დაწყებას მისცა ბიძგი. 1918 წლის მაისის ბოლო-

LATHe

დან დაწყებული და ანტანტას არმიების აქტიური სამხედრო ჩარევით მიმდინარე სამამულო ომი, 1920 წლის შემოდგომაზე, ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა.

! *განსაზღვრეთ სამამულო ომში საბჭოთა მთავრობის გამარჯვების მიზეზები.*

1918 წელს მიღებული კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფოს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტური რესპუბლიკა (რსფსრ), ხოლო ხელისუფლებას **პროლეტარიატის დიქტატურა** ეწოდა. ახალი ტიპის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ჩამოყალიბდა.

პროლეტარიატის დიქტატურა – კომუნისტური იდეოლოგიის მიხედვით მუშათა კლასის ინტერესების წარმომდგენი პოლიტიკური ხელისუფლების ფორმაა. კომუნისტები, წარმოაჩენდნენ რა, საკუთარ თავს მშრომელი ხალხის დამცველებად, საზოგადოებას ძალის გამოყენებით მიაღებინებდნენ საკუთარ იდეებს, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ იყენებდნენ რეპრესიებს.

კონფისკაციის სახით, რომელიც კრიზისიდან გამოსვლის საშუალებად ითვლებოდა, ნაციონალიზაციის ფართო ღონისძიებები ხორციელდებოდა. „სამხედრო კომუნიზმად“ წოდებული ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება დაიწყო. თუმცა ქვეყანა ღრმა ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. 1921 წელს გამოვლენილი პროდუქტის კრიზისის შედეგად, დაახლოებით 5 მილიონი ადამიანი შიმშილით დაიღუპა. გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყებების უმოწყალოდ ჩამხშობმა საბჭოთა მთავრობამ, მიიღო კანონი „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლებას წარმოაჩენდნენ, როგორც მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას

საბჭოთა რუსეთი, მის მიერ მიღებული „რუსი ხალხების უფლებათა დეკლარაციით“ ხალხების დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უფლებას განაცხადებდა, მიუხედავად ამისა, ფინეთისა და პოლონეთის დამოუკიდებლობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ, მან პოზიცია შეიცვალა და ფედერაციული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. სხვა საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში არსებული სუვერენული უფლებები, „საერთაშორისო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის ჩამოყალიბების მომიზეზებით, საბჭოთა რუსეთის მიერ შეზღუდული იქნა. მათი „ფორმალური დამოუკიდებლობა“ მალე აღმოფხვრილი აღმოჩნდა. მოსკოვში, საბჭოთა რესპუბლიკათა ახალი ფედერაციული მოდელის გამზადების მიზნით, კომისია ჩამოყალიბდა. საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელთაგან იოსებ სტალინის მიერ წარმოდგენილ პროექტში, საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიური ტერიტორიების სახით, რსფსრ-ის შემადგენლობაში შესვლა იყო გათვალისწინებული. მაგრამ ზოგიერთი საბჭოთა რესპუბლიკების პარტიების ხელმძღვანელებმა, განსაკუთრებით საქართველოს ხელმძღვანელობამ ეს პროექტი უარყო. ამ შემთხვევაში ლენინმა დააყენა კატეგორიული წინადადება სუვერენული და თანასწორუფლებიანი საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი კავშირის ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ. 1922 წლის 30 დეკემბერს რსფსრ-ის, ასფსრ-ის, უკრაინასა და ბელორუსიის მიერ სსრკ (საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი) იქნა ჩამოყალიბებული. ცენტრალური ხაზია საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. 1924 წლის იანვარში, სსრკ-ის პირველი კონსტიტუცია იქნა მიღებული. შემდეგ უზბეკეთი და თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი საბჭოთა რესპუბლიკების სახით სსრკ-ის შემადგენლობაში იქნენ შეყვანილნი. 1936 წლის დეკემბერში, სსრკ-ის ახლად მიღებული კონსტიტუცია „სოციალისტური წყობის გამარჯვებას“ კანონმდებლობით ადგენდა.

? *რა იყო ლენინის მიერ, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ ახალი პროექტის წარდგენის მიზეზი?*

1920 იანი წლების დასასრულსა და 1930 იანი წლების დასაწყისში სსრკ-ში დაჩქარებული „სოციალისტური წყობის ღონისძიებები“ იქნა გატარებული. ამ ღონისძიებათა რიგში **ინდუს-**

LAYITD

ინდუსტრიალიზაცია *– ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა 1925 წლიდან დაიწყო. მისი მიზანი, მოკლე დროის განმავლობაში სსრკ–ის მრეწველობის თვალსაზრისით სწრაფი განვითარების უზრუნველყოფა იყო. საბჭოთა სახელმწიფომ ყოველივე ამას, ძირითადად მილიონობითი ადამიანის მიერ მძიმე პირობებში შესრულებული შრომით მიაღწია.*

კოლექტივიზაცია *– კოლექტივიზაციის პოლიტიკა, მართალია ნაწილობრივ ჯერ კიდევ 1920–იანი წლების დასაწყისში დაიწყო, მისი ძალადობით და სრულ განხორციელებას 1929 წლიდან შუდვნენ. ამის მიზანი ინდივიდუალური სოფლის მეურნეობის გაუქმება, ხოლო მის ნაცვლად ადმინისტრაციული ზედამზედველობის ქვეშ მოქმედი კოლექტიური სოფლის მეურნეობისა (კოლხოზი) და სახელმწიფო საჭოთა მეურნეობის (სოვხოზი) ჩამოყალიბება იყო.*

გულაგი *– "რეფორმის შრომითი ბანაკის მთავარი სამართველო" "ანტისაბჭოურ" ელემენტებად მიჩნეულთა შენახვის დახურულ საპატიმრო ბანაკებზე ზედამზედველი დამსჯელი ორგანო*

ტრიალიზაციასა და **კოლექტივიზაციას** მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. კოლექტივიზაციის მძიმე შედეგთაგან ერთ-ერთი, ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინაში, ასევე ქვემო და ზემო ვოლგის-პირეთში მილიონობითი ადამიანის შიმშილით დაღუპვა იყო. მილიონობით კულაკის ოჯახის წევრები ***გულაგის*** „მოსახლეობის“ რიგებში მძიმე დანაკლისებს უპირისპირდებოდნენ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მშრომელი გლეხები კი, საბჭოთა სახელმწიფოს მხრიდან „ბატონობის უფლების მეორეჯერ აღდგენით“ დაჯილდოვდნენ. 1932 წელს სსრკ-ში ჩატარებული პასპორტებით უზრუნველყოფის პროცესში, გლეხების ქალაქებში დინების წინაღობის მიზნით, მათ პასპორტი არ მიეცათ. სამრეწველო პოლიტიკის შედეგად, ქალაქის მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა, უმუშევრობა სრულიად გაუქმდა. სამრეწველო წარმოების მიხედვით, 1937 წელს სსრკ მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩებოდა. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარება მთლიანად მრეწველობის განვითარების მოთხოვნებს დაექვემდებარა. ყოველივე ამისა და ფართომასშტაბიანი რეპრესიების გატარების შედეგად, ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკური ხელისუფლების მონოპოლია დამყარდა. ქვეყანაში შეიქმნა ხელისუფლების ტოტალიტარული სისტემა. 1936 წლის დეკემბერში მიღებულმა კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით დაამკვიდრა „სოციალისტური წყობის გამარჯვება“.

რეპრესირებული ადამიანების პატიმართა ბანაკში გავზავნა

1930-იანი წლების მეორე ნახევარში, სსრკ-ში „დიდი ტერორის“ შედეგად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი პირები უფრო მეტი რეპრესიების ქვეშ მოექცნენ. ეს სტალინის პარტიაში „ძირეული წმენდის“ ჩატარებით პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ჩამოცილების მიზანთან იყო დაკავშირებული. „კონტრევოლუციაში მონაწილეობის“, „უცხოურ დაზვერვებში ჯაშუშობის“, „სტალინისა და მისი თანამებრძოლების წინააღმდეგ ტერორის მომზადების“ და სხვა ცრუ ბრალდებებით დაპატიმრებულ, გადასახლებულ და დახვრეტილი იქნა მილიონობით ადამიანი. დაპატიმრებულთა საქმეების გამოძიება 10 დღის განმავლობაში მთავრდებოდა, აპელაციისა და პატიების შესახებ მოთხოვნის უფლებები არ მიიღებოდა, ხოლო სასჯელი დახვრეტის სახით, განაჩენის გამოტანისთანავე სრულდებოდა. 1921-1954 წლებში „ანტირევოლუციური დანაშაულებისათვის“ დაპატიმრებული დაახლოებით 4 მილიონი ადამიანიდან 650 ათასი დახვრეტილი იქნა. რეპრესიებმა საბჭოთა არმიის მეთაურთა შემადგენლობას ზღვარგადასული ზარალი მიაყენა. 1937-1938 წლების რეპრესიების პერიოდში, არმიისა და ფრონტის მეთაურთა და პოლიტიკური ხელმძღვანელების თითქმის 45% განადგურებული იქნა. ეს კი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა არმიების მძიმე მარცხების მიზეზი გახდა. ბოლშევიკური პარტიის მიერ ქვეყნის მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ტერორისტული პოლიტიკის საწინააღმდეგო გამოსვლები, მისი არაორგანიზებულობის გამო უმოწყალოდ იქნა ჩახშობილი.

კითხვები და დავალებები

1. *განსაზღვრეთ 1923 წელს გერმანიაში კომუნისტთა და ნაცისტთა მოქმედებების მსგავსი მხარეები.*
2. *რომელი საშუალებები გამოიყენებოდა ნაცისტთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის?*
3. *რა პირობა წარმოადგენდა გარანტიას, იტალიაში ფაშისტების ხელისუფლებაში მოსასვლელად?*
4. *რა იყო რუსეთში თებერვლის რევოლუციის მიზეზები?*
5. *შეაცადეთ დაასაბუთოთ სსრკ–ის შემადგენლობაში შესული ეროვნული რესპუბლიკების ფორმალური დამოუკიდებლობები.*

LAYTHO

12 თურქეთი და ირანი

საკვანძო სიტყვები

- ათათურქი
- "უფლებათა დაცვის" საზოგადოება
- შუდროსის ზავი
- "ეროვნული ფიცი"
- ეტატიზმი
- შეიხ მაჰამმად ხიაბანი
- რზა ხანი
- ფეჰლავიების დინასტია
- ინგლის-ირანული ნავთობ კომპანია

მართალია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ოსმალეთის სახელმწიფო, როგორც სახელმწიფო განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.თურქი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის შედეგად თურქეთის რესპუბლიკა ჩამოყალიბდა. ათათურქმა, რომელიც ამ სახელმწიფოს ფუძემდებლად ითვლებოდა, ქვეყანაში დასავლეთზე ორიენტირებული პოლიტიკა გაატარა, რომლის შედეგად მოკლე დროის განმავლობაში უკან ჩამორჩენილ ნახევრადფეოდალურ სახელმწიფოს, თანამედროვე თურქეთის საფუძველი ჩაეყარა. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისი, ირანში სახალხო თავისუფლებისათვის ბრძოლითა და ხელისუფლების შეცვლით შემორჩა მეხსიერებაში. ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა დინასტიამ ირანის განვითარების ახალი გზა განსაზღვრა.

შავი ზღვა
ბულგარეთი
ედირნე
საბერძნეთი
სტამბოლი
ზონგულდაქი
სინოპი
ბათუმი
ტიფლისი
ბურსა
ადაბაზარი
ბოლუ
ანკარა
ესკიშეჰერი
ბურსა
ჩანაქალე
გელიბოლუ
იმროზი
ეგეოსის ზღვა
ამასია
სამსუნი
ტოკატი
ორდუ
ტრაბზონი
ერზინჯანი
ერზრუმი
სივასი
ქაისერი
ბიტლისი
ვანი
ალაგეზი
ალადაღი
ბოლნისი
ბაიბურთი
ბაიბურთი
ბოლნისი
ბოდრუმი
ანტალია
კარამანი
ქონია
ადანა
ანთეფი
ურფა
მარდინი
ალეპო
რაქა
ერაყი
სირია
ხუმსი
ეგვიპტე
ალექსანდრია
ალექსანდრია
ალექსანდრია

მუსტაფა ქამალ ათათურქი

სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ხელმძღვანელად გადაიქცა. მუსტაფა ქამალისა და მის თანამოაზრეთა პირველი საქმე ეროვნული ძალების მობილიზება გახდა. ამ მიზნით „უფლებების დაცვის“ საზოგადოება ჩამოყალიბდა. ამ საზოგადოებამ ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში ჩატარებულ ერზურუმისა და სივასის კონგრესებზე ხალხს მუდროსის ზავის ჩარჩოებში თურქეთის საზღვრებზე თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდა. სივასის კონგრესზე, დროებითი მთავრობის როლის შემსრულებელი, მუსტაფა ქამალის მეთაურობით წარმომადგენლობითი კომიტეტი იქნა არჩეული.

? *როგორი შეფასება შეიძლება მიეცეს მუდროსის ზავს ოსმალეთის იმპერიასთან დაკავშირებით? რას ისახავდა მიზნად მუსტაფა ქამალი ეროვნული ძალების მობილიზებით?*

თდემ-ის გახსნა

"ერზურუმში ჩემი ძველი ნაცნობებიდან დოქტორი ფუად საბით ბეგი იყო.
... ერთ დღეს ექიმმა:
–კარგი ამბავი, ცეცხლი შეწყდა. –ტელეგრაფი უნდა.
რაც შეეხება ოცდამეთოხე მუხლს: "ო, ვაი! აღმოსავლეთ პროვინციები სომხებს ეძლევათ", –ვთქვი. ექიმი: "ეგეთი რამე არ არის!" –თქვა. მუხლი წაიკითხე: "ექვს სომხურ პროვინციაში თუ არეულობა მოხდება, მოკავშირეებს ამ პროვინციების ოკუპაცია შეეძლებათ". ეს მუხლი ნიშნავს იმას, რომ სომხური ყაჩაღთა რაზმები არეულობას მოახდენენ და ანტანტას არძია ერზურუმში შევა. სომხები კი თურქებს დახოცავენ და შეეცდებიან უმრავლესობად ვადაიქცნენ. არც ერთი სომეხის არამცხოვრები აქაურობის დაუცველობა უსინდისობაა".

სულეიმან ნეჯათი გუნერი, "საშახსოვრო რვეული". სტამბოლი. 1999

? *წყაროს მიხედვით გაარკვიეთ მუდროსის ხელშეკრულების შედეგები. თქვენი აზრით, იყო თუ არა სწორი ავტორის წარმოსახვა?*

წინ დასახული მიზნების განხორციელების გზაზე „ქამალჩიების“ მიერ გადადგმული ძირითადი ნაბიჯი **1920 წლის აპრილში** ანკარაში ახალი პარლამენტის - **თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის (თდემ)** მოწვევა იყო. თდემ-მა, რომელმაც თავი ქვეყანაში ერთადერთ მთავრობად გამოაცხადა, „ძირითადი ორგანიზაციების შესახებ“ კანონი მიიღო. ეს კანონი 1924 წლამდე თურქეთის დროებითი კონსტიტუცია გახდა. კანონში ნათქვამი იყო, რომ უმაღლესი ხელისუფლება შეუზღუდავ ერს ეკუთვნოდა, ხოლო მთლიანი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება თდემ-სა და პარლამენტის მიერ არჩეულ მთავრობას ეძლეოდა.

ქამალის მომხრეების საკანონმდებლო მოღვაწეობას თურქი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის აღზევება მოჰყვებოდა. ამიტომაც ანტანტას სახელმწიფოები ამ ბრძოლების ჩასახშობად სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ. 1920 წლის მარტში მოკავშირეებმა სტამბოლი დაიკავეს, ასევე სივასის კონგრესის გადაწყვეტილები განმეორებით "**ეროვნული ფიცის**" მქონე დეპუტატთა პალატა მოაცილეს. შემდეგ მათ ამ დრომდე აღმოსავლეთ ფრაკიის დამკავებელი და დასავლეთ ანადოლუს დიდი ტერიტორიის ხელთ მგდებელი ბერძენთა რეგულარული რაზმები ქამალის თანამებრძოლების წინააღმდეგ გაგზავნეს. ანტანტას ლიდერებმა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ამით თურქების შეიარაღებულ ბრძოლას ბოლო მოეღებოდა, 1920 წლის აგვისტოში სულთანს **სევრის ხელშეკრულებაზე** ხელი მოაწერებინეს. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, თურქეთი ინგლისს, საფრანგეთს, იტალიასა და საბერძნეთს შორის ნაწილდებოდა. ქვეყნის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილი სომხეთის სახელმწიფოში უნდა გადასულიყო, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი ინგლისის პროტექტორატის ქვეშ ქურდული სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბებულიყო. თურქეთი ფაქტიურად, როგორც და-

LAKHE

მოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას ბოლო მოეღო.

ასეთმა მდგომარეობამ **თდემ**-ის მთავრობა ანტანტას წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოთა რუსეთთან დაახლოვა. ამის საპასუხოდ, 1921 წლის ზაფხულში ჯარები ანკარას დაუახლოვდა. მაგრამ თურქების შემართული ბრძოლის შედეგად შეტევის მოგერიება შესაძლებელი გახდა. 1922 წლის აგვისტოში დაწყებული შეტევის საწინააღმდეგო მოქმედების შედეგად მტერი თურქულ არმიასთან დამარცხდა და იძულებული გახდა ანადოლუ დაეტოვებინა.

ომში გამარჯვებამ მუსტაფა ქამალისა და მის მომხრეთა პოზიცია უფრო განამტკიცა. **1922 წლის** 1 ნოემბერს მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება სასულთნოს გაუქმების შესახებ. მოპოვებულმა გამარჯვებებმა დასავლელ პოლიტიკოსებს „ახალი თურქეთის“ აღიარების აუცილებლობა უჩვენა. როგორც იქნა ლოზანის კონფერენციაზე საერთაშორისო არენაზე თურქეთის აღიარება შესაძლებელი გახდა. 1923 წლის ოქტომბერში თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

? *1. რაში შესაძლებელია დანახვა იმისა, რომ თდემ-ის მიერ "ძირითადი ორგანიზაციების შესახებ" მიღებული კანონი სულთნის ხელისუფლებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა?*
2. როგორ შეიძლება შეფასდეს სევრის ხელშეკრულება სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით?

საშინაო პოლიტიკა. თავისუფლებისათვის ბრძოლის შემდეგ ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ მიმართული გარკვეული ნაბიჯები გადადგეს. სახელმწიფომ უცხოელებს კუთვნილი მთლიანი სამრეწველო დაწესებულებები და რკინიგზები, შესაძლებელია ითქვას აბსოლუტურად ყველა შეისყიდა. დაარსებული იქნა ცენტრალური ბანკი. **1923 წლის** ოქტომბერში დედაქალაქი სტამბოლიდან ანკარაში იქნა გადატანილი. სულთანათი და ხალიფატი გაუქმდა, ხოლო ოსმალების დინასტიის ყველა წევრი ქვეყნიდან გაძევებული იქნა. მარიათისა და ვაყფთა სამინისტრო გაუქმდა. სასულიერო პირებს მთლიანი სიმდიდრე ჩამოართვეს. მედრესები დაიხურა. **1924 წლის 20 აპრილს** ქვეყანაში კონსტიტუცია იქნა მიღებული.



ლოზანის კონფერენციაზე მონაწილეობის მიმღები თურქული დელეგაცია

"თურქი სოციოლოგისა და ქამალიზმის ძირითადი იდეოლოგის, ზია გოიალპის დასავლური ცივილიზაციის მიღების აუცილებლობის შესახებ აზრებიდან: "თუ ჩვენ ამას არ ვიზამთ, დასავლური სახელმწიფოები ჩვენ მონურ მდგომარეობაში ჩაგვაყენებენ. ... დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვისათვის ჩვენ ევროპის ცივილიზაციას უნდა დავეუფლოთ".

Gukalp Ziya. Turkish Nationalism and Western Civilization. – N.Y., 1959. p. 266.

1922-წელს მუსტაფა ქამალის გასაუბრება გაზეთ "Maiten" -თან:

"თურქული დემოკრატია ფრანგული რევოლუციის დამწყები ჭეთ სვლის მიუხედავად, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით განვითარდა. იმიტომ რომ, ყოველი ხალხი თავისი საზოგადოების შესაბამისად, ადგილობრივი პირობებისა და მდგომარეობის მიხედვით, ასევე დროის მოთხოვნების შესატყვისად თავის რეფორმებს ატარებს".

კიევი ნ.ვ. ეტატიზმის ისტორია თურქეთში, თ. 1991. გვ. 79

? *რა კავშირის დანახვაა შესაძლებელი გამოთქმულ ორ აზრს შორის?*

1920-იან წლებში ევროპული მოდელის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები იქნა მიღებული. ქვეყანა ევროპულ კალენდარსა და ლათინურ ანბანზე გადავიდა. 1934 წელს გვარის შესახებ კანონის მიღების შემდეგ მუსტაფა ქამალმა თდემ-ის მიერ მინიჭებული **ათათურქის** გვარი მიიღო. ათათურქის ძირითადი ეკონომიკური პოლიტიკა **ეტატიზმი** იყო. ეტატიზმი პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეკონომიკაში სახელმწიფოს წამყვანი როლის დამამკვიდრებელი იდეოლოგია იყო. ეს პოლიტიკა უცხოური კაპიტალის მოქმედების შეზღუდვისა და ეროვნული ბურჟუაზიის პოზიციის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული.

LATHE

ისმეთ ინონუ და ათათურქი

1930-იანი წლების შუა ხანებში მუსტაფა ქამალის ცვლილებებმა თავისი შედეგების გამოღება დაიწყო. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიცია გაძლიერდა. თურქეთის მეზობელ სახელმწიფოებთან ავტორიტეტი გაიზარდა. **1932 წელს** თურქეთი ერთა ლიგაში შევიდა. იმ პერიოდში თურქული დიპლომატიის საგარეო პოლიტიკაში გადადგმული ყველაზე წარმატებული ნაბიჯი, შავი ზღვის სრუტეების საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო მონტრეს კონფერენციის ჩატარება გახდა. მიღებული ახალი კონვენციის მიხედვით, თურქეთმა სრუტეების საკითხებში დიდი უპირატესობები მოიპოვა. 1938 წელს მ.ქ. ათათურქი გარდაიცვალა. თურქეთის ახალი პრეზიდენტი ისმეთ ინონუ გახდა.

?

1. როგორ შეიძლება შეფასდეს ეტატიზმის პოლიტიკის მნიშვნელობის მატარებელი სახელმწიფო კაპიტალიზმი?
2. რა სახის კავშირები არსებობს ხალიფატის გაუქმებას, შარიათისა და გაყფთა სამინისტროს გაუქმებას, ასევე ევროპული მოდელის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსების მიღებას შორის?

!

გაანალიზეთ მონტრეს კონფერენცია წყაროების მიხედვით.

ყაჯართა სახელმწიფო. პირველ მსოფლიო ომში ნეიტრალურად გამოცხადებულობის მიუხედავად, პირველ მსოფლიო ომში არამონაწილე ყაჯართა სახელმწიფოს ტერიტორია მებრძოლი სახელმწიფოების საბრძოლო ველად იყო გადაქცეული. რუსეთის ომიდან გასვლის, ხოლო გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიების პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, ამ სახელმწიფოს ტერიტორია, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის არმიის მიერ მთლიანად დაპყრობილი აღმოჩნდა. ასეთ პირობებში ეკონომიკა დაცემული, ქვეყანა გაკოტრებული, ხოლო მეჯლისი დათხოვნილი იყო. სახელმწიფოში მთავრობის კაბინეტები ხშირად იცვლებოდა. ინგლისურის მოყვარული ვიუსუკუდდოვლეს მთავრობამ მეჯლისის თანხმობის გარეშე კონსტიტუციის დარღვევით 1919 წელს ინგლისთან შეთანხმებას ხელი მოაწერა. ამ შეთანხმებით ყაჯართა სახელმწიფოს არმია, ფინანსები, გზების მშენებლობა, საგარეო ვაჭრობა და ქვეყნის სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროები ინგლისის კონტროლის ქვეშ გადაეცა.

შეიხ მაჰამმად ხიაბანი

საერთო სახალხო უკმაყოფილება. ყოველივე ამან საერთო სახალხო უკმაყოფილება წარმოშვა. 1920 წლის 7 აპრილს თებრიზში **შეიხ მაჰამმად ხიაბანის** მეთაურობით აჯანყება დაიწყო. ამის პარალელურად, ჩრდილოეთით-გილანში, შემდეგ კი ხორასანში სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა გაცხარდა. მაგრამ აჯანყებულთა მოძრაობის სათითაოდ და ლოკალურობამ, ინგლისისაგან დახმარების მიმღებ ცენტრალურ ხელისუფლებას 1922 წლის დასაწყისამდე აჯანყებების ჩახშობაში ხელი შეუწყო.

სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობების ჩახშობის მიუხედავად, ინგლისის მარწუხებში მოქცეულმა ყაჯართა დინასტიამ ქვეყანაში თავისი ავტორიტეტი დაკარგა. 1921 წელს თეჰრანში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. **ზიადდინ თაბათაბაის** მეთაურობით ახალი მთავრობა ჩამოყალიბდა. რზა ხანი სამხედრო მინისტრი გახდა.

ახალმა მთავრობამ „არისტოკრატების წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ დეკლარაცია გამოაქვეყნა. დეკლარაციაში მოცემული იყო ცნობა მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნის, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისა და 1919 წლის ინგლის-ყაჯართა ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. მალე ყველა ინგლისელი ფინანსური მრჩეველები, სამხედრო მწვრთნელები, ასევე არმია ირანიდან გაყვანილი იქნა. ასე რომ, ინგლისმა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ირანში დაკავებული ყველა პოზიცია დაკარგა. 1923 წელს რზა ხანი პრემიერ-მინისტრი გახდა.

?

თქვენი აზრით, რა ინტერესი ჰქონდა ინგლისის მთავრობას ირანში მყოფი სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში?

LAYTHE

ფეჰლევების დინასტია. **რზა ხანმა**, რომელსაც პრემიერ-მინისტრის პოსტთან ერთად სამხედრო მინისტრის თანამდებობაც შენარჩუნებული ჰქონდა, 1925 წლის დეკემბერში მეჯლისი აიძულა ყაჯართა დინასტია ჩამოეგდო და მისი თავი შაჰად გამოეცხადებინა. ახალმა დინასტიამ **ფეჰლევის** სახელწოდება მიიღო. მალე ქვეყანაში სამხედრო დიქტატურა დამყარდა. გამოყენებული იქნა სამხედრო ვალდებულება. გატარებული ცენტრალიზაციის პოლიტიკის შედეგად ხანების სეპარატიზმს ბოლო მოეღო. სეპარატისტი ხანების მიწების კონფისკაციისა და მისი უმაღლესი წოდების მქონე ოფიცრებისათვის გადაცემის შედეგად ქვეყანაში ახალი მსხვილი მიწათმფლობელები გამოვლინდა. ყველაზე დიდი მიწათმფლობელი კი რზა შაჰი იყო. **1935 წლიდან** სახელმწიფოს ოფიციალურად ირანი ეწოდა. სპარსული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა და სხვა ენაზე წიგნის ან გაზეთის გამოქვეყნება აკრძალული იქნა. პანირანიზმი სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიად გამოცხადდა.

რზა შაჰი ფეჰლევი

ეკონომიკური განვითარება. რზა შაჰმა ეროვნული მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების მიზნით საბაჟო ავტონომიების ტარიფები განსაზღვრა და ქვეყანაში შემოტანილ საქონელზე უმაღლესი მფარველობის გადასახადი დააწესა. ამ ღონისძიებებმა ეროვნული წარმოებისა და მრეწველობის განვითარებას გზა გაუხსნა. მნიშვნელოვნად იმატა ფაბრიკაქარხნების რიცხვმა. მაგრამ 1929-1933 წლის კრიზისმა ირანის ეკონომიკურად ჩამორჩენილობაზე მიანიშნა. ამან მთავრობის მიერ 1931 წლიდან მოყოლებული სახელმწიფო კაპიტალისტური პოლიტიკის გატარება გამოიწვია. გაუქმებული იქნა ინგლის-ირანულ ნავთობკომპანიასთან დადებული ხელშეკრულება, ასევე ბოლო მოეღო კომპანიის ექსტერიტორიალურობის უფლებას. **1933 წელს** ხელმოწერილი იქნა ირანის ინტერესების დამცველი ახალი ხელშეკრულება.

> *პანირანიზმი – იდეოლოგია, რომელიც ირანში მცხოვრები ხალხების ერთ სახელმწიფოს ქვეშ გაერთიანებას გამოხატავს.*

ამგვარადვე, სავალდებულო უფასო დაწყებითი საგანმანათლებლო, საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩამოყალიბდა. 1935 წელს ხელმოწერილი იქნა დეკრეტი თავსაბურავის იძულებითი მოხსნის შესახებ, გამოყენებული იქნა ევროპული სამოსი, გაუქმებული იქნა ფუფუნებითი ფეოდალური ტიტულები, მიეცათ გვარები. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სასულიერო პირების პოზიციების შესუსტების მიზნით 1930-იანი წლების შუა პერიოდში მათ თავიანთ ქადაგებებში პოლიტიკაში ჩარევა და მთავრობის კრიტიკა აეკრძალათ.

> ?
> *1. რზა შაჰის მხრიდან სახელმწიფოს განვითარებისათვის გადადგმულ ნაბიჯთაგან, რომელი შეიძლება შეფასდეს უმაღლესად?*
> *2. თქვენი აზრით, რას ისახავდა მიზნად საზოგადოებრივ ცხოვრებაში სასულიერო პირთა პოზიციების შესუსტება?*

1930-იანი წლების შუა პერიოდამდე ირანის **სსრკ**-თან ურთიერთობები კეთილ მეზობლურ ურთიერთობების ფორმას ატარებდა. ამ სახელმწიფოს საგარეო სავაჭრო კავშირების 40% **სსრკ**-ის წილად მოდიოდა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის ფონზე მთავრობის პოლიტიკაში გერმანიისაკენ მიდრეკილებამ მოიმატა. ირანის რკინიგზისა და სამრეწველო აღჭურვილობის მიწოდება გერმანიის მონოპოლიაში გადავიდა. საგარეო ვაჭრობაში გერმანიის წილი 40-50%-ზე ავიდა. ქვეყანაში ფაშისტური გერმანიის პროვოკაციისა და დაზვერვის ორგანოები გააქტიურდნენ. ამან კი თავის მხრივ, **სსრკ**-სა და ინგლისის მხრიდან ომის წლებში ირანის საქმეებში ჩარევას გზა გაუხსნა.

კითხვები და დავალებები

1. *რომელ მსგავსობებზე შეიძლება გამახვილებული იქნას ყურადღება, თურქეთისა და ირანის XX საუკუნის 20-30-იანი წლების ისტორიებში?*
2. *როგორ შეაფასებდით მ.კ. ათათურქის მოღვაწეობას თურქეთის ისტორიაში?*
3. *როგორ შეიძლება შეფასდეს რზა შაჰის მიერ ირანში გატარებული ცენტრალიზაციის პოლიტიკა?*
4. *გაანალიზეთ ეტატიზმის პოლიტიკა.*
5. *მოამზადეთ რეფერატი ყაჯართა დინასტიის მოღვაწეობასთან დაკავშირებით.*
6. *რუკის საშუალებით წარმოადგინეთ 1920–1925 წლების შუალედში ახლო აღმოსავლეთში მომხდარი გეოპოლიტიკური ცვლილებები.*

LAVITHE

13 აზიური ქვეყნები (არაბული ქვეყნები, ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია)

საკვანძო სიტყვები

- ამირ ფაისალი
- "ალ-ვაფდ ალ-მისრი"
- სან-რემოს კონფერენცია
- "მარილის მარში"
- მოჰანდოს განდი
- ჩან კაიში
- მაო ძედუნი
- ვომინდანის პარტია
- `მანჯოუ-გოს სახელმწიფო
- "ბრინჯის ომი"
- გენერალი ტანაკა

პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის მარცხმა ახლო აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებში დამოუკიდებლობის სურვილი წარმოშვა, მაგრამ ეს ოცნება არ აუხდათ. გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე არა მარტო არაბული ქვეყნების, არამედ ინდოეთისა და ჩინეთის მიმართაც კოლონიური პოლიტიკის განხორციელება განაგრძეს. გამარჯვებულ სახელმწიფოთა რიგში მყოფი იაპონია ომის შედეგებით უკმაყოფილო იყო, რის გამოც ზრდიდა თავის სამხედრო ძალას და ადგენდა დაპყრობით გეგმებს.

ალჟირი
ტუნისი
ტუნისი
ბენღაზი
კაირო
ალექსანდრია
ბეირუთი
დამასკი
ბაღდადი
ერაყი
ირანი
ნეჯდი
ერ-რიადი
ქუვეითი
მანამა
ა.გ.ს.
ომანი
საუდის ერაბეთი
ადენი
ეგვიპტე
ლიბია
ალჟირი
მაროკო
დასავლეთ საჰარა
მავრიტანია
ზეცანი
ტრიპოლიტანია
ეგვიპტე
ერიტრეა
ეთიოპია
სუდანი
სამხრეთ სუდანი
ადენი
ადენი
ადენ

! *შეაგროვეთ ცნობები, ვერსალისა და სან-რემოს კონფერენციებზე არაბულ სახელმწიფოებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.*

პალესტინა. სან-რემოს კონფერენციაზე პალესტინის მართვის მანდატის ინგლისისათვის გადაცემის წინააღმდეგ განმათავისუფლებელმა ბრძოლამ მთლიანი ქვეყანა მოიცვა. მებრძოლები არაბებისა და ებრაელების თანასწორი უფლებების ჩარჩოებში ცხოვრება შესაძლებელი თავისუფალი პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ცდილობდნენ. მაგრამ ინგლისისა და აშშ-ს მხარდაჭერაზე დაყრდნობილი სიონისტები პალესტინის მხოლოდ ებრაულ სახელმწიფოდ გადაქცევას მოითხოვდნენ.

სირია. საფრანგეთის სამანდატო მართვის ქვეშ მოქცეულ სირიაში, ამ კოლონიური რეჟიმის გაუქმებისათვის გლეხთა უწყვეტი გამოსვლები ხდებოდა. ამ გამოსვლებს შორის ყველაზე ძლიერი 1925-1927 წლების მომცველი შეიარაღებული აჯანყება იყო. აჯანყებულთა მიერ დამასკოს დაკავების მიუხედავად, ისინი მცირე დროის შემდეგ ფრანგი კოლონიზატორების მიერ დამარცხებულნი აღმოჩნდნენ. საფრანგეთის მთავრობამ, რომელიც გაძლიერებული სახალხო მოძრაობის წინაშე იძულებული გახდა უკან დაეხია, 1936 წელს სამი წლის შემდეგ მანდატის გაუქმების შესახებ პირობა დადო.

ერაყი. სან-რემოს კონფერენციის შემდეგ ერაყის მანდატის მიმღებმა ინგლისმა 1921 წელს ჰაშიმიდების დინასტიის წარმომადგენელი **ამირ ფეისალი** ერაყის ტახტზე დასვა. მაგრამ ხელისუფლების ყველა ორგანოებში ინგლისელი მრჩევლები იქნენ განწესებულნი. მალე მეფე ფეისელ I-სა და ინგლისის მთავრობას შორის ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება. ამით ერაყის ინგლისზე ოფიციალური დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდა. ინგლისელების მიერ ქვეყანაში გატარებული კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მოძრაობის გაძლიერების მიუხედავად, ერაყი ჯერ კიდევ დიდ ხანს ინგლისის ბატონობის ქვეშ დარჩა.

საუდის არაბეთი. არაბეთის ნახევარკუნძულზე ნაჯდის, ჰიჯაზის, ასირის, იემენისა და სხვა სამთავროებს შორის უწყვეტი ბრძოლები მიმდინარეობდა. მალე ნაჯდის მმართველმა აბდულ ალ-აზიზ იბნ საუდმა გაამარჯვა, რომელმაც მექა და მადინა გააერთიანა და 1926 წელს ნაჯდისა და ჰიჯაზის მეფის ტიტული მიიღო. შემდეგ მან მის გარშემო ყოფი ტერიტორიებიც შემოიერთა. 1932 წელს მეფემ გამოსცა ბრძანებულება „ყურანის“ ქვეყნის კონსტიტუციად, ხოლო მისი ქვეყნის საუდის არაბეთად გამოცხადების შესახებ. .

სიონისტი *– ებრაელი ხალხის გამორჩევის იდეის განმცხადებელი ებრაულ-რასისტული მოძრაობა. სიონიზმი ებრაელების "ისტორიულ სამშობლო" პალესტინაში დაბრუნებისა და აქ "ებრაული სახელმწიფოს" ჩამოყალიბების იდეას უკავშირდება.*
ანტისემიტი *– ებრაელების წინააღმდეგ მტრული განწყობის გამომხატველი ეროვნული აუტანლობის, შოვინიზმისა და რასიზმის ფორმა.*

"მომავალი ისრაელის სახელმწიფოს პირველი პრემიერ-მინისტრი და სიონიზმის ხელმძღვანელი ბენ-გურიონი ნიუ-იორკში ებრაულ გაზეთ "კემპფერში" წერდა: "... მე შემიძლია ძლიერი ახალგაზრდებისაგან დაკომპლექტებული რაზმი შევკრიბო. მათი დაკვლევა იქნებოდა ის, რომ თავი არაებრაელად აჩვენონ და უხეში ანტისემიტური მეთოდების გამოყენებით ებრაელები ანტისემიტური ლოზუნგებით დევნონ. ... მე შემიძლია გარანტია მივცე, რომ ამ ქვეყნებიდან ისრაელში იმიგრანტების დინების ხეირი ათასი ემისარის უსარგებლო ქადაგებისაგან ათჯერე მეტი იქნებოდა."

XX საუკუნის აზიისა და აფრიკის უახლესი ისტორია, I -ნაწილი, 1900–1945. მოსკოვი, 2001, გვ.239.

! **შეაფასეთ ბენ-გურიონის აზრები**

მეფე ფეისალ I-ის ტახტზე ასვლა

! *ისტორიული დროის მიხედვით შეაფასეთ კავშირები, 1918–1920 წლებში ახლო აღმოსავლეთსა და აზერბაიჯანში მიმდინარ პროცესებს შორის.*

LAMHE

ინდოეთი. ინგლისის ინდოეთში კოლონიური რეჟიმის განმტკიცებისაკენ მიმართული რეფორმები, 1918-1921 წლებში განმათავისუფლებელი მოძრაობის გაზრდის მიზეზი გახდა. ინგლისის მთავრობა ამ კანონებით ინდოეთში მყოფ მმართველ წრეებს კატასტროფიულ უფლებებს ანიჭებდა. მმართველი წრეების ყველა უმაღლესი წოდების თანამდებობები ინგლისელების ხელში იყო. ინდოელებს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის თანამდებობების დაკავება შეეძლოთ. კანონის მიხედვით, ინდოელი ხალხის არჩევნების უფლება 1 პროცენტიდან 3 პროცენტამდე (ხნიერი მოსახლეობის) იყო აყვანილი.

მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობა. კანონი მთლიან ქვეყანაში კატეგორიული პროტესტის მიზეზი გახდა. ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა მასობრივი ბრძოლის გაფართოების ტაქტიკა მოიწონა. **მოჰანდას კარამჩანდ განდმა** უხელმძღვანელა ეროვნულ კონგრესს და მოსახლეობის ფართო ფენების მოძრაობაში ჩართვა შეეძლო. ქვეყანა დემონსტრაციებისა და მიტინგების ტალღამ მოიცვა. განდის მიერ გამოცხადებული მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობის კამპანია ინდოეთისათვის თვითმმართველობის უფლების მინიჭების ლოზუნგის ქვეშ მიმდინარეობდა. ყველგან ინგლისური საქონლის ბოიკოტი დაიწყო. მუშები უარს ამბობდნენ ინგლისურ დაწესებულებებში მუშაობაზე და მატარებლების მოძრაობას აბრკოლებდნენ. მაგრამ ინგლისის ხელისუფლების ორგანოებმა, რომლებმაც მოძრაობის მონაწილეთა შორის ერთობის არ ყოფნით ისარგებლეს, სასტიკად ჩაახშეს იგი.



მოჰანდას კარამჩანდ განდი (მაჰათმა განდი)

? *როგორ შეიძლება შეფასდეს დროის მიხედვით, განდის მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობის კამპანია?*

1928 წელს ლორდ საიმონის მეთაურობით ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადება დაიწყო. ინგლისის მთავრობის მიერ კომისიის შემადგენლობაში არც ერთი ინდოელი არ იყო შეყვანილი. კოლონიზატორების მიერ მომზადებულ ამ კონსტიტუციაში ინდოელი ხალხისათვის ძალიან მცირე შეღავათების გათვალისწინება დიდი პროტესტის მიზეზი გახდა. 1930 წელს იეკის გადაწყვეტილებით ახალი მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობის კამპანიის გატარება დაიწყო. **26 იანვარი "ინდოეთის დამოუკიდებლობის დღედ"** გამოცხადდა (ეს დღე ახლაც ინდოეთში ეროვნულ ზეიმად აღინიშნება).



მარილის მარშის გაშმასახიერებელი ძეგლი

მარილის მარში. მარილის წარმოება და გაყიდვა კოლონიზატორების მონოპოლიას წარმოადგენდა. ქვეყანაში მარილი ძალიან ძვირად იყიდებოდა. 1930 წელს მარილის მარში დაიწყო. მალე ეს მოძრაობა ქვეყნის ყველა მხარეში ინგლისელების წინააღმდეგ დაუმორჩილებლობის კამპანიად იქცა.

ინდოეთის პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ, 1935 წელს ბრიტანეთის პარლამენტმა ინდოეთის ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა. კანონის მიხედვით, ინდოეთი ბრიტანულ ინდოეთად და სამთავროებისაგან შემდგარ ფედერაციად გამოცხადდა. ქვეყნის მოსახლეობის 12%-მა საარჩევნო უფლება მიიღო. კონსტიტუციის მიცემით „დაყავი და იბატონე“ პრინციპის შემსრულებელმა ინგლისის მთავრობამ, ქვეყნის პოლიტიკურ ძალებს (განსაკუთრებით კი, ინდუსებსა და მუსლიმანებს) შორის კონფლიქტები დამაზა. ამან კი თავის მხრივ ინდოეთში ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას დარტყმა მიაყენა.

? *როგორ შეაფასებდით ინგლისელების პრინციპს: "დაყავი და იბატონე"?*

LAYHE

ჩინეთი. პირველ მსოფლიო ომში ჩინეთის ანტანტას მხრეს ბრძოლის მიუხედავად, გამარჯვებული სახელმწიფოების მხრიდან მან საჭირო დაფასება ვერ მიიღო. პარიზის საზავო კონფერენციაზე ჩინეთის მოთხოვნა უცხოური სამხედრო ნაწილების ქვეყნიდან გაყვანასთან დაკავშირებით უარყოფილი იქნა. პირიქით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება გერმანიის ჩინეთში მყოფი სამფლობელოების იაპონიის განკარგულებაში გადასვლის შესახებ. ამის საპასუხოდ მთელი ჩინეთი განგაშმა მოიცვა. შედეგად კი, მთავრობამ უარი თქვა ვერსალის ზავის ხელმოწერაზე.

სუნ იატსენი. სუნ იატსენს ქვეყნის გაერთიანების გზაზე ეროვნული განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის ორგანიზებაში დიდი როლი მიუძღვის. თავდაპირველად მან რევოლუციისათვის მომზადებისათვის 1919 წლის ოქტომბერში გომინდანის პარტია აღადგინა. მალე გარშემო განსაზღვრული პოლიტიკური პარტიების შემომკრები სუნ იატსენი, 1921 წელს ქვეყნის სამხრეთში, გუანჭოუში შეკრებილი პარლამენტის მიერ ჩინეთის პრეზიდენტად იქნა არჩეული. მაგრამ ჩრდილოეთით მყოფმა ფეოდალურ-სამხედრო ძალებმა იგი არ აღიარეს. სუნ იატსენმა რომელმაც „ჩინეთის გადარჩენისათვის“ დასავლური ქვეყნებისაგან დახმარება ვერ მიიღო, საბჭოთა რუსეთს მიმართა. საბჭოთა რუსეთის დახმარებით მოკლე დროში ძლიერი არმიის ჩამოყალიბება შეძლო.

1921 წელს შანხაიში ჩინეთის კომუნისტური პარტია (ჩკპ) ჩამოყალიბდა. ჩკპ-ის ლიდერ **მაო ძედუნს**, რომელიც ძირითადად გლეხებს ეყრდნობოდა, ქვეყანაში პროლეტარული დიქტატურის ჩამოყალიბება სურდა. მალე, გომინდანის პარტიამ, რომელსაც სუნ იატსენი ხელმძღვანელობდა, ქვეყნის გაერთიანების გზაზე ჩკპ-თან კავშირი დაამყარა.

? *თქვენი აზრით, რა შეიძლება ყოფილიყო დასავლური სახელმწიფოების მიერ სუნ იატსენისათვის დახმარების არ აღმოჩენის ან პირიქით, სსრკ-ის მიერ დახმარების აღმოჩენის მიზეზი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.*

! *შეაფასეთ ვერსალის კონფერენციაზე ჩინეთთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.*

ქვეყნის გაერთიანება. **აშშ**-სა და ინგლისის მიერ მხარდაჭერილ სხვადასხვა ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის ბრძოლების მსვლელობის პირობებში 1925 წელს შანხაიში რევოლუციური მოძრაობა დაიწყო. „30 მაისის მოძრაობის“ სახელწოდებით ცნობილი ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა რევოლუციურ პატრიოტული ტალღის ქვეშ ვითარდებოდა. 1925 წელს გუანჭოუში „გომინდანელები“საგან და ჩკპ-ის წარმომადგენლებისაგან შემდგარმა მთავრობამ თავი ჩინეთის ეროვნულ მთავრობად გამოაცხადა და ქვეყნის გაერთიანებას შეუდგა. სუნ იატსენის სიკვდილის შემდეგ ეროვნული მთავრობა არმიის მთავარი სარდლის ჩან კაიშინის ხელში გადავიდა. 1926 წლის ზაფხულისათვის შემოერთდა ქვეყნის სამხრეთ პროვინციები და ორგანიზებული იქნა ჩრდილოეთით ლაშქრობა. 1927 წელს „გომინდანელი“ ძალები ჩინეთის ყველაზე დიდ ქალაქში, შანხაიში შევიდნენ. ამით, მანჭურიას გარდა, ფაქტიურად მთლიანმა ჩინეთმა გომინდანის ხელისუფლება აღიარა.

ჩან კაიში

ჩან კაიშიმ, რომელმაც ნანკინი დაიკავა და დედაქალაქი იქ გაადაიტანა (1927), ნანკინის სახელმწიფო ჩამოაყალიბა, მაგრამ მალე კომუნისტებთან კავშირი შეწყვიტა და დასავლური ორიენტაციის პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამგვარად 1925-1927 წლების მომცველი რევოლუცია დამთავრდა. ჩინეთის მომავალი განვითარების გზაზე აზრთა დაპირისპირებულობამ „გომინდანელები“სა და ჩკპ-ის მომხრეებს შორის სამოქალაქო ომი გამოიწვია.

? *რას ასახავდა მიზნად ჩან კაიშის მიერ კომუნისტებთან კავშირის შეწყვეტა და დასავლური ორიენტაციის პოლიტიკის გატარება?*

იაპონია. პირველ მსოფლიო ომში ანტანტას მხარეს მებრძოლმა იაპონიამ, ომის შემდეგ ახლომახლოს მყოფი გერმანული სამფლობელოები ხელში ჩაიგდო, აგრეთვე შორეულ აღმოსავ-

LAYTHe

ლეთსა და წყნარი ოკეანის აუზში თავისი პოზიციები განიმტკიცა. ომის წლებში იაპონიამ მსოფლიო ბაზარზე თავისი კონკურენტები მნიშვნელოვნად შეავიწროვა. ომის დროს მისი ოქროს რეზერვი 6-ჯერ გაიზრდა.

ომის ბოლო პერიოდში იაპონიამ ხელში ჩაგდებულ ტერიტორიებზე საგარეო ვაჭრობაში ხელსაყრელი პოზიციის დაკარგვა დაიწყო. იმიტომ, რომ ევროპულ ქვეყნებს ამ ბაზრებზე საქონელი კვლავ მოჰქონდათ. არახელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობის გამო ქვეყანაში სოციალურმა პრობლემებმა იმატა. ყოველდღიური მოხმარების საქონელი, განსაკუთრებით კი, იაპონიის ძირითადი პროდუქციული საქონელი, ბრინჯი ხელოვნურად გაძვირებული იქნა. 1918 წელს იაპონიის უამრავი ქალაქების მომცველი და „ბრინჯის აჯანყებად“ წოდებული გამოსვლები მოხდა. გამოსვლები ჩაახშეს, ხოლო პრობლემები მოუგვარებელი დარჩა.

? *როგორ წარმოგიდგენიათ განმარტება “უცხოურ ბაზარზე დამოკიდებულება”?*

გამოსავალი. ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების მომატების სფეროში ხელისუფლება გამოსავალს იაპონიის გასამხედროვებაში ხედავდა. მალე, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების თითქმის ყველა სტრუქტურს ადმირალებმა და გენერლებმა დაუწყეს ხელმძღვანელობა. 1927 წელს, ხელისუფლებაში ახალი მთავრობა მოვიდა, რომელსაც გენერალი ტანაკა მეთაურობდა. 1927 წელს ტანაკამ იმპერატორს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელიც სამხედრო ძალადობის გზით იაპონიის მსოფლიო ბატონობასთან დაკავშირებულ ახალ სტრატეგიულ კურსს ითვალისწინებდა. ამ გეგმის მიხედვით, პირველ რიგში ჩინეთი, ინდოეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ქვეყნები, შემდეგ კი სსრკ და ევროპაც კი დაპყრობილი უნდა ყოფილიყო. 1929-1933 წლების მომცველმა ეკონომიკურმა კრიზისმა იაპონიის ეკონომიკის გასამხედროვებას გზა გაუხსნა. ძალადობრივი საგარეო პოლიტიკის გამტარებელმა იაპონიამ თავისი სამხედრო ძალის გაზრდა დაიწყო.

გენერალი ტანაკა

? *როგორ შეუწყობდა ხელს იაპონიის გასამხედროვება ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას?*


იაპონია და მასზე დაქვემდებარებული ტერიტორიები
1927 ტერიტორიების იაპონის ზემფლობელობაში შესვლის თარიღი
ს ს ს რ
მონღოლეთი
მანჩჯოუ-კო
1932
1905
ფლადივოსტოკი
1910
1927
პეკინი
ჩინეთი
ტიბეტი
ნეპალი
ინდოეთი
კალკუტა
ბირმა
ტაილანდი
ბანკოკი
ინდო-ჩინეთი
1939
ფილიპინების კუნძულები
1920
ბონინის კუნძულები
მარიანის კუნძულები
ტოკიო
ოსაკა
ფუსანი
ფორმოზა
ჩინეთის ზღვა
ყვითელი ზღვა
ბერინგის ზღვა
ოხოცკის ზღვა
ფილიპინების ზღვა
ინდოეთის ზღვა
ბანგლადეში
ბანგალორი
ბანგალორ
ბანგალორ
ბანგალორ

იაპონიის ჯარისკაცები შანხაიში. 1937

ნაწყვეტი გენერალ ტანაკას მიერ იმპერატორისათვის გაგზავნილი მემორანდუმიდან:

"თუ იაპონია თავდაცვისა და სხვების დაცვის უზრუნველსაყოფად "რკინითა და სისხლით" პოლიტიკას არ ვაატარებს, აღმოსავლეთ აზიაში სართულებს ვერ აღმოფხვრის ... ჩინეთის დაკავებისათვის ჩვენ თავდაპირველად მანჯურია და მონღოლეთი უნდა ჩავიგდოთ ხელში. თუ ჩინეთის ხელში ჩავიგდებთ, აზიის ყველა მცირე ქვეყნები, ინდოეთი, აგრეთვე სამხრეთ ზღვისპირა ქვეყნები ჩვენგან შეშინდებიან და დაგვექვემდებარებიან".

აზიისა და აფრიკის XX საუკუნის უახლესი ისტორია. I ნაწილი, 1900–1945. გვ 61.

! *გააანალიზეთ იაპონიის მსოფლიო ბატონობის პოლიტიკა.*

ბრძოლა ჩინეთისათვის. 1931 წელს იაპონელებმა ჩინეთზე შეტევა დაიწყეს და მოკლე დროში მთლიანი ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთი დაიქვემდებარეს. 1932 წლის მარტში გაკეთდა განცხადება, ფაქტიურად იაპონიის კონტროლის ქვეშ მყოფი მანჯოუ-გოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ. დასავლური ქვეყნების მიერ იაპონიის ჩინეთში გატარებული ძალადობრივი პოლიტიკის გაკრიტიკება, 1933 წელს მისი ერთა ორგანიზაციიდან გასვლით დამთავრდა.

1937 წლის ზაფხულში იაპონიამ ჩინეთზე ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყო. ჩრდილოეთ და ცენტრალურ ჩინეთში აქტიური სამხედრო მოქმედებების განმახორციელებელმა იაპონელებმა, მალე ჩინეთის ისეთი დიდი ქალაქები, როგორიცაა ნანკინი და შანხაი ხელში ჩაიგდეს. ამის პარალელურად, მათ 1938 წელს სსრკ-ის მიწებზე, ხოლო 1939 წელს მონღოლეთში შესვლა სცადეს, მაგრამ დამარცხდნენ.

? *ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის დამპყრობმა იაპონიამ ეს ტერიტორია თავის იმპერიას არ შეუერთა და აქ დამოუკიდებელი მანჯოუ-გოს სახელმწიფო ჩამოაყალიბა. როგორ შეაფასებდით იაპონიის ამ ნაბიჯს?*

კითხვები და დავალებები

1. *გენერალ ტანაკას მიერ მომზადებული შემორანდუმით გათვალისწინებული, რომელი ტერიტორიების დაპყრობა შეძლო იაპონიამ, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე?*
2. *რა შეიძლებოდა ყოფილიყო, იაპონიის მიერ ჩინეთის ერთი ნაწილის იოლად დაპყრობის მიზეზი?*
3. *სქემის ფორმით წარმოადგინეთ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში მომხდარი ცვლილებები.*
4. *შეაფასეთ მოჰანდას ვანდი დროის მიხედვით.*
5. *ჩაატარეთ გამოკვლევები მაო ძედუნის შესახებ.*
6. *ყურადღებით გადახედეთ იაპონიის ისტორიას და შეადგინეთ ამ ქვეყნის ძალადობრივი პოლიტიკის გეგმა.*

LAYTHE

14 სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები XX საუკუნის 20-30-იან წლებში

საკვანძო სიტყვები

- საომარი ვალები და კომპენსაციური პრობლემები
- დაუესის გეგმა
- შერბილების პერიოდი
- "რეინის" პაქტი
- "კელოგ-ბრიანის" პაქტი
- "ანტიკომინტერნის" პაქტი

ვერსალ-ვაშინგტონის სისტემამ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები სამართლიანად არ მოაგვარა. გამარჯვებული სახელმწიფოები ნებისმიერი საკითხის მოგვარებაში თავიანთ ინტერესებს იცავდნენ. ამან თაობის აშკარა გამოხატვა განსაკუთრებით საზღვრებისა და კომპენსაციის საკითხებში ჰპოვა. შედეგად კი, გარანტია მიეცა მალე ახალი დაპირისპირების გამოვლენას. მსოფლიო ახალი ომის კარს უახლოვდებოდა.

! *რუკის საფუძველზე გაანალიზეთ 1930-იან წლებში ევროპაში პოლიტიკური რეჟიმების სხვადასხვაობის ზეგავლენა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე.*

დაძაბულობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, **ომის ვალებისა** და **კომპენსაციების პრობლემა** სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ძირითადი საკითხი გახდა. 1922 წელს, ამ საკითხების მოგვარების მიზნით **გენუაში** (იტალია) ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთი და გერმანიაც მონაწილეობდნენ. რუსეთმა აუწყა, რომ მეფის ხელისუფლების პერიოდში აღებული ვალები მას არ ეხებოდა. კონფერენციის მსვლელობისას საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის **რაპალოში** (გენუასთან ახლოს) ხელმოწერილი იქნა ეკონომიკური ხელშეკრულება. ეს ომის შემდეგ იზოლირებული ორივე სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. უშიშროების უზრუნველსაყოფად და კომპენსაციების გადახდევინების მიზნით, გერმანიის იძულებისათვის საფრანგეთს ორი გზა გაჩნდა: მუქარა სამხედრო ჩარევებით და შუამდგომლობისათვის ერების ორგანიზაციისათვის მიმართვა. მან, 1924 წლამდე უფრო მეტად პირველი მოგვარების გზა გამოიყენა. საფრანგეთმა ამ პერიოდში „სიკვდილით დასჯის" სახელწოდების პოლიტიკა აწარმოა. ეს პოლიტიკა ვერსალის ხელშეკრულების მთლიანი პირობების შესრულებისათვის გერმანიის იძულებას ითვალისწინებდა. ამ პოლიტიკის შედეგად, 1923 წელს საფრანგეთისა და ბელგიის ჯარებმა გერმანიის ძირითადი სამრეწველო ცენტრი, რურის მხარე დაიპყრეს. გერმანიაში მომხდარმა ღრმა კრიზისმა წარმოშვა წუხილი, რომ კომპენსაციები გაუფასურებული ქაღალდის ფულით იქნებოდა გადახდილი. საფრანგეთს რურის მხარეში მყოფი ქვანახშირის სამხედრო გზით კონფისკაციის მოხდენით გერმანიის დასჯა სურდა. რურის კრიზისმა კომპენსაციის გადახდის დროის გაწელვის საკითხი გამოავლინა. ამისათვის 1924 წელს დაუესის გეგმა იქნა მიღებული. აშშ-ს სახელმწიფო მოღვაწე ჩარლზ დაუესის მიერ მომზადებული ეს გეგმა, კომპენსაციის დროის გაგრძელებას ითვალისწინებდა. გერმანიამ ინფლაციიდან გამოსვლა ახალი ფულადი ერთეულის გამოშვებითა და აშშ-საგან მიღებული ვალების გამოყენებით შეძლო.

შერბილების პერიოდი. საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების გავლენით, 1924-1929 წლები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში **შერბილების პერიოდის** სახით გამოირჩევა. 1925 წელს

LAYTHE

ჩატარებულ **ლოკარნოს კონფერენციაზე** მიღებულმა „რეინ“ის პაქტმა საფრანგეთს, ბელგიასა და გერმანიას შორის არსებული საზღვრების შეუვალობის გარანტია წარმოადგინა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება გაუგებრობების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ. ამით გერმანიამ კვლავ სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა დაიწყო. 1926 წელს ის ერთა ორგანიზაციაში შევიდა და თანასწორუფლებიან მხარედ იქნა აღიარებული.

1928 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის **არისტიდ ბრიანისა** და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის **ფრენკ კელოგის** ინიციატივით მიღებული პაქტი ყველა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას ითვალისწინებდა. “ბრიან-კელოგის“ პაქტი ომებზე უარის თქმას ითვალისწინებდა.

1920-იანი წლების ბოლოს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ურთიერთრწმენა და სტაბილური პირობები არსებობდა. მაგრამ 1929 წელს მომხდარმა **დიდმა კრიზისმა** ამ სტაბილურობის დამშვიდობების ზარები გაახმოვანა.

QUEEN ALEXANDRA MEMORIAL FUND:
Daily Mirror
THE DAILY PICTURE NEWSPAPER WITH THE LARGEST NET SALE
BIGGEST DAILY PICTURE PAPER
WEDNESDAY, DECEMBER 2 1925 (24 PAGES)
SIGNING THE PACT TO END WAR

"ხელშეკრულების ხელმოწერა ომის დამთავრების მიზნით". ინგლისის გაზეთი "დეილი მირორი" ლოკარნოს კონფერენციის შესახებ.

? *როგორი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარმა პროცესებმა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე?*

სიბნელე ჰორიზონტზე. ერების ორგანიზაციის სისუსტემ 1931 წლიდან თავი იჩინა. სინამდვილეში ეს ორგანიზაცია თავიდან კონცენტრაციას მხოლოდ ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების დაცვაზე აკეთებდა. ჯერ კიდევ 1923 წლიდან დაწყებული ლიბიაში იტალიის მიერ განხორციელებულ გენოციდის პოლიტიკაზე თვალს ხუჭავდნენ. **ომარ მუხტარის** მეთაურობით ლიბიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა 1932 წელს უმოწყალოდ იქნა ჩახშობილი. იტალიას აქ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებით, ქალები და ბავშვები ჰყავდა ამოხოცილი.

ომარ მუხტარის დატყვევება

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით ყველა ქვეყნის საბაჟო ბარიერების მომატება, იაპონიის მიერ ნედლეულის წყაროებისა და გაყიდვის ბაზრების ხელში ჩაგდების მიზნით ახალი პოლიტიკის გატარების მიზეზი გახდა. მან, 1931 წელს ჩინეთის ჩრდილოეთით მდებარე მანჯურია დაიპყრო და აქ მასზე დამოკიდებული სათამაშო სახელმწიფო ჩამოაყალიბა. ერების ორგანიზაციის პროტესტის საპასუხოდ, იაპონიამ ეს ორგანიზაცია მიატოვა.

? *რა მსგავსი მხარეები გააჩნია იაპონიის ამ პოლიტიკას, ასევე სათამაშო სახელმწიფოს ჩამოყალიბებას თანამედროვე პერიოდში სომხეთის დაპყრობით პოლიტიკასთან?*

კავშირი თანამედროვე პერიოდთან: 2008 წელს ორ სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებაში, იტალიის მიერ ლიბიაში განხორციელებულ ომში ჩადენილი დანაშაულები დასაბუთებულია. ამიტომაც იტალიას ლიბიისაგან პატიება უთხოვია.

"ამ ისტორიულ დოკუმენტში, იტალია კოლონიურ პერიოდში ლიბიის ხალხის წინააღმდეგ მკვლელობების, გამანადგურებელი მოქმედებისა და ზეგავლენების გამო პატიებას ითხოვს. ეს, იტალიის მიერ ლიბიისათვის მიყენებული ზარალის გაცნობიერება და სინდისის გამოხატვაა". (სილვიო ბერლუსკონი, იტალიის პრემიერ-მინისტრი).

Oxford Business Group (2008). The Report: Libya 2008, p. 17

LAKHE

1933 წელს გერმანიაში ფაშისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამ სახელმწიფომაც ერების ორგანიზაცია მიატოვა. დიდი კრიზისის შედეგად სხვადასხვა ქვეყნები იძულებულნი გახდნენ დახურული ეკონომიკური პოლიტიკა ეწარმოებინათ, რაც ერების ორგანიზაციის გაკოტრებითი განიარაღების სფეროში თანხვედრების თანდათან მოცილების მიზეზი გახდა.

> ***ლიბერალური დემოკრატია*** *პოლიტიკური რეჟიმი, სადაც ხელისუფლება მისი წარმომადგენლების საერთო და თავისუფალი არჩევნების გზით ამომრჩეველი ხალხის ხელშია და მისი დაყოფის პრინციპი გამოიყენება.*

მსოფლიოში ავტორიტარული რეჟიმების რიცხვი მატულობდა. ეკონომიკური კრიზისის გაფართოება 1930-იან წლებში ევროპაში დიქტატორული რეჟიმების მომატების მიზეზი გახდა. ამ ფაქტორმა, რომელიც ***ლიბერალური დემოკრატიის*** შესუსტების ფაქტორს წარმოადგენდა, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში გამწვავება კიდევ უფრო გაზარდა.

საფრთხის გაზრდა. 1934 წელს ჰიტლერმა ავსტრიის პრემიერ-მინისტრის მკვლელობის მცდელობის ორგანიზებით სახელმწიფო გადატრიალება სცადა. ეს, ავსტრიის გერმანიასთან **ანშლუს** (შეერთების) გზაზე პირველი ნაბიჯი იყო. მაგრამ მუსოლინმა ავსტრიის საზღვარზე ჯარი მიიყვანა და გერმანიის ამ მცდელობის წინააღმდეგ წარმატებული წინაღობა განახორციელა. 1935 წელს საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის მონაწილეობით ჩატარებულ **სტრეზის კონფერენციაზე** ავსტრიის ტერიტორიული მთლიანობა გარანტიის ქვეშ იქნა აყვანილი.

> **?** *თქვენი აზრით, რატომ იქნა მოქცეული ავსტრიის ტერიტორიული მთლიანობა გარანტიის ქვეშ? რა გეოსტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა ამას სხვა სახელმწიფოებისათვის?*

გერმანიამ 1935 წელს ვერსალის ხელშეკრულების პირობები დაარღვია და სავალდებულო სამხედრო სამსახური აღადგინა. ამ პერიოდში საფრანგეთი გერმანიის განმარტოვების პოლიტიკას ატარებდა. 1936 წელს გერმანიამ კიდევ ერთხელ დაარღვია ვერსალის ხელშეკრულება და განიარაღებული რეინის მხარეში ჯარი მოათავსა. ამით ვერსალის სისტემა დაიშალა. ინგლისი და საფრანგეთი ამ მოვლენას მხოლოდ ზეპირი პროტესტით შეხვდნენ. ამან ჰიტლერის საშინაო და საგარეო ავტორიტეტი გაზარდა და იგი უფრო მკაცრი ღონისძიებების გატარებისაკენ წაახალისა.

1935-1936 წლებში იტალიის მიერ ეთიოპიის დაპყრობამ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში საფუძვლიანი ცვლილებები გამოიწვია. მუსოლინი, იმის გამო, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა გააკრიტიკეს, მათ განუდგა და ჰიტლერს დაუახლოვდა. 1936 წელს გერმანიასა და იტალიას შორის კავშირი დამყარდა. შორეული აღმოსავლეთსა და **სსრკ**-ს შორის არსებულმა გამწვავებამ იაპონიაც გერმანიას დაუახლოვა. 1936 წელს მათ შორის „***ანტიკომინტერნის***“ პაქტი იქნა ხელმოწერილი. პაქტის მიხედვით, ამ სახელმწიფოებს საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაციის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა უნდა ეწარმოებინათ. შემდგომში იტალია, უნგრეთი, ესპანეთი და სხვა გარკვეული ქვეყნებიც ამ პაქტს შეუერთდნენ.

> ***კომინტერნი*** *მსოფლიოში კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების მიზნით სსრკ-ის მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ორგანიზაციაა*

ესპანეთის სამოქალაქო ომში მებრძოლი, რესპუბლიკელი მოხალისე ქალები

სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში დაძაბულობის გამომწვევ მოვლენათაგან ერთ-ერთი ესპანეთში მიმდინარე სამოქალაქო ომი გახდა. 1936 წელს, ამ ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლებაში რესპუბლიკის მომხრე სახალხო ფრონტი იყო მოსული. მაგრამ ფაშიზმის მოყვარულმა სამხედრო ძალებმა გენერალ ფრანკოს მეთაურობით აჯანყება მოახდინეს. ასე, რომ ქვეყანაში რესპუბლიკელებსა და ფაშისტებს შორის სამოქალაქო ომი დაიწყო. 1937 წელს ფაშისტებისათვის დახმარების მიზნით გერმანია და იტალია ჩაერთნენ. მაგრამ ლიბერალ დემოკრატიული რეჟიმის ქვეყნები ომს ერიდებოდნენ და ჩაურევლობის პოლიტიკას ატარებდნენ. **სსრკ** კი,

LAYIHO

რესპუბლიკელებს ეხმარებოდა. ომი 1939 წელს ფაშისტების გამარჯვებით დამთავრდა და ესპანეთში ფაშისტური დიქტატურა დამყარდა. ფაშიზმსა და დემოკრატიას შორის მომხდარი ესპანეთის სამოქალაქო ომი მოახლოებული ახალი მსოფლიო ომის ფეხთა ხმა იყო.

ა) "მოსკოვის ზედამხედველობის ქვეშ არსებული საბჭოთა გადატრიალებით საბჭოთა კავშირისათვის მომსახურად ყოფნის მიზნით აჯანყებულებს შორის ომი ... ესპანეთის სახალხო ფრონტის ნიღბის ქვეშ ხდება. ადრინდელი პერიოდისაგან განსხვავებით პოლიტიკური ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად მებრძოლი ორი ჯგუფი უმცირ აღარ არის. დღეს მოსკოვის ბარბაროსობასა და დასავლურ ცივილიზაციას შორის ერთი ომი წარმოებს. ბოლშევიკების მომხრე ფრონტმა" ძალაუფლება ხელში ჩაიგდო და ომს აწარმოებს . ტყვიებს აფრქვევს, ძარცვავს და წვავს. რელიგიის წინააღმდეგმა რისხვამ კი, საზღვარი არ იცის".

გენერალი დე კასტელნაუ. გაზეთი "პარიზის ხმა", 1936 წელი

ბ) "მადრიდი წინააღმდეგობას უწევს! ამ ბავშვთა მკვლელებისათვის ყველაზე სანდო ძალებად მიჩნეული ფაშისტური გერმანელებისა და იტალიელების მეთაურობის ქვეშ მყოფი, უცხოური დაქირავებული ჯარისკაცებისაგან შემდგარი ნაციონალისტებისათვის ქების შემსხმელნიც მადრიდის წარმატებული დაცვის წინაშე განცვიფრებულნი დარჩენილან. ესპანეთის დამოუკიდებლობის გმირები საფრანგეთის დახმარებას მიიღებენ. მადრიდი თავისუფლების გერდენად იყო გადაქცეული. [...] საფრანგეთი, მოხალისეების, სინამდვილეში მათი თავისუფლებისათვის ბრძოლას, საერთაშორისო ბრიგადების მამაცი მებრძოლების მათ გამო ანტიშეტევაზე გადასვლას გრძნობს.

... იქ მომაკვდავნი, ესპანეთი ჰიტლერისა და მუსოლინის ფრონტი არ გახდეს, ომი თქვენს ქვეყანაშიც რომ არ მოვიდეს, ამიტომ კვდებიან!"

გაზეთი "L'Humanite", 1936 წელი

? *შეადარეთ ერთმანეთს წყაროები. რა განსხვავებული მხარეები არსებობს ესპანეთის სამოქალაქო ომის შეფასებაში? თანამედროვე პერიოდის რომელ დამირისპირებას წაგავს?*

ჩაწყნარების პოლიტიკა. ვერსალის ხელშეკრულებით აკრძალვის მიუხედავად, ავსტრია 1938 წელს გერმანიას შეუერთდა. ამის შემდეგ ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკიის გერმანელებით დასახლებული მხარის, სუდეტის პროვინციის გერმანიისათვის გადაცემა მოითხოვა. 1938 წლის სექტემბერში გერმანიის, იტალიის, ინგლისისა და საფრანგეთის მონაწილეობით **მიუნხენის კონფერენცია** ჩატარდა. ინგლისი და საფრანგეთი, რომლებმაც სამხედრო თვალსაზრისით მზად არ ყოფნა და ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის ომის წინააღმდეგ ყოფნა გაითვალისწინეს, გერმანიის მხრიდან სუდეტის დაკავებას წინააღმდეგობა არ გაუწიეს. ჩაწყნარების პოლიტიკის მწარმოებელ ინგლისმა და საფრანგეთმა, იმის გამო, რომ მათი მოკავშირე ჩეხოსლოვაკია არ დაიცვეს, ავტორიტეტი დაკარგეს. 1939 წელს გერმანიამ მთლიანი ჩეხოსლოვაკია დაიპყრო. რომლითაც არაგერმანელებისაგან დასახლებული მხარე ჰიტლერის მიერ პირველად იქნა დაპყრობილი. ეს კი, ინგლისისა და საფრანგეთის ჩაწყნარების პოლიტიკის წარუმატებლობაზე მიანიშნებდა.

გერმანული ჯარი პრაღაში

? *თქვენი აზრით, რატომ არ ჰქონდა ადგილი წინააღმდეგობას ჩეხოსლოვაკიაში? შეიძლება თუ არა ეს დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ ამ სახელმწიფოს ადრიდანვე მოყოლებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები არ გააჩნდა?*

LAYTHE

"ავსტრიის ოკუპაცია, ჰიტლერის მიერ დიდი რეიხის შექმნის პროგრამის განხორციელების დაწყებისას გამოყენებული მეთოდის მიხვედრაში დაგვეხმარება. ეს მეთოდი შინაგანი და უცხოელი ჯაშუშების გამოყენებით ხელში ჩასაგდებ ქვეყანაში არეულობის მოწყობასა და ეტაპობრივად წაქეზებას ეფუძნება. ამ ჯაშუშების მიერ ორგანიზებული მოვლენების ქადაგება გებელსის ხელმძღვანელობით და საერთაშორისო კრიზისის შექმნით გერმანული პრესის მხრიდან ხორციელდებოდა. შემდეგ საქმეში ჰიტლერი ერევა და იმ ხალხს, რომელსაც გერმანული ოჯახის ერთ წაწილად თვლიდა, განაცხადებს, რომ დაცვის გარეშე არ დატოვებს. [...] არმია რომელიღაც მიზეზით არენაზე გამოდის. [...] ავსტრიის ოკუპაციამ საერთაშორისო მდგომარეობის სხვა თავისებურება, ანუ გერმანელების მიერ ძალის დემონსტრაციის წინაშე დიდი სახელმწიფოების უკმაყოფილების სისუსტე კიდევ ერთხელ გამოაშკარავა. [...] ეს სისუსტე [...] შესაძლებელია ზავის მოძრედ ყოფნით განმარტოს. [...] მუსოლინი ჰიტლერს დაუმეგობრდა. ხოლო საფრანგეთი, რომელიც ავსტრიის ოკუპაციის წინააღმდეგ არ გამოვა (...), კრიზისში იმყოფება".

საფრანგეთის ელჩი ბერლინში
ა. ფრანსუა-პონსე.
ისტორია, სტამბოლი, 2002. გვ. 415

? *რა იყო გერმანელების ძალის დემონსტრაციის წინაშე დიდი სახელმწიფოების უკმაყოფილებისა და სისუსტის მიზეზები? როგორ აფასებთ პრესის როლს საერთაშორისო და საშინაო საკითხებში?*

ინგლისისა და საფრანგეთის პასიურობამ და ჩაწყნარების პოლიტიკამ იტალიასაც გამბედაობა მისცა გაეფართოვებინა დაპყრობითი პოლიტიკა. 1939 წელს **ალბანეთი** იტალიის მიერ იქნა დაპყრობილი. იმ წელს გერმანიამ და იტალიამ **ფოლადის პაქტზე** ხელი მოაწერეს. ეს სამხედრო კავშირის ხელშეკრულება საომარ მდგომარეობაში ურთიერთდახმარებას ითვალისწინებდა.

კარიკატურა მოლოტოვისა და რიბენტროპის პაქტის შესახებ. დავიდ ლოუ. ლონდონი Evening Standard, 1939

? *როგორ ფასდება პაქტი კარიკატურით?*

ჰორიზონტზე ომი მოჩანს. 1939 წელს გერმანიამ პოლონეთის წინაშე ტერიტორიული პრეტენზია წამოაყენა. ამის საპასუხოდ, ინგლისმა და საფრანგეთმა სსრკ-თან კავშირის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყეს. მაგრამ მოლაპარაკებები ფერხდებოდა. 1939 წლის აგვისტოში **სსრკ**-მა და გერმანიამ მოულოდნელად ხელი მოაწერეს პაქტს თავდაუსხმელობის შესახებ. მოლოტოვისა და რიბენტროპის (ორივე სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები) პაქტად წოდებულ ამ ხელშეკრულებამ ევროპაში განცვიფრება გამოიწვია. იმიტომ რომ, იდეოლოგიური თვალსაზრისით ორი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს გარიგება მოულოდნელი იყო. პირველი მსოფლიო ომისაგან განსხვავებით, გერმანიას ორ ფრონტზე ბრძოლა არ სურდა. პაქტის საიდუმლო ოქმში ადგილი ჰქონდა შეთანხმებას პოლონეთის განაწილებისა და აღმოსავლეთ ევროპაში ორივე სახელმწიფოს გავლენის სფეროების შესახებ.

კითხვები და დავალებები

1. *რომელ საკითხებს ეკავა ძირითადი ადგილი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ?*
2. *რა იყო დაუესის გეგმის მიზანი?*
3. *რა განმასხვავებელი მხარე ვაჩნდა 1924-1929 წლების სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს?*
4. *განმარტეთ 1920-იანი წლების დასასრულისა და 1930-იანი წლების დასაწყისის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში არსებული დაძაბულობის მიზეზები.*
5. *რომელმა ფაქტორებმა მოახდინა ზეგავლენა 1930-იან წლებში ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის დაკარგვაზე?*
6. *ჯანალიზეთ ინგლისისა და საფრანგეთის ჩაწყნარების პოლიტიკის წარუმატებლობის მიზეზები.*
7. *შეადგინეთ დროის ცხრილი, 1920-1930-იან წლებში სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებთან დაკავშირებული მოვლენების საფუძვლებზე.*

LAYING

15 მეორე მსოფლიო ომი. ფაშისტური ბლოკის უპირატესობა

საკვანძო სიტყვები

- უცნაური ომი
- "ელვისებური ომი"
- "ბარბაროსა" ოპერაცია
- ლენდ-ლიზის კანონი
- გაერთიანებული ერების დეკლარაცია

გერსალ-ვაშინგტონის კონფერენციამ საერთაშორისო ურთიერთობებში წინააღმდეგობები ვერ აღმოფხვრა. პირიქით, ახალი წინააღმდეგობები წარმოშვა, რომელიც თანდათან გაღრმავდა. ამის შედეგად, 1939 წლის სექტემბერში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ეს ომი მასშტაბის მიხედვით ადრინდელ ომზე უფრო დიდი იყო. ის არამარტო სახელმწიფოებს შორის, არამედ იდეოლოგიებს შორისაც მიმდინარეობდა.

0 500 კმ
ფინეთი
ზოგ. 1939
ზოგ. 1939
ესტონეთი
ლატვია
ლიტვა
ბალტიის ზღვა
ინგლისი
ირლანდია
ჩრდილოეთის ზღვა
ინგლისი
ინგლისი
ინგლისი

გერმანელიდა საბჭოთა საშხედროები პოლიონეთში

ადოლფ ჰიტლერი პარიზში

როგორ გამოიყენებოდა Blitskriq-ი (ელვისებური ომი)

„დღევანდელ დღემდე არსებულზე უფრო მეტი სისწრაფით მოქმედების შეძლება, მტრის ცეცხლის მიუხედავად, მოქმედების უნარის შენარჩუნება, ... შეტევის სიღრმისაკენ – მტრის მოწყობილობისაკენ მიმართვაა საჭირო. ეს მხოლოდ სიურპრიზის გამომწვევი ელემენტით იქნება შესაძლებელი, ... ეს კი ტანკია. გამარჯვების ყველაზე მნიშვნელოვან პირობათაგან ერთ-ერთი დაჯავშნული ერთეულების დაჯგუფებაა. ეს ძალები არც დაბნეული და არც განმარტოებული არ უნდა იყოს, დიდი, ძლიერი შეტევების განსორციელების მიზნით არა ქვეითი ჯარი, არამედ ტანკები უნდა იყოს გამოყენებული. ... სტრატეგიული სამხედროების მისამართით დაფუძნებული მოულოდნელი შეტევა მტრის სიღრმისაკენ უნდა იქნას მიმართული ".

ჰ. გუდერიანი "ყურადღება, Panzer!", 1937

წლის მარტში დამთავრებული ამ ომის შედეგად, **სსრკ**-მა ბალტიის ზღვისპირა ტერიტორიების გარკვეული ნაწილი დაიპყრო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფინეთმა თავისი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. 1940 წელს სსრკ-ის მიერ ბალტიის ქვეყნები - ესტონეთი, ლატვია და ლიტვა დაპყრობილი იქნა. რუმინეთს ჩამოერთვა ბესარაბია. ამგვარად, საბჭოთა კავშირმა 1917 წლის რევოლუციამდელი რუსეთის იმპერიის დასავლეთ საზღვრები აღადგინა.

"უცნაური ომი". დასავლეთში ომის გამოცხადების მიუხედავად საფრანგეთმა და ინგლისმა სამხედრო მოქმედებები არ დაიწყეს. ისინი გერმანიის შეტევას ელოდებოდნენ. ამიტომაც ომის ამ პერიოდს „უცნაური ომი“ უწოდეს. 1940 წლის გაზაფხულზე გერმანიამ დანიისა და ნორვეგიის დაპყრობით ჩრდილოეთიდან თავისი უსაფრთხოება უზრუნველყო. მაისში გერმანულმა ჯარმა ნეიტრალიტეტის დარღვევით ჰოლანდია და ბელგია დაიპყრო. ინგლისურ-ფრანგული ჯარები დიუნკერკში ალყაში მოაქცა. მაგრამ ინგლისთან საზავო ხელშეკრულების დადებაზე დაიმედებულმა ჰიტლერმა ალყაში მოქცეულ ჯარებს ინგლისში გადასვლის საშუალება მისცა. მის მიერ დაშვებულმა ამ სტრატეგიულმა შეცდომამ ომის შედეგებზე გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინა. ივნისში იტალიამ საფრანგეთს ომი გამოუცხადა. გერმანულმა ჯარმა პარიზი დაიკავა. **მარშალ პეტენის** მეთაურობით ჩამოყალიბებული **ვიშის მთავრობამ** (ასე ეწოდებოდა იმის გამო, რომ რეზიდენცია ქალაქ ვიშიში მდებარეობდა) მთავრობამ გერმანიასთან ხელშეკრულება დადო. ეს, საფრანგეთის ისტორიაში ყველაზე დიდი მარცხი იყო.

“თავისუფალი მსოფლიოს უკანასკნელი ციხე-სიმაგრე”. 1940 წლის ზაფხულში გერმანულ ჯარს ნორვეგიიდან ესპანეთამდე მთლიანი ევროპა დაპყრობილი ჰქონდა. დიდი ბრიტანეთი, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა, „თავისუფალი მსოფლიოს უკანასკნელი ციხე-სიმაგრე“ იყო. საფრანგეთისა და ფაშისტების მხრიდან დაპყრობილი ევროპული ქვეყნების იმიგრანტი მთავრობები აქ იყვნენ შეხიზნულნი. ჰიტლერს ინგლისის საჰაერო და საზღვაო შეტევების გზით დაპყრობა სურდა. მაგრამ დიდი ბრიტანეთის სამხედრო საზღვაო ფლოტი ზღვებზე თავის უპირატესობებს ინარჩუნებდა. იმ მიზნით, რომ იგი დაემარცხებინათ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საჰაერო შეტევების გამოყენების შესახებ. მაგრამ დიდმა ბრიტანეთმა პირველადი რადარების საშუალებით საჰაერო შეტევებისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეძლო. ეს, გერმანიის პირველი სტრატეგიული მარცხი გახდა.

LATHE

დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგობამ გერმანია აიძულა უფრო მეტ ფრონტზე ებრძოლა. ჰიტლერი დიდი ბრიტანეთის დამარცხებას, ისევე როგორც პირველ მსოფლიო ომში, წყალქვეშა გემებით შეტევების გზით აპირებდა. იმიტომ რომ, დიდი ბრიტანეთის ძალა კოლონიებიდან და აშშ-დან მოსულ დახმარებებზე იყო დამოკიდებული. ამგვარად, ატლანტის ოკეანეზე ბრძოლები დაიწყო. 1940 წლის დასასრულს აფრიკაც ომის არენად გადაიქცა. ინგლისის ჯარმა იტალიელების ეგვიპტეზე შეტევა მოიგერია. 1941 წელს ჰიტლერმა იტალიისათვის დახმარების მიზნით ლიბიაში ჯარი გაგზავნა.

1940 წელს იტალიის სურვილი საბერძნეთის დაპყრობის შესახებ წარუმატებელი აღმოჩნდა. ჰიტლერს ისევ მისთვის დახმარება მოუწია. 1941 წელს საბერძნეთი და იუგოსლოვია დაპყრობილი იქნა.

სსრკ-ის ომში ჩართვა. ჰიტლერს კომუნიზმის გაუქმება და საბჭოთა კავშირის ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდება სურდა. ამისათვის **"ბარბაროსას"** მოქმედება იყო დაგეგმილი. 1941 წლის 22 ივნისს სსრკ-ზე შეტევა დაიწყო. ფინეთიდან შავ ზღვამდე 5,5 მილიონმა გერმანელმა, ფინელმა, უნგრელმა, რუმინელმა და იტალიელმა ჯარისკაცებმა დიდი სამხედრო ტექნიკით ლენინგრადის, მოსკოვისა და კიევის მიმართულებით შეტევა დაიწყეს. 1930-იან წლებში სტალინის მიერ განხორციელებული რეპრესიების შედეგად საბჭოთა არმია დასუსტებული იყო. გერმანულმა ჯარმა სამი თვის განმავლობაში უკრაინისა და ბელორუსიის დაპყრობა, ლენინგრადის ალყაში მოქცევა და მოსკოვთან მიახლოვება შეძლო. მაგრამ ზამთრის მოსვლა, მომარაგების გართულება და საბჭოთა ხალხის მიერ სამშობლოს დაცვის მიზნით ძლიერი წინააღმდეგობის გაწევა, გერმანული ჯარების 1941 წლის დეკემბერში მოსკოვთან ახლო-მახლოს შეჩერების მიზეზი გახდა.

სამხედრო მოქმედებები შორეულ აღმოსავლეთში. ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით სუსტმა იაპონიამ 1930-იანი წლების დასაწყისში დაპყრობითი პოლიტიკის განხორციელება დაიწყო და ამის შედეგად ჩინეთის ტერიტორიები დაიპყრო. ასევე დაიპყრო ინდოეთის ოკეანის აღმოსავლეთ კუნძულები და ხელთ იგდო აქ არსებული კაუჩუკისა, აგრეთვე ნავთობის რესურსები. საზღვაო გზების კონტროლის ქვეშ აყვანა კი, სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებდა. იაპონიის საომარი ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად ზღვებზე თავისი ეკონომიკა უნდა უზრუნველეყო. ეს კი დიდ ბრიტანეთსა და აშშ-თან კონკურენციის მიზეზი გახდა. 1941 წლის აპრილში იაპონიასა და სსრკ-ს შორის თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულება იქნა ხელმოწერილი. იაპონიამ, რომელმაც ამით ისარგებლა, შორეულ აღმოსავლეთში გააქტიურება დაიწყო. 1941 წლის დასასრულიდან 1942 წლის დასაწყისამდე ფილიპინები, ჰონკონგი, მალაიზია და სინგაპური დაიპყრო. იაპონია ამ ქვეყანაში „ახია აზიელებისაა“ ლოზუნგის ქვეშ „ყვითელი“ რასის მიერ თეთრების დამარცხების პროპაგანდას ეწეოდა.

"ძალიან დიდი გამოცდის წინაშე ვიმყოფებით. დიდხანს, თვეების მანძილზე, რომ გავრძელდება ის ბრძოლა და დიდი სართულე არსებობს. მეკითხებით, თუ როგორი იქნება ის პოლიტიკა, რომელსაც განვახორციელებ. ჩემი პასუხია: ზღვაზე, ხმელეთსა და პაერზე ჩვენი მთლიანი ძალებით ბრძოლა! ... მეკითხებით, თუ რა არის ჩვენი მიზანი. თქვენ ორი სიტყვით გიპასუხებთ: გამარჯვება! რადაც რომ დაჯდეს, გამარჯვება! ... ჩვენი გზა რაც არ უნდა შორი და რთული იყოს, გამარჯვება!"

1940 წელი, მაისი

"ბოლომდე მივალთ...ზღვებზე, ოკეანეებზე ვიბრძოლებთ, უფრო დიდი რწმენითა და უფრო დიდი ძალით, ... ჩვენს კუნძულს დავიცავთ. ... პარნაკებსა და ქუჩებში ვიბრძოლებთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დავმორჩილდებით. თუ ერთ დღეს ეს კუნძული-ერთი წამითაც კი ეს არ მჯერა-დაკავებული აღმოჩნდება, მაშინ ზღვის იქით მზარეს მყოფი ჩვენი იმპერია ბრიტანეთის ფლოტის მიერ უზრუნველყოფილი იარაღითა და რწმენით ომს განვაგრძობთ".

1940 წელი, ივნისი

უ. ჩერჩილი, "ომის რიტორიკა"

? *როგორ აფასებთ უ. ჩერჩილის სიტყვებს?*

გერმანული ჯარი მოსკოვის სიახლოვეს

? *სურათის საფუძველზე განსაზღვრეთ ფაქტორები, რომლებიც ართულებს გერმანელების მიერ მოსკოვზე შეტევას. თქვენი აზრით, როგორ ზემოქმედებას მოახდენდა ეს ფაქტორი ომის მსვლელობაზე?*

LATHS

აშშ-ს ჩართვა ომში. აშშ ომის დასაწყისში ნეიტრალიტეტის პოლიტიკას აწარმოებდა. მაგრამ ჯერ კიდევ 1941 წლის მარტში მიღებული **ლენდ-ლიზის** (ვალი და ქირა) **კანონის** მიხედვით, აშშ-ს უსაფრთხოებისათვის აუცილებლად მიჩნეულ სახელმწიფოებს დახმარება ეწეოდათ. ეს კანონი თავდაპირველად დიდ ბრიტანეთსს, ხოლო შემდეგ სსრკ-ს შეეხო. 1941 წლის აგვისტოში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **უინსტონ ჩერჩილი** და აშშ-ს პრეზიდენტი **ფრანკლინ რუზველტი** ერთმანეთს ატლანტის ოკეანეში სამხედრო გემზე შეხვდნენ. რომლის შედეგად ხელმოწერილი იქნა ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ ომის მიზნებისა და მომავალში ზავის პრინციპების განმსაზღვრელი ატლანტიის ქარტია. დოკუმენტში ორივე სახელმწიფომ განაცხადა, რომ არ სურდათ სხვა ტერიტორიების დაპყრობა, ასევე ყოველი ხალხის მიერ თავისი თვითგამორკვევის უფლებასა და ფაშისტური დიქტატურის დაშლის შემდეგ, ყველა ხალხის თავიანთ ტერიტორიებზე მშვიდობიან პირობებში ცხოვრების უფლებას აღიარებდნენ. ამასთან გამოთქვეს აზრი ყოველი სახელმწიფოს მიერ სამხედრო ძალის გამოყენების შეწყვეტის აუცილებლობის შესახებ.

დიდი ბრიტანეთი და აშშ სსრკ-ს ირანის ტერიტორიის საშუალებით ეხმარებოდა. სხვა გზები მურმანსკი, ვლადივოსტოკი და შავი ზღვის სრუტეები იყო. მაგრამ პირველი ორი ნავსადგური დახმარებისათვის ხელსაყრელი არ იყო. თურქეთს კი, ნეიტრალიტეტის გამო სრუტეები ჩაკეტილი ჰქონდა. ამასობაში იმის გამო რომ, ეგეოსის კუნძულები გერმანელებს ჰქონდათ დაპყრობილი, მოკავშირე გემების აქედან გავლა შეუძლებელი იყო. ყველაზე ხელსაყრელ გზად ირანი რჩებოდა. მაგრამ ირანს ამის დაშვება არ სურდა. ამიტომაც დიდმა ბრიტანეთმა და სსრკ-მა 1941 წლის აგვისტოში ირანი ხელში ჩაიგდეს და აქ ხელისუფლების შეცვლა მოახდინეს. ირანი გავლენის სფეროებად დაიყო. ირანის ჩრდილოეთი საბჭოთა კავშირის, ხოლო სამხრეთი ინგლისის გავლენის სფეროდ გადაიქცა.

1941 წლის დეკემბერში იაპონიის თვითმფრინავებმა **პერლ-ჰარბორს** (ჰავაის კუნძულები)-აშშ-ს ბაზას დარტყმა მიაყენა. გერმანიამაც აშშ-ს ომი გამოუცხადა. აშშ-ს ომში ჩართვა პოლიტიკური ბრუნვის წერტილი გახდა. სამხედრო მოქმედებები აღმოსავლეთსა და წყნარ ოკეანეში გავრცელდა. ომი, სრული სიტყვის მნიშვნელობით, მსოფლიო ომად გადაიქცა. აშშ-ს, სსრკ-სა და დიდი ბრიტანეთის მეთაურობით 26 სახელმწიფომ 1942 წლის იანვარში ატლანტის ქარტიის საფუძველზე ხელი მოაწერეს **გაერთიანებული ერების დეკლარაციას** და განაცხადეს, რომ ითანამშრომლებდნენ ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ. ამგვარად ომის შემდეგ ჩამოსაყალიბებელი **გაერთიანებული ერების ორგანიზაცია** ფორმირების მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადაიდგა.

ფაშისტური ბლოკის უპირატესობის უმაღლესი წერტილი. 1942 წლის დასაწყისი ფაშისტური ბლოკის უპირატესობის უმაღლესი წერტილი გახდა. ამ წლის გაზაფხულზე კავკასიისა და ბაქოს ნავთობის ხელში ჩასაგდებად შეტევა დაიწყო. გერმანულმა ჯარმა მდინარე ვოლგას მიაღწია და სტალინგრადს ალყა შემოარტყა. მაგრამ საბჭოთა ჯარებმა გერმანელებს საშუალება არ მისცა მიახლოებოდა ბაქოს, რომელიც დიდ ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებდა.

კითხვები და დავალებები

1. *რატომ არის, რომ გერმანელების მიერ პოლონეთზე შეტევა, მსოფლიო სამხედრო ისტორიაში ელვისებური ომის სახელწოდებითაა ცნობილი?*
2. *რა იყო სსრკ-ის ერების ორგანიზაციიდან გაყვანის მიზეზი?*
3. *რატომ ეწოდებოდა ამ ომს უცნაური ომი ომის თავდაპირველ პერიოდში?*
4. *რატომ მისცა ჰიტლერმა დიუნკერში ალყაშემორტყმულ ინგლისურ-ფრანგულ ჯარს ინგლისში გადასვლის საშუალება?*
5. *რომელ ფაქტორებს უკავშირდებოდა გერმანელების მხრიდან დიდი ბრიტანეთის დამარცხების შეუძლებლობა? თქვენი აზრით, იმოქმედა თუ არა ამან ომის მსვლელობაზე?*
6. *რა ზეგავლენა მოახდინა ომის მსვლელობაზე აშშ-ს ომში ჩართვამ?*
7. *განმარტეთ გერმანული ჯარების მოსკოვთან სიახლოვეს შეჩერების მიზეზები.*
8. *შეადგინეთ სინქრონული ცხრილი ევროპაში, აფრიკასა და შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობასთან დაკავშირებით.*

LAYLIS

16 შემობრუნება ომში და ფაშისტური ბლოკის მარცხი

საკვანძო სიტყვები

- ანტიჰიტლერული კოალიცია
- მიდუეის ბრძოლა
- ელ-ალამეინის ბრძოლა
- სტალინგრადის ბრძოლა
- ომის ეკონომიკა
- "გამარჯვების პროგრამა"
- ინტელექტუალური ომი
- თეირანის კონფერენცია
- ყირიმის კონფერენცია
- პოტსდამის კონფერენცია
- ჰოლოკოსტი

1942 წლის ზაფხულიდან მოყოლებული ფაშისტურმა ბლოკმა უპირატესობის თანდათან დაკარგვა დაიწყო. ყველა ფრონტზე ანტიფაშისტური ბლოკი იმარჯვებდა. მოკავშირეთა დიპლომატიური და ეკონომიკური მცდელობების გაერთიანებამ გამარჯვება უზრუნველყო. მაგრამ ეს გამარჯვება უამრავი ადამიანის დაღუპვისა და დიდი ეკონომიკური დანაკარგის ხარჯზე იქნა მოპოვებული.



დანაკარგი მეორე მსოფლიო ომში

გაანალიზეთ დიაგრამები. როგორი ზემოქმედება შეიძლებოდა მოეხდინა მოსახლეობის დანაკარგს, ომის შემდეგ მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე?

გარდატეხა ომში. აშშ-ს, ინგლისსა და სსრკ-ს შორის წარმოებული დიპლომატიური მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება, თავდაპირველად გერმანიის დამარცხებისა და ფაშისტური ბლოკის უპირობოდ დაქვემდებარების შესახებ. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობები რჩებოდა. სტალინს გერმანიის ორ ფრონტზე ბრძოლის იძულების მიზნით, 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა სურდა. **ანტიჰიტლერული კოალიციის** ჩამოყალიბებამ და მისმა გაძლიერებამ ომის მსვლელობაზე ზეგავლენა მოახდინა. მაგრამ აშშ და ინგლისი მეორე ფრონ-ტის გახსნაზე თანახმა არ იყვნენ. რომლის მიზეზად შესაბამისი პირობების არ არსებობას ასახელებდნენ და გერმანიის წინააღმდეგ მხოლოდ საჰაერო შეტევებს ახორციელებდნენ.



მიდუეის ბრძოლა

1942 წლის ზაფხულიდან მოყოლებული ფაშისტური ბლოკის შეტევები ყველა ფრონტზე აღმოიფხვრა. წყნარ ოკეანეში მარჯანის კუნძულებზე მიმდინარე ბრძოლებში იაპონიის მიერ ავსტრალიის დაპყრობის საფრთხეც აღმოფხვრილი იქნა. **მიდუეის**

LATHE

ერთი გერმანელი მებრძოლი სტალინგრადის ბრძოლის შესახებ

"23 აგვისტო. *ჩვენს ნაწილებს ვოლგასთან მიუღწევიათ და ქალაქის ერთი ნაწილი ხელში ჩაუგდიათ. რუსებს (რუსულ არმიას) უკვე მხოლოდ ორი გამოსავალი გზა აქვთ: ვოლგის იქეთ მხარეს გაქცევა ან დაბორჩილება. ... ჩვენს მიერ ტყვედ აყვანილმა ერთმა ოფიცერმა თქვა, რომ სანამ ბოლო ჯარისკაციანაც არ დაიღუპება, სტალინგრადს დაიცავენ. [...]*

18 სექტემბერი. *ბატალიონის მეთაურმა ჩვენ : პოლიტიკურ კომისრებს დამცველებისათვის სიკვდილამდე წინააღმდეგობის გაწევა უბრძანებია , გვითხრა. თუ სტალინგრადის ყოველ სახლს ასე დაიცავენ, ჩვენი არც ერთი ჯარისკაცი ცოცხალი არ დარჩება.*

10 ნოემბერი. *[...] გერმანიაში ფიქრობენ, რომ სტალინგრადი მთლიანად ხელში ჩაგვიგდია. რა საშინელი შეცდომაა!*

29 ნოემბერი. *ალყაში მოვხვდით. [...]*

28 დეკემბერი. *ყველა ცხენი შევჭამეთ. ახლა კატის ხორცის ჭამაზეც კი თანახმა ვარ. [...] ჯარისკაცები გვაძებს ან ვიუებს ჰგვანან. მხოლოდ საჭმელს ეძებენ. ტყვეების სროლისას მიწაზე უკვე აღარ წვებიან. სიარულისა და დაწოლის ძალა აღარ დაგვრჩა. დაწყევლილი იქნას ეს ომი!"*

ისტორია. სტამბოლი, 2002, გვ. 31

? *რა თავისებურება გააჩნია წყაროს? ვინ არის ავტორი? რა ცვლილებები ხდება მოვლენების მსვლელობისას?*

ომი ეკონომიკა *მთლიანი რესურსების (წედლეული, სოფლის მეურნეობა, სამუშაო ძალა, ფინანსები და სხვა) ომის მოთხოვნილებასთან შესაბამისობაში მოყვანაა.*

იქნენ მიღებულნი. სსრკ-ის სამხედრო მრეწველობა ძირითადად ურალსა და ციმბირში იქნა გადატანილი. ხალხის მობილიზაცია მოხდა. საპატიმრო ბანაკებში მყოფი პატიმრები ფრონტის წინა ხაზზე გაიგზავნენ.

? *რა შეიძლება ყოფილიყო სსრკ-ის სამხედრო მრეწველობის ურალსა და ციმბირში გადატანის მიზეზები?*

აშშ-ში 1942 წელს მიღებული „გამარჯვების პროგრამის“ შედეგად სამხედრო სურსათ-სანოვაგის წარმოებამრავალგზის გაიზარდა. ყველა მოკავშირე სახელმწიფოებს, მათ შორის სსრკ-საც იარაღი და საბრძოლო მასალები ეგზავნებოდათ.

? *რას ისახავდა მიზნად "გამარჯვების პროგრამა"?*

ბრძოლაში იაპონური ძალების მარცხმა აქ შემობრუნება მოახდინა. ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლისურმა ჯარმა 1942 წლის ოქტომბერში, **ელ-ალამეინის** ბრძოლაში გერმანულ-იტალიური ჯარი დაამარცხა. ტუნისში ალყაშემორტყული გერმანულ-იტალიური ჯარი 1943 წელს დანებდა.

საბჭოურ-გერმანულ ფრონტზე 1942 წელს ფაშისტური არმია ვოლგის სანაპიროზე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სტალინგრადს მიუახლოვდა. ქალაქის სახელი ორივე მხარისათვის სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებდა. ყოველი ქუჩისა და სახლის დაცვისათვის უმოწყალო ბრძოლები მოხდა. ნოემბრის ბოლოს საბჭოთა არმია კონტრშეტევაზე გადავიდა. ალყაშემორტყმული გერმანული ჯარი 1943 წლის იანვარში დანებდა. **სტალინგრადის ბრძოლამ** ომის მსვლელობაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. საბჭოთა-გერმანულ ფრონტზე საფუძვლიანი გარდატეხა მოხდა.

სტალინგრადის ბრძოლა

ატლანტიკის ოკეანეში მოკავშირეთა მომარაგებასთან დაკავშირებული ურთიერთობების კარგმა ორგანიზებულობამ, გერმანულ წყალქვეშა შეტევებისათვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წინააღმდეგობის გაწევა უზრუნველყო. 1943 წელს მოკავშირეებს აქ უპირატესობა უკვე ჰქონდათ მოპოვებული.

ეკონომიკური მობილიზება. ეს ომი, ადამიანებისა და ეკონომიკური რესურსების მობილიზების თვალსაზრისით ადრინდელებზე უფრო მაღლა იდგა. ქალაქებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში ორგანიზებული სტრატეგიული მბომბავები წინა და უკანა ფრონტის სხვაობის აღმოფხვრის მიზეზი გახდა. საომარი ეკონომიკის მომწყობი პირველი სახელმწიფო ინგლისი გახდა. იარაღის ქარხნებში სამუშაოდ, დიდწილად ქალებისაგან შემდგარი დამატებითი მუშაკები

LAXIHO

ინტელექტუალური ომი. მეცნიერების სფეროშიც მობილიზება ხორციელდებოდა. აშშ და ინგლისი მეცნიერულ კვლევებსა და მათ სამხედრო სფეროში გამოყენებას ჯერ კიდევ ომის დასაწყისიდან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამის შედეგად ***რადარის*** სახით ახალი კონტროლის საშუალება გამოვლინდა. გერმანია არც ამ სფეროში ჩამორჩებოდა. მაგნიტური ლითონების, რეაქტიური თვითმფრინავებისა და რაკეტების დამზადებაშიც კი წინ იყო. ამ ახალი იარაღების წარმოებამ, მხოლოდ 1943 წლის შემდეგ პრიორიტეტი მოიპოვა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, არც მათი რიცხვი იყო იმდენად დიდი, რომლითაც ომის შედეგების აღმოფხვრა შესაძლებელი იქნებოდა. ზღვაზე, მოწყობილობის გადაზიდვის დაცვაში ურთიერთ თანამშრომლობამ, ასევე ოკეანეში თვითმფრინავების გადამზიდავი გემებით, საბრძოლო გემებით, აგრეთვე საჰაერო და საზღვაო ფლოტით ერთობლივმა სარგებლობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. სტრატეგიული საჰაერო შეტევები მიზნად მტრის ეკონომიკური რესურსების განადგურებას ისახავდა. აშშ-ში ახალი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები დამზადდა და 1944 წელს კომპიუტერების გამოყენება დაიწყო. ფაშისტური გერმანიისაგან გადახვეწილი ევროპელი მეცნიერების მოღვაწეობის შედეგად, ატომური ბომბა იქნა დამზადებული.

ქვეყანა	წარმოება	1940	1941	1942	1943	1944
გერმანია	ფოლადი (მილიონი ტონა)	21,5	32	32	35	28
	საბრძოლო თვითმფრინავი	10 200	12 400	15 400	24 800	37 950
	ტანკი	2 200	5 120	9 400	19 900	27 300
აშშ	ფოლადი	60	65	76	79	80
	საბრძოლო თვითმფრინავი	2140	19400	47700	86000	95000
	ტანკი	346	4000	25000	29500	17600
სსრკ	ფოლადი	18	14	5	8	11
	საბრძოლო თვითმფრინავი	ინფორმაცია არ არსებობს	3950	25450	34900	40300
	ტანკი	2800	4750	24700	24000	29000

?

1. განსაზღვრეთ თარიღი, რომელშიაც გერმანიის მიერ იარაღის წარმოების ყველაზე მაღალ დონეს ჰქონდა ადგილი.
2. განსაზღვრეთ, თუ გერმანიის სამხედრო მრეწველობისაგან რამდენჯერ მეტად იყო გაზრდილი აშშ-სა და სსრკ-ის სამხედრო მრეწველობა 1942 წელს. თქვენი აზრით, რა კავშირი აქვს სამხედრო მრეწველობის გაზრდას ომში მომხდარ შემობრუნებასთან?

დეპორტაცია. მეორე მსოფლიო ომში სხვადასხვა სახელმწიფოების მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გადასახლების პოლიტიკა მასშტაბების მხრივ განსხვავდებოდა წინა ომებისაგან. ეს პოლიტიკა სსრკ-ში განხორციელდა სხვადასხვა ხალხების - თურქების, კავკასიელების, ბალტიელების (ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები) და სხვათა წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლებამ ომის მიმდინარეობაში შემობრუნების შემდეგ, 1943 წელს კავკასიაში მცხოვრები ყარაჩაელი თურქების, 1944 წელს **ჩეჩნების, ინგუშების, ბალყარელი თურქებისა** და **ყალმუხების**, ყირიმიდან **თათრების**, საქართველოდან **თურქი მესხების** გადასახლების შესახებ მიღებული იქნა გადაწყვეტილებები. ხდებოდა „ფაშისტებთან თანამშრომლობაში“ დადანაშაულებული ამ ხალხების ცენტრალურ აზიაში, ყაზახეთსა და ციმბირში გადასახლება. ის, რომ გადასახლებულთა უმრავლესობას ქალები, მოხუცები და ბავშვები შეადგენდნენ, სინამდვილეში ადასტურებს ამ ბრალდების უსაფუძვლობას. ამასთან მთელი რიგი ხალხების (რუსები, უკრაინელები, სომხები, ქართველები და სხვ.) წარმომადგენლებიც საბჭოთა რეჟიმისაგან უკმაყოფილობის გამო და სხვა მიზეზებით ფაშისტებთან თანამშრომლობდნენ. სატვირთო მატარებლებით მძიმე პირობებში გადასახლება, კლიმატური პირობები, შიმშილი და სხვ. ხდებოდა. გადასახლებულთა ერთი ნაწილის გარდაცვალების მიზეზი.

LAYING

***სტრატეგია** – ომის დროს მთლიანი საშეიარო მოქმედებების (შეტევითი ან თავდაცვითი) დაგეგმვა.*

ჰოლოკოსტი

*ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ებრაელი ხალხის მიმართ გენოციდის პოლიტიკა განახორციელეს. საკარაუდო ანგარიშების მიხედვით, მოკლული იქნა 6 მილიონამდე ებრაელი, ასევე ადამიანებზე საშიში ცდები იქნა ჩატარებული. ებრაელების წინააღმდეგ განხორციელებული ეს გენოციდი მსოფლიო ისტორიაში **ჰოლოკოსტის** სახელწოდებითაა ცნობილი. ეს ბერძნული სახელწოდება მსხვერპლის დაწვით მკვლელობას უკავშირდება.*

ომში მონაწილე აშშ-მაც თავისი იაპონელი მოქალაქეების წინააღმდეგ განახორციელა გადასახლების ღონისძიება. აშშ-ის პრეზიდენტის ფ. რუზველტის 1942 წელს მიღებული გადაწყვეტილებით 130 ათასი იაპონური წარმოშობის აშშ-ის მოქალაქე გადასახლებული იქნა სპეციალურ ბანაკებში.

დასასრულის დასაწყისი. 1942-1943 წლებში, მოკავშირეებმა ყველა ფრონტზე ფაშისტური ბლოკის შეტევები მოიგერიეს და კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ატლანტურ და წყნარ ოკეანეებზე უპირატესობები მოიპოვეს. ევროპის ფრონტზე ძირითადი სიმძიმე საბჭოთა კავშირს აწევდა. 1943 წელს მომხდარ **კურსკის ბრძოლაში** საბჭოთა არმიამ გაიმარჯვა. ამ, ტანკებით ყველაზე დიდი ბრძოლის მოხდენის შედეგად, საბჭოურ-გერმანულ ფრონტზე საფუძვლიანი შემობრუნება დასრულდა.

1943 წლის ივნისში ინგლისი და აშშ ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა და სიცილიაში შეაღწია. ეს შეტევა მუსოლინის დაცემითა და ფაშისტური რეჟიმის დაშლით დამთავრდა. იტალიამ მორჩილება განაცხადა.

ქალაქ პარიზის განთავისუფლება

მეორე ფრონტის გახსნა. საბჭოთა-გერმანულ ფრონტზე საფუძვლიანი შემობრუნების დასრულების შემდეგ, ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ კავშირის სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურები (სსრკ-ის მეთაური ი. სტალინი, აშშ-ს პრეზიდენტი ფ. რუზველტი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი) ირანის დედაქალაქ თეირანში ერთმანეთს შეხვდნენ. 1943 წლის ნოემბრის დასასრულსა და დეკემბრის დასაწყისში ჩატარებულ **თეირანის კონფერენციაზე**, ევროპაში გერმანიის წინააღმდეგ **მეორე ფრონტის გახსნის** შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ამის შედეგად, 1944 წლის ივნისში მოკავშირეები (აშშ, ინგლისი, ფრანგები გენერალ შარლ დე გოლის მეთაურობით და სხვ.) საფრანგეთის ნორმანდიის სანაპიროებზე გავიდნენ და პარიზის მიმართულებით შეტევა განახორციელეს. 1944 წლის დასასრულს საფრანგეთი თითქმის მთლიანად გათავისუფლებული იქნა.

შარლ დე გოლი (1890–1970)

*პირველ მსოფლიო ომში რამდენიმეჯერ დაჭრილი და ტყვედ ჩავარდნილი იყო. შემდგომში სამხედრო აკადემიაში ჯავშანტექნიკიანი ნაწილების ომში გამოყენების შესახებ ახალი **სტრატეგიის** თეორია ჰქონდა განვითარებული. გერმანიის მიერ ტანკის ნაწილების დამზადებისას, დე გოლის მიერ ამ სფეროში დაყენებულ წინადადებებს საფრანგეთში ყურადღება არ მიექცა. 1940 წელს, ჯავშანტექნიკიანი დივიზიის მეთაურის სახით, ფრანგების მიერ გერმანელების წინააღმდეგ იმეიათ წარმატებათაგან ერთ-ერთის მომმართველი გენერალი დე გოლი, გერმანიის წინაშე მარცხისა და მორჩილების აზრს არ შეურიგდა და იმიგრანტად ლონდონში გადავიდა. სადაც ფრანგულ წინააღმდეგობის მოძრაობას ხელმძღვანელობა დაუწყო. ამ პერიოდში საფრანგეთის განთავისუფლებისათვის მოძრაობაში მონაწილეობის მიმღები აზერბაიჯანელი პარტიზანი, **აჰმადაა ჯაბრაილოვი** შარლ დე გოლის ბრძოლის ამხანაგი ყოფილა.*

LATIS

საბჭოთა-გერმანულ ფრონტზე სრული უპირატესობის მომპოვებელმა საბჭოთა არმიამ, 1944 წელს ქვეყნის ტერიტორია მთლიანად გაანთავისუფლა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შევიდა. 1945 წლის თებერვალში მოკავშირეები უკვე გერმანიის ტერიტორიაზე შევიდნენ. საბჭოთა და აშშ-ს ჯარები აპრილში მდინარე ელბას სანაპიროზე გაერთიანდნენ. ბერლინის ალყაში მომქცევი საბჭოთა არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ჰიტლერს მოზარდთა და მოხუცებულთაგან ორგანიზებული რაზმების გარდა სხვა ძალა აღარ დარჩენოდა.

ყირიმის კონფერენცია. 1945 წლის თებერვალში იალტაში (ყირიმი) სსრკ-ის, აშშ-სა და ინგლისის მეთაურთა მეორე შეხვედრა შედგა. კონფერენციაზე მოკავშირეთა შეტევითი მოქმედებების ურთიერთდაკავშირების შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული. მხარეებმა, გერმანიის მხრიდან მოლაპარაკების გარეშე მორჩილების შემდეგ, მის მიმართ პოლიტიკა განსაზღვრეს, შორეულ აღმოსავლეთში განსაზღვრული ტერიტორიების სსრკ-ისათვის დათმობის სანაცვლოდ, მის მხრიდან იაპონიის წინააღმდეგ ომის გამოცხადების შესახებ საიდუმლო შეთანხმება იქნა ხელმოწერილი.

ჰიტლერის ბოლო ჯარისკაცები. 1945 წელი, აპრილი

30 აპრილს ჰიტლერმა თავი მოიკლა. 8 მაისს გერმანია დანებდა და ევროპაში ომი დამთავრდა. 1945 წლის 17 ივლის - 2 აგვისტოს პოტსდამში (ბერლინის სიახლოვეს) სსრკ-ის, აშშ-სა და ინგლისის მეთაურთა მესამე კონფერენცია შედგა. კონფერენცია მსოფლიოს ომის შემდგომ ბედს ეძღვნებოდა. კონფერენციის გადაწყვეტილებით ძირითადი ფაშისტური სამხედრო-პოლიტიკური დამნაშავეების განსჯის მიზნით, საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი დაარსდა.

ატომური ბომბი

იაპონიის დამორჩილება. წყნარი ოკეანის მხარის განთავისუფლება, მანძილის სიშორისა და ტროპიკული ამინდის პირობების გამო, დიდი სირთულით განხორციელდა. იაპონელებს ტყვედ ჩავარდნას თვითმკვლელობა ერჩივნათ, კამიკაძეები ბომბით დატვირთულ თვითმფრინავებს ამერიკის გემებზე აჯახებდნენ. აშშ-მ 1945 წლის 6 აგვისტოს ქალაქ ჰიროსიმაში, ხოლო 9 აგვისტოს ქალაქ ნაგასაკში ატომური ბომბის გადაგდებით კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი დანაშაული ჩაიდინა.



ქალიშვილი

ჰიროსიმაში გარდაცვლიდან,
გაიცლიდა ერთი ათი წელი.
ერთი შვიდი წლის გოგონა ვარ,
არ იზრდება მეცდარი ბავშვები.

ვიკაკუნებთ კარებს,
დეიდა, ბიძია, სული მომიწერე.
არ იქნას მოკლული ბავშვები
ტებილის ქაბაც შეძლონ.

ოურა ბეეტი ნაზიმ ჰიქმეთის ლექსი ჰიროსიმაში დაღუპული ბავშვების შესახებ. ნაზიმ ჰიქმეთი. კრებული სტამბოლი, 2008, გვ. 1581

ქალაქი ჰიროსიმა, ატომური დაბომბვის შემდეგ. 1945 წლის 6 აგვისტო

LAKHE

ჰიროსიმაში გადარჩენილი ერთი მცხოვრების წერილი

"დილით 8-ს რომ აკლდა ვამეღვიძა, ... უცებ თავში ერთი დარტყმა მივიღე და თვალწინ ყველაფერი ჩამობნელდა. ... სიბნელეში მხოლოდ ქარიშხალის ხმაური ჩამესმოდა. ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მკაფიოდ არ ჩანდა, გარშემო განათდა და თავი განკითხვის დღეზე დამეგულა. სქელმა ნაცრისფერმა ღრუბლებმა ყველა ადგილი ჯერ ცისფერ, შემდეგ კი სხვა ფერებში გაახვია ... სახე მთლიანად ჩამოგლეჯილი ადამიანები დაგინახე ... სახეები ისეთი საშიში ფორმით შესიებული ჰქონდათ, რომ მამაკაცებისა და ქალების გარჩევა ძნელდებოდა. მათ თვალების ადგილას ღრუები დარჩენოდათ, მათი ტუჩები იწვოდა."

ისტორია. სტამბოლი, 2002, გვ. 37

აშშ აცხადებდა, რომ ეს ნაბიჯი უფრო მეტი დაღუპვის აღმოფხვრის მიზნით გადადგა და ამით თავის მართლებას ცდილობდა. მაგრამ სინამდვილეში, ეს სამხედრო აუცილებლობიდან არ იყო გამოწვეული. 8 აგვისტოს სსრკ-მაც იაპონიას ომი გამოუცხადა. 1945 წლის 2 სექტემბერს, იაპონიამ დანებება გამოაცხადა. მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

ქალაქ ნაგასაკი ატომური დაბომბვის შემდეგ. 1945 წლის 9 აგვისტო.

? *წყაროსა და სურათის საფუძველზე განიხილეთ ატომური დაბომბვის მძიმე შედეგები. დამატებითი ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ თემაზე დებატის მოწყობა შესაძლებელია: "წარმოადგენდა თუ არა საშხედრო აუცილებლობას აშშ-ს მიერ ატომური ბომბის გამოყენება?"*

კითხვები და დავალებები

1. *რომელმა მოვლენებმა გამოიწვია შემობრუნებები ომში?*
2. *როგორი ზეგავლენა მოახდინა ომის მსვლელობაზე ანტიჰიტლერული კოალიციის ჩამოყალიბებამ და გაძლიერებამ?*
3. *რა არის ჰოლოკოსტი? შეადარეთ ჰოლოკოსტი ხოჯალის გენოციდს.*
4. *როგორი ზეგავლენა მოახდინა ომმა ეკონომიკასა და მეცნიერებაზე?*
5. *რა შედეგები გამოიწვია კურსკის ბრძოლამ?*
6. *რომელი მსგავსი მხარეები გააჩნიათ თეირანისა და ყირიმის კონფერენციებს?*
7. *რატომ გამოუცხადა სსრკ-მა ომი იაპონიას?*
8. *შეაგროვეთ დამატებითი ცნობები და მოაწყეთ განხილვა აშშ-ს მიერ ატომური ბომბის გამოყენების მიზეზების შესახებ. მოამზადეთ საგაზეთო რეფერატები და რეპორტაჟები ჯგუფური ფორმით, ჰიროსიმასა და ნაგასაკისათვის მიყენებული ატომური დარტყმის შესახებ.*
9. *განსაზღვრეთ დროის ისარზე მოცემული მნიშვნელოვანი მოვლენების თარიღები.*



LAYING

17 კულტურა

საკვანძო სიტყვები

- ავანგარდული სტილი
- სიურეალიზმი
- მასობრივი კულტურა
- "მოლაპარაკე პრესა"

პირველ მსოფლიო ომმა, მსოფლიოს შემდგომ პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების პარალელურად, კულტურის სხვადასხვა სფეროებზეც ზეგავლენა მოახდინა. ხელოვნების სფეროებსა და ლიტერატურაში ომის, ასევე მისი შედეგების გამაკრიტიკებელი ნაწარმოებების შემოქმედებას ჰქონდა ადგილი. ეს პერიოდი მეცნიერებაში სხვადასხვა სიახლეებისა და აღმოჩენების გამოვლენით გამოირჩევა.

პირველი სატელევიზიო გადაცემის გადაღების პავილიონი



სალვადორ დალი. "მეხსიერების მარადიულობა"



ალბერტ აინშტაინისათვის აშშ-ს მოქალაქეობის მინიჭება

ჯაზის ჯგუფი

! *სურათების საფუძველზე განმარტეთ, თუ რა სიახლეები მოხდა 1920–1930-იანი წლების კულტურაში.*

ხელოვნება. პირველი მსოფლიო ომის საშინელებებმა კულტურის ყველა სფეროებში შემოქმედი ადამიანების - მხატვრის, პოეტის, მწერლის და სხვათა შემოქმედებაზე ზეგავლენა მოახდინა. ისინი თავიანთ ნაწარმოებებში ომებს აპროტესტებდნენ. ამგვარად „ბურჟუაზიული კულტურის“ წინააღმდეგ კულტურული მოძრაობები ჩამოყალიბდა. დასავლური ფასეულობების კრიტიკა დაიწყო. სიურეალიზმი (არარეალური) მიმდინარეობა, ზუსტად ასეთ პირობებში იყო ჩამოყალიბებული. ლიტერატურის სფეროში გამოვლენილი **სიურეალიზმი**, მხატვრობაში უფრო ფართოდ გავრცელდა. რეალობასა და ლოგიკას შეუსაბამო აღწერები ამ სტილს ძალიან მიესადაგება. პოპულარული ესპანელი მხატვრის **სალვადორ დალის** ნაწარმოებები, სიურეალიზმის ბრწყინვალე ნიმუშებად ითვლება. 1920-იან წლებში ევროპის ხელოვნებაში **ავანგარდული (სიახლის მომტანი)** სტილი გავრცელდა.

LMYtHa

ბაუჰაუზის სკოლა

არქიტექტურა. 1920-1930-იან წლებში ქალაქთმშენებლობა და არქიტექტურა განვითარდა. გერმანიაში შექმნილი **ბაუჰაუზის** არქიტექტურულ სტილს ახალი სამრეწველო ტექნიკით ხელოვნების გამთლიანება ახასიათებდა. 1933 წელს, ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მათი ზემოქმედების შედეგად ამ სკოლის წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებში გადავიდნენ. ამის შედეგად კი, გაძლიერდა ზეგავლენა სხვა ქვეყნების არქიტექტურაზე. 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, რესპუბლიკის პერიოდში თურქულ არქიტექტურაში ევროპული სტილის მოდერნული არქიტექტურა უპირატესობას ფლობდა.

მუსიკა. ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ პერიოდში კლასიკურ მუსიკისაკენ შემობრუნება გაფართოვდა. განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა ინიციატივებს კლასიკური მუსიკისა და ფოლკლორული ნიმუშების სინთეზზე. აშშ-ს მხრიდან პირველ მსოფლიო ომში ჩართვამ, მასსა და ევროპას შორის კულტურული ურთიერთობის განვითარებასაც მისცა ბიძგი. ამის შედეგად, **ჯაზის** მუსიკა ევროპაშიც გავრცელდა.

ლიტერატურა: პროტესტსა და იმედს შორის. 1920-1930-იანი წლების განმავლობაში ომის ზეგავლენები ევროპაში თავს იჩენდა. საომარი ლიტერატურა ცალკე სახედ იყო გადაქცეული. ომის საშინელებანი მხატვრულ ტექსტებში გამოიხატებოდა. ჩეხი მწერალი **ფრანც კაფკა** თავის ნაწარმოებებში ადამიანის უმწეობას გამოხატავდა. ამერიკელი მწერალი **ჯონ სტეინბეკის** რომანში „რისხვის გროვა“, 1929-1933 წლებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, არაფრის მქონე გლეხების ცხოვრება იყო აღწერილი.

რაბინდრანათ თაგორს 1919 წელს, ინგლისის მხრიდან ინდოეთში თავისუფლების მოძრაობის მონაწილეთა ამოხოცვაზე პროტესტის ნიშნად, ინგლისის მთავრობის მიერ მისთვის მინიჭებული „სერ“-ის ტიტული უკან ჰქონდა დაბრუნებული. მას **მაჰათმა განდის** ხელმძღვანელობით განხორციელებულ თავისუფლების მოძრაობაში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული. მსოფლიოს პოპულარულ პოეტებს შორის ცნობილი თაგორი კასტური წყობისა და კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა.

რუსეთში 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, მსოფლიოს სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობაში მომხდარმა კატეგორიულმა პოლარიზაციამ კულტურაზეც ზემოქმედება მოახდინა. 30-იან წლებში სსრკ-ში კულტურის ყველა სფერო სახელმწიფოს კატეგორიული კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული. სახელმწიფოსა და პარტიისათვის სამსახურის გაწევის მიზნით, ადგილი ჰქონდა კულტურის მოღვაწეების ორგანიზებას სხვადასხვა სფეროების მიხედვით. ამის მიზანი საბჭოთა იდეოლოგიის მასების თავზე მოხვევა იყო. რუსი მწერალი **მაქსიმ გორკი** და პოეტი **ვლადიმერ მაიაკოვსკი** საბჭოთა კულტურის მსოფლიო პოპულარიზაციის წარმომადგენლები იყვნენ.

XX საუკუნეში მსოფლიოს ერთ-ერთი პოპულარული პოეტი, **ნაზიმ ჰიქმათი** თურქეთში თავისუფალი ლექსის შემოქმედი გახდა. ის თავისი პოლიტიკური ხედვების გამო მრავალჯერ დააპატიმრებული და დევნილი აღმოჩნდა.

სექმან ვურღუნი და ნაზიმ ჰიქმათი

მეცნიერება. მეცნიერების სხვადასხვა სფეროებში სიახლეები ხდებოდა. ფიზიკასა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გაკეთებული აღმოჩენები სხვადასხვა სფეროების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზეზი გახდა. პირველად **1926 წელს** რეალიზებული რაკეტის ცდა წარმატებული გამოდგა. 1930-იან წლებში რადარის სფერო განვითარდა. ბირთვული ენერგიის სფეროში მნიშვნელოვანი აღმოჩენები გაკეთდა. სამედიცინო სფეროში მომხდარი განვითარების შედეგად, ახალი აცრები და წამლები დამზადდა. ორგანოს გადანერგვის დაწყებამ, ამ სფეროში დიდი ცვლილებები გამოიწვია. **1929 წელს** პენიცილინის აღმოჩენამ და

LAYTHe

სხვადასხვა ავადმყოფობის საწინააღმდეგო აცრების გამოყენებამ, ადამიანთა მასობრივი სიკვდილიანობის აღმოფხვრას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია. 1921 წელს ფიზიკის სფეროში ნობელის პრემიის მიმღებმა ალბერტ აინშტაინმა, ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გერმანია დატოვა. მან, 1939 წელს აშშ-ს პრეზიდენტს ფ.რუზველტს წერილი მისწერა და გააფრთხილა, რომ გერმანია ატომური ბომბის დამზადების მიმართულებით გარკვეულ სამუშაოებს ატარებდა. ზუსტად ამ წერილის ზეგავლენამ აშშ მეორე მსოფლიო ომში ატომური ბომბის დამზადებისაკენ უბიძგა.

სოციალური მეცნიერებების სფეროშიც სიახლეები მოხდა. 1929 წელს ისტორიის მეცნიერებაში ფრანგული სკოლის გამოვლენით ჩვეულებითი ისტორიის ცნება შეიცვალა. ისტორიის ცენტრში უკვე არა მარტო ომები და მმართველთა მოღვაწეობები, არამედ სოციალ-ეკონომიკური ცხოვრება და კულტურაც ჩადგა.

მასობრივი კულტურისაკენ. ინგლისელი მსახიობის **ჩარლინი ჩაპლინისა** და საბჭოთა რეჟისორის **სერგეი ეიზენშტეინის** უხმო ფილმები მსოფლიო პოპულარობით სარგებლობდა. 1920-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ხმიანი ფილმების გადაღება. ფოტოგრაფიის, მულტფილმისა და კინოს სახით ხელოვნების ვიზუალურ სფეროებში მიმდინარე განვითარებამ, **მასობრივი კულტურის** ფორმირებაზე ზემოქმედება მოახდინა. წერით პრესას ფოტოები დაერთო. ევროპაში „ტენტენის“, აშშ-ში „სუპერმენის“ სახის კომიკსები (სურათიანი თავგადასავლები) ზუსტად ამ პერიოდში იქნა წარმოებული. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ განვითარებასთან დაკავშირებით, ფილმების პროპაგანდის საშუალებად გამოყენება დაიწყო. **1923 წელს** ინგლისში შექმნილი ტელევიზია, 30-იან წლებში უკვე სახლებში ფართოდ გამოიყენებოდა.

“შოლაპარაკე პრესა”. 1920-იან წლებში ხმის ჩაწერის უზრუნველმყოფი ტექნიკური განვითარების შედეგად, მუსიკის მოსმენის არეალი გაფართოვდა. 1920-იან წლებში ფართოდ გავრცელდა რადიო, რომელიც ევროპასა და აშშ-ში მასობრივი ინფორმაციის საშუალებად გადაიქცა. ამითაც, **“შოლაპარაკე პრესა”** პერიოდი დაიწყო. რადიო უკვე პოლიტიკური პროპაგანდის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. მან ამავდროულად კლასიკური მუსიკის, ჯაზისა და თეატრის გავრცელებაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

კულტურა და პოლიტიკა. 1920-1930-იან წლებში იტალიაში ფაშიზმს, გერმანიაში ნაციზმს, ხოლო სსრკ-ში ბოლშევიზმს თავისი მიზნებისათვის კულტურის ყველა სფერო კატეგორიული კონტროლის ქვეშ ჰქონდა მოქცეული.

რა როლი შეიძლება შეასრულონ სახელმწიფოებმა კულტურის განვითარებაში?

ამ პერიოდში მსოფლიოში კულტურულ მოღვაწეებმა პოლიტიკურ განხილვებში უფრო აქტიური მონაწილეობა დაიწყეს. უამრავმა გერმანელმა ინტელიგენტმა ნაციზმი გააკრიტიკა. უმეტესი მათგანი, 1933 წელს ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა. XX საუკუნის მხატვრობაში ღრმა კვალის დამტოვებელ ხელოვანთაგან ერთ-ერთი **პაბლო პიკასო** იყო. მის სახელგანთქმულ ნაწარმოებ **"გერნიკა"-ში**, ესპანეთში სამოქალაქო ომის პერიოდში, გერმანული თვითმფრინავების მიერ დანგრეული ქალაქი გერნიკაა აღწერილი.

პაბლო პიკასო. "გერნიკა"

კითხვები და დავალებები

1. *როგორი ზეგავლენა მოახდინა პირველმა მსოფლიო ომმა კულტურაზე?*
2. *რა არის სიურრეალიზმის სტილი და რომელ სფეროში გამოვლინდა?*
3. *რომელი თანამედროვეობა ახასიათებდა თურქულ არქიტექტურას, რესპუბლიკის პერიოდში?*
4. *შეადგინეთ ცხრილი 1920-1930-იან წლებში მეცნიერების სფეროში მოძღვარი სიახლეების შესახებ.*
5. *რომელი სიახლეებია აღნიშნული ლიტერატურაში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ?*
6. *განიხილეთ კულტურისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი.*
7. *შეადგინეთ დროის ისარი 1920-1930-იან წლებში კულტურის სფეროში მიღწეული წარმატებების შესახებ.*

LATIHE

მსოფლიოს ქვეყნები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945–2017)

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ ხედზე დიდი ცვლილებები მოხდა. საერთაშორისო ურთიერთობებში გამოვლენილმა ახალმა მსოფლიო წყობამ, XX საუკუნის მეორე ნახევრის თავისებურებები განსაზღვრა. სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა, მავრამ საუკუნის დასასრულს დაიშალა. ცივი ომის პერიოდში მსოფლიო რამდენიმეჯერ ატომური ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიო ცივილიზაციის სხვადასხვა სფეროში გლობალური ცვლილებები მოხდა. გლობალიზაციამ სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის საზღვრების მოცილებასთან ერთად, მისთვის მახასიათებელი პრობლემებიც გამოიწვია. ახალი ეთნიკურ-რელიგიური დაპირისპირებები მოხდა. ეკოლოგიური პრობლემა მსოფლიოს მომავლისათვის საფრთხედ გადაიქცა.

LAYTHE

პალესტინელი ბავშვი ტანკის წინააღმდეგ

18 აშშ

საკვანძო სიტყვები

- "სამართლიანი ხაზი"
- "შავი ლეოპარდები"
- "უოტერგეიტი"
- "რეიგანომიკა"
- "ობამაქერი"

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლურ სახელმწიფოებს შორის საფუძვლიანი ლოკალიზაცია მოხდა. გამარჯვებულთა შორის, როგორც ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფო, ომიდან მხოლოდ აშშ გამოვიდა. აშშ–მ, დასავლური სამყაროს საბჭოური ძალადობისაგან დაცვა თავის მთავარ მისიად გამოაცხადა და მალე ლიდერი გახდა.

ჰარი ტრუმენი

1945 წლის აპრილში, ფ. რუზველტის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ, ვიცე-პრეზიდენტმა **ჰარი ტრუმენმა**, ამ თანამდებობაზე ჩაანაცვლა. „ახალი ხაზის" გამგრძელებელმა ჰარი ტრუმენმა კონგრესს შემდგომში „სამართლიან ხაზად" წოდებული ფართო ლიბერალური რეფორმის პროგრამა წარუდგინა. ომის შემდეგ გაძლიერებული მსხვილი კაპიტალური წრეები კი, ეკონომიკის სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და „პროსპერიტის პერიოდის" წესების დაბრუნებას მოითხოვდნენ. 1948 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჰ. ტრუმენმა გაიმარჯვა. მინიმალური ხელფასის მომატების, სოციალური დაზღვევის შესახებ კანონის მომცველ პირთა რიცხვის გაზრდის, ასევე მცირე შემოსავლიანი ოჯახებისათვის საცხოვრებლების აშენების დაფინანსების შესახებ კანონები იქნა მიღებული. ცივი ომის გამწვავებამ, სსრკ-ის ატომურ ჯაშუშობამ, ასევე ჩინეთში კომუნისტების ხელისუფლებაში მოსვლამ აშშ-ს საზოგადოებაში მღელვარე განწყობა გააძლიერა. ამ დროს აშშ-ში გატარებულ მყარ ანტიკომუნისტურ კამპანიას სენატორ **ჯოზეფ მაკკარტის** სახელთან დაკავშირებით მაკკარტიზმი (1950-1954) ეწოდებოდა. სენატორი და მისი მომხრეები აშშ-ს მოსახლეობას კომუნისტური საფრთხით აშინებდნენ და თავისუფალი აზრის მქონე ადამიანებს ფართოდ დევნიდნენ.

? *თქვენი აზრით, როგორ მოხდა რომ, 1948 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჰ. ტრუმენმა გაიმარჯვა?*



დუაიტ ეიზენჰაუერი

კორეის ომის გადამწყვეტი ზემოქმედების მომხდენით 1952 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, რესპუბლიკელების კანდიდატმა გენერალ **დუაიტ ეიზენჰაუერმა** გაიმარჯვა. მისი „დინამიკური კონსერვატიზმის" სახელწოდების მომღები საშინაო პოლიტიკა, ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის დასუსტებას ითვალისწინებდა.

1950-იან წლებში, აშშ-ში მომხდარი გრანდიოზული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ახალი სამრეწველო სფეროების გამოვლინების, უმუშევართა რიცხვის შემცირებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზეზი გახდა. წარმოების კომპიუტერიზაცია და ავტომატიზაცია განხორციელდა. 1950-იან წლებში, აშშ-ს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ომამდელ პერიოდთან შედარებით სამჯერ გაიზარდა. სოფლის მეურნეობის თანამედროვე დონის ტექნიკური მომარაგება გაუმჯობესებული იქნა. ქალაქის შემოგარენში ცხოვრებისათვის უპირატე-

LATHE

სობის მიმნიჭებელი საშუალო ფენის და პროფესიულ მუშაკთა ოჯახებისათვის, მთლიანი აუცილებელი პირობების მქონე სახლებისაგან შემდგარი, ახალი საცხოვრებელი მასივების ფართომასშტაბიანი მშენებლობა დაიწყო. 1960 წელს, ქვეყნის მოსახლეობის $^{1}/_{3}$ აქ ცხოვრობდა. ქალაქელების ნახევარზე მეტს საკუთარი სახლი, 72%-ს კი, საკუთარი ავტომობილი გააჩნდა.

! *გაანალიზეთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ზემოქმედება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.*

1960 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, როდესაც ტელედებატები პირველად ჩატარდა, კანდიდატებს შორის „ახალი საზღვრების“ ლოზუნგის წარმომდგენი დემოკრატების კანდიდატმა, **ჯონ კენედიმ** გაიმარჯვა. ის, ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის მომხრე იყო. მოსახლეობის, სყიდვითუნარიანობის ამაღლებისა და ფართო სოციალური პროგრამების განხორციელების მიზნით, გაზრდილი იქნა სახელმწიფო ხარჯები საშინაო პოლიტიკაში. ინფლაცია ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დაბალ ზღვარზე დაეცა. პრეზიდენტის საშინაო და საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობით უკმაყოფილო საზოგადოების დამცველი ჯგუფების კატეგორიული წინააღმდეგობის პირობებში, კენედი 1963 წლის 22 ნოემბერს მოკლული იქნა. მისმა შემცვლელმა და მორიგ არჩევნებში გამარჯვებულმა **ლინდონ ჯონსონმა**, სიღატაკის აღმოფხვრისა და ქვეყანაში „დიდი საზოგადოების“ ჩამოყალიბების მიზნით, ფართო სოციალური რეფორმები გაატარა: მცირე შემოსავლიანი პირებისათვის სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფილი იქნა, ხელფასის მინიმუმი გაიზარდა, საშემოსავლო გადასახადი შემცირდა.

ჯონ კენედი თავის ქალიშვილთან

აშშ-ში აფრო-ამერიკელების რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა გაძლიერებული იყო. 1955 წელს მონტგომერში (ალაბამის შტატი) აფრო-ამერიკელების მიმართ რასობრივი დისკრიმინაციის საპროტესტოდ **მარტინ ლუთერ კინგის** მეთაურობით განხორციელებული არა-ძალადობრივი ბრძოლა წარმატებით დამთავრდა. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით კონგრესის მხრიდან საკანონმდებლო აქტების მიღების დროს, არკანზასის შტატის მიერ წინააღმდეგობების გაწევისას ეიზენჰაუერმა იქ ჯარი შეიყვანა. აფრო-ამერიკელების ორგანიზაცია „შავი პანტერების“ ხელმძღვანელები არსებული წყობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მომხრენი იყვნენ. კენედის მიერ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონგრესისათვის წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივები კონსერვატიული ძალების მხრიდან უარყოფილი იქნა, მაგრამ მიხედავად ამისა, პრეზიდენტმა მისისიპისა და ალაბამის შტატებში, რომლების უნივერსიტეტებშიაც აფრო-ამერიკელი სტუდენტები არ დაიშვებოდნენ, ჯარები შეიყვანა. 1960-იანი წლების მეორე ნახევარში კონგრესმა მიიღო კანონები, რომლებიც რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრას ითვალისწინებდა.



მარტინ ლუთერ კინგი

! *შეეცადეთ განსაზღვროთ, აშშ–ში XX საუკუნის 60–იან წლებამდე რასობრივი დისკრიმინაციის შემორჩენის მიზეზები.*

1968 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ამომრჩეველთა უმეტესი ნაწილი მხარს ქვეყანაში რადიკალური ახალგაზრდობის ამბოხებისა და აფრო-ამერიკელების ძალადობრივი მოქმედების აღმოფხვრის უნარის მქონე კანდიდატს უჭერდა. რესპუბლიკელმა **რიჩარდ ნიქსონმა**, რომელიც „კანონისა და წესების დაცვის უზრუნველყოფის“ პირობას დებდა არჩევნებში გაიმარჯვა. მან ფედერალური მთავრობის მარეგულირებელი ფუნქციის შემცირებით შტატებსა და საკრებულოებს

LAYTHe

ფართო ფინანსური უფლებამოსილებები მიანიჭა. 1971 წელს მან განაცხადა, რომ ეკონომიკური კრიზისის შედეგების აღმოფხვრის მიზნით „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ სახელწოდების ღონისძიებები იქნებოდა გატარებული. გამოყენებული იქნა კონტროლი ფასებსა და ხელფასებზე, გაიზარდა სოციალური ხარჯები, იმატა პროდუქტის ტალონების შემსყიდველ პირთა რიცხვმა და ა.შ. რ. ნიქსონმა საზოგადოების დიდი წუხილის მომგვრელი რადიკალური ახალგაზრდობის მოძრაობის წინააღმდეგ მკაცრი რეპრესიული ღონისძიებები გაატარა. „შავი პანტერების“ ზოგიერთი ლიდერები მოკლულნი იქნენ. მაგრამ მთავრობა ამავდროულად იძულებული გახდა ახალგაზრდობისა და აფრო-ამერიკელების წინაშე დათმობებზე წასულიყო. 1972 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ნიქსონმა, რომელმაც დემოკრატების პარტიის შიგნით არსებული დაპირისპირებულობით ისარგებლა, კვლავ გაიმარჯვა, მაგრამ მის გარშემო მყოფ პირთა მიერ საარჩევნო კამპანიის პერიოდში კანონსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება („უოტერგეიტი“, ქრთამი, საიდუმლო გარიგებები) პოლიტიკური კრიზისის მიზეზი გახდა. ***იმპიჩმენტის*** საფრთხის წინაშე ჯერ ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო შემდეგ პრეზიდენტი (1974) იძულებული გახდა გადამდგარიყო. ამ მოვლენამ სახელმწიფო ხელისუფლების რეპუტაცია შეარყია. აშშ-ს ისტორიაში პირველად, სახელმწიფოს მართვა არა არჩევნებით, არამედ დანიშვნითი გზით თანამდებობებზე მოსულ პოლიტიკურ მოღვაწეებს მოუწიათ.

რიჩარდ ნიქსონი

იმპიჩმენტი *(ინგ. Impeachment – უნდობლობა) – უმაღლესი თანამდებობების მქონე მოხელეების, მათ შორის სახელმწიფოს მეთაურისათვის უნდობლობის გამოხატვა, ამასთან მათთვის სასამართლო წესით ბრალის წარდგენის პროცედურა.*
ა. ბალაევი. ისტორიული ტერმინების ლექსიკონი. ბაქო, 2017.

1976 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩევლების რესპუბლიკელთა ადმინისტრაციებისაგან უკმაყოფილობის გამომყენებელმა და პირობის „ქვეყანას ტყუილს აროდეს მოუყვება“ მიმცემმა დემოკრატმა **ჯიმი კარტერმა** გაიმარჯვა. მაგრამ მისი პრეზიდენტობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა: საბიუჯეტო დანაკლისი, ინფლაცია, უმუშევართა რიცხვი და სამხედრო ხარჯები გაიზარდა, ჯანდაცვისა და გადასახადების სფეროებში შეპირებული რეფორმები კი განუხორციელებელი დარჩა. საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროებში დიდი წარუმატებლობის გამო გაკრიტიკებული კარტერი 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელი **რონალდ რეიგანის** წინაშე დამარცხდა.



რონალდ რეიგანის გამოსვლა კონგრესში

რ. რეიგანის საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიზანი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა იყო. ამ მიზნით მის მიერ შეთავაზებული ღონისძიებათა პროგრამა **("რეიგანომიკა")** 1981 წელს კონგრესმა დაამტკიცა. საბიუჯეტო ხარჯები, ძირითადად სოციალური ხარჯები, ასევე კერძო მეწარმეებისათვის დახმარების მიზნით გადასახადები შემცირებული იქნა. სამეწარმეო მოღვაწეობაზე სახელმწიფო კონტროლი შედარებით ლმობიერი გახდა. სამრეწველო კაპიტალდაბანდება გაიზარდა. გარდა ამისა, შესუსტდა სახელმწიფო კონტროლი ენერგეტიკის სფეროში, შემცირდა პროდუქციის ტალონების შემსყიდველთა რიცხვი, გაუქმდა უმუშევრებისათვის გათვალისწინებული ხანგრძლივი დახმარება და სხვ. სიღატაკის ზღვარზე მცხოვრები მოსახლეობა გადასახადებისაგან განთავისუფლდა, უმუშევართა რიცხვი განახევრდა. 1980-იანი წლების შუა პერიოდში მშრომელი მოსახლეობის უმეტესობა მომსახურების სფეროში იყო დასაქმებული. ადამიანთა ცხოვრებაზე სერიოზული ზემოქმედების მომხდენი სიახლეები გამოვლინდა. 1981 წელს პირველი პერსონალური კომპიუტერი იქნა წარმოებული. 1983 წლიდან ქვეყანაში შეიქმნა მობილური ტელეფონის კავშირგაბმულობის ქსელი.

? *რა სახის შეღავათები მიეცათ კერძო მეწარმეებს რ. რეიგანის ეკონომიკური პოლიტიკით?*

LAYTIS

მისი საშინაო პოლიტიკა პრეზიდენტ **ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუშმა (1989-1993)** განაგრძო. მაგრამ 80-იანი წლების დასასრულიდან, გაღრმავებული ეკონომიკური დაშლა, საბიუჯეტო დანაკლისის უფრო მომატება, სოციალური დახმარების პროგრამების დაფინანსებების შემცირება და სხვა მდგომარეობა, 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ბუშის დამარცხების მიზეზი გახდა. არჩევნებში გამარჯვებული დემოკრატი **ბილ კლინტონის** სახელმწიფო ჯანდაცვის სფეროში რეფორმა კონგრესმა გააუქმა. მიუხედავად ამისა, თავისი ადგილი ჰპოვა სახელმწიფო მმართველობის ხარჯების შემცირების, გადასახადების, სოციალური უზრუნველყოფისა და განათლების რეფორმების გატარების, ასევე ახალი სამუშაო ადგილების გახსნის სფეროში ღონისძიებების გატარებამ. აღმოფხვრილი იქნა ფედერალური საბიუჯეტო დანაკლისი, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო ვალი, ინფლაცია და უმუშევრობა. კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდი XX საუკუნეში აშშ-ს ეკონომიკის ისტორიის ყველაზე წარმატებული ეტაპებიდან ერთ-ერთს წარმოადგენდა.

2000 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელი **ჯორჯ უოკერ ბუშის** სადავო პირობებში გამარჯვებამ, თავდაპირველ პერიოდში მის რეპუტაციას სერიოზული ზარალი მიაყენა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული მოვლენები ეკონომიკური ვარდნის მიზეზი გახდა, უმუშევრობამ მოიმატა. საშინაო უსაფრთხოების განმტკიცებისაკენ მიმართულმა დამატებითმა ხარჯებმა და მთავრობის ფინანსურმა პოლიტიკამ, საბიუჯეტო დანაკლისის გაზრდა გამოიწვია. ჯ.უ. ბუშის მეორე პრეზიდენტობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა დამძიმდა. 2007 წლის ზაფხულიდან გაღრმავებისაკენ მიმავალმა ეკონომიკურმა კრიზისმა მთავრობა აიძულა სერიოზული ზომები მიეღო.

ბარაკ ობამა

დონალდ ტრამპი

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში აშშ-ს ისტორიაში პირველად, „ჩვენ ცვლილებების გვჯერა“ სახელწოდების პლატფორმით გამომსვლელმა აფრო-ამერიკელმა, დემოკრატ ბარაკ ობამამ გაიმარჯვა, რომლის მშობელთაგან ერთ-ერთი მუსლიმანი იყო. სტაბილურიეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაზრდის მომხრედ გამოსულმა ობამამ ყურადღება პირველ რიგში, ეკონომიკური კრიზისის შედეგების აღმოფხვრას მიაქცია. ჯანდაცვის სამსახურში გასატარებელი რეფორმების („Obamakeyz“) დაფინანსების მიზნით, მაღალი შემოსავლის მქონე ფენის მიერ გადასახდელი გადასახადები გაიზარდა, საბიუჯეტო დანაკლისი და უმუშევრობა შემცირდა.

2016 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული რესპუბლიკელი **დონალდ ტრამპი** იმიგრანტების მიმართ მკაცრ დამოკიდებულებას იჩენდა და სოციალური ხარჯების შემცირებას ცდილობდა. მის პირველ ღონისძიებებსა და წინააღმდეგობრივ გამოსვლებს საზოგადოებაში არაერთგვაროვნად შეხვდნენ. მაგრამ გატარებული საგადასახადო რეფორმა, ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი გამოცოცხლებისა და უმუშევრობის საკმაოდ შემცირების მიზეზი გახდა.

კითხვები და დავალებები

1. *განსაზღვრეთ, თუ რა შედეგები გამოიწვია ომმა აშშ-ს საშინაო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში.*
2. *რა განსხვავებები შეგიძლიათ აღნიშნოთ, XX საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში აფრო-ამერიკელების მიერ წარმოებული ბრძოლის საშუალებებში?*
3. *რ. ნიქსონის წინააღმდეგ იმპიჩმენტის საფრთხის წარმოშობის მიზეზი რომელ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული?*
4. *რითი ზეგავლენა მოახდინა აშშ-ს ეკონომიკაზე, 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარმა ტერორისტულმა ძოვლენებმა?*
5. *განსაზღვრეთ უ. კლინტონისა და ბ. ობამას მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას შორის არსებული მსგავსებები.*

LATHE

19 დასავლეთ ევროპის ქვეყნები

საკვანძო სიტყვები

- "გამარჯვება და ტრაგედია"
- მ. ტეტჩერი
- დროებითი რეჟიმი
- შარლ დე გოლი
- კ. ადენაუერი
- "ეკონომიკური სასწაული"
- "სუფთა ხელები"
- ს. ბერლუსკონი

XX საუკუნის II ნახევარში, ომის შედეგების მოკლე დროში წარმატებით აღმოფხვრილი დასავლეთ ევროპის ქვეყნები, სწრაფი ეკონომიკური განვითარების პერიოდს გადაიოდნენ. მოსახლეობა უმაღლეს ცხოვრებისეულ დონეს დაუფლებული იყო. ადგილი ჰქონდა გაღრმავებულ ინტეგრაციის პროცესს, ჩამოყალიბებული იყო ერთიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებულები და დამარცხებულები უკვე მოკავშირეებად გადაქცეული იყვნენ.

დიდი ბრიტანეთი. ეროვნული სიმდიდრის 25%-ის დამკარგავი დიდი ბრიტანეთისათვის ომი „გამარჯვებითა და ტრაგედიით“ (უ. ჩერჩილი) დამთავრდა. 1945 წელს ჩატარებულ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა ლეიბორისტებმა გარკვეული სამეურნეო სფეროებში ფასის გადახდით მოახდინეს ნაციონალიზაცია. ჩამოყალიბდა სოციალური დაზღვევის სისტემა და ქვეყნის ისტორიაში პირველად, სახელმწიფომ მოსახლეობა უფასო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყო.

1951 წელს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა კონსერვატორებმა, ლეიბორისტების მიერ ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში განხორციელებული პოლიტიკა ნაწილობრივ შეცვალეს. 50-იან წლებში, დიდი ბრიტანეთი სამრეწველო წარმოების მიხედვით, მსოფლიოში აშშ-ს შემდეგ მეორე სასხელმწიფო გახდა. მაგრამ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გავრცელების ერთ პერიოდში, სახელმწიფოს ეკონომიკის რეგულირების ფუნქციების დასუსტებამ და კოლონიების დაკარგვამ, ქვეყანა მძიმე კრიზისის წინაშე დააყენა. დიდი ბრიტანეთის საზოგადოება, ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში ჩამორჩენილობის, ასევე იმპერიის დაშლისა და მისი დიდი სახელმწიფოს სტატუსის დაკარგვის გამო, მორალურ პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. 1960-იანი წლების დასასრულს, ოლსტერში ეროვნულ-პოლიტიკური მოტივით შეჯახებები კიდევ უფრო დაიძაბა. მთავრობის აქ ჯარების განთავსებამ მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. მთავრობას ევროპის ერთობის საერთო ბაზარზე შესვლით ექსპორტის გაზრდასა და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდასთან დაკავშირებული იმედები არ შეუსრულდა.

! *განსაზღვრეთ XX საუკუნის 60-იან წლებში დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზები.*

მარგარეტ ტეტჩერი

"რკინის ლედის" *სახელით ცნობილი* **მარგარეტ ტეტჩერის** კონსერვატიული მთავრობა (1979-1990) თავისუფალ მეწარმეობასა და სამართლიან კონკურენციას ეკონომიკური აღორძინების საფუძვლად თვლიდა და სახელმწიფოს ძირითად მოვალეობას ეკონომიკური განვითარებისათვის სტაბილური პირობების უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით კი ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავდა. შრომისუნარიანი მოქალაქეების მიერ სახელმწიფოს ხარჯზე დახმარების მიღების წინააღმდეგ გამომსვლელი მთავრობა, ტეტჩერის „უფასო ყველი მხოლოდ თაგვის ხაფანგშია“ პოლიტიკის გატარებას შეუდგა. გადასახადები გაიზარდა, ხოლო კომუნალურ მეურნეობაზე, კულტურასა და განათლებაზე გათვლილი ხარჯები შემცირდა. სახელმწიფოს კუთვნილი სამრეწველო, სატრანსპორტო და კომერციული დაწესებულებების $1/3$ პრივატიზირებული იქნა. ადგილი ჰქონდა მათი აქციების მუშებისა და მოსამსახურეთა მიერ შესყიდვის სტიმულირებას. მცირე და საშუალო მეწარმეობაზე სახელმწიფო ზრუნვა გაიზარდა. ამის შედეგად, 80-იან წლებში წარმოების საშუალო წლიური ზრდის სიჩქარე 3-4% გახდა. მოსახლეობას საკუთარი სახლები, უმეტეს მათგანს ავტომობილიც გააჩნდა. მათ უმრავლესობას, თავიანთი შვილების განათლების უმ-

LAYLIC

აღლესი დონით უზრუნველმყოფელ ფასიან სასწავლებლებში სწავლების შესაძლებლობა ჰქონდა. მაგრამ ამის პარალელურად, მოსახლეობის 20% სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობდა. ახალი საგადასახადო რეფორმა საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან სოციალურ უსამართლობად ფასდებოდა. 1989 წელს, მთავრობაში მისი პოლიტიკური ავტორიტარიზმის წინააღმდეგ პროტესტის გაზრდისას ტეტჩერი გადადგა.

"რკინის ლედი"– 1976 წლის 19 იანვარს ტეტჩერის მიერ თავის გამოსვლაში სსრკ-ის გავრიტიკების საპასუხოდ, გაზეთ "კრასნაია ზვეზდას" კორესპონდენტი ოური გავრილოვი 24 იანვარს "რკინის ლედი აშინებს.." სახელწოდების რეფერატს აქვეყნებდა. ეს სახელი მ. ტეტჩერს სიცოცხლის ბოლომდე ზედსახელად დარჩა.

? *რა სახელწოდებას მიანიჭებდით მ. ტეტჩერის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპს?*

ტერეზა მეი

კონსერვატორები 1997 წლამდე ხელისუფლებაში დარჩნენ. საგადასახადო რეფორმა გაუქმდა. შოტლანდიისა და უელსის ავტონომია გაფართოებული იქნა. ამ პერიოდში დიდი ბრიტანეთი ეკონომიკური განვითარების სისწრაფის მიხედვით, ევროპული ერთობის ქვეყნებს წინ უსწრებდა. ლეიბორისტებმა, რომლებიც კონსერვატორებს ჩაენაცვლნენ, ლორდთა პალატის რეფორმა გაატარეს. ოლსტერის საკითხთან დაკავშირებით მხარეების დამაკმაყოფილებელი შეთანხმება იქნა ხელმოწერილი. 2007 წლის 1 აგვისტოს, დიდი ბრიტანეთის ჯარების ოლსტერიდან გაყვანა დასრულდა.

1998 წლის 10 აპრილს, ოლსტერში მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით დიდი ბრიტანეთის, ირლანდიისა და ოლსტერის პოლიტიკურ პარტიებს შორის დადებული ბელფასტის ან პასხას შეთანხმების საფუძველზე, ოლსტერს ფართო ავტონომიის უფლება მიენიჭა. შეიარაღებული დაჯგუფებები უნდა განიარაღებულიყვნენ.

2010 წლიდან მოყოლებული კონსერვატორები ხელისუფლებაში იმყოფებიან და ამჟამად მთავრობას ტერეზა მეი ხელმძღვანელობს.

საფრანგეთი. საფრანგეთის ოკუპაციისაგან განთავისუფლების საფეხურზე, ფრანგების მიერ მხსნელად წოდებული გენერალ შარლ დე გოლის მეთაურობით დროებითი მთავრობა იქნა ორგანიზებული. შარლ დე გოლი საფრანგეთის ადრინდელი ძლიერების აღდგენას იმედოვნებდა. მთავრობამ სახელმწიფო აპარატში მომუშავე გამყიდველი მოხელეების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი განწმენდითი სამუშაოები ჩაატარა. მსოფლიოს ყველაზე ბრწყინვალე სოციალური დაზღვევის სისტემათაგან ერთ-ერთი იქნა ჩამოყალიბებული. 1944-1946 წლებში ოკუპანტებთან ნათანამშრომელი მეწარმეების საკუთრება კონფისკაციას დაექვემდებარა. ეკონომიკის ზოგიერთ სფეროებში კი, დაწესებულებების ღირებულებების მესაკუთრეთათვის გადახდით, მათი ნაციონალიზაცია მოხდა.

შარლ დე გოლი

დე გოლმა საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან მთავრობის ყოველდღიურ მოღვაწეობაში ჩარევის წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვა და 1946 წლის იანვარში თანამდებობა დატოვა. ოქტომბერში ჩატარებული რეფერენდუმით დამტკიცებული ახალი კონსტიტუცია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პარლამენტის მტკიცე კონტროლს ადგენდა. კოსტიტუციის ძალაში შესვლით საფრანგეთში დროებითი რეჟიმი, IV რესპუბლიკის პერიოდი შეიცვალა. ომის შედეგების აღმოფხვრას, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, სახელმწიფოს მხრიდან მსვილ კაპიტალდაბანდებასა და შეკვეთებს ეკონომიკის განვითარების დაჩქარება მოჰყვა. საფრანგეთი 1950-იანი წლების შუა პერიოდში, ამ მაჩვენებლის მიხედვით აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს წინ უსწრებდა. XX საუკუნის დასაწყისისაგან განსხვავებით, კაპიტალის უცხოეთში გატანა მცირდებოდა და ის ქვეყნის ეკონომიკაში ბანდდებოდა.

1950-იანი წლების მეორე ნახევარში, მთავრობების ხშირი შეცვლა საპარლამენტო სისტემის რეპუტაციას არყევდა. 1958 წელს საფრანგეთის არმიის ალჟირში მყოფმა სამეთაურომ ამბოხება მოახდინა და პარლამენტისაგან ხელისუფლების დე გოლისათვის გადაცემა მოითხოვა. საფრან-

LATHO

გეთში სამხედრო გადატრიალებისა და სამოქალაქო ომის საფრთხეს ჰქონდა ადგილი. პარლამენტმა დე გოლს ფართო უფლებამოსილებები მიანიჭა და მის მიერ ჩამოყალიბებულ მთავრობას ნდობა გამოუცხადა. ამის შემდეგ კი, „შვებულებაში გავიდა“. ამგვარად, IV რესპუბლიკა დაიშალა.

! *გაანალიზეთ IV რესპუბლიკის მიერ საშიანო პოლიტიკაში მიღწეული წარმატებები.*

1958 წლის სექტემბერში, დე გოლის ხელმძღვანელობით მომზადებული კონსტიტუცია რეფერენდუმში ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ მოწონებული იქნა. ეს კონსტიტუცია ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა, რომლითაც საფრანგეთში V რესპუბლიკის ჩამოყალიბება იურიდიულად დადგინდა.

დე გოლის საპრეზიდენტო პერიოდში (1958-1969) ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული გეგმები იქნა მიღებული, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგების საფუძველზე, მრეწველობის გარკვეული სფეროები ხელახლად იქნა მოწყობილი, სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა. მთავრობამ მსხვილ საფინანსო-სამრეწველო მონოპოლიებს დიდი მოცულობის დახმარება გაუწია. მიუხედავად ამისა, საფარნგეთი სამრეწველო კონცენტრაციის დონის მიხედვით, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს უკან ჩამორჩებოდა. პროდუქტის ექსპორტის თვალსაზრისით კი, მსოფლიოში აშშ-ს შემდეგ მეორე ადგილი ეკავა. მაგრამ 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, საზოგადოების სხვადასხვა ფენების უკმაყოფილება დე გოლის მოღვაწეობაში ავტორიტარული ორიენტაციის, მთავრობის კონსერვატორიისა და ცხოვრებისეული პირობების უკმარისობის მიმართ გაზრდილი იყო. სტუდენტები განათლების ჩამორჩენილი სისტემის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და სწავლის დამთავრების შემდეგ სამუშაოთი უზრუნველყოფის შესახებ გარანტიის მიცემას მოითხოვდნენ.

მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლები პარიზში

1968 წელს პარიზში დაწყებულ სტუდენტთა გამოსვლებს, მოგვიანებით მუშები და მოსამსახურეებიც შეუერთდნენ. მთავრობამ პრეტენზიორთა ზოგიერთი მოთხოვნები დააკმაყოფილა. პარლამენტი დათხოვნილი იქნა. არჩევნებში მისი პარტიის გამარჯვების მიუხედავად, დე გოლს საფუძვლიანი რეფორმების გატარება აუცილებლობად მიაჩნდა. სენატსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან დაკავშირებული რეფორმების შესახებ, რეფერენდუმზე გატანილი კანონპროექტი არ იქნა მიღებული. ამის შედეგად, 1969 წელს იგი გადადგა. მისმა პოლიტიკურმა მემკვიდრემ, ჟორჟ პომპიდუმ, რომელმაც განაცხადა რომ, „ახალი საზოგადოება“ ჩამოყალიბდებოდა, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა შეანელა. 1970-იან წლებში საფრანგეთის ეკონომიკამ დაიწყო სტაბილური განვითარების პერიოდი და მოსხლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გატარდა გარკვეული რეფორმები.

! *განსაზღვრეთ, თუ რა იყო შარლ დე გოლის საშიანო პოლიტიკის ძირითადი მიზანი.*

1980-იანი წლების დასაწყისში ხელისუფლებაში მოსული სოციალისტების მიერ ცხოვრებაში გატარებული ნაციონალიზაციის ფართო ღონისძიებების შედეგად, ეკონომიკაში მსხვილი სახელმწიფო სექტორი ჩამოყალიბდა. მინიმალური ხელფასი, შვებულების დღეები და საოჯახო შემწეობა რამდენიმეჯერ გაიზარდა, ყოველკვირეული სამუშაო საათები და საპენსიო ასაკი შემცირდა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებები გაფართოვდა, ხოლო სიკვდილით დასჯა გაუქმებული იქნა. 1990-იან წლებში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მღელვარე განვითარებამ, საფრანგეთის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას ძლიერი ბიძგი მისცა. ელექტრონიკა, ინფორმატიკა, ასევე მათთან დაკავშირებული სფეროები სწრაფად განვითარდა. 1994 წელს დაიწყო ლა მანშის გვირაბის გამოყენება, რომელიც XX საუკუნის ყველაზე დიდ ტექნიკურ მიღწევათაგან ერთ-ერთად ითვლება.

ემანუელ მაკრონი

2017 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ემანუელ მაკრონი საფრანგეთის რესპუბლიკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტია.

LATUN

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ომის შემდეგ განადგურებული გერმანიის, მორალური თვალსაზრისით სრულიად დავარდნილ მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, ყოველდღიურ საკვებსა და საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული მოთხოვნების უზრუნველყოფა იყო. აშშ-ს სიგარეტები შავ ბაზრობებზე, რომელიც უფრო და უფრო ფართოვდებოდა, ძირითად ვალუტად ითვლებოდა. დევნილი და დეპორტირებული გერმანელების რიცხვი 12 მილიონს აღწევდა.



გერმანიის დაყოფა და ოკუპირებულ ზონებად გადაქცევა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

აშშ-მ საკმაოდ ძლიერი გერმანიის დაცვა-შენარჩუნება განიზრახა, რაზედაც დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთიც იძულებულნი გახდნენ თანხმობა განეცხადებინათ. გერმანიის დასავლეთით დაპყრობილი ზონების ეკონომიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა. "მარშალის გეგმის საფუძველზე" დახმარება იქნა გაწეული. დასავლეთის ქვეყნების მიერ 1948 წელს, აქ გატარებულ რეფორმებზე სსრკ-ის საპასუხო ღონისძიებებმა მოკავშირეებს შორის არსებული ომის საფრთხე გაზარდა. ამის შემდეგ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ცალკეული სახელმწიფოს ჩამოყალიბების სამზადისი დაიწყო. 1949 წელს მიღებული კონსტიტუციის საფუძველზე ახლად არჩეულ პარლამენტმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იყო ჩამოყალიბებული. ქრისტიან დემოკრატიული კავშირის (ქდკ) ხელმძღვანელი **კონრად ადენაუერი** გფრ-ის პირველ ფედერაციულ კანცლერად იქნა არჩეული. სსრკ-მაც თავის მხვრივ, ამის საპასუხოდ, გერმანიის საბჭოთა მპყრობელობის ზონაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება გადაწყვიტა.

! *განსაზღვრეთ, 1949 წელს გერმანიის დაყოფის მიზეზად ქცეული ფაქტორები.*



კონრად ადენაუერი

1950-იან წლებში გფრ-ში მომხდარი „ეკონომიკური სასწაული", პირველ რიგში, ეკონომიკაში მსხვილ კაპიტალდაბანდებას, „მარშალის გეგმის" საფუძველზე დახმარების გაწევას, დაბალი ხელფასის სანაცვლოდ მუშაობაზე თანახმა უმაღლესი სპეციალობის მქონე მუშაკთა რეზერვის არსებობას, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესსა და სამხედრო ხარჯების სიმცირეს, აგრეთვე ამ ქვეყნის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციაში მონაწილეობას უკავშირდებოდა. სამრეწველო წარმოების მომატებული სიჩქარის მიხედვით, გფრ ამ პერიოდში მხოლოდ იაპონიასა და იტალიას ჩამორჩებოდა. 60-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკური განვითარების უზრუნველმყოფელი წყაროების გამოლევამ, ეკონომიკურმა კრიზისებმა და გაფიცვითი მოძრაობების გაფართოებამ, ადენაუერის რეპუტაციას დარტყმა მიაყენა. ჟურნალ „შპიგელის" გარშემო ატეხილ აჟიოტაჟთან* დაკავშირებით, საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით 87 წლის ასაკში ადენაუერი, 1963 წელს გადადგა. 1960-იანი წლების ბოლოს 1980-იანი წლების დასაწყისში ხელისუფლებაში მყოფმა მთავრობებმა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში რიგი რეფორმები განახორციელეს.

ქდკ-ის თავმჯდომარე **ჰელმუტ კოლი** 1982 წელს გფრ-ის კანცლერად იქნა არჩეული. თავისუფალ სამეწარმეო მოღვაწეობაზე ზრუნვა გაძლიერდა. სტაბილური საფინანსო სისტემა ჩამოყალიბდა. 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო ეკონომიკური აღორძინება. 1990 წლის ოქტომ-

* ჟურნალ „შპიგელის" მიერ მთავრობის საქმიანობის გაკრიტიკებისათვის რედაქციაზე პოლიციის მხრიდან მოხდა თავდასხმა და რიგი თანამშრომლები დაპატიმრებული იქნენ.

LAXIE

ბერში აღმოსავლეთ გერმანიის შეერთებით, გფრ დასავლეთ ევროპაში ტერიტორიის მიხედვით მესამე, მოსახლეობის მიხედვით კი, პირველი სახელმწიფო გახდა. აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის ამაღლების მიზნით, განსაზღვრული ღონისძიებები იქნა გატარებული. ქვეყნის დასავლეთსა და აღმოსავლეთ მხარეს მცხოვრებ გერმანელებს შორის ურთიერთობების დამყარება ერთ-ერთ ყველაზე რთულ საკითხს წარმოადგენდა. ქვეყნის პრეზიდენტის აზრს „შეერთება - გაზიარების უნარს ნიშნავს“, დასავლეთ ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ეთანხმებოდა. ეკონომიკური პრობლემების ზრდა კოლის რეპუტაციაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. 1998 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ჰ. კოლი დამარცხდა.

ამჟამად, გფრ-ის კანცლერის მოვალეობას 2005 წლიდან ქდკ-ის ხელმძღვანელი, **ანგელა მერკელი** ასრულებს. ის, გერმანიის ისტორიაში, ამ მოვალეობის შემსრულებელი პირველი ქალი პოლიტიკოსია.

ანგელა მერკელი და ჰელმუტ კოლი

ჰელმუტ კოლი გერმანიის დანაწილების აღმოფხვრის შესახებ მრავალგზის გამოსვლებს აკეთებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას არ სჯეროდა, რომ ამ მოვლენას მოესწრებოდა. 1989 წლის ნოემბერში მან გფრ-სა და გდრ-ის შეერთების შესახებ 10 მუხლისაგან შემდგარი გეგმა მოამზადა. გერმანიის შეერთება, გეგმით გათვალისწინებულზე უფრო ადრე – 1990 წლის ოქტომბერში მოხდა.

ანგელა მერკელი – 2004–2017 წლებში ყურნალ "ფორბსის" მიერ ჩატარებულ აზრთა გამოკითხვის საფუძველზე, 12-ჯერ, მსოფლიოს ყველაზე დიდი რეპუტაციის მქონე ქალ პოლიტიკოსად იყო ჩათვლილი. 2012 წელს ერთ-ერთ ინტერნეტ საიტმა მერკელს "ტეფტონ მარგარეტ ტეტჩერი" უწოდა.

? *რას უკავშირდებოდა სოციალ-ეკონომიკურ ვითარებაში წამოჭრილი სირთულეები, გერმანიის ხელახლა გაერთიანების შემდეგ?*

იტალია. ომის შემდეგ ჩატარებულ რეფერენდუმში, რესპუბლიკის მომხრეებმა გაიმარჯვეს. 1947 წელს რესპუბლიკის კონსტიტუცია იქნა მიღებული. 1950-იან წლებში გატარებული აგრარული რეფორმის შედეგად, ქვეყნის სამხრეთში მსხვილი მიწათმფლობელობა გაუქმდა. 1950-1963 წლებში, იტალია სამრეწველო წარმოების საშუალო წლიური სიჩქარის მიხედვით, დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას წინ უსწრებდა. „ეკონომიკური სასწაული“, პირველ რიგში, წარმოების ძირითად სფეროებში მსხვილ კაპიტალდაბანდებას, ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაზრდას, „მარშალის გეგმის“ საფუძველზე დახმარების გაწევასა და იტალიის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციაში მონაწილეობას უკავშირდებოდა.

იტალიის 1980-იანი წლების ისტორია, პოლიტიკური არასტაბილურობის გაძლიერებით გამოირჩევა. რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების გარდაუვალობის გამომწვევი მთავრობების გადადგომები, პოლიტიკურ სისტემაში რეფორმების გატარებას მოითხოვდა.



1946 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები

იტალიაში, მაფიის დაჯგუფებების მხრიდან ქვეყნის პოლიტიკაზე ძლიერი ზეწოლა, 1990-იანი წლების დასაწყისში კიდევ უფრო გაძლიერებული იყო. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მთავრობა მაფიას მფარველობდა და სულ ცოტა 100 დეპუტატთავანი მაფიოზი იყო.

LAVLIS

1992-1994 წლებში, პოლიტიკაზე მაფიის ზემოქმედების აღმოფხვრის მიზნით „სუფთა ხელები“ („Mani pulite“) სახელწოდების ქვეშ ჩატარებული ფართომასშტაბიანი ანტიკორუფციული ოპერაციების მიმდინარეობისას, იტალიის ძირითად პოლიტიკურმა პარტიებმა, ქვეყნის საზოგადოების წინაშე რეპუტაცია დაკარგეს. 1993 წელს ახალი საარჩევნო კანონი იქნა მიღებული. 1994 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში, ახალი პოლიტიკური კავშირები მონაწილეობდნენ. ამით რესპუბლიკის პირველი პერიოდი დამთავრდა და რესპუბლიკის მეორე პერიოდი დაიწყო.

სილვიო ბერლუსკონი

2001 წლის არჩევნებში პარტია „Forza Italia“-ს („წინ, იტალია!“) თავმჯდომარემ, სილვიო ბერლუსკონმა გაიმარჯვა და მთავრობა ჩამოაყალიბა, რომელსაც 2011 წლამდე განსაზღვრული ფილოსოფიით ხელმძღვანელობდა. ევროპაში პირველად, მილიარდერი მთავრობის ხელმძღვანელი გახდა. ბერლუსკონი მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელი იყო, ამის გამო მის პოლიტიკაში გამარჯვებას „ბერლუსკონის ფენომენი“ უწოდეს.

"ბერლუსკონის ფენომენი" – იტალიის პოლიტიკურ ასპარეზზე შედარებით გვიან, 57 წლის ასაკში გამოსული ს. ბერლუსკონი, ევროპის ისტორიაში მთავრობის პირველი მილიარდერი ხელმძღვანელი იყო. 1994 წლის იანვარში, მის მიერ ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა პარტიამ 60 დღის შემდეგ, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებით მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში აშკვიათი რეკორდი დაამყარა. ბერლუსკონის მიერ გამოყენებული პოლიტიკურ ტექნოლოგიაში საახლო, ტელევიზიის საშუალებით საზოგადოებრივი აზრის მისთვის ხელსაყრელ მდგომარეობაში, მისი ვაკლენის ქვეშ მოხვედრის უნარის ქონა იყო. ბერლუსკონი ქვეყნის პრობლემების მიზეზს არა საზოგადოებაში, არამედ პოლიტიკურ ელიტაში ხედავდა. ის, ნაწერებში თავს "ახალი პერიოდის წარმომადგენელს", "იტალიის მხსნელს", ასევე "თავისუფლებისათვის მებრძოლს" უწოდებდა, პროფესიონალური უნარებისა და ბიზნესში წარმატებულობის გამო, ქვეყანაში თავის კონკურენტს ვერ ხედავდა. ბერლუსკონი იტალიის რესპუბლიკაში პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ხანგრძლივად – 1994 წლიდან 2011 წლამდე შესვენებებით 4-ჯერ მყოფი სახელმწიფო მოღვაწეა.

ჯუზეპე კონტე

მისი მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმებს საზოგადოებაში არა ერთგვაროვნად ხვდებოდნენ. მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მთავრობა დაადანაშაულეს სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემის შესუსტებაში და განათლების რეფორმების წინააღმდეგ გამოვიდნენ. ძლიერი საპროტესტო გამოსვლები მოხდა ოლქებისათვის ვრცელი ავტონომიის უფლებების მიმცემი ადმინისტრაციული რეფორმების წინააღმდეგ. 2005 წელს გატარებული საკონსტიტუციო რეფორმით პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებები გაფართოვდა. 2006 წელს მისი მთავრობის მინისტრთაგან ერთ-ერთის მიერ მუჰამმად ფეიღამბერის წამოსასხმელის ჩაცმის კარიკატურის დახატვასა და მისი ტელევიზიის მაყურებლებისათვის ჩვენებას, ისლამურ სამყაროში დიდი აურზაური მოჰყვა.

2008 წელს ხელახალ საპარლამენტო არჩევნებში, მეორეჯერ გამარჯვებულმა ბერლუსკონმა მთავრობა ჩამოაყალიბა. მთავრობამ თავისი მოღვაწეობა ქუჩების ნაგვებისაგან გასუფთავების კრიზისის აღმოფხვრით დაიწყო. შემდეგ კი, სასამართლო და განათლების სფეროებში რეფორმები იქნა გატარებული.

2018 წლის 1 ივნისიდან იტალიის რესპუბლიკის 65-ე მთავრობას ჯუზეპე კონტე მეთაურობს.

განსაზღვრეთ 1990-იანი წლების დასაწყისში იტალიის ძირითადი პოლიტიკური პარტიების მიერ რეპუტაციის დაკარგვის მიზეზი.

კითხვები და დავალებები

1. *როგორ განმარტავდით ომის დიდი ბრიტანეთის მდგომარეობაზე გავლენის შესახებ "გამარჯვება და ტრაგედია" შეფასებას?*
2. *გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება მ. ტეტჩერის "უფასო ყველი მხოლოდ თაგვის ხაფანგშია" მოსაზრებისადმი.*
3. *შეეცადეთ გამოთქვათ თქვენი აზრი, მთავრობის ყოველდღიურ მოღვაწეობაში საკანონმდებლო ორგანოს ჩარევის წინააღმდეგ დე გოლის მიერ გამოხატულ პროტესტზე.*
4. *აწარმოეთ გამოკვლევა და მოამზადეთ წარდგენა გერმანიის ისტორიაში კ. ადენაუერის როლის შესახებ.*
5. *გააანალიზეთ "ეკონომიკური სასწაულების" მიზეზები იტალიასა და გერმანიაში.*

LAYING

20 სსრკ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები

საკვანძო სიტყვები

- გეგმიური ეკონომიკა
- მშვიდობიან პირობებში თანაცხოვრება
- უძრაობის პერიოდი
- გარდაქმნა
- "პრაღის გაზაფხული"
- სრეებრენიცის გენოციდი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სსრკ-ში სტალინის ტოტალიტარული რეჟიმი კიდევ უფრო გაძლიერდა. ყოველგვარი თავისუფლების შეზღუდვა, კომუნისტური პარტიის დიქტატურა, ასევე ეკონომიკასა და კულტურაზე სახელმწიფო კონტროლი, ამ რეჟიმის თავისებურებას წარმოადგენდა. 1953 წელს სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა საზოგადოებაში თანდათან შერბილების პროცესი დაიწყო.

ომმა საბჭოთა კავშირს დიდი ეკონომიკური დარტყმა მიაყენა. ქალაქები და სოფლები დანგრეული, ხოლო სამრეწველო დაწესებულებები და სოფლის მეურნეობა დიდად დაზარალებული იყო. მეოთხე ხუთწლიანი გეგმის (1946-1950 წლები) მიზანი ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა იყო. მძიმე მრეწველობისა და ინფრასტრუქტურისათვის უფრო მეტი საშუალების გამოყოფამ, მოსახლეობის ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. დიდი მეტალურგიული დაწესებულებებისა და უზარმაზარი ელექტროსადგურების ფორმირებამ, ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირი მსოფლიოს დიდ სამხედრო და ეკონომიკურ ძალად გადააქცია. 1949 წლიდან ატომური ბომბის მქონე სსრკ-ში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები თანდათან გაღრმავდა. ყოველდღიური მოხმარების პროდუქტის სიმცირე, ასევე საცხოვრებლით უზრუნველყოფა და ეკონომიკის ნედლეულით მომარაგება ძირითად პრობლემებს წარმოადგენდა.

ტოტალიტარული რეჟიმი. 1946 წლის შემდეგ მსოფლიოს ორ პოლუსად დაყოფამ, აზრებზეც გაამლიერა კონტროლი. საზოგადოების ყველა სფერო, აგრეთვე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოღვაწეობა სახელმწიფო მონოპოლიას ეკუთვნოდა. გეგმიური ეკონომიკური სისტემა გაგრძელდა. რეჟიმს გაძლიერებული ჰქონდა ოფიციალური იდეოლოგიური პროპაგანდა. 1940-იანი წლების მეორე ნახევარსა და 1950-იანი წლების დასაწყისში რეპრესიული და ტერორისტული რეჟიმი კიდევ უფრო გამკაცრებული იქნა. მაგრამ 1953 წელს სტალინის სიკვდილით ქვეყანა რეპრესიების ახალ ტალღებს გადაურჩა.

იოსებ სტალინი

"დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას". სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხელისუფლებაში **ნიკიტა ხრუშჩოვი** მოვიდა. ხრუშჩოვის პერიოდი (1953-1964) სტალინის ტოტალიტარული რეჟიმისაგან თავისი ლმობიერებით გამოირჩევა. 1956 წელს სკკპ-ის XX ყრილობაზე გაკრიტიკებული იქნა სტალინის დროინდელი პიროვნების კულტის პოლიტიკა. ამით ხრუშჩოვმა ქვეყანაში არსებული პრობლემების მიზეზები არა კომუნისტურ პარტიას, არამედ სტალინსა და მის გარემოცვას დააბრალა. ცვლილებები მოხდა საგარეო პოლიტიკაშიც. ცივი ომის მაგივრად, წამოყენებული იქნა „კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიან პირობებში ერთად ცხოვრების“ პრინციპი.

სტალინის პერიოდის გაკრიტიკება ეკონომიკის სფეროშიც ცვლილებების აუცილებლობას იწვევდა. ხრუშჩოვი ფიქრობდა, რომ კომუნიზმი მხოლოდ სიუხვის უზრუნველყოფით გაიმარჯვებდა. ამ მიზნით წამოყენებული იქნა ლოზუნგი "დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას". საცხოვრებლით უზრუნველყოფის გაუმჯობესებასა და სოფლის მეურნეობაზე ყურადღების გაზრდამ წინა პლანზე წამოიწია. ხალხის ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა. დაიწყო ყამირი მიწების გამოყენება.

ხრუშჩოვის საშინაო და საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილო ძალებმა, 1964 წელს ის თანამდებობას ჩამოაცილეს.

უძრაობის პერიოდი. ხრუშჩოვის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული **ლეონიდ ბრეჟნევის** (1964-1982) მმართველობის პერიოდს რეფორმების გატარებასთან დაკავშირებით ეკონომიკური

LAYTHE

1982 წლიდან სსრკ–ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი პირველი მოადგილე ჰეიდარ ალიევი შემდგომში აღნიშნავდა:

"შკვე 70–იან წლებში საბჭოთა კავშირში კრიზისს ვანიცდიდა. სამხედრო ძალა ჭარბი იყო, თუმცა ეკონომიკა ჩამორჩებოდა. სსრკ ეკონომიკურ კონკურენციას ვერ ეწეოდა. მხოლოდ საბჭოთა კავშირი კი არა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც..."

იბრაჰიმ ალიევი. "XX საუკუნის 80–იან წლებში საბჭოთა ხელმძღვანელობის გარდაქმნის პოლიტიკა და მისი შედეგები". strategiya.az. 16 თებერვალი 2013 წელი

უძრაობის პერიოდი ეწოდება. მთლიანი მსოფლიოს მომცველი ეკონომიკური კრიზისის დაწყებასთან ერთად განხორციელებულ მორიგ ხუთწლიან გეგმაში (1976-1980), სამხედრო მრეწველობამ და ციმბირის ფართო ბუნებრივი რესურსების გამოყენებამ წინა პლანი დაიკავა. სახელმწიფოს პოლიტიკა გაძლიერდა. მაგრამ ეს არა პრობლემების მოგვარების, არამედ ეკონომიკური დაშლის მიზეზი გახდა. ა'შ'შ-თან შეიარაღების შეჯიბრში სამხედრო ხარჯების გაზრდამ, ეკონომიკური ეფექტიანობისა და კაპიტალდაბანდების შემცირებამ ეკონომიკური დაცემა გამოიწვია. განათლების დონის თანდათანობით ამაღლება და ქალაქის მოსახლეობის გამრავლება, ოფიციალური იდეოლოგიისაგან განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების გამრავლების მიზეზი გახდა. ასპარეზზე საბჭოთა რეჟიმისადმი ოპოზიციური განწყობის ინტელიგენცია გამოვიდა. მაგრამ უშიშროების ორგანოებმა საზოგადოების ცხოვრებაზე კონტროლი გააძლიერეს. ყოველივე ამან, სსრკ-ის საერთაშორისო ავტორიტეტს დარტყმა მიაყენა.

1980-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ის მიერ მსოფლიოში და ქვეყნის შიგნით განხორციელებული პროპაგანდა, სოციალ-ეკონომიკური რეალობისაგან განსხვავდებოდა. 1953 წელს სტალინის სიკვდილის შემდეგ განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, საბჭოთა მოდელის მკაცრი ცენტრალიზაცია, ზემოდან დაგეგმვა, ეკონომიკაში ბიოროკრატიული ბარიერები და პირადი ინიციატივების ალაგმვა ისევე რჩებოდა, როგორც 1930-იან წლებში იყო. მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ 1930-იან წლებში საზოგადოების ძირითად ნაწილს სოფლებში მცხოვრები და დაბალი დონის განათლების მქონე სოციალური ჯგუფები შეადგენდნენ. 1980-იან წლებში კი, საზოგადოება ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით შეცვლილი იყო.

გარდაქმნიდან დაშლისაკენ. 1985 წელს ხელისუფლებაში მოსულმა **მიხეილ გორბაჩოვ–მა** „გარდაქმნა“ სახელწოდების რეფორმების პროგრამა გამოაცხადა. ხრუშჩოვის პერიოდისაგან განსხვავებით, გარდაქმნა არა მარტო ეკონომიკურ სფეროს, არამედ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ სისტემასაც მოიცავდა. ეკონომიკური რეფორმების საფუძველზე ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში კერძო მეწარმეობა იქნა დაშვებული. ეფექტურობის გაზრდის მიზნით განხორციელებულმა კადრების შემცირებამ, უმუშევრობის გაფართოება გამოიწვია. ინფლაცია და გაფიცვები ხშირდებოდა.

საზოგადოებაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები ბალტიის ქვეყნებში, ასევე კავკასიასა და სხვა მხარეებში ნაციონალიზაციის გაზრდის მიზეზი გახდა. გარდაქმნის პოლიტიკა რიგი ნაკლოვანებებით ხორციელდებოდა. ამ ნაკლოვანებების მთავრობის სხდომაზე მ. გორბაჩოვისათვის მამაცურად შემტყობინებელი **ჰეიდარ ალიევი** 1987 წელს ჩამოცილებული იქნა თანამდებობიდან. ამით ისარგებლა სომხეთმა და აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე პრეტენზია წამოაყენა. მალე სომხეთში და ყარაბაღში აზერბაიჯანელი მოსახლეობის წინააღმდეგ დაიწყო ტერორისტული საქმიანობა. საბჭოთა ხელმძღვანელობის მხრიდან მისმა აღუკვეთლობა ქვეყანაში ახალი ერთვნული კონფლიქტების კერების წარმოშობის მიზეზი გახდა. ამან, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი გააღრმავა. მეორის მხრივ, პარტიულ და სახელმწიფო მმართველობაში მყოფი კონსერვატიული ჯგუფის წევრები, გორბაჩოვს ანარქიის მოხდენაში ბრალს დებდნენ და **1991 წლის აგვისტოში** სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას ჰქონდა ადგილი. მაგრამ ხალხის წინააღმდეგობა გადატრიალების წარუმატებლობის მიზეზი გახდა. ამან, ქვე-

რუსეთის პირველი პრეზიდენტი ბორის ელცინი (მარჯვენა მხარეს), საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხაილ გორბაჩოვისაგან პარტიის არაკანონიერად გამოცხადებას მოითხოვს. 1991 წელი, აგვისტო

LAKHO

ყანაში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ უკმაყოფილება გაზარდა და ცენტრალური ხელისუფლების დაშლა დააჩქარა. სსრკ-ში შემავალ სახელმწიფოებმა თავიანთი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. 1991 წლის დეკემბერში გორბაჩოვის გადადგომით სსრკ-ის არსებობას ბოლო მოეღო.

რუსეთი თანამედროვე პერიოდში. რუსეთის ისტორიისათვის 1990-იანი წლები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ეკონომიკური რეფორმებით ხასიათდებოდა. ამ რეფორმების საფუძველზე პრივატიზების პროცესი დგებოდა. თუმცა პრივატიზების პროცესში დაშვებული უკანონო ქმედებები, კორუფცია და ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება რეფორმების წარუმატებლობის მიზეზი გახდა. გაიზარდა ინფლაცია, გაუარესდა მოსახლეობის მდგომარეობა. ამ პერიოდში პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მოხდა გარკვეული ცვლილებები, ჩამოყალიბდა მრავალპარტიული სისტემა. იმავდროულად ქვეყნის მრავალეროვნულობა ეთნიკურ-რელიგიური კოფლიქტების, დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილების ზრდის მიზეზი ხდებოდა. 1994-1996 წლების ჩეჩნეთის ომში დამარცხებამ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. რუსეთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი **ბორის ელცინი** 1999 წლის ბოლოს იძულებული გახდა გადამდგარიყო. ხელისუფლებაში მოვიდა **ვლადიმირ პუტინი**. მისი პოლიტიკის საფუძველს სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება და რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენა წარმოადგენდა. პოლიტიკური სტაბილურობისა და რუსეთის ექსპორტის საფუძვლის ნავთობ-გაზის პროდუქციის ფასების მსოფლიო ბაზარზე ზრდის შედეგად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობამ დაიწყო გაუმჯობესება. სამხედრო მრეწველობის მოდერნიზაცია რუსეთის ყოფილი სამხედრო სიძლიერის აღდგენის მიზეზი გახდა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი

2014 წელს რუსეთის მხრიდან ყირიმის ანექსია აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ მის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გამოყენების მიზეზი გახდა.

"საბჭოთა მოდელის" ჩამოყალიბება აღმოსავლეთ ევროპაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში თავდაპირველად მთლიანი პოლიტიკური ძალების გამაერთიანებელი ეროვნული ერთიანობის მთავრობა ჩამოყალიბდა. პოლიტიკური თავისუფლება აღდგენილი იქნა. საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ამიტომაც ამ პერიოდს „სახალხო დემოკრატიის" პერიოდი ეწოდებოდა. მაგრამ ამ ქვეყნებში საბჭოთა ჯარების მხრიდან თანდათანობითი ჩარევით, კომუნისტური პარტიების გარდა სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები აკრძალული იქნა. 1940-იანი წლების დასასრულს **რუმინეთში, უნგრეთში, პოლონეთში, ბულგარეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში** და **ჩეხოსლოვაკიაში** სოციალისტური სისტემა - „საბჭოური მოდელის" ტოტალიტარული რეჟიმები ჩამოყალიბდა. ერთპარტიული რეჟიმი, კერძო საკუთრების გაუქმება და ნაციონალიზაცია, აგრეთვე გეგმიური ეკონომიკა, ამ რეჟიმის თავისებურებებს წარმოადგენდა. **იუგოსლავიაშიც**, სადაც მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ის უპირატესობას არ აღიარებდნენ, სოციალისტური რეჟიმი იყო ჩამოყალიბებული.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, სსრკ-ში მომხდარი შერბილების პოლიტიკამ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზეც ზემოქმედება მოახდინა. 1956 წელს უნგრეთში სოციალისტური რეჟიმის წინააღმდეგ სახალხო მოძრაობას ჰქონდა ადგილი, რომელიც საბჭოთა სამხედრო ძალების მიერ იქნა ჩახშობილი. 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში გამოიჩინეს სარეფორმო ინიციატივა, რომელიც რეჟიმის ლიბერალიზაციისაკენ იყო მიმართული. ცენზურა გაუქმდა. კომუნისტური პარტიის გარდა, სხვა პარტიებსაც მოღვაწეობის ნებართვა მიეცათ. "**პრაღის გაზაფხულად**" წოდებული რეფორმები, საბჭოთა ხელმძღვანელობის უკმაყოფილების მიზეზი გახდა. ამიტომაც სსრკ და მისი მოკავშირეები - ბულგარეთი, პოლონეთი და უნგრეთი ქვეყნის საქმეში ჩაერივნენ. ჩეხოსლოვაკიაში ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, სახელისუფლო ცვლილება მოხდა.

1980-იანი წლების მეორე ნახევარში სსრკ-ში დაწყებული **გარდაქმნისა და საჯაროობის** პოლიტიკამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზეც მოახდინა ზემოქმედება. ეს ქვეყნები გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა მოიცვა. 1989 წელი აღმოსავლეთ ევროპის სოციალიტური ქვეყნებისათვის შემობრუნების წერტილი გახდა. პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა და ბულგარეთში

LAYING

სოციალური სისტემის დაშლა მშვიდობიანი გზით, რეფორმებით განხორციელდა. რუმინეთში **ნიკოლაე ჩაუშესკუს** დიქტატორული რეჟიმი, სახალხო აჯანყებით იქნა გადატრიალებული. 1989 წელს ბერლინის კედელი დაინგრა და 1990 წელს გერმანია გაერთიანდა.

"საერთაშორისო საზოგადოებამ ცალმხრივი ფორმით ათასობითი ადამიანი განაიარაღა, ხოლო შემდეგ ისინი ყველაზე გაბორტყებულ მტრებს დაუთმო.

... საერთაშორისო საზოგადოების პოზიციამ მკვლელები შეაგულიანა, მათ დაეხმარა და საქმე გაუადვილა. სრებრენიცას ხელში ჩაგდება, სანამდვილეში არ უნდა მოხდარიყო. ... ათასობით მუსლიმანი ბოსნიელი ბავშვების, მათი მამების, პაპების და ახლობლების სერბების მხრიდან მკვლელობის თავგადასავლით გაჯერდა არ უნდა ყოფილიყო დაშვებული".

პირველი მასობრივი სასაფლაოების სააშკარაოზე გამოტანით პულიცერის პრემიის მიმღები აშშ-ს ჟურნალისტი დავიდ როჰდე "ბოლო თამაში", გვ 351, 353.

? *რას უჩვენებს ავტორი მოვლენის მიხეზად და რაში სდებს ბრალს საერთაშორისო საზოგადოებას? სურათისა და წყაროს საფუძველზე შეადარეთ ერთმანეთს ხოჯალისა და სრებრენიცას გენოციდები.*

სრებრენიცას გენოციდის მსხვერპლის საფლავი

"დავიწყებული გენოციდი მეორდება!" სოციალური სისტემის ნგრევა ახალი დაპირისპირებების წარმოშობაში გამოიხატებოდა. იუგოსლავია რელიგიის (ისლამი, კათოლიკობა და მართმადიდებლობა) სხვადასხვაობით გამოირჩეოდა. 1991 წელს იოგოსლავიაში ეთნიკური და რელიგიური ომი დაიწყო. მუსლიმან ბოსნიელებს, სხვადასხვა ქრისტიანული მიმართულების სერბებსა და ხორვატებს შორის ომი მიმდინარეობდა. 1992 წელს **ეაქრო**-მ იუგოსლავიის მიმართ ეკონომიკური ემბარგო გამოიყენა. სერბიელ ნაციონალისტებმა ბოსნიელი მუსლიმანების წინააღმდეგ გენოციდი განახორციელეს. გაეროს მშვიდობისმყოფელი ძალების მიერ მუსლიმანების იარაღები შეგროვილი იქნა და მხარის უსაფრთხოება მათ ჩაბარდათ. სერბიელ ნაციონალისტებმა მდგომარეობით ისარგებლეს და 1995 წელს ქალაქ **სრებრენიცაში** მუსლიმანების წინააღმდეგ გენოციდი განახორციელეს. ეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპაში ადამიანთა ყველაზე მასობრივი მკვლელობა გახდა.

1995 წელს ნატოს სამხედრო თვითმფრინავებმა სერბეთის სამხედრო ძალებს დარტყმა მიაყენა. ბოსნიის ომი **დეიტონის (აშშ) შეთანხმებით** დამთავრდა. გაეროს სამხედრო დანაშაულთა სასამართლომ სრებრენიცის გენოციდში დამნაშავე სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელები გაასამართლა. 2015 წელს გაეროს უშიშროების საბჭოში, მოვლენების გენოციდად აღიარების შესახებ წინადადებას, რუსეთმა ვეტო დაადო.

? *როგორ შეაფასებდით "სომეხთა გენოციდის" აღიარებელი რუსეთის მიერ სრებრენიცას გენოციდის არ აღიარებას?*

შემდგომში ბოსნიას პრეზიდენტი **ალია იზეთბეგოვიჩი** ხალხისადმი მიმართვაში აღნიშნავდა: „ომში დიდი ჩაგვრა განიცადეთ, ბოროტების პატიება ან არ პატიების საქმეში თავისუფალნი ხართ. მოიქეცით ისე, როგორც გენებოთ, მაგრამ გენოციდს ნუ დაივიწყებთ. იმიტომ რომ, დავიწყებული გენოციდი მეორდება!“.

კითხვები და დავალებები

1. *რა უარყოფითი მხარე გაახლდა ძველთან ხუთწლიან გეგმას?*
2. *როგორი ზემოქმედება მოახდინა სტალინის სიკვდილმა სსრკ-ის შემდგომ პოლიტიკურ განვითარებაზე?*
3. *რა თავისებურებებით გამოირჩევა ხრუშჩოვის პერიოდი?*
4. *რატომ ეწოდება ლეონიდ ბრეჟნევის ხელისუფლების პერიოდს უძრაობის პერიოდი ?*
5. *რატომ გახდა გარდაქმნის პოლიტიკა სსრკ-ის დაშლის დაჩქარების მიზეზი?*
6. *რატომ იყო, რომ სოციალისტური სისტემის დაშლა ახალ დაპირისპირებებში გამოიხატებოდა?*
7. *გაანალიზეთ აღმოსავლეთ ევროპის საბჭოური მოდელის წარმოშობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.*

LAKHE

21 თურქეთი და ირანი

საკვანძო სიტყვები

- ტრუმენის დოქტრინა
- მარშალის გეგმა
- კიბრისის სამშვიდობო ოპერაცია
- "თეთრი რევოლუცია"
- ისლამური რევოლუცია
- ირან–ერაყის ომი

თურქეთი და ირანი მეორე მსოფლიო ომში ნეიტრალურნი იყვნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ომმა მათზე ისეთივე ზემოქმედება მოახდინა, როგორც მონაწილე სახელმწიფოებზე. ომის პერიოდში თურქეთში გატარებულმა ეკონომიკურ ღონისძიებებმა, ახალგაზრდა სახელმწიფოს სოციალურ მდგომარეობაზე დრმა ზემოქმედება მოახდინა. მართალია, ირანი ომის მოედნად არ გადაიქცა, მაგრამ ტერიტორია დაპყრობილი იყო. ომის შემდეგ, ორივე სახელმწიფო გეოგრაფიული ადგილმდებარეობის პოზიციის მიხედვით, მსოფლიოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცა.

მეორე მსოფლიო ომში ორივე მხარის მცდელობების მიუხედავად, თურქეთი ნეიტრალურად დარჩა. 1945 წლის თებერვალში თურქეთმა გერმანიასა და იაპონიას ომი გამოუცხადა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ფორმირება გათვალისწინებულ გაეროში წევრად მიღებისათვის, ამ ნაბიჯის გადადგმა ძირითად პირობას წარმოადგენდა. მაგრამ ამ პერიოდში თურქეთის საერთაშორისო მდგომარეობა რთული იყო. ასე რომ, 1945 წლის მარტში სსრკ-ს თურქეთის წინაშე ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა გამოცხადებული. ამიტომაც თურქეთი სსრკ-ის ძალადობის საფრთხის წინაშე იძულებული გახდა აშშ-ს დაახლოებოდა, **ტრუმენის დოქტრინისა** და **მარშალის გეგმის** საფუძველზე, აშშ-მ თურქეთს სამხედრო-ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინა.

ომის პერიოდში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა - ქონებრივი და მიწის გადასახადი მსხვილი მიწათმფლობელებისა და სამრეწველო დაწესებულებების მეპატრონეთა უკმაყოფილების მიზეზი გახდა. 1945 წელს მიღებული აგრარული კანონის მიხედვით, სახელმწიფო მიწების უმიწო გლეხებისათვის დანაწილება და მსხვილი მიწათმფლობელების სამფლობელოების ერთი ნაწილის ნაციონალიზაცია იყო გათვალისწინებული. კანონმა მიწათმფლობელების უკმაყოფილება გამოიწვია. ამიტომაც მიწათმფლობელი დეპუტატების ზემოქმედებით ეს კანონი შერბილებული იქნა.

პრეზიდენტ **ისმეთ ინენუმ**, რომელმაც თურქეთის მეორე მსოფლიოში ჩართვა არ დაუშვა, ასევე ომის შემდეგ ქვეყანაში დემოკრატიის გაფართოებაც უზრუნველყო. მას ესმოდა, რომ შემხვედრი სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოების გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომაც ამ პერიოდში ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში რეფორმები გატარდა.

> *"მსოფლიოს თავისუფლებამოყვარული ხალხებისათვის, დამოუკიდებლობისა და ეკონომიკის თვალსაზრისით, სტაბილური სახელმწიფოს სახით თურქეთის მომავალი უეჭველია, რომ საბერძნეთზე უმნიშვნელო არ არის. ... თურქეთის ეროვნული ერთობა და თანასწორობა შუა აღმოსავლეთში წესრიგის შესანარჩუნებლად, უაღრესად მნიშვნელოვანია. ... აშშ-მ, ისევე როგორც საბერძნეთში მოხდა, თურქეთის მიერ საჭიროებასთან დაკავშირებული მოთხოვნაც უნდა უზრუნველყოს.*
>
> *... საბერძნეთში ხელისუფლების შეიარაღებული უმცირესობის ხელში გადასვლამ, მეზობელ თურქეთზეც შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს. არეულობის მოლიან შუა აღმოსავლეთში გავრცელების ვარაუდი დიდია. ამ გადამწყვეტ მოქენტში, თუ საბერძნეთსა და თურქეთს საჭირო დახმარებას არ აღმოვუჩენთ, ამის გავლენები დასავლეთსა და აღმოსავლეთში თავს გამოიჩენს".*
>
> **აშშ-ს პრეზიდენტ ჰ. ტრუმენის მოხსენება აშშ-ს კონგრესში. 1947 წლის 12 მარტი.**
> **ისტორია. სტამბოლი, 2002, გვ. 297**

? *როგორ ასაბუთებს ტრუმენი თურქეთის მნიშვნელობას? რომელი სახელმწიფოსათვის ითვლება მნიშვნელოვნად თურქეთის მომავალი?*

> *"უნდა ვუცადოთ, გაწვითარებული საზოგადოების მატერიალური პირობებისა და მორალური საშუალებების სრულყოფას, რაც შეიძლება ადრე მივაღწიოთ. რესპუბლიკით ფორმირებული სახალხო მმართველობა, ყველა მიმართულებით წინსვლასა და გაწვითარებას ვაგრძელებს. თუ აღმოიფხვრება ის სირთულეები, რომლებიც ომის პერიოდის სარეზერვო ღონისძიებებს აუცილებელს ხდის, ქვეყნის პოლიტიკურ და მენტალურ ცხოვრებაში დემოკრატია უფრო გაფართოვდება".*
>
> **თურქეთის პრეზიდენტის, ისმეთ ინენუს მოხსენება. მაისი, 1945**
> **ისტორია. სტამბოლი, 2002, გვ. 283**

? *ისმეთ ინენიუს აზრით, რომელი ფაქტორები მოახდენდნენ ზეგავლენას, ქვეყანაში დემოკრატიის გაფართოებაზე?*

LAYLIB

1940-იანი წლების მეორე ნახევარში და 1950-იანი წლებიდან დაწყებული, თურქეთში სახელმწიფო კონტროლი ეკონომიკაზე შედარებით შესუსტდა. ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობისათვის გასაქანის მიმცემი ლიბერალური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებულმა საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემამ, თურქეთის საშინაო პოლიტიკურ ვითარებაზეც ზემოქმედება მოახდინა. გაეროს წევრ თურქეთის საშინაო პოლიტიკაში დემოკრატიზაციის ღონისძიებები გატარდა. პირველ რიგში დაშვებული იქნა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება. 1946 წელს ხელისუფლებაში მყოფი, რესპუბლიკის სახალხო პარტიის წევრთა ერთი ჯგუფი გამოიყო და ცალკე დემოკრატიულ პარტიად ჩამოყალიბდა. ისინი ეკონომიკურ პოლიტიკაში ნაციონალიზაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ. 1950 წლის არჩევნებში დემოკრატიული პარტიის გამარჯვება, თურქეთის ისტორიაში შემობრუნების წერტილი გახდა. პარტიის ლიდერებიდან **ჯელალ ბაიარი** პრეზიდენტი, ხოლო **ადნან მენდერესი** პრემიერ-მინისტრი გახდა. ამ პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკაში, აშშ-საკენ მიდრეკილება გაძლიერდა. თურქეთმა ნატოში შესვლის მიზნით, კორეის ომში აშშ-სა და სამხრეთ კორეის მოკავშირის სახით აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამის შედეგად, 1952 წელს ნატოში შევიდა. მის ტერიტორიაზე აშშ-ს სამხედრო ბაზის ჩამოყალიბება დაშვებული იქნა. 1950-იანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებული ეკონომიკური დასუსტებისა და კრიზისის ფაქტორებმა საშინაო მდგომარეობა გაამწვავა. სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, რომელიც თურქეთის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა, უცხოური მოთხოვნის შესუსტებამ ქვეყნის შემოსავლები შეამცირა. ინფლაცია სტაბილური შემოსავლის მქონე მოსახლეობის - მოხელეების, მასწავლებლების, მუშებისა და სამხედროების მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. მალე ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო, დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ უკმაყოფილება გაიზარდა. ამ მიზეზთაგან ერთ-ერთი პრესაზე, სასამართლოსა და უმაღლეს სასწავლებლებზე ზემოქმედების გაზრდა იყო. ქვეყანაში პოლიტიური პოლარიზაცია და დაძაბულობა თანდათანობით მატულობდა. პრემიერ-მინისტრი მენდერესი პრესაში და თავის გამოსვლებში ეკონომიკური კეთილდღეობის არსებობას აღნიშნავდა, სინამდვილეში კი, ეკონომიკა დაშლილი, ხოლო სიღარიბე მომატებული იყო. ამის შედეგად სტუდენტურ დემონსტრაციამ თავი იჩინა. 1960 წელს სამხედრო გადატრიალება მოხდა და არმიამ ხელისუფლება ხელში ჩაიგდო. ამგვარად, თურქეთის ისტორიაში სამხედრო გადატრიალებების პერიოდს სათავე დაედო.

თურქეთი 1960–1980 წლებში. 1961 წელს ახალი კონსტიტუცია იქნა მიღებული. მისი მნიშვნელოვანი მხარე ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გაძლიერება და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებების შეზღუდვა იყო. მთავრობაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლო ჩამოყალიბდა. სასამართლო დამოუკიდებლობა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტად ითვლებოდა. სასამართლო, პირველად იყო, რომ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების თანასწორ, „ხელისუფლების მესამე“ შტოდ იქნა აღიარებული. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებები შეიზღუდა და მასზე კონტროლი გაძლიერდა. პრესის თავისუფლება გაფართოვდა. 1961 წლის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი პოლიტიკური თავისუფლებები, პროფკავშირებისა და მემარცხენე ორგანიზაციების (კომუნისტური და სხვ.) ჩამოყალიბების მიზეზი გახდა. მაგრამ 1969 წლიდან გავრცელებულ პოლიტიკურ არასტაბილურობასა და პოლარიზაციას არმიის ხელახლად პოლიტიკაში ჩარევა მოჰყვა. 1971 წელს ჩამოყალიბებულ ნახევრად სამხედრო რეჟიმის პერიოდში, კონსტიტუციური ცვლილებები მოხდა, რომლის შედეგად ძირითადი უფლებები და თავისუფლებები შეზღუდული იქნა. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებები გაძლიერებული, ხოლო მასზე სასამართლო კონტროლი შესუსტებული იქნა. ტრტ (სახელმწიფო ტელევიზია)-სა და უნივერსიტეტების ავტონომია შეიზღუდა. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებები გაძლიერდა და მის მიმართ სასამართლო კონტროლი შესუსტდა.

? *როგორ აფასებთ 1971 წლის კონსტიტუციურ ცვლილებებს?*

1950 წლიდან დაწყებული, **კვიპროსის საკითხი** თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად იყო გადაქცეული. კუნძულის ბერძნულ და თურქულ საზოგადოებას შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ბერძნები კვიპროსის საბერძნეთთან შეერთებას (enosis), ხოლო თურქები მის ორ მხარეს შორის გაყოფას მოითხოვდნენ.

1960 წელს კვიპროსში (კიბრისი) ვითარება დაიძაბა. ბერძენ ნაციონალისტებმა კვიპროსის თურქი მოსახლეობის მიმართ გენოციდისა და ტერორის პოლიტიკა განახორციელეს. 1974 წელს, სა-ბერძნეთის მიერ კვიპროსის შეერთების (enosis) ცდის საპასუხოდ, თურქეთმა „კიბრისის (კვიპროსის) საძმეობო ოპერაციის“ სახელწოდების ქვეშ, კუნძულზე ჯარი შეიყვანა აშშ-მა, ინგლისმა

LAYING

ბიულენთ ეჯევითი

თურქული გადამრჩენი არმია კვიპროსში

და სსრკ-მა, რომლებიც თურქი მოსახლეობის გენოციდზე თვალს ხუჭავდნენ, მოვლენა ოკუპაციად შეაფასეს. თურქეთის წინააღმდეგ პოლიტიკური ზეწოლა და ეკონომიკური ემბარგო იქნა გამოყენებული. მაგრამ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, **ბიულენთ ეჯევითმა** სიმტკიცე გამოიჩინა და უკან არც ერთი ნაბიჯი არ გადაგა. კვიპროსის ჩრდილოეთში თურქული სახელმწიფოს ჩამოყალიბებით, კუნძული ორ ნაწილად გაიყო.

1970-იანი წლები, თურქეთში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობითა და მთავრობის ხშირი შეცვლით გამოირჩევა. მემარჯვენე (კონსერვატორი და ნაციონალი) და მემარცხენე (სოციალისტი და კომუნისტი) ორგანიზაციებს შორის არსებული პოლიტიკური ბრძოლა, უკვე შეიარაღებულ ბრძოლად გადაიქცა. ტერორისტულ და სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის შეიარაღებული დაპირისპირებები დაძაბული იყო. ეს კი, საზოგადოებაში ქაოსს იწვევდა. პროფესიული კავშირების მიერ ორგანიზებული გაფიცვითი მოძრაობა ფართოვდებოდა. ასეთ პოლიტიკურ პირობებში 1980 წელს, ახალი სამხედრო გადატრიალება მოხდა. **ქენან ევრენის** მეთაურობით სამხედრო რეჟიმი ჩამოყალიბდა. პოლიტიკური წინააღმდეგობების აღმოფხვრის მიზნით, უამრავ პოლიტიკურ ლიდერს პოლიტიკური მოღვაწეობა აეკრძალათ. 1983 წელს, საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა და არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში **თურგუთ ოზალი** მოვიდა.

თურგუთ ოზალის გეგმა განვითარების შესახებ

განვითარებისათვის აუცილებელი ელემენტების საზოგადოებაში ექსპორტი და უხილავი შემოსავლები (ტურიზმი, მომსახურება და სხვ.) დგას. ... სტაბილური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა ეს არის. წყარითავან ყველაზე მნიშვნელოვანი მოქალაქეთა ეკონომიკაა. ... თუკი საგარეო დავალიანება ჭკვიანურად მოხდება, მაშინ თურქეთი გასაჭირში მოუხვედრელად, კვლავ შეძლებს ამ წყარების გამოყენებას. მაგალითად, თუ 1 მილიარდი დოლარის ოდენობის ვალით ჩვენს მიერ გაკეთებული დაბანდება, რამდენიმე წლის განმავლობაში 1 მილიარდის ოდენობის ექსპორტს განახორციელებს, ეს ჭკვიანური დავალიანებაა. აქვეარად, თან ვალები ადვილად იქნება გადახდილი, თან სხვისი ფულის გამოყენებით უფრო სწრაფი განვითარება მოხდება. წარსულში დავალიანების სფეროში ჩადენილი შეცდომა, აღებული ვალების ვალუტის არამოქმედიან დაბანდებებში გამოყენება იყო. ... ამასობაში, თუ უცხოური კაპიტალი ჭკვიანური პოლიტიკით თურქეთში იქნება შემოტანილი, თან ტექნოლოგიური განვითარების სასწრაფო მოიმატებს, თან უმუშევრობას მოკლე დროში აღმოვფხვრით.

"თურგუთ ოზალის შეხვედრები"
ისტორია. სტამბოლი, 2002, გვ. 355

? *რომელი ფაქტორები ითვლება აუცილებლობად ეკონომიკური განვითარებისათვის? შეაფასეთ ცნება ჭკვიანური დავალიანება*

თურგუთ ოზალი

LAYTHE

სულეიმან დემირელი

რეჯეპ ტაიბ ერდოღანი

მოჰამედ რეზა შაჰი ფეჰლევი

თურგუთ ოზალმა ეკონომიკაში ლიბერალური რეფორმები გაატარა. მისი ხელისუფლების წლებში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა იქნა გამოყენებული. საგარეო ვაჭრობამ თავისუფალი სახე მიიღო. უცხოური კაპიტალი წახალისებული იქნა. წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებას გასაქანი მიეცა.

1989 წელს პრეზიდენტად არჩეული თ. ოზალი 1993 წელს გარდაიცვალა. ამავე წელს, **სულეიმან დემირელი** პრეზიდენტი, ხოლო **თანსუ ჩილერი** თურქეთის პირველი ქალი პემიერ-მინისტრი გახდა.

1990-იან წლებში არსებულმა პოლიტიკურ არასტაბილურობამ, ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. მოსახლეობის რიცხვის მკვეთრმა გაზრდამ და მოსახლეობის სოფლებიდან ქალაქებში გადასახლებამ, დემოგრაფიული წონასწორობა დაარღვია. უმუშევრობა და ინფლაცია სწრაფად იზრდებოდა. შემოსავლების განაწილებაში არსებული უსამართლობა და კორუფცია, ამ პერიოდში ქვეყნის ძირითად პრობლემათაგან ერთ-ერთი იყო. უცხო სახელმწიფოების თურქეთზე ზეგავლენის საშუალებად გადაქცეულ პკკ-ს ტერორისტულმა ორგანიზაციამ ტერორისტული მოქმედებები გააფართოვა. 2002 წლის არჩევნებში გამარჯვებული სამართლიანობისა და განვითარების პარტია, ახლაც ხელი-სუფლებაშია. ამ პარტიის ლიდერი **რეჯეპ ტაიბ ერდოღანი** ჯერ პრემიერ-მინისტრი გახდა, ხოლო შემდეგ პრეზიდენტად იქნა არჩეული.

ირანი. მეორე მსოფლიო ომის დროს ირანმა თავი ნეიტრალურად გამოაცხადა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შაჰის მთავრობის გერმანისათან დაახლოება, მისი ტერიტორიის 1941 წელს სსრკ-ისა და ინგლისის ჯარების მიერ ოკუპაციის მიზეზი გახდა. რზა შაჰი ჩამოაგდეს და მისი შვილი **მოჰამედ რეზა (1941-1979) შაჰად** იქნა გამოცხადებული. შეთანხმების მიხედვით, ამ სახელმწიფოებს, ომის დამთავრების შემდეგ, ჯარები უკან უნდა გაეყვანათ. ამიტომაც, აშშ-სა და ინგლისის ჯარებმა 1945 წელს ირანი დატოვეს. მაგრამ საბჭოთა ჯარები დაპყრობილ მხარეში, სამხრეთ აზერბაიჯანში რჩებოდა. სამხრეთ აზერბაიჯანის საკითხი, ცივი ომის დაწყებაზე გავლენის მომხდენი ერთ-ერთი ფაქტორი გახდა. ეს საკითხი 1945 წელს შექმნილ გაეროს უშიშროების საბჭოში განხილული პირველი მოვლენა იყო.

შაჰის მთავრობამ სსრკ-თვის შეღავათიანი სანავთობო ხელშეკრულების შეპირებით, **1946 წელს** საბჭოთა ჯარების ირანიდან გაყვანას მიაღწია. ამის შემდეგ, ირანის არმიამ სამხრეთ აზერბაიჯანის ავტონომიური მთავრობა დაიპყრო და გაუქმა იგი. ამასობაში ინტელიგენციისა და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ რეპრესიული პოლიტიკა იქნა განხორციელებული. ისინი დაპატიმრებულნი და სამხრეთით გადასახლებულნი იქნენ. პრესაზე ცენზურა დაიდო. ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი ძლიერდებოდა და უმუშევრობა იზრდებოდა. მასობრივი დემონსტრაციები და მუშათა გაფიცვები ხდებოდა.

LAYLHS

1940-იანი წლების ბოლოს, ინგლისელების მონოპოლიაში მყოფი ნავთობმრეწველობის ნაციონალიზაციისათვის ბრძოლა დაიწყო. ამ მოძრაობის სათავეში ეროვნული ფრონტის ლიდერი **მუჰამედ მოსადიკი** იდგა. 1949-1953 წლების მომცველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ძირითადი მოთხოვნები, ირანის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, ნავთობმრეწველობაზე ინგლისის მონოპოლიის შეწყვეტა და ამ სფეროს ნაციონალიზაცია იყო. 1951 წელს, მოსადიკის წინადადებით, მეჯლისმა მიიღო კანონი ნავთობმრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ. ხალხთა შორის დიდი ავტორიტეტის მქონე მოსადიკი პრემიერ-მინისტრად იქნა დანიშნული. ეს, აშშ-სა და ინგლისის უთანხმოების მიზეზი გახდა. მოსადიკმა ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მიზნით, განსაზღვრული ღონისძიებები გაატარა. ამ მიზნით, მსხვილ მიწათმფლობელების კუთვნილი მიწების ერთი ნაწილის, უმიწო გლეხებისათვის დარიგების შესახებ ბრძანება გასცა. მაგრამ მოსადიკის ეს მცდელობები მსხვილი მიწათმფლობელების მის წინააღმდეგ გამოსვლის მიზეზი გახდა. 1953 წლის აგვისტოში, აშშ-სა და ინგლისის დახმარებით სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. მოსადიკის მთავრობა დაეცა.



მუჰამედ მოსადიკი

"თეთრი რევოლუცია" ირანში. 1960-იანი წლების დასაწყისში, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებამ ირანში პოლიტიკური ვითარება დაძაბა და სოციალური დაპირისპირებები გააძლიერა. შაჰის მთავრობა უკვე ხვდებოდა, რომ პრობლემას ძალის გამოყენებით ვერ მოაგვარებდა. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა რეფორმები გაეტარებინა. ამ რეფორმებს, იმის გამო, რომ იგი ძალის გამოყენების გარეშე განხორციელდა, **"თეთრი რევოლუცია"** ეწოდა. რეფორმები სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებს მოიცავდა. ძირითადად აგრარულ სფეროში გატარებული, ამ რეფორმების განხორციელება პირველად 1962 წელს, სამხრეთ აზერბაიჯანში დაიწყო. იმიტომ რომ, აქ სოციალური დაპირისპირებები უფრო გაღრმავებული, ხოლო უკმაყოფილება უფრო გაზრდილი იყო. ამ რეფორმების შედეგად, სახელმწიფოსა და მსხვილი მიწათმფლობელების მხრიდან გლეხებისათვის მიწის ნაკვეთების შესყიდვაში დახმარება უნდა აღმოჩენილიყო. აგრარული რეფორმების შედეგად სოფლებში ნახევარფეოდალურ მიწის საკუთრებას ბოლო მოეღო. გლეხთა დიდი ნაწილი მიწის მეპატრონედ გადაიქცა. მაგრამ აგრარული რეფორმების ნახევრად გატარებისა და სახელმწიფოს მხრიდან გლეხებისათვის ფინანსური დახმარების აღმოუჩენლობის გამო, ამ სფეროში არსებული პრობლემები მთლიანად არ იქნა მოგვარებული. აგრარული რეფორმები მსხვილი მიწათმფლობელი სასულიერო პირების უკმაყოფილების მიზეზი გახდა. სასამართლო რეფორმის შედეგად, ამ სფეროზეც კონტროლის დაკარგვამ, მათი შაჰის მთავრობის მიმართ სიძულვილი, კიდევ უფრო გაზარდა. გარდა ამისა, საერო, საშუალო და უმაღლესი სკოლების გახსნამაც სასულიერო პირთა ავტორიტეტი შეარყია. 1960-1970 წლებში განხორციელებულ რეფორმებში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ა) "ირანში სოციალური უსამართლობის, ბოროტების, აგრეთვე ექსპლუატაციის გამომწვევი ფაქტორებისა და განვითარების წინადადების ფორმით საზოგადოების დამწყებ საფეხურზე შენარჩუნების მოსურნე რეაქციის აღმოფხვრით საფუძვლიანი წყობის საჭიროება არსებობს. ძველის სანაცვლოდ ახალი წყობის შემოტანისას ... ირანელი ხალხის თავისებურების, ქვეყნის ტერიტორიის, ისტორიისა და გეოგრაფიის შესაბამისი გზა უნდა იქნას შერჩეული. ორი პრინციპი ჩვენთვის წმინდად უნდა ყოფილიყო რიცხული. პირველი, ჩვენი მორალური პრინციპი და რელიგიური რწმენა, ხოლო მეორე პირადი და საზოგადოებრივი თავისუფლების შენარჩუნება".

მოჰამედ რეზა შაჰი ფეჰლევი

ბ) "ჩემი ხალხი, შაჰის ნუ გვჯერათ. ის თქვენი მარჩენალი არ არის. ფიქრობს მხოლოდ საკუთარ თავზე და იმათზე, ვინც მას უბრძანებენ. ჩვენს ქვეყანას ყიდის და ის ყველას გატყუებთ. შაჰი უნდა წავიდეს!"

მ. ხომეინი

ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკა რევოლუციის შემდეგ. კონა, 2016, გვ. 57, გვ. 61

? *შეადარეთ ერთმანეთს წყაროები. შეესაბამებოდა თუ არა შაჰის მოსსენება მის მოღვაწეობას? თქვენი აზრით, პრობლემების მოსაგვარებლად რომელია უფრო ხელსაყრელი, რეფორმა თუ რევოლუცია?*

LAYIHA

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა 1978 წელს ირანში ოფიციალური ვიზიტისას თქვა: "მსოფლიოს ყველაზე პრობლემურ მხარეში, შაჰის დიდი ლიდერობის ქვეშ ირანი სტაბილურობის ერთი კუნძულს წარმოადგენს".

ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკა რევოლუციის შემდეგ. კონია, 2016, გვ. 62

? *თქვენი აზრით, წარმოადგენდა თუ არა სინამდვილეს აშშ-ს პრეზიდენტის ეს შეხედულება?*

ირანის ისლამური რევოლუცია

ისლამური რევოლუცია. აშშ-ს დახმარებით შაჰი ქვეყანაში დასავლურობის შემოტანის პოლიტიკას ატარებდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბესა და სიღატაკეში ცხოვრობდა. მცირე ჯგუფი კი, სახელმწიფოს მთლიან შემოსავლებს ითვისებდა. საშუალო ფენის არ არსებობა ამ ორ ჯგუფს შორის წონასწორობას არღვევდა. რეფორმების გატარების პარალელურად, შაჰის მთავრობა დემოკრატიული ძალების, ინტელიგენციისა და პროგრესული სასულიერო პირების მიმართ დევნის პოლიტიკას განაგრძობდა. მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური ვითარება უფრო და უფრო უარესდებოდა. საზოგადოებაში რეფორმებისა და დასავლურობის შემოტანის ღონისძიებების მიმართ სიძულვილი იზრდებოდა. ეს კი, თავის მხვრივ, რელიგიური ოპოზიციის გაძლიერების მიზეზი გახდა. 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ირანის სხვადასხვა ადგილებზე მომხდარი მოვლენები, ქვეყანაში სოციალური უკმაყოფილების გაზრდაზე მეტყველებდა.

შაჰის რეჟიმის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის ქვეშ, ყველაზე მეტად სამხრეთ აზერბაიჯანი მოჰყვა, სადაც ძლიერ უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი. 1978 წლის იანვარში, ქალაქ კუმში, რომელიც ქვეყნის ყველაზე დიდ რელიგიურ ცენტრთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს, დემონსტრანტების მიმართ იარაღის გამოყენებამ, სამხრეთ აზერბაიჯანში წინააღმდეგობა გამოიწვია. 1978 წლის 18 თებერვალს, თებრიზში რელიგიური ბელადის, **შარიათმადარის** მოწოდებით მოსახლეობა დემონსტრაციაზე გამოვიდა. დემონსტრაციაში საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენელი ადამიანები მონაწილეობდნენ. მშვიდობიანი პროტესტული აქცია არსებული წყობის წინააღმდეგ აჯანყებად გადაიქცა. შაჰის ჩამოგდების მოთხოვნას პირველად თებრიზის აჯანყებაში ჰქონდა ადგილი. შაჰმა ირანის სხვა ქალაქებიდან ჩამოყვანილი სამხედრო ნაწილების დახმარებით თებრიზის აჯანყება უმოწყალოდ ჩაახშო. თებრიზის აჯანყებამ ირანის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. აჯანყებებმა მთლიანი ქვეყანა მოიცვა. მოსახლეობის ყველა სოციალური ფენების მოძრაობაში ჩართვის მიზეზი გახდა. რევოლუციის ძირითად თავისებურებათაგან ერთ-ერთი, შაჰის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა სოციალური ფენების გაერთიანება იყო. ამიტომაც, ირანის ისლამური რევოლუცია ისტორიაში ყველაზე მასობრივ მოძრაობათაგან ერთ-ერთი გახდა, რომელმაც შაჰის ხელისუფლების საფუძვლები შეარყია. ამ დროს საზღვარგარეთ მყოფი და შემდგომში თავისუფლების მოძრაობის ხელმძღვანელმა, **აიათულლაჰ მუსა-ვი ხომეინიმ** თებრიზის მოსახლეობას წერილი მისწერა და მათ გმირობას მიესალმა. თებრიზის აჯანყებაზე რეაქცია ევროპასა და ამერიკაშიც ძლიერი იყო. ამბავის „ვაშინგტონ პოსტ“ და „ნიუ-იორკ ტაიმს“ გაზეთების საშუალებით გავრცელების შედეგად, თებრიზი თავისუფლების ცენტრის სახით პოპულარული გახდა.

"არც აღმოსავლეთი, არც დასავლეთი" — უმწეობაში მყოფთა და ზეწოლის ქვეშ მცხოვრებთა სამყაროში ისლამური რევოლუციის ლოზუნგია. ეს აღლططაჰის ნებით მუსლიმანური ქვეყნების მიერ ერთადერთი მარჩენალი გზის სახით ისლამის არჩევით, ქვეყნების ნამდვილ ბლოკებში ჩაურთველობის პოლიტიკას განმარტავს. მუსლიმანური ქვეყნები და ხალხები არც დასავლეთზე (აშშ-ს და დასავლეთ ევროპაზე), არც აღმოსავლეთზე (სსრკ-ზე) დამოკიდებული არ უნდა იყოს".

აიათოლა ხომეინი ისტორია. სტამბოლი, 2002, გვ. 247

1978 წლის სექტემბერში რევოლუციის მეორე ეტაპი დაიწყო. ამ დროს რევოლუციაში სასულიერო პირთა როლი გაიზარდა. გადასახლებაში მყოფი მ. ხომეინი მოძრაობას ხელმძღვანელობდა.

LAYTH

ქვეყანაში განუწყვეტელი გაფიცვებისა და დემონსტრაციების მოძრაობის ხელმძღვანელთა „შაჰი უნდა წავიდეს“ სახით კატეგორიული მოთხოვნის, ასევე მილიონობითი რევოლუციონერის ზეწოლის შედეგად, შაჰმა 1979 წლის იანვარში ირანი დატოვა. თებერვალში აიათულლააჰ ხომეინი პარიზიდან თეირანში დაბრუნდა. რევოლუციამ გაიმარჯვა. საერთო სახალხო აზრთა გამოკითხვით 1979 წლის 1 აპრილს **ირანი ისლამურ რესპუბლიკად** გამოცხადდა. ამითაც, რევოლუციის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებით განვითარება აღიკვეთა.

ისლამური რევოლუციის შემდეგ, შაჰის ხელისუფლების დაცვის გამო, აშშ-სთან ურთიერთობები გაუარესდა. სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა თეირანში მყოფი აშშ-ს საელჩო ხელში ჩაიგდო და თანამშრომლები მძევლად აიყვანა. აშშ-ს დაზვერვის ორგანოების მიერ ჩატარებული მძევლების გათავისუფლების ოპერაცია წარუმატებლად დამთავრდა. მხოლოდ აშშ-ს მხრიდან ირანის ზოგიერთი მოთხოვნების შესრულების შემდეგ, მძევლები განთავისუფლებულნი იქნენ. ირანის ისლამურმა რევოლუციამ საერთაშორისო შედეგიც გამოიღო. აშშ-ის პრეზიდენტი ჯ. კარტერი მორიგ არჩევნებში დამარცხდა.

ამის შემდეგ აშშ-მა ირანის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა. მან, ირანთან სასაზღვრო გაურკვევლობაში მყოფი ერაყი **1980 წელს**, მის წინააღმდეგ ომისაკენ წააქეზა. სსრკ და არაბული ქვეყნებიც, რომლებიც ისლამური რევოლუციის ტერიტორიაზე მყოფ მუსლიმანურ ხალხებზე ზემოქმედებას ერიდებოდნენ, ერაყს ეხმარებოდნენ. ომი, რომელიც **1988 წლამდე** გრძელდებოდა, გაეროს შუამავლობით დამთავრდა. ამ ომში, რომელსაც გამარჯვებული არ ჰყავდა, მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

თანამედროვე პერიოდში ირანის ეკონომიკის ნავთობის ფაქტორზე დამოკიდებულებამ, არანავთობ პროდუქტების წარმოებისა და ექსპორტის გაზრდის პოლიტიკა ქვეყნის ხელმძღვანელობის ძირითად მიზნად გადააქცია. აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოების მხრიდან ირანის მიმართ გამოყენებული ეკონომიკური ემბარგო, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენდა. ამიტომაც ბოლო პერიოდებში, ირანის პოლიტიკური წრეების გეგმებში დასავლეთის მიმართ შერბილების, ხოლო ბირთვულ პროგრამაში შეღავათებისა და რეფორმების ინიციატივები პირველ რიგს იკავებს. ეროვნული გარჩევის პოლიტიკის განგრძობა ქვეყნის საშინაო მდგომარეობაში სხვადასხვა დროს დაძაბულობის მიზეზი ხდებოდა. მსოფლიოს ყველაზე დიდ გულშემატკივართა მასებიდან ერთ-ერთის მფლობელი, თებრიზის „ტრაქტორსაზის“ ფეხბურთის გუნდის თამაშების დროს ლოზუნგების მოწოდებით ეროვნული გარჩევის პოლიტიკის წინააღმდეგ მშვიდობიანი საპროტესტო ფორმის მნიშვნელობას ატარებდა.

აფიშა ირანის ისლამური რევოლუციის შესახებ ჰესენ ისმაილზადე, 1979. ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

ე. ხომეინის დაბრუნება გადასახლებიდან

LAYTHe

ჰასან რუჰანი

ირანის საგარეო პოლიტიკა ყოველგვარი საგარეო ხელისუფლების უარყოფის, სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნების, მთლიანი მუსლიმანების უფლებების დაცვისა და დიდი ჰეგემონიური ძალებისაგან დამოუკიდებლად ყოფნის პრინციპებზეა დაფუძნებული.

ირანის კონსტიტუციის 156-ე მუხლი.
ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკა
რევოლუციის შემდეგ.
კონია, 2016, გვ. 153

? *რა წინააღმდეგობრივობას მოიცავს კონსტიტუციის ეს მუხლი და ირანის ახლო თანამშრომლობა სომხეთთან?*

2006 წელს ირანის მიერ ბირთვული პროგრამის გამოცხადება, აშშ-ს ინიციატივით გაეროს მხრიდან მის მიმართ ეკონომიკური სანქციის გამოყენების მიზეზი გახდა. ამის შედეგად წარმოშობილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა, სოციალური დაძაბულობა კიდევ უფრო გაამწვავა. ირანის საზოგადოებაში სარეფორმო ღონისძიებების გაფართოება დაიწყო.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რეფორმისა და დიალოგის მომხრე **ჰასან რუჰანიმ** გაიმარჯვა. ჰასან რუჰანის ძირითადი საგარეო პოლიტიკა დასავლეთის მიერ ირანის მიმართ გამოყენებული ემბარგოს მოხსნას, ხოლო დასავლეთ ევროპულ ქვეყნებთან დაწყებული მრავალმხვრივი მოლაპარაკებები ირანის იზოლაციის თავიდან აცილებას ითვალისწინებდა. ამ პოლიტიკის მიზანი, ემბარგოს შედეგად ქვეყნის ეკონომიკაში გამოვლენილი კრიზისის აღმოფხვრა იყო. 2015 წელს მიღწეული შეთანხმებების შედეგად, ეკონომიკურმა ემბარგომ ლმობიერი ხასიათი მიიღო.

კითხვები და დავალებები

1. *როგორი ზეგავლენა მოახდინა თურქეთის საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებულმა საერთაშორისო მდგომარეობამ?*
2. *რა მნიშვნელოვანი თავისებურება გააჩნდა 1961 წელს თურქეთში მიღებულ ახალ კონსტიტუციას?*
3. *რაში მდგომარეობდა 1940-იანი წლების ბოლოს შაჰის მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის არსი?*
4. *ჩამოთვალეთ 1949–1953-იანი წლების მოძრაობის მოთხოვნები.*
5. *რატომ იყო, რომ 1960-იანი წლების დასაწყისში შაჰის მთავრობა იძულებული გახდა რეფორმები გაეტარებინა?*
6. *რა შედეგები გამოიწვია 1962 წელს გატარებულმა რეფორმებმა?*
7. *შეადარეთ ერთმანეთს, ბერძენი ნაციონალისტების მიერ კვიპროსის თურქული მოსახლეობის მიმართ და ოკუპანტი სომხეთის მიერ ყარაბაღში აზერბაიჯანელების წინააღმდეგ ჩადენილ გენოციდები და ტერორისტული პოლიტიკა.*
8. *ჩაწერეთ ცხრილში ისლამური რევოლუციის მიზეზები.*

პოლიტიკური	ეკონომიკური	სოციალური

LAYIHƏ

22 ინდოეთი, პაკისტანი და არაბული ქვეყნები

საკვანძო სიტყვები

- ქაშმირის ომი
- არაბეთ-ისრაელის ომი
- ექვსდღიანი ომი
- პირველი ნავთობის შოკი
- კემპ-დევიდის შეთანხმება
- ოსლოს შეთანხმება

მეორე მსოფლიო ომმა მსოფლიოს შემდგომ პოლიტიკურ მდგომარეობაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ეს განსაკუთრებით კოლონიალიზმის სფეროში გამოიხატა. კოლონიური ხალხების თავისუფლებისათვის ბრძოლა გაძლიერდა. კოლონიური იმპერიები დაშალა და მსოფლიოს სხვადასხვა მხარეებში დამოუკიდებელი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. მაგრამ ამ ხალხებმა მშვიდობის, სტაბილურობისა და ეკონომიკის თვალსაზრისით სრულ განვითარებას ვერ მიაღწიეს. კოლონიის პერიოდიდან შემორჩენილი პრობლემები ახალი რელიგიური, ეთნიკური და პოლიტიკური დაპირისპირებების მიზეზი გახდა.

სამხრეთი და ცენტრალური აზია

კოლონიიდან თავისუფლებისაკენ. მეორე მსოფლიო ომში ინგლისის მთავრობის მიერ ინდოეთის არჩეულ წარმომადგენლებთან მოუთათბირებლად, ინდოელი მებრძოლების ფრონტზე გაგზავნამ ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა გააძლიერა. ინდურ ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა, მაჰანდას განდიმ კოლონიზატორების წინააღმდეგ მშვიდობიანი ბრძოლის კამპანია გამოაცხადა. ინგლისის მთავრობა პირობას დებდა, რომ ომის შემდეგ რეფორმებს გაატარებდა, ამით კი ამ ბრძოლის შეწყვეტა სურდა. მაგრამ რეფორმებში ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება არ იყო გათვალისწინებული. ინგლისის მთავრობა ამავდროულად ჩვეულ პოლიტიკას იყენებდა, რომლითაც ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის შესუსტების მიზნით, ინდოეთის ორ დიდ საზოგადოებას - ინდოელებსა და მუსლიმანებს შორის შუღლს აგდებდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ინგლისის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესებული იყო. ომს დიდი ფინანსური დავალიანება ჰქონდა გამოწვეული. კოლონიების მართვა დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ამიტომაც ინგლისის მმართველი წრეები იძულებულნი გახდნენ

LAYTHE

დათმობებზე წასულიყვნენ. **1947 წელს** ინგლისის პარლამენტმა ინდოეთი ორ ნაწილად - ინდოეთად და პაკისტანად დაყო და მათ დამოუკიდებლობა მიანიჭა. დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, სხვადასხვა რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებები მოხდა. მ. განდი მუსლიმანი დევნილებისადმი სამართლიანი მოპყრობისაკენ მოუწოდებდა. მისი ეს პოზიცია, 1948 წელს ერთი ინდოელი ნაციონალისტის მიერ მისი მკვლელობის მიზეზი გახდა.

ქაშმირის კონფლიქტი. მხარეებს შორის ქაშმირის საკითხზე არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა. ქაშმირი ინდოეთის ჩრდილოეთით მდებარე და ძირითადად მუსლიმანებისაგან შემდგარი მოსახლეობის მქონე მხარე იყო. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანვე ინდოეთმა და პაკისტანმა ქაშმირისათვის ბრძოლა დაიწყეს. ომი, 1949 წელს გაეროს შუამავლობის შედეგად ცეცხლის შეწყვეტით დამთავრდა. ქაშმირის მესამედი ნაწილი პაკისტანის, ხოლო დანარჩენი ნაწილი ინდოეთის კონტროლის ქვეშ მოექცა. მაგრამ ამან პრობლემები სრულიად ვერ მოაგვარა და მხარეებს შორის დაპირიპირებები ისევ გაგრძელდა.

დამოუკიდებელი ინდოეთი. მ. განდის პოლიტიკური მემკვიდრე **ჯავაჰარლალ ნერუ** ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრი გახდა. მის საშინაო პოლიტიკას დემოკრატიზაცია, აგრეთვე ერთობა და ეკონომიკური მოდერნიზაცია წარმოადგენდა. ის საგარეო პოლიტიკაში იმ ლიდერთაგანი იყო, რომლებიც ბლოკებთან შეერთების წინააღმდეგ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ. 1966 წელს **ინდირა განდი** პრემიერ მინისტრი გახდა. დიდი სამრეწველო სფეროებისა და ბანკების ნაციონალიზაცია მოხდა. 1970 წელს ინდოეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა გაუარესდა. მისი ხელისუფლების პერიოდი ეთნიკურ-რელიგიური მტრობითა და ადგილობივი თვითმმართველობის სფეროში დაპირისპირებების გამლიერებით გამოირჩევა. 1984 წელს ის მოკლული იქნა.

> *"ინდოეთმა და პაკისტანმა ბირთვული იარაღის ცდები უკვე ჩაატარეს. ... ვარაუდის სიმცირის მიუხედავად, ვშიშობთ, რომ ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირება ბირთვულ ომად ვადაქცევის სახით გლობალურ შედეგებს გამოიწვევს. ინდოეთი და პაკისტანი ერთმანეთთან მოლაპარაკებებს, აგრეთვე უფრო სანდო ურთიერთობისაკენ სვლას უნდა მიეცეთ".*
>
> ***"ნიუ-იორკ ტაიმსი", 28 ივნისი 1988 წელი***

> **?** *რისკენ იყო მიმართული წყაროში ძირითადი ყურადღება? თქვენი აზრით, გაარნია თუ არა ამ შეფოთებას გამამართლებელი საფუძვლები?*

თანამედროვე ინდოეთი თავისი ეკონომიკური განვითარების სისწრაფით გამოირჩევა, მაგრამ მისი ყველაზე დიდი პრობლემა მოსახლეობის სწრაფი ზრდაა. ამასობაში სოციალური უთანასწორობა და ეთნიკურ-რელიგიური დაპირისპირებებიც ქვეყნის ძირითად პრობლემებად რჩება. ქაშმირის საკითხის ირგვლივ ინდოეთსა და პაკისტანს შორის დაძაბულობა გრძელდება. ორივე სახელმწიფოს მიერ ბირთვული იარაღის ფლობას, ეს დაპირისპირება საერთაშორისო პრობლემად აქვს გადაქცეული.

პაკისტანი. პაკისტანის დამოუკიდებელ სახემწიფოდ ჩამოყალიბებისას, მისი ტერიტორია ორ ნაწილად იყო გაყოფილი. აღმოსავლეთ პაკისტანი ინდოეთის აღმოსავლეთით, ხოლო დასავლეთ პაკისტანი ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარეობდა. კულტურული, რელიგიური, ტერიტორიული, ეკონომიკური და ეთნიკური თვალსაზრისით ეს მხარეები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. მათ მხოლოდ ისლამური რელიგია აერთიანებდა. 1971 წელს აღმოსავლეთ პაკისტანმა თავი ბანგლადეშის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

ბენაზირ ბჰუტო

ცივი ომის დროს პაკისტანი აშშ-ს არა ნატოს წევრ მნიშვნელოვან მოკავშირეთაგან ერთ-ერთი იყო. სსრკ-ის (შემდგომში რუსეთი), აშშ-სა და ჩინეთის სახის დიდი სახელმწიფოების სამხრეთ აზიის მხარესთან დაკავშირებულმა ინტერესებმა პაკისტან-ინდოეთის ურთიერთობებზე ზეგავლენა მოახდინა. ამ ფაქტორმა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ამიტომაც ქვეყანაში არმიის საშინაო პოლიტიკაში ჩართვისა და ხშირად სამხედრო რეჟიმების ჩამოყალიბებისათვის სათანადო პირობები იყო შექმნილი. 1950-1970-იანი წლები პაკისტანში პოლიტიკური არასტაბილურობითა და სამხედრო გადატრიალებებით გამოირჩეოდა.

1988 წელსა და 1993 წელს **ბენაზირ ბჰუტო** პრემიერ-მინისტრად იქნა არჩეული. ის, ისლამურ სამყაროში ამ თან-

LAYIHO

ამდებობაზე არჩეული პირველი ქალი გახდა. პაკისტანის პოლიტიკურ ისტორიაში მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელ ბჰუტოს, სიცოცხლე 2007 წელს განზრახი მკვლელობის შედეგად დაუსრულდა.

პაკისტანი ერთადერთი მუსლიმანური ქვეყანაა, რომელსაც ბირთვული იარაღი გააჩნია. მას ამავდროულად მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი არმია ჰყავს. მსოფლიო ნავთობის სატრანზიტო გზებისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივი წყაროების მასზე მდებარეობა, ქვეყნის სტრატეგიულ პოზიციას ზრდის.

პაკისტანის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდიდანვე, ისლამის რელიგია მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა. პალესტინის კონფლიქტის გამო ისრაელის არ აღიარება და უიღურ თურქების ჩინეთის რეპრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ხშირ-ხშირად გამოსვლა, ამის შედეგს წარმოადგენს. პაკისტანი აგრეთვე აზერბაიჯანის სტრატეგიული მოკავშირეა. ორივე ქვეყანას ისტორიული, კულტურული და რელიგიური ფაქტორები აერთიანებს. პაკისტანი ხოჯალის გენოციდის მაღიარებელი პირველი და აზერბაიჯანის ტერიტორიების დაპყრობის გამო, სომხეთის აღიარებაზე უარის მთქმელი ერთადერთი სახელმწიფოა.

არაბული ქვეყნები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. მხარეში არაბული ხალხების თავისუფლებისათვის ბრძოლის შედეგად, ერთმანეთს მოყოლებით, დამოუკიდებელი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. 1947 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ, პალესტინის ორ ნაწილად გაყოფისა და აქ პალესტინის არაბული სახელმწიფოსა და ისრაელის ებრაული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ქალაქ იერუსალიმი კი საერთაშორისო სტატუსის ქვეშ რჩებოდა.

მაგრამ არაბული ქვეყნები ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდნენ. 1948 წელს გაკეთდა განცხადება ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ. ამის საპასუხოდ, ექვსმა არაბულმა სახელმწიფომ (ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, ლიბანი, საუდის არაბეთი და სირია) ისრაელს ომი გამოუცხადა. მაგრამ ძალების შედარებითი ცუდი მართვისა და ისრაელისათვის იარაღთან დაკავშირებით გაწეული საგარეო დახმარების შედეგად, არაბული ძალები დამარცხდნენ. ამგვარად, საფუძველი ჩაეყარა ბრძოლებს, რომელიც დღესაც გრძელდება. პალესტინის ტერიტორიები, რომელზედაც გაეროს გადაწყვეტილებით პალესტინის სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბებულიყო, ისრაელის მიერ იქნა ოკუპირებული. ათასობითი პალესტინელი იძულებული გახდა თავისი საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინა. ისინი გაეროს მიერ ორგანიზებულ ლტოლვილთა ბანაკებში იქნენ დასახლებულნი.

მაპრო-ს პალესტინის განაწილების გეგმა

1.გაერო, წესდებაში გათვალისწინებული პრინციპების განხორციელებას, ახლო აღმოსავლეთში ქვემოთ მოცემული ორი პრინციპის გამოყენებას ... აცნობებს:

ა) ისრაელის შეიარაღებული ძალების, ბოლო ომში დაპყრობილი ტერიტორიებიდან გასვლა;

ბ) ... მხარეში ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ... აღიარება.

გაეროს უშიშროების საბჭოს ნომერ 242-ე გადაწყვეტილება 22 ნოემბერი 1967 წელი

! *განსაზღვრეთ მოცემული წყაროს თავისებურება და შეადარეთ მისი შინაარსი გაეროს მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიების დაპყრობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს.*

LAMHO

1967 წელს მომხდარ **ექვსდღიან ომში** გამარჯვებულმა ისრაელმა ახალი ტერიტორიები დაიპყრო. არაბული ქვეყნების მარცხმა, არაბულ სახელმწიფოებს შორის ერთობა შეასუსტა.

1973 წელს, არაბულმა სახელმწიფოებმა დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნების მიზნით, კვლავ ომი დაიწყეს. ამ ომმა არაბულ-ებრაულ კონფლიქტს საერთაშორისო მასშტაბის სახე მისცა. სსრკ არაბულ ქვეყნებს, ხოლო აშშ ისრაელს ეხმარებოდა. არაბულმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ნავთობის ძირითად ექსპორტიორებს წარმოადგენდნენ, ნავთობის ფასის ოთხჯერ გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. ეს, მსოფლიოში პირველი **სანავთობო შოკის** მიზეზი გახდა. ნავთობი უკვე საერთაშორისო ურთიერთობებში ზემოქმედების სახით გამოიყენებოდა.

1970-იანი წლების მეორე ნახევარში არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემები ეგვიპტის ისრაელთან დაახლოვების მიზეზი გახდა. 1978 წელს **კემპ–დევიდში** (აშშ), აშშ-ს შუამავლობით ეგვიპტე-ისრაელის შეთანხმება დაიდო. შეთანხმების მიხედვით, ეგვიპტე ისრაელს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებდა, ხოლო ისრაელი სინაის ნახევარკუნძულს ეგვიპტეს უბრუნებდა. მაგრამ ეს შეთანხმება არაბული სახელმწიფოების უმრავლესობის უკმაყოფილების მიზეზი გახდა. მათ ეგვიპტესთან პოლიტიკურეკონომიკური კავშირები შეწყვიტეს.

პალესტინელი ბავშვი ტანკის წინააღმდეგ

ცივი ომის დამთავრებამ, ახლო აღმოსავლეთშიაც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების იმედი გაზარდა. 1993 წლის **ვაშინგტონის შეთანხმების** მიხედვით, ღაზას სექტორსა და იერიქონში პალესტინის ავტონომიის ჩამოყალიბება იყო გათვალისწინებული. მაგრამ მხარეებს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ გრძელდება.

ეგვიპტე. 1952 წელს ეგვიპტეში სამხედრო გადატრიალების გზით, მონარქიულ რეჟიმს ბოლო მოეღო და მომდევნო წელს რესპუბლიკა იქნა გამოცხადებული. სამხედრო გადატრიალების ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთმა, **ჯამალ აბდულ ნასირმა** მალე ხელისუფლება ხელში ჩაიგდო. არაბული სამყაროს გაერთიანების იდეას, იგი არაბული ნაციონალიზმის სიმბოლოდ ჰყავდა გადაქცეული. ნასირის ხელისუფლების პერიოდში მიწის რეფორმები გატარდა. 84 ჰა-ზე მეტი ტერიტორიის მქონეთა მიწები ჩამორთმეული და ნაკლების მქონე გლეხებისათვის უნდა დარიგებულიყო. ჯ. ა. ნასირის მიერ 1956 წელს სუვეცის არხის ნაციონალიზაციისა და შემოსავლების სოფლის მეურნეობასა და სხვა ეკონომიკურ პროექტებზე მიმართვასთან დაკავშირებით გაცემული განკარგულება, საერთაშორისო კრიზისის მიზეზი გახდა. ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა ეგვიპტის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყეს, მაგრამ აშშ-სა და სსრკ-ის მოთხოვნით, ისინი იძულებულნი გახდნენ შეტევები შეეწყვიტათ. ამ მოვლენამ ეგვიპტის პოზიცია განამტკიცა. ამის შედეგად, 1958 წელს ეგვიპტე სირიასთან გაერთიანდა და გაერთიანებული არაბული სახელმწიფო ჩამოყალიბა. მაგრამ საშინაო დაპირისპირებების შედეგად ეს რესპუბლიკა მალე დანაწილდა. ნასირის არაბული ერთობის გეგმა არ განხორციელდა. ეგვიპტე ამ პერიოდში სსრკ-ს დაუახლოვდა. გატარებული რეფორმების მიხედვით, ნასირის პოლიტიკას „არაბული სოციალიზმი“ ეწოდებოდა. 1967 წელს ისრაელის მიერ სინაის ნახევარკუნძულის დაპყრობამ, ნასირის ავტორიტეტი შეასუსტა. მის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული **ანვარ სადათის** პერიოდში ეგვიპტის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში საფუძვლიანი ცვლილებები მოხდა. **"გახსნა"** სახელწოდებით ცნობილი ლიბერალურ ეკონომიკური და პოლიტიკური ღონისძიებები იქნა გატარებული. სსრკ-ის სამხედრო და სამოქალაქო სპეციალისტები ქვეყნიდან გაყვანილნი იქნენ. 1978 წელს ეგვიპტის მიერ ისრაელთან კემპ-დევიდის შეთანხმების ხელმოწერამ, არაბული სამყაროს უკმაყოფილება გამოიწვია. ამ შეთანხმებამ ქვეყნის საშინაო მდგომარეობაც გაამწვავა და ა. სადათი 1981 წელს მოკლული იქნა. ხელისუფლებაში მოსული **ჰუსნი მუბარაქის** პერიოდში პოლიტიკური სტაბილურობა დამყარდა, მაგრამ დემოკრატიული უფლე-

ჯამალ აბდულ ნასირი

LAYIHE

ბები შეზღუდული იქნა. XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, ქვეყანაში უმუშევრობამ სწრაფად მოიმატა და ინფლაცია გაღრმავდა. სოციალური უსამართლობა და დიქტატორული რეჟიმი 2011 წელს „არაბული გაზაფხულის“ ზემოქმედებით ეგვიპტეში მასობრივი აქციების მიზეზი გახდა. ამის შედეგად, ჰ. მუბარაქის ხელისუფლებას ბოლო მოეღო. 2012 წელს პირველად, დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსული **მუჰამმედ მურსის** მიერ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა დიდ ხანს არა გაგრძელდა. 2013 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად, ასევე მის ხელისუფლებასაც ბოლო მოეღო. ამჟამად ქვეყნის ხელმძღვანელია ებდულ ფეტაჰ ეს-სისი.

ერაყი. 1958 წელს ერაყში სამხედრო გადატრიალება მოხდა და მონარქია დაეცა. ერაყი რესპუბლიკად გამოცხადდა. 1960-1970-იანი წლები ერაყის ისტორიაში მიწის რეფორმის, ნაციონალიზაციისა და სოციალისტური იდეების გაფართოების პერიოდად ითვლება. მაგრამ მომხდარი სამხედრო გადატრიალებები, ამ პერიოდში ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას ხელს უშლიდა. 1967 წელს ერაყმა ისრაელს ომი გამოუცხადა. ამასობაში ისრაელის მფარველობის გამო, აშშ-სა და სხვა დასავლური სახელმწიფოებისათვის ნავთობის მიყიდვა შეწყვიტა. ყოველი უცხოური კომპანიის ნაციონალიზაცია მოხდა. ამის შემდეგ, ერაყის აშშ-სთან არსებული დიპლომატიური ურთიერთობები გაუარესდა და იგი სსრკ-ს დაუახლოვდა.

სადდამ ჰუსეინი

1979 წელს **სადდამ ჰუსეინის** ხელისუფლებაში მოსვლით, ერაყის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. მისმა წინააღმდეგობრივმა პიროვნებამ, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ერაყის ისტორიაზეც ზეგავლენა მოახდინა. აშშ, იმის გამო რომ, მას ახლო და შუა აღმოსავლეთში „ერთი რეგიონალური ძალის“ გამოვლენა არ სურდა, ეროვნულ და რელიგიურ კონფლიქტებს იყენებდა. 1980 წელს აშშ-ს ზეგავლენით, ერაყმა ირანს ომი გამოუცხადა. სინამდვილეში, აშშ-ს, ომის შედეგად ორივე მხარის დასუსტება სურდა. ირანისათვის, რომელთანაც ურთიერთობა ისლამური რევოლუციის შემდეგ დაძაბული იყო, 1980-იანი წლების შუა პერიოდში იარაღის მიყიდვასთან დაკავშირებული პრობლემის გამოვლენა, ამ პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა. ომის პერიოდში, აშშ ერაყს იარაღის (მათ შორის ქიმური იარაღებიც) მიყიდვითა და სადაზვერვო მხარდაჭერით დახმარებას უწევდა.

ყურის ომი. ირან-ერაყის ომი, რომელიც 8 წელიწადს გრძელდებოდა, ორივე მხარისათვის დიდი ადამიანური და ეკონომიკური დანაკარგით დამთავრდა. ერეყის დიქტატორი სადდამ ჰუსეინი განაცხადებდა, რომ ამ ომით მთლიან არაბულ სამყაროს შიიტური ირანის საფრთხისაგან იცავდა. ამიტომაც იყო, რომ კუვეიტისაგან აღებული ვალების მთლიანად გაუქმებას მოითხოვდა. კუვეიტმა კი, ეს მოთხოვნა უარყო. ამასობაში კუვეიტისა და ყურის სხვა არაბული ქვეყნების მიერ მსოფლიო ბაზარზე ნორმაზე მეტი ნავთობის გატანამ, მისი გაუფასურება გამოიწვია. ამით დაზარალებულმა ერაყმა 1990 წლის აგვისტოში კუვეიტი დაიპყრო. ეს ოკუპაცია, აშშ-სა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების, ამ მხარესთან დაკავშირებულ ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ აშშ-მ გაეროში მისი ავტორიტეტით ისარგებლა და ამ ორგანიზაციას, ერაყის ჯარების კუვეიტიდან გაყვანის შესახებ გადაწყვეტილება მიაღებინა. ერაყის მიერ ამის უარყოფა, 1991 წლის იანვარში, აშშ-ს მეთაურობით 30-ზე მეტი სახელმწიფოს მხრიდან მასზე შეტევის მიზეზი გახდა. აშშ-მ ვიეტნამთან ომში მარცხის მაგალითზე, არა მარტო, არამედ დიდი კოალიციით შეტევა გადაწყვიტა. ამ ოპერაციას „უდაბნოს ქარიშხალი“ ეწოდებოდა. ერაყი დამარცხდა და კუვეიტის ტერიტორია დატოვა. მაგრამ სსრკ-თან დადებული შეთანხმების მიხედვით, ერაყის ტერიტორიის ოკუპაცია არ მოხდა და არც ს. ჰუსეინი იქნა ჩამოგდებული.

2003 წელს, აშშ-მ სადდამ ჰუსეინის ჩამოგდების მიზნით, **მეორე ყურის ომი** დაიწყო. „ერაყის თავისუფლებად“ წოდებულ ამ ოპერაციებში აშშ-სა და ინგლისის მომიზეზებას ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღების ფლობა წარმოადგენდა. ერაყი დაპყრობილი იქნა და ს. ჰუსეინის ხელისუფლებას ბოლო მოეღო. მაგრამ არავითარი მასობრივი განადგურების იარაღი არ იქნა ნაპოვნი. ამის შემდეგ, აშშ-ს ერაყში ადამიანთა უფლებების დარღვევასა და ქვეყნის დემოკრატიზაციასთან დაკავშირებული მოტივაციით ოკუპაციის გამართლება სურდა. მაგრამ ოკუპაციის შედეგად, ერთ მილიონზე მეტი ერაყელი დაიღუპა.

LATHE

1991 წელს კუვეიტიდან უკან დახეული ერაყელი ჯარისკაცები და სამოქალაქო მოსახლეობა აშშ-ს თვითმფრინავების მიერ იქნა დაბომბილი

იშიდის ტერორის შედეგად ლტოლვილად ქცეული თურქმენები

ერაყელი თურქმენები. ერაყის მთავრობა ქვეყნის ერთ-ერთი დიდი ხალხთაგანის, თურქმენების წინააღმდეგ სხვადასხვა პერიოდში რეპრესიულ პოლიტიკას ახორციელებდა. ერაყში რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგაც, ეს პოლიტიკა გრძელდებოდა. 1959 წელს უძველეს თურქულ მიწაზე, კირკუკში თურქმენების წინააღმდეგ ხოცვა-ჟლეტვა განხორციელდა. ს. ჰუსეინის ხელისუფლების პერიოდში თურქმენების წინააღმდეგ ***ასიმილაციისა*** და ზეწოლის პოლიტიკა გაძლიერდა.

> ***ასიმილაცია*** *– ერთი ხალხის მიერ სხვა რომელიმე ხალხის ენის წეს-ჩვეულებებისა და სხვათა მიღების შედეგად მასში შერწყმა და შერევა.*

მათი კუთვნილი საცხოვრებელი ადგილების თურქული სახელწოდებები არაბულით იცვლებოდა, ხოლო ისინი თავიანთი ისტორიული მიწა-წყალიდან კირკუკიდან, მოსულიდან და სხვ. დეპორტირდებოდნენ. 2003 წელს აშშ-სა და ინგლისის მხრიდან ერაყის დაპყრობის შემდეგ, მხარეში ქურთები იქნენ დასახლებულნი და ამ ადგილის ეთნიკურობა ხელოვნურად იქნა შეცვლილი. 2014 წელს იშიდის ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ამ მხარის დაპყრობების შედეგად, თურქმენები იძულებულნი გახდნენ თავიანთი მიწები დაეტოვებინათ.

> **!** *ჩაატარეთ გამოკვლევები თანამედროვე პერიოდში ერაყელი თურქმენების მდგომარეობასთან დაკავშირებით*

კითხვები და დავალებები

1. *რა პოლიტიკას ატარებდა ინგლისის მთავრობა ინდოეთში ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის შესასუსტებლად?*
2. *რა მნიშვნელობას ატარებს კაშმირის საკითხი?*
3. *რა პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პრობლემები გააჩნია თანამედროვე ინდოეთს?*
4. *პაკისტანის სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან მოყოლებული, რომელი ფაქტორი ატარებდა ძირითად მნიშვნელობას, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?*
5. *რა ცვლილება მოხდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ვითარებაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ?*
6. *რა იყო არაბულ სახელმწიფოებს შორის ერთობის შესუსტების მიზეზი?*
7. *როგორი ზეგავლენა მოახდინა ცივი ომის დამთავრებამ, ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მოგვარებაზე?*

LAYTHO

23 ჩინეთი, იაპონია და კორეა

საკვანძო სიტყვები

- "დიდი ნახტომი"
- "კულტურული რევოლუცია"
- "ოთხი მოდერნიზაცია"
- "ტიანანმენის მოვლენა"
- კორეის ომი
- კორეის სასწაული

მეორე მსოფლიო ომმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიურ ქვეყნებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ჩინეთი სამოქალაქო ომში ჩაეწია. ამის შედეგად, ქვეყანაში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა. 1980-იან წლებში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება გამოიწვია. იაპონია ეკონომიკის სფეროში დაწინაურდა და მსოფლიოს ერთ-ერთ განვითარებულ სახელმწიფოდ გადაიქცა. ცივი ომის პირველ პერიოდში, კორეაში მიმდინარე სამოქალაქო ომი ქვეყნის დანაწილების მიზეზი გახდა.

სამოქალაქო ომი ჩინეთში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ჩინეთში ნაციონალისტები და კომუნისტები იაპონიის წინააღმდეგ ომის წარმოების მიზნით დროებით გაერთიანებულნი იყვნენ. ისინი ქვეყნის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში განმტკიცდნენ. აქ, იაპონიის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლების წარმოების მიზნით გლეხების მობილიზება მოახდინეს. კომუნისტების მიერ განათლების განვითარებისა და პროდუქციის წარმოების ზრდის მიმართულებით გაწეულმა საქმიანობამ, აქ მათი რეპუტაციის გაზრდა გამოიწვია. 1945 წელს ჩრდილოეთ ჩინეთის დიდი ნაწილი კომუნისტების კონტროლის ქვეშ იყო. ამ დროს ნაციონალისტური ძალები ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთით მტკიცდებოდნენ. ომის წლებში აშშ-ს, იაპონიის წინააღმდეგ ომის წარმოების მიზნით, ნაციონალისტებისათვის დახმარება ჰქონდა გაწეული. იაპონიის დანებების შემდეგ ნაციონალისტებსა და კომუნისტებს შორის კვლავ სამოქალაქო ომი დაიწყო. 1945-1949 წლების მომცველ ომში კომუნისტებმა გაიმარჯვეს. მათ მიწების გლეხებისათვის გადაცემის პროპაგანდით ისარგებლეს და მოსახლეობის ამ ფენის თავიანთკენ მიმხრობას მიაღწიეს. ნაციონალისტები დამარცხდენ და ქვეყნის სამხრეთით დაიხიეს. 1949 წელს კომუნისტებმა მთლიანი ჩინეთი ხელში ჩაიგდეს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბების შესახებ განცხადება გააკეთეს. ნაციონალისტები კი, იძულებულნი გახდნენ კუნძულ ტაივანის გადასულიყვნენ.

კომუნისტების გამარჯვებამ, აგრეთვე 1950 წელს ჩინეთსა და სსრკ-ს შორის ხელმოწერილმა მეგობრობის ხელშეკრულებამ, აშშ-ს ანტიკომუნისტური მოქმედების გააქტიურება გამოიწვია. ნაციონალისტებს, ტაივანში ჩინეთის რესპუბლიკად წოდებულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მხარდაჭერა აღმოუჩინა. ერთ პერიოდში გაეროში ჩინეთი ამ ქვეყანამ წარმოადგინა. სსრკ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ეკონომიკურ, სამხედრო და ტექნიკურ დახმარებას უწევდა. ჩინეთსა და სსრკ-ს შორის, შეტევის წინაშე აღმოჩენის შემთხვევაში ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმება იყო ხელმოწერილი.

1950-1951 წლებში ჩინეთმა ტიბეტი დაიპყრო. მათი რელიგიური ლიდერის დალაი ლამას მეთაურობით ტიბეტელების მხრიდან თავისუფლებისათვის მოძრაობის მიძინების მიზნით, მათ ავტონომიას შეპირდნენ. მაგრამ შემდგომში დალაი ლამა იძულებული გახდა ინდოეთში გადახვეწილიყო.

კომუნისტური რეფორმები ჩინეთში. იაპონიის წინააღმდეგ წლების განმავლობაში წარმოებული ომი და სამოქალაქო ომი, ქვეყანაში დიდი ნგრევის მიზეზი გახდა. ამიტომ კომუნისტებმა რეფორმების გატარება დაიწყეს. მათ ლიდერს, **მაო ძედუნს** სოციალიზმზე დაყრდნობით ჩინეთის ეკონომიკის ხელახალი მოწყობა სურდა. მოსახლეობის 80% პროცენტს უმიწო გლეხები შეადგენდნენ. 1950 წელს გატარებული აგრარული რეფორმის შედეგად, მსხვილი მიწათმფლობელების სამფლობელოები ჩამორთმეული იქნა. წინააღმდეგობის გამწვევი, მილიონზე მეტი მიწათმფლობელი მოკლული იქნა. მიწები გლეხებს შორის დანაწილდა. შემდგომში მთავრობამ გლეხები აიძულა კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებულიყვნენ.

მრეწველობის სფეროშიც რეფორმები იქნა გატარებული. კერძო კომპანიების თანდათანობით ნაციონალიზაცია მოხდა და სახელმწიფო საკუთრებაში გადაეცა. სამრეწველო წარმოების მაღალი ზრდის უზრუნველსაყოფად, ხუთწლიანი გეგმა იქნა გამოყენებული.

LAYHE

დიდი ნახტომი. პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებების შემდეგ, მაო ძედუნი 1958 წელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის **"დიდი ნახტომის"** გეგმა გამოაცხადა. ეს გეგმა უფრო დიდი კოლექტიური მეურნეობის (კომუნების) ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. გლეხები კომიტეტების კონტროლის ქვეშ ერთად მუშაობდნენ, საერთო სასადილოებში იკვებებოდნენ და საერთო საცხოვრებლებში რჩებოდნენ. მაგრამ „დიდი ნახტომი" წარუმატებელი აღმოჩნდა. ის მილიონობითი ადამიანის სიცოცხლის მომსპობი შიმშილით დამთავრდა. ამის შედეგად, 1961 წელს ეს პროგრამა გაუქმდა.

1950-იანი წლების დასასრულს ჩინეთის სამინაო ვითარებასთან ერთად, საგარეო მდგომარეობაც გაუარესდა. სსრკ-თან წინააღმდეგობები წარმოიშვა. ორივე მათგანი მსოფლიო მაშტაბით კომუნისტურ მოძრაობაზე კონტროლის გაწევას ცდილობდა. იმის გამო რომ, მსოფლიოს ყველაზე დიდ საზღვრებს ფლობდნენ, მათ შორის ადგილი ჰქონდა ტერიტორიულ პრეტენზიებსაც.

მაო ძედუნი

1949 წლიდან ჩინეთის მმართველი მაო ძედუნი გლეხთა თანასწორობას, რევოლუციურ სულისკვეთებასა და დაძაბულ შრომას ჩინეთის ეკონომიკის განვითარებისათვის ძირითად ფაქტორებად თვლიდა. მაგრამ უახლესი ტექნოლოგიების არ არსებობა, ჩინეთის სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო წარმოების აღზევების მცდელობებისათვის დაბრკოლებას წარმოადგენდა. ამასთან ერთად მაოს პოლიტიკა ეკონომიკის განვითარებას აფერხებდა და უფრო მეტი წარმოების სტიმულაციას არ ახდენდა. საოჯახო ცხოვრების კომუნებში ცხოვრებად შეცვლის მცდელობას ჰქონდა ადგილი. ეს პოლიტიკა, გლეხების მიერ თავიანთი და მათი ოჯახების კეთილდღეობისათვის შრომის სურვილს ხელს უშლიდა. ეკონომიკური დაშლის საწინააღმდეგოდ, ზოგიერთ ჩინელმა კომუნისტმა ეკონომიკის მოდერნიზაციისაკენ მიუწოდეს. მაგრამ მაო ისინი კაპიტალისტურ სტილისაკენ მიდრეკილებაში დაადანაშაულა და 1966 წელს ჩინეთში ანტირევოლუციური გვარდიების გასუფთავების მიზნით, კულტურული რევოლუცია დაიწყო. მაგრამ კულტურულმა რევოლუციამ რადიკალური კომუნიზმის ვიბრაციების ნაცვლად, მის მიმართ უკმაყოფილება გაზარდა. 1970-იან წლებში ჩინეთში შერბილების პერიოდი დაიწყო. 1976 წელს მაო ძედუნის სიკვდილის შემდეგ, ეს კიდევ უფრო გაძლიერდა.

"დიდი ნახტომის" წარუმატებლობამ და სსრკ-თან ურთიერთობებში არსებულ წინააღმდეგობებმა მაოს პოზიცია შეასუსტა. ზოგიერთი ხელმძღვანელები მის მყარ სოციალისტურ აზრებს ჩამოშორდნენ. მაგალითად, უმეტესი მათგანი კოლექტიური მეურნეობის მცირე საოჯახო მეურნეობებად დაყოფისა და პროდუქციის ღია გაყიდვისაკენ მოუწოდებდა. ფაბრიკისა და ქარხნის მუშების ხელფასის გაზრდისათვის კონკურენტუნარიანობას, მრეწველობის განვითარებისათვის ძირითად პირობად ითვლებოდა.

მაო ძედუნი ფიქრობდა, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ჩინეთის კომუნისტებს საზოგადოებრივი თანასწორობის მიზანს დააშორებდა. ამიტომაც **1966 წელს** ახალგაზრდების მისამართით „რევოლუციის მოხდენით რევოლუციის შესწავლა" სახელწოდების მოწოდებით გამოვიდა. მილიონობით მოსწავლემ და სტუდენტმა ამ მოწოდების საფუძველზე **"წითელი გვარდიელები"** სახელწოდების ჯგუფები ჩამოაყალიბეს. ამით დაიწყო მოძრაობა **"კულტურული რევოლუცია"**, რომელიც ათ წელიწადს გაგრძელდა. მისი მიზანი „ყველას თანასწორობის გლეხთა და მუშათა საზოგადოების" ჩამოყალიბება იყო. გლეხები საზოგადოების მასტიმულირებელ ძალებად იქნენ გამოცხადებულნი. ინტელიგენცია სახიფათო ფენად, ხოლო ხელოვნება უსარგებლო სფეროდ ითვლებოდა. ამ საფრთხის მოსასპობად „წითელი გვარდიელები" სკოლებსა და უნივერსიტეტებს ხურავდნენ. ინტელიგენციას შორეულ სოფლებში მძიმე სამუშაოებზე ასაქმებდნენ. ამ პერიოდში ათასობითი ადამიანი მოისპო. წარმოშობილი ქაოსის შედეგად, სოფლის მეურნეობის წარმოება შესუსტდა და სამრეწველო დაწესებულებები დაიხურა. სამოქალაქო ომის საფრთხეს ჰქონდა ადგილი. რამოდენიმე წლის შემდეგ თვით მაომაც ასეთი "კულტურული რევოლუციის" შეწყვეტის აუცილებლობა აღიარა. არმიას **"წითელი გვარდიელების"** გაუქმების შესახებ ბრძანება მიეცა.

LAKHO

“კულტურული რევოლუციის” წლებში ჩინეთი, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო პოლიტიკის გარეთ იყო დარჩენილი. 1960-იან წლებში სსრკ-თან ურთიერთობები გაუარესდა. აშშ-ს მიერ ტაივანისათვის დახმარებაც, ამ ქვეყანასთან ურთიერთობას ამწვავებდა.

ჩინეთის იზოლაცია ქვეყნის მმართველებს მწუხარებას ჰგვრიდა. ამიტომაც, დასავლეთთან ურთიერთობების შერბილების ინიციატივა იქნა გამოჩენილი. 1971 წელს აშშ-მ ჩინეთის მიმართ პოლიტიკა შეცვალა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაეროში გაწევრიანებაზე თანხმობა განაცხადა. ამ ქვეყნებს შორის დიპლომატიური, კულტურული და შეზღუდული სავაჭრო ურთიერთობები ჩამოყალიბდა.

ეკონომიკური რეფორმები. 1970-იანი წლების დასასრულს **დენ სიაოპინი** ჩინეთის ყველაზე ძლიერი ლიდერი გახდა. 1949 წლიდან ჩინეთის მმართველ „ძველი რევოლუციონერების“ ხელისუფლებას ბოლო მოეღო. დენ სიაოპინმა, მისი კომუნისტობის მიუხედავად, მკვეთრი რეფორმებით ლმობიერი ეკონომიკური პოლიტიკა განახორციელა. მაოსაგან განსხვავებით, მან ჩინეთის ეკონომიკის განვითარების მიზნით, კაპიტალისტური მეთოდების გამოყენებას ხელი შეუწყო, ამგვარად, **"ოთხი მოდერნიზაცია"** სახელწოდების რეფორმები იქნა გატარებული, რომლებიც სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სამხედრო, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროებში განვითარებას მოიცავდა. თავდაპირველად კომუნები გაუქმდა და მიწები გლეხებს იჯარით გადაეცათ. გლეხები სტაბილური პროდუქციის გადასახადით სახელმწიფოს საიჯარო გადასახადს უხდიდნენ. დანარჩენი მოსავალი კი შეიძლებოდა გაყიდულიყო. ამის შედეგად პროდუქციის წარმოება ორმოცდაათი პროცენტით გაიზარდა. დაშვებული იქნა თავისუფალი ვაჭრობა. სახელმწიფომ სამრეწველო დაწესებულებებს წარმოების მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებით თავისუფლება მიანიჭა. გასაქანი მიეცა უცხოეთიდან ტექნოლოგიის შემოტანასა და ინვესტიციების მოზიდვას. დენ სიაოპინის ეკონომიკური პოლიტიკა, ჩინეთის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში განვითარების მიზეზი გახდა.

ტიანანმენის მოვლენა. დენ სიაოპინის ეკონომიკურმა რეფორმებმა განვითარებასთან ერთად ახალი პრობლემებიც წარმოშვა. ცხოვრების დონის გაზრდასთან ერთად მდიდრებსა და ღარიბებს შორის სხვაობაც იზრდებოდა. ახალი პოლიტიკა არამარტო დასავლური ინვესტიციისა და ტურისტების, არამედ ამავდროულად პოლიტიკური აზრების ქვეყანაში შემოსვლასაც აძლევდა გასაქანს. უცხოეთში განათლების მიმღები ჩინელების რიცხვმა მოიმატა და მათ დასავლურ დემოკრატიული ფასეულობები შეისწავლეს. ამის შედეგად, ჩინეთში დაიწყო არსებული პოლიტიკური თავისუფლებების შეზღუდვის კრიტიკა. სტუდენტები, დემოკრატიის მოთხოვნით აქციებზე გავიდნენ. 1989 წელს, მათი აქციები პეკინის ტიანანმენის მოედანზე შეიარაღებული ძალების გამოყენებით იქნა დაშლილი.

უცნობი ავჯანყებული. ტიანანმენის მოედანზე მიმავალი ტანკების გზის მარტოდ გადამჭრელი დემონსტანტი. ფოტო ჯეფ ვიდენერი

ჩინეთი ახალ ათასწლეულში. თანამედროვე პერიოდში ჩინეთში ეკონომიკური თავისუფლება არსებობის მიუხედავად პოლიტიკურ ცხოვრებაში შეზღუდვები გრძელდებოდა. ჩინეთის ნიმუში უჩვენებს, რომ შესაძლებელი იყო დემოკრატია ნელი და შეზღუდული პროცესი ყოფილიყო, ხოლო ეკონომიკურ სფეროში ლიბერალურ რეფორმებს, პოლიტიკურ რეფორმებზე მაშინვე არ ემოქმედა. 2007 წელს აშშ-ს, იაპონიასა და გერმანიის შემდეგ, ჩინეთი მსოფლიოს მეოთხე დიდ ეკონომიკას ფლობდა. მაგრამ მისი ეკონომიკის განვითარებას უარყოფითი მხარეებიც გააჩნდა. ამგვარად ქალაქებსა და სოფლებს შორის დიდი სხვაობა იყო წარმოშობილი, სოციალური უთანასწორობა საზოგადოებრივი უკმაყოფილების მიზეზი გახდა. სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამ ეკოლოგიური დაბინძურება და სხვა პრობლემები წარმოშვა.

უიღური თურქები და ჩინეთი. 1944 წელს უიღურ თურქებს აღმოსავლეთ თურქისტანის რესპუბლიკა ჰქონდათ ჩამოყალიბებული. მაგრამ 1949 წელს ჩსრ-მ ეს სახელმწიფო დაშალა და მისი ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა. ამის შემდეგ ჩინეთში უიღურ თურქების წინააღმდეგ ასიმილაციის პოლიტიკა ტარდება. მათი უფლებები ირღვევა და რელიგიური ლოცვები იზღუდება. 2009 წელს ურუმჩიში უიღურების წინააღმდეგ მკვლელობები იქნა ჩადენილი. მაგრამ სამწუხაროდ საერთაშორისო საზოგადოებას ამ მკვლელობებთან დაკავშირებით არავითარი აზრი არ გამოუთქვამს.

LATHE

იაპონია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მეორე მსოფლიო ომმა იაპონიის კატასტროფა გამოიწვია. ორი მილიონი იაპონელი დაიღუპა. ქვეყნის მთავარი ქალაქები, მათ შორის ტოკიოც დანგრეული იქნა. ატომურმა ბომბმა ჰიროსიმა და ნაგასაკი ფერფლად აქცია. დამარცხებულ იაპონიაში დაპყრობითი რეჟიმი ჩამოყალიბდა.

მომავალში ახალი ომის თავიდან აცილების მიზნით სამხედრო განიარაღება განხორციელდა და იაპონიის შეიარაღებული ძალები გაუქმდა. დემოკრატიზაციის პროცესი დაიწყო. **1947 წელს** აშშ-ს პოლიტიკური მრჩევლების მიერ მომზადებული კონსტიტუცია ძალაში შევიდა. იმპერია ინგლისის ნიმუშის საპარლამენტო მონარქიად გადაიქცა. კონსტიტუციამ იაპონიის საზოგადოებაში ღრმა ცვლილებები გამოიწვია. იაპონიის სახელმწიფო ადათ-წესების მიხედვით, იმპერატორი ღმერთის მიერ მოვლენილად ითვლებოდა. მის შენიშვნა აბსოლუტურ ბრძანებად ითვლებოდა. ახალ კონსტიტუციაში იმპერატორის პოლიტიკური ძალაც მნიშვნელოვნად შემცირდა. დიდი ბრიტანეთის მბრძანებლის მსგავსად, იმპერატორმაც მხოლოდ სიმბოლური ფუნქციის ტარება დაიწყო. ახალმა კონსტიტუციამ იაპონიაში ხელისუფლების წყაროდ ხალხის ყოფნა დაადგინა. ყველა მოქალაქეს, მათ შორის ქალებსაც არჩევნების უფლება მიეცათ. კონსტიტუცია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველმყოფი იყო. მისი უმნიშვნელოვანესი მუხლი ომზე უარის თქმას ეხებოდა.

იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა

ეკონომიკის სფეროშიც რეფორმები გატარდა. მსხვილ მიწათმფლობელებს მიწების ერთი ნაწილი ჩამოერთვათ, რომლებიც შესაბამის ფასად გლეხებისათვის იქნა მიყიდული. მაგრამ მიწის მცირე ნაწილებად დანაწევრებამ ეფექტურობა შეამცირა. მუშებს პროფკავშირის ჩამოყალიბების უფლება მიეცათ.

1951 წელს აშშ-მ და მეორე მსოფლიო ომში იაპონიის წინააღმდეგ მებრძოლმა სხვა სახელმწიფოებმა იაპონიასთან საზავო ხალშეკრულებას ხელი მოაწერეს. სსრკ-მა და მისმა რამდენიმე მოკავშირემ, ეს ხელშეკრულება უარყო. აშშ-ს ოკუპაციის რეჟიმი გაუქმდა, მაგრამ იაპონიის შეიარაღებული ძალების გაუქმების გამო, აშშ-მ ქვეყნის დაცვის მომიზეზებით არმიის დარჩენა ხელისუფლებასთან შეათანხმა. ერთ დროს მტრად მყოფი აშშ და იაპონია უკვე მოკავშირეებად იყვნენ გადაქცეულნი. იაპონიაში დარჩენილი აშშ-ს ჯარისკაცების მიერ ჩადენილი დანაშაულები, იაპონელების მხრიდან ამ ბაზების დახურვის მოთხოვნით გამოსვლების მიზეზი გახდა.

1950-იანი წლების დასაწყისში მომხდარი **კორეის ომის** გამო, იაპონია აშშ-სათვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა. აქ მყოფი, ამერიკული არმიის მოთხოვნილება, იაპონურ სამრეწველო საქონელზე მოთხოვნას ზრდიდა. ეს, იაპონიის მრეწველობის განვითარების ახალ საწყისს წარმოადგენდა. 1950-1960-იან წლებში იაპონიის ეკონომიკის განვითარებისათვის სამი ძირითადი საშუალება იქნა გამოყენებული. პირველი, ძირითადი სამრეწველო რეფორმების სამიზნედ არჩევაა. მეორე, ახლად წარმოშობილ და სტრატეგიულად ჩათვლილ სამრეწველო სფეროებში იმპორტის შეზღუდვის გზით საგარეო კონკურენციისაგან დაცვაა. მესამე საშუალება კი, მთავრობის მხარდაჭერით ექსპორტის სტიმულირება იყო. ამის შედეგად, ეკონომიკური სიმძიმის ცენტრი სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაზე, მსუბუქი მრეწველობიდან მძიმე მრეწველობაზე გადავიდა. ამგვარად, იაპონიის ეკონომიკაში იმპორტი შეზღუდული იყო, მხოლოდ ნედლეულისა და ძირითადი მოთხოვნილების პროდუქციაზე დაბალი საბაჟო გადასახადი იყო დაწესებული. აშშ-სა და დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, ეკონომიკის სფეროში მფარველობითი და ჩარევითი პოლიტიკა იყო გატარებული. 1970-იან წლებში იაპონური კომპანიების საერთაშორისო კონკურენციისათვის მზადყოფნის შემდეგ, უკვე შედარებითი ლიბერალიზაციის პოლიტიკის განხორციელება დაიწყო. იაპონიის ეკონომიკის სწრაფი განვითარების ერთ-ერთი მიზეზი, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასარულში და XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული განა-

LAYTHE

თლებისათვის მინიჭებული მნიშვნელობა იყო. ასე, რომ ადამიანის კაპიტალის ფაქტორმა ინდუსტრიალიზაციასა და მოდერნიზაციაში ძირითადი როლი შეასრულა, ასევე ხელი შეუწყო ქვეყანაში სამრეწველო საზოგადოების ფორმირებას. ამის შედეგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იაპონიამ მოკლე დროში თავისი ეკონომიკის აღდგენა შეძლო, სუპერ ეკონომიკურ ძალად გადაიქცა და ქვეყნის საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლა დაჩქარდა. 1990-იან წლებამდე იაპონიის ეკონომიკას მსოფლიოს ყველაზე სწრაფი განვითარების მონაცემები გააჩნდა. ქვეყანა მსოფლიოს მეორე ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ გადაიქცა.

კორეა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კორეაში იაპონიის მხრიდან ოკუპაციას ბოლო მოეღო. ცივი ომის დაწყებასთან ერთად, ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო: სამხრეთი აშშ-ს, ხოლო ჩრდილოეთი სსრკ-ის მიერ იქნა დაპყრობილი. ამის შედეგად, განსხვავებული იდეოლოგიურ-პოლიტიკური სისტემის მქონე, ორი კორეის სახელმწიფო ჩამოყალიბდა. 1948 წელს ქვეყნის სამხრეთით **კორეის რესპუბლიკა**, ხოლო ჩრდილოეთით, კომუნისტების მბრძანებლობის ქვეშ, **კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა** იქნა ჩამოყალიბებული. 1950-1953 წლებში, ორივე კორეის სახელმწიფოს შორის მოხდა ომი. გაეროს ჩარევით, ომმა საერთაშორისო მასშტაბი მიიღო. აშშ-ს მეთაურობით, გაეროს საერთაშორისო ძალების დახმარების შედეგად სამხრეთ კორეამ გაიმარჯვა.

კორეის ომის დევნილები

თავდაპირველ პერიოდში, სამხრეთ კორეაში პოლიტიკური სტაბილურობა არ იყო. ხშირ-ხშირად სამხედრო გადატრიალებები ხდებოდა. 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებული გატარებულმა რეფორმებმა, ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკურ განვითარებას - **"კორეის სასწაულს"** დაუდო სათავე. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა პრივატიზაციას, ასევე მსხვილ ადგილობრივ კომპანიებს მფარველობა ეწოდათ. ქვეყანაში აშშ-სა და იაპონიის კაპიტალის შემოტანამ, აგრეთვე 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებულმა პოლიტიკურმა განმტკიცებამ, ეკონომიკური განვითარება დააჩქარა.

თანამედროვე პერიოდში კორეის ხალხის საწყისი მიზანი, ორ ნაწილად გაყოფილი, მათი ისტორიული სამშობლოს გაერთიანებაა. ცივი ომის დამთავრება, ამ მიმართულებით იმედების გაზრდის მიზეზი გახდა. 2000-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო მეთაურებს შორის მოლაპარაკებების პროცესი ჩატარდა. მაგრამ ბოლო პერიოდში ჩრდილოეთ კორეის მეთაურობის ძალადობრივი პოლიტიკა, აგრეთვე მის მხრიდან ბირთვული ცდების ჩატარება მხარესა და მსოფლიოში მშვიდობისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

კითხვები და დავალებები

1. *რომელ მსგავს თავისებურებებს ჰქონდა ადგილი, მაო ძედუნისა და სტალინის მოღვაწეობებში?*
2. *რა იყო ჩინეთში ოთხი მოდერნიზაციისა სახელწოდების რეფორმების ძირითადი მიმართულებები?*
3. *როგორი ზეგავლენა მოახდინა 1947 წელს იაპონიაში მიღებულმა კონსტიტუციამ, ქვეყნის შემდგომ პოლიტიკურ განვითარებაზე?*
4. *რომელი ძირითადი საშუალებები იქნა გამოყენებული, 1950-1960-იან წლებში იაპონიის ეკონომიკის განვითარებისათვის?*
5. *რა იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კორეის დანაწილების მიზეზი?*
6. *გაანალიზეთ იაპონიის ეკონომიკის სწრაფი განვითარების მიზეზები.*
7. *გაანალიზეთ 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებული კორეის სასწაულის მიზეზები.*
8. *შეადარეთ ერთმანეთს, იაპონიისა და სამხრეთ კორეის ისტორიული განვითარების თავისებურებები, XX საუკუნის მეორე ნახევარში.*

LAXNO

24 ცივი ომის პერიოდი

საკვანძო სიტყვები

- ცივი ომი
- ტრუმენის დოქტრინა
- მარშალის გეგმა
- შერბილების პერიოდი
- მესამე მსოფლიო ქვეყნები
- "ბლოკებში ჩაურთველთა მოძრაობა
- ბერლინის კედელი
- კუბის კრიზისი
- სტრატეგიული დაცვის ინიციატივა

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ანტიფაშისტური კოალიციის ორ დიდ სახელმწიფოს შორის წინააღმდეგობები წარმოიშვა. ამან, 1940-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარა გამწვავება გამოიწვია. აშგვარად, XX საუკუნის მეორე ნახევრის ძირითადი თავისებურების განმსაზღვრელი ცივი ომი დაიწყო.



! *რუკის საფუძველზე გაანალიზეთ პოლიტიკური მდგომარეობა ცივი ომის პერიოდში. დიაგრამაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეთ შეხედულებები ცივი ომის შესახებ.*

ფაშისტურ ბლოკზე გამარჯვების შემდეგ, დასავლეთსა და სსრკ-ს შორის კვლავ წინააღმდეგობები წარმოიშვა. დასავლეთი, ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებული აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნების სსრკ-ის გავლენის სფეროში შესვლას ვერ ურიგდებოდა. უ. ჩერჩილმა 1946 წელს ფულტონში (აშშ), თავის ცნობილ მოხსენებაში პირველად, ევროპის გამყოფი „რკინის ფარდის“ გამოთქმა გამოიყენა. სსრკ ატომური ბომბის მქონე აშშ-სა და მისი მოკავშირეებს ფრთხილ ეკიდებოდა. გერმანიის მდგომარეობის განსაზღვრის საკითხმა, მხარეებს შორის აზრთა სხვადასხვაობები წარმოშვა. დიდი კავშირის უკანასკნელი საერთო ნაბიჯი, 1947 წელს გერმანიასა და მის მოკავშირეებთან საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით ჩატარებული კონფერენცია იყო. ამგვარად, დასავლეთ ევროპაში 1937 წლამდე არსებული საზღვრები, ძირითა-

LAYiHa

ა) "ბალტიური სანაპიროებიდან ადრიატიკის სანაპიროებზე მყოფ ტრიესტამდე, კონტინენტის ზედაპირზე რკინის ფარდა დაეშვა. ამ სექტორის უკან მოლიანი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქები არის. ... ეს ქალაქები და ხალხები საბჭოების ალყაშია. ... ყველა მათგანზე არა მხოლოდ საბჭოთა ზეგავლენა, არამედ მოსკოვის ფართო, ძლარდი კონტროლი გამოიყენება ... აღმოსავლეთ ევროპაში მყოფ ამ ქვეყნებში კომუნისტებს ... ტოტალიტარული კონტროლის გამოყენება სურთ. ყველგან პოლიციური სახელმწიფო ყალიბდება. ...ნამდვილი დემოკრატია არსად არ დარჩა . არ ვფიქრობ, რომ რუსეთს (სსრკ) ომი სურს. მისი ნამდვილი სურვილი ომის ნაყოფების მოგროვება და ძალის ... გაზრდაა".

უ. ჩერჩილის მოხსენება ფულტონში https://winstonchurchill.org.

? *თქვენი აზრით, რატომ ითვლება ეს მოხსენება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში შემობრუნების წერტილად? რა მნიშვნელობას ატარებდა ეს შემობრუნება?*

ბ) "აშშ ... საგარეო ზეწოლების წინააღმდეგ გამომსვლელ თავისუფალ ხალხებს უნდა იცავდეს. ... ჩვენს მიერ გასაწევი დახმარება ძირითადად ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროში უნდა მოხდეს. ყოველი ხალხი უკვე ორ წინააღმდეგობრივ ცხოვრებისეულ წესს შორის არჩევანის წინაშე იმყოფება. ამათგან ერთ-ერთი უმრავლესობის ძალას ეფუძნება და ისეთ თავისებურებებს ფლობს, როგორიცაა: თავისუფალი ორგანიზაციები, წარმომადგენლობაზე დაყრდნობილი მთავრობა; თავისუფალი არჩევნები; ადამიანის უფლებების, აზრისა და სინდისის თავისუფლების უზრუნველყოფა; არავითარი პოლიტიკური ზეწოლების არ არსებობა. მეორე კი ძალის გამოყენების გზით უმრავლესობის იძულებულობასა და უმცირესობის ძალას ეფუძნება, რომელიც დაშინებითა და ზეწოლით, პრესაზე კონტროლით, გაყალბებული არჩევნებითა და ადამიანის თავისუფლების გაუქმებით ყალიბდება. ტოტალიტარული რეჟიმების მიერ დათესილი თესლები სათარაბითა და სიღატაკით იკვებება. ... მსოფლიოს თავისუფალი ხალხები, ჩვენგან, თავისუფლების დაცვაში დახმარების გაწევას მოელიან".

ტრუმენის დოქტრინა, 1947 წელი კენედი პაული. დიდი ძალების აღზევება და დაცემა. 2001, გვ. 482

დად აღდგენილი იქნა. ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში, სსრკ-მა 1939-1940 წლებში დაპყრობილი მიწები თავის ხელში შეინარჩუნა.

? *გაიხსენეთ: 1939-1940 წლებში სსრკ-მა, რომელი ხელშეკრულების შედეგად დაიპყრო ზოგიერთი ტერიტორიები? რომელი იყო ეს ტერიტორიები?*

დიდი კავშირის დაშლა. 1946-1947 წლებში სსრკ-ის აღმოსავლეთ ევროპაზე გავლენის გაზრდა, თანდათანობით აშშ-სა და დასავლეთ ევროპის მწუხარებას იწვევდა. აშშ-მ ამის საწინააღმდეგოდ ორი სტრატეგიის გატარება გადაწყვიტა. 1947 წლის დასაწყისში პრეზიდენტ ჰ. ტრუმენმა ევროპულ სახელმწიფოებს სამხედრო დახმარების გაწევა შესთავაზა. ამას „ხაზის გავლების" პოლიტიკა ეწოდებოდა. მეორე სტრატეგიულ ნაბიჯს კი, 1947 წლის ზაფხულში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯორჯ მარშალის ევროპული ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარების შეთავაზება წარმოადგენდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ეს შეთავაზება მიიღეს, ხოლო სსრკ-მა და მისი ზეგავლენით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ამაზე უარი თქვეს.

1947 წელს სსრკ-ის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, იტალიისა და საფრანგეთის კომუნისტურ პარტიებმა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული ანგარიშგება მიიღეს. ანგარიშგება მსოფლიოს ორ ფრონტად - აშშ-ს მეთაურობის ქვეშ მყოფ „იმპერიალისტურ" და სსრკ-ის მეთაურობის ქვეშ მყოფ „დემოკრატიულ და ანტიიმპერიალისტურად" წოდებულ ფრონტებად ყოფდა. ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ ჩამოყალიბებული დიდი კავშირი დაიშალა. მსოფლიოს ორ ბლოკად დაყოფამ მკვეთრი სახე მიიღო.

გ) აშშ-ს ახალი ექსპანსიონისტური ორიენტაციის მიზანი, ამერიკის იმპერიალიზმის მიერ მთლიან მსოფლიოში თავისი ძალაუფლების უზრუნველყოფაა. ეს ახალი მიდრეკილება ... აშშ ყველაზე დიდი ორი კონკურენტის (გერმანია და იაპონია) დამარცხებითა და მისი კაპიტალისტური პარტნიორების – ინგლისისა და საფრანგეთის დასუსტებით მონოპოლიური პოზიციის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. ეს ახალი ორიენტაცია სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში ღონისძიებების მომცველ ფართო პროგრამას ეყრდნობა. ამ პროგრამის გამოყენება ამერიკული ექსპანსიონიზმის სამიზნეში მყოფ ყველა ქვეყნებში აშშ-ს ეკონომიკური და პოლიტიკური ხელისუფლების ჩამოყალიბების უზრუნველყოფას გამოიწვევს. ... აშშ-ს მხრიდან ევროპის დამონების გეგმის წინააღმდეგ მოძრაობის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებული ისტორიული მოვალეობის სახით კომუნისტურ პარტიებს აწევთ.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ანგარიშგება, ევროპის კომუნისტურ პარტიათა კონფერენციაზე, 1947 წელი ისტორია. სტამბოლი, 2002, გვ. 203

! *შეადარეთ ერთმანეთს ბ) და გ) წყაროები. მოაწყვეთ დებატები, ორივე მხარის პოზიციაში მყოფი განმასხვავებელი მხარეების საფუძველზე.*

1947 წლიდან ორ დიდმა სახელმწიფომ თავიანთი გავლენის სფეროების განმტკიცება დაიწყეს. აშშ 1948

LAYAP

წლიდან მარშალის გეგმას იყენებდა. გეგმის მიხედვით, ევროპის ქვეყნების ეკონომიკის აღდგენის მიზნით, მათთვის ეკონომიკური დახმარებები იქნა აღმოჩენილი. ამ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, საბაჟო ტარიფების შემცირებისა და იმპორტის შეზღუდვების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

ევროპაში მშვიდობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცებისათვის შემდგომში - 1957 წელს **ევროპის ეკონომიკური კავშირი** (ამჟამინდელი ევროკავშირი) შეიქმნა. აშშ და დასავლეთ ევროპა სამხედრო სფეროშიც ორგანიზებულნი იქნენ. 1949 წელს, აშშ-მ, კანა-დამ და დასავლეთ ევროპის რიგმა სახელმწიფოებმა **ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)** ჩამოაყალიბეს.

სოციალისტური ბლოკის ჩამოყალიბება. 1940-იანი წლების მეორე ნახევარში რუმინეთში, უნგრეთში, პოლონეთში, ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიაში სსრკ-ს ჩარევით საბჭოური მოდელის რეჟიმები ჩამოყალიბდა. ერთპარტიული სისტემა, გეგმიური ეკონომიკა და ნაციონალიზაცია იქნა გამოყენებული. ამ სახელმწიფოებს სსრკ-თან თანამშრომლობას აიძულებდნენ. მხოლოდ იუგოსლავიამ შეძლო ამაზე უარი ეთქვა. 1949 წელს მარშალის გეგმის ალტერნატიულად, სოციალისტური ბლოკის ქვეყნებმა **ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (ეშს)** ჩამოაყალიბეს და საბჭოთა კავშირისგან დახმარებაც მიიღეს. 1949 წელს ჩინეთშიც კომუნისტები მოვიდნენ ხელისუფლებაში და საბჭოთა მომხრე ბლოკს შეუერთდნენ. ამავე წელს სსრკ-ის მიერ ატომური ბომბის დამზადების შეძლებამ, სოციალისტური ბლოკი კიდევ უფრო გაამლიერა.

მარშალის გეგმის გამოცხადება.
ომის პერიოდში, ევროპაში ეკონომიკური წყობა მთლიანად დანგრეული იყო. .... ევროპა, თუ მნიშვნელოვანი ოდენობით დამატებით დახმარებას ვერ მიიღებს, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით დანგრევების უაღრესად მძიმე საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ...ნათლად ჩანს ის, თუ როგორ იმოქმედებს ეს ამერიკის ეკონომიკაზე. აშშ-ს მიერ მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის შესაძლო ყველაფრის კეთება ლოგიკურია. ამის გარეშე პოლიტიკური სტაბილურობისა და სანდო მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება. ჩვენი პოლიტიკა არა რომელიმე ქვეყანას ან დოქტრინას, არამედ შიმშილს, სიღატაკეს და ქაოსს ეწინააღმდეგება. ამის მიზანი კი, თავისუფალი ორგანიზაციების არსებობისათვის საჭირო პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების, ასევე მთლიან მსოფლიოში ცოცხალი ეკონომიკის კვლავ ჩამოყალიბების უზრუნველყოფაა.

ჯ. მარშალის ჰარვარდის უნივერსიტეტში მოხსენებიდან, 1947 წელი
https://www.marshallfoundation.org

? *რა იყო მარშალის გეგმის მიზეზი? როგორ ხდება მიზნის დასაბუთება?*

ამგვარად, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისით ურთიერთ საწინააღმდეგო სისტემების ჩამოყალიბებამ, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები საფუძვლიანად შეცვალა. დასავლეთის ბლოკი კომუნიზმის გავრცელებას, ხოლო სსრკ ბლოკადაში მოხვედრას ერიდებოდა. ორივე მხარის მიერ ატომური ბომბის ფლობა, ომის დაწყების შემთხვევისათვის მსოფლიოს განადგურების საფრთხეს წარმოადგენდა.

გერმანიის გაყოფა. 1948 წელს ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური გადატრიალებით, აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა სსრკ-ის გავლენის ქვეშ მოექცა. ამ გავლენის დასავლეთით გავრცელების წინაღობის მიზნით, აშშ-მ და მის მოკავშირეებმა, გერმანიის თავიანთი კონტროლის ქვეშ მყოფ მხარეებში ახალი გერმანული სახელმწიფოს ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. ეს, ცივი ომის პირველი კრიზისის მიზეზი გახდა. ამის საპასუხოდ ,1948 წელს სსრკ-მა დასავლეთის დაპყრობის ზონები ბლოკადაში მოახვედრა. აშშ, ბლოკადაში მყოფ დასავლეთ ბერლინს საჰაერო გზის საშუალებით ეხმარებოდა. სსრკ-მა, რომელმაც მიზანს ვერ მიაღწია, 1949 წელს ბლოკადა მოხსნა. ამ მოვლენამ დასავლეთის დაპყრობილი ზონების გაერთიანება და **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის** ჩამოყალიბება დააჩქარა. ამას, სსრკ-მა თავის დაპყრობის ზონაში **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის** ჩამოყალიბებით უპასუხა. ამგვარად გერმანიის დანაწილება, ამავდროულად მსოფლიოს ორ ბლოკად დაყოფის სიმბოლოდ გადაიქცა.

კორეის ომი (1950–1953) და "ყინულების დნობა". ცივი ომის მეორე კრიზი კორეაში მოხდა. ომამდელ პერიოდში იაპონიის ხელისუფლების ქვეშ მყოფი კორეის ჩრდილოეთი, 1945 წელს სსრკ-ის, ხოლო სამხრეთი აშშ-ს მიერ იქნა დაპყრობილი. ორივე სახელმწიფოს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა კორეის დაშლის მიზეზი გახდა. 1948 წელს აშშ-ს მფარველობის ქვეშ **კორეის რესპუბლიკა**, ხოლო ჩრდილოეთით კომუნისტური რეჟიმის სახელმწიფო ჩამოყალიბდა. 1950 წელს **ჩრდილოეთ კორეის** ძალებმა სამხრეთ კორეა დაიპყრეს. გაერომ ოკუ-

LAYTHO

პაცია გააკრიტიკა და წევრ ქვეყნებს სამხრეთ კორეისათვის დახმარების აღმოჩენისაკენ მოუწოდა. ამ პერიოდში გაეროს უშიშროების საბჭოში არა კომუნისტური ჩინეთის, არამედ ტაივანის მიღებაზე პროტესტის გამომთქმელი სსრკ-ის ბოიკოტის გამო, მან მიღებული გადაწყვეტილება ვერ გააპროტესტა. სამხრეთ კორეაში გაგზავნილი გაეროს ძალების ძირითად ნაწილს აშშ-ს ჯარი შეადგენდა. ჩრდილოეთ კორეას სსრკ და ჩინეთი ეხმარებოდა. 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ სსრკ-ს პოზიცია რამდენადმე შერბილდა. ცივ ომში **"ყინულების დნობის" პერიოდი** დაიწყო. ამის შედეგად, 1953 წელს კორეის ომი დამთავრდა. მაგრამ ეს ქვეყანა, ურთიერთ დაპირისპირებული პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოებად დანაწილებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1955 წელს სსრკ-მა, ამას სოციალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკის - **ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის** დაფუძნებით უპასუხა. შეიარაღებისა და კოსმოსის დაპყრობის სფეროში კონკურენცია გაძლიერდა. სსრკ-მა, 1957 წელს კოსმოსში პირველად ხელოვნური თანამგზავრი გააგზავნა. თუმცა, 1959 წელს სსრკ-ის ხელმძღვანელის ნიკიტა ხრუშჩოვის აშშ-ში ვიზიტმა და აშშ-ში ჯონ კენედის ხელისუფლებაში მოსვლამ ურთიერთობებში ზომიერება გამოიწვია.

ნიკიტა ხრუშჩოვი და ჯონ კენედი ლესლი გილბერტ ილინკვორტი 1962 წელი

? *თქვენი აზრით, რას გამოსახავს კარიკატურა?*

ახალი კრიზისები: სუეცი, ბერლინი და კარიბი. 1956 წელს, ეგვიპტის მიერ განხორციელებული სუეცის არხის ნაციონალიზაციის საპასუხოდ, ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი მის წინააღმდეგ გამოვიდნენ და მხარე დაიპყრეს. აშშ-სა და სსრკ-ის ზემოქმედებით მოკავშირეებმა უკან დაიხიეს. შემდგომი კრიზისი ბერლინის სტატუსის გარშემო მოხდა. საბჭოთა ხელმძღვანელობა ბერლინის გდრ-ის ან გაეროს კონტროლის ქვეშ გადაცემას მოითხოვდა. ამ პერიოდში გერმანელები გდრ-დან დასავლეთ გერმანიისაკენ გარბოდნენ. ამის თავიდან ასაცილებლად, გდრ-ისა და საბჭოთა ხელმძღვანელობამ 1961 წელს ბერლინის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად გამყოფი კედელი ააშენეს. ცივი ომის პერიოდის ძირითად კრიზისთაგან ერთ-ერთი, 1962 წელს **კუბის საკითხი** გახდა. კუბაში 1959 წელს, აშშ-ს მიერ დაცული დიქტატურის ჩამომგდები **ფიდელ კასტრო** სსრკ-ს დაუახლოვდა. სსრკ-ს, საგარეო ჩარევებისაგან კუბის დაცვის მომიზეზებით, აქ ბირთვული რაკეტები ჰქონდა მოწყობილი. რაკეტების პირდაპირი სამიზნე, აშშ იყო. მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზე იყო. მაგრამ მხარეები დათმობებზე წავიდნენ. სსრკ-მა კუბიდან რაკეტები გაიტანა. ამის სამაგიეროდ, აშშ-მ კუბის ბლოკადის გაუქმებისა და მის საქმეებში ჩაურევლობის უზრუნველყოფა მოახდინა.

ქალები და ბავშვები ვიეტნამში აშშ-ის საჰაერო თავდასხმის მიერ ჩადენილი ამოხოცვის წინ. 1968. ფოტო, რონალდ ჰებერლი

შერბილება. კუბის კრიზისმა ბირთვული ომის თავიდან აცილების აუცილებლობა გამოიწვია. 1960-იან წლებში მხარეებს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებებით ბირთვული ცდები, კოსმოსში ბირთვული იარაღის მოთავსება და იარაღების გამრავლება აკრძალული იქნა. ორივე მხარეს შერბილებისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები გაჩნდა. მსოფლიო მასშტაბით სამხედრო ბაზების ფლობისათვის აშშ-ს დიდი ფინანსური საშუალება სჭირდებოდა. 1960-იანი წლების შუა პერიოდში ვიეტნამის ომში განცდილი დანაკარგი, ქვეყნის შიგნით უკმაყოფილების მიზეზი გახდა. სსრკ-ში გამალებულ შეიარაღებაზე გაწეული ხარჯები, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ამძიმებდა. სსრკ-ს უკვე უცხოეთის დახმარება ესაჭიროებოდა. 1963 წლიდან სსრკ-მა დასავლეთიდან ხორბლის შესყიდვა დაიწყო.

LAYLA

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დასკვნითი საბუთი

1. კონფერენციაში შემავალი სახელმწიფოები, ერთმანეთის აბსოლუტურ სუვერენიტეტს, ამასთან ურიდებული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფლებებს პატივს სცემენ ...

2. კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოები, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებისა და ურთიერთ კავშირებში სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, ასევე პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიმართ, ვერის მიზნებსა და ამ საბუთს შეუსაბამო ფორმით მუქარასა და ძალის გამოყენებაზე უარს იტყვიან.

3. კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთის საზღვრებს ... შეუვალად თვლიან ...

*4. **ტერიტორიული მთლიანობა.** კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოები, ერთმანეთის მიწების სამხედრო გზით დაპყრობაზე, ავრეთვე პირდაპირი ან შემოვლითი ძალის გამოყენებაზე უარს ამბობენ. ასეთი ხასათის მქონე ყოველგვარი დაპყრობა და მითვისება საქართალსაწინააღმდეგოდ ჩათვლება.*

7. კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოები რასის, სქესის, ენისა და რელიგიის მიუხედავად, ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებებს პატივს სცემენ. ...

ისტორია. სტამბოლი, 2002, გვ. 215

? *როგორ შეაფასებდით თანამედროვე ევთო-ს ძირითადი მიზნის მოცვლილი ამ პირობების, სომხეთის მიერ დარღვევის მიმართ, ამ ორგანიზაციის მხრიდან არც ერთი ღონისძიების გაუტარებლობას?*

სოციალისტური ბლოკის შიგნითაც, სსრკ-ის მიმართ უკმაყოფილება იზრდებოდა. 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში სსრკ-ის მიმართ უკმაყოფილებამ (პრაღის გაზაფხული) იჩინა თავი, ხოლო 1969 წელს ჩინეთთან შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა.

ყველა ამ ფაქტორმა აშშ და სსრკ აიძულა კომპრომისზე წასულიყვნენ. ეს სახელმწიფოები, ერთმანეთის გავლენის სფეროში ჩაურევლობასთან დაკავშირებით შეთანხმდნენ.

შეთანხმებები 1972 წლის **სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვების (სშშ-I)** შესახებ ხელშეკრულებით იქნა განმტკიცებული.

შერბილების პერიოდის უმაღლესი წერტილი, 1975 წელს, სსრკ-ის მონაწილეობითი, ასევე ევროპის სახელმწიფოებთან ერთად, აშშ-სა და კანადის მხრიდანაც ხელმოწერილი, **ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დასკვნითი დოკუმენტი** იყო. დოკუმენტში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა და ადამიანის უფლებების დაცვა იყო გათვალისწინებული.

კოლონიების გაუქმება და "მესამე მსოფლიოს ქვეყნები". მეორე მსოფლიო ომით კოლონიების განთავისუფლების პროცესი დაიწო. აზიის, აფრიკისა და წყნარი ოკეანის მხარეში მყოფი კოლონიების განთავისუფლება, **მესამე მსოფლიო ქვეყნების** ჩამოყალიბებით დამთავრდა. „მესამე მსოფლიოს" განმარტება 1950-იანი წლებიდან ცივი ომის მწარმოებელ ბლოკებში არა შემავალი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ცნობისათვის გამოიყენება. მესამე მსოფლიოს ქვეყნებმა თავიანთი პოლიტიკური არსებობა, 1955 წელს **ბანდუნგის კონფერენციაზე** მსოფლიოს ორპოლარულად დაყოფის წინააღმდეგ ყოფნის შესახებ ცნობებით უჩვენეს. 1961 წელს იოგოსლავიის, ინდოეთისა და ეგვიპტის ინიციატივით, **ბლოკებში ჩაურთველთა მოძრაობა** ჩამოყალიბდა. 1970-იანი წლების დასაწყისში მესამე მსოფლიოს ქვეყნები სამ ჯგუფად, აშშ-ს მომხრე, სსრკ-ის მომხრე და ნეიტრალურ ჯგუფებად დაიყვნენ. ზოგიერთნი კი, თან სსრკ-ის და თან აშშ-ს გამაკრიტიკებელი და „მესამე მსოფლიოსათვის" თავისი მოდელის წარმომდგენი ჩინეთის გავლენის ქვეშ შევიდნენ. მესამე მსოფლიოს ქვეყნები, მათ მიერ მიღებული დახმარების კვალობაზე აშშ-სა და სსრკ-ის გავლენის ქვეშ ექცეოდნენ. აშშ და სსრკ ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ყოფილ კოლონიზატორულ სახელმწიფოებს ანაცვლებდნენ და მათი მხრიდან გაწეული დახმარების სამაგიეროდ, მხარეებში თავიანთ ხელისუფლებას განამტკიცებდნენ.

მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, ზოგჯერ, კოლონიის პერიოდში გაყვანილი ხელოვნური საზღვრებისა და დიდი სახელმწიფოების ზემოქმედებით, ეთნიკური კონფლიქტები წარმოიშობოდა და სამოქალაქო ომები ხდებოდა. **2011 წლიდან** აზერბაიჯანის რესპუბლიკა მიუმხრობლობის მოძრაობაში სრულუფლებიან წევრად იქნა მიღებული.

რეგიონალური ომები. შერბილების პერიოდში აშშ-სა და სსრკ-ს შორის წონასწორობის დარღვევის გარეშე რეგიონალური ომები მოხდა. ამათგან ერთ- ერთი **ვიეტნამის ომი** იყო. ამ ომში სსრკ-სა და აშშ-ს შორის კონფლიქტი შემოვლითი გზით განხორციელდა. აშშ სამხრეთ ვიეტნამს, ხოლო სსრკ ჩრდილოეთ ვიეტნამს ეხმარებოდა. 1965 წელს აშშ-მ მხარეში სამხედრო ძალა გააგზავნა. დამარცხებულმა აშშ-მ, საერთაშორისო საზოგადოების ზეგავლენით, 1973 წელს თავისი ჯარები უკან გაიყვანა.

LATHO

რეგიონალური ომების მსოფლიო მშვიდობისათვის საფრთხედ გადაქცევისას, სსრკ და აშშ კონფლიქტების დიპლომატიური გზით მოგვარებას ცდილობდნენ. 1967 და 1973 წლებში არსებული არაბულ-ებრაული კონფლიქტი, სწორედ ასე იქნა შეწყვეტილი.

ცივი ომის უკან დაბრუნება (1975–1985). 1979 წელს სსრკ-მა ავღანეთი დაიპყრო. სსრკ-ის მიზანი, აქ აშშ-ს გეგმების საფუძველზე გავრცელებადი პოლიტიკური ისლამისტობის თავის ტერიტორიაზე - ცენტრალური აზიის მუსლიმანურ რესპუბლიკებზე ზემოქმედების თავიდან აცილება იყო. ეს, ცივი ომის ახალი ეტაპის დასაწყისი გახდა. აშშ-მ სსრკ-ის ხორბლისა და ტექნოლოგიის ექსპორტს ემბარგო დაადო, აგრეთვე 1980 წელს მოსკოვში ჩატარებული ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი მოახდინა. აშშ-მ, შეიარაღების ახალი პროგრამა მოამზადა და ამ სფეროში სსრკ-თვის გასწრება დაისახა მიზნად. 1983 წელს საბჭოთა რაკეტების საფრთხის წინააღმდეგ **სტრატეგიული თავდაცვის პროგრამა** იქნა გამოცხადებული. საბჭოთა რაკეტების საფრთხის ხელოვნური თანამგზავრებით განსაზღვრისა და კოსმოსიდან მისი განადგურების მომცველ ამ პროგრამას, „ვარსკვლავთა ომიც“ ეწოდებოდა.

საბჭოთა არმიის ავღანეთიდან გამოსვლა

ცივი ომის დასასრული. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში შეიარაღებაზე გაწეული დიდი ხარჯები და ეკონომიკური დაკნინება, სსრკ-ს ურთიერთობების შერბილებისაკენ უბიძგებდა. 1986 წელს, ჩერნობილის ატომურ სადგურზე მომხდარმა შემთხვევამ, მსოფლიოში ბირთვული ომის მიმართ შიში გაზარდა. 1987 წელს, **აშშ–სა და სსრკ–ს შორის მოკლე და საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღების გაუქმების** შესახებ ხელშეკრულება იქნა ხელმოწერილი. მსოფლიოს სხვადასხვა მხარეებში თავისი გავლენის გავრცელების მიზნით, ჩარევებმა სსრკ-ის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. 1989 წელს საბჭოთა ჯარები ავღანეთიდან გაყვანილი იქნა.

ბერლინის კედლის დანგრევა

1989 წელი, ცივ ომში შემობრუნების წერტილი გახდა. აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიზაციის მოძრაობა გაფართოვდა. პოლონეთსა და უნგრეთში თავისუფალი არჩევნები ჩატარდა. აღმოსავლეთ გერმანიის ხელმძღვანელობამ გერმანიის კედლის მოცილების ნებართვა გასცა. ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთსა და რუმინეთში კომუნისტურ დიქტატურას ბოლო მოეღო. 1990 წელს, გერმანია გაერთიანდა. აღმოსავლეთ ევროპაში „საბჭოთა მოდელი“ უკვე იწურებოდა და სსრკ-ს „პირველი თავდაცვის ხაზი“ ეკარგებოდა. სსრკ-ს შიგნითაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების, ეთნიკური კონფლიქტებისა და ნაციონალური ორიენტაციების მომატებამ, ამ სახელმწიფოს დაშლა დააჩქარა. 1991 წლის დეკემბერში სსრკ-ის არსებობას ბოლო მოეღო.

კითხვები და დავალებები

1. *რა შედეგი მოჰყვა 1947 წელს, გერმანიასა და მის მოკავშირეებთან საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით, ჩატარებულ კონფერენციას?*
2. *რა იყო ცივი ომის მიზეზები?*
3. *რომელი პროცესის შედეგს წარმოადგენდა მესამე მსოფლიოს ქვეყნების ჩამოყალიბება?*
4. *რა იყო 1979 წელს სსრკ–ის მიერ ავღანეთის ოკუპაციის მიზანი?*
5. *რომელ ფაქტორებმა უბიძგა სსრკ–ს, 1980–იანი წლების მეორე ნახევარში, ურთიერთობების შერბილებისკენ?*
6. *რატომ ითვლება ცივ ომში 1989 წელი, შემობრუნების წერტილად?*
7. *შეადგინეთ დრეოს ისარი, ცივი ომის პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით.*
8. *შეადარეთ ერთმანეთს, 1950–იან წლებში მომხდარი კრიზისები.*
9. *გაანალიზეთ შერბილების პერიოდის თავისებურებები.*

LAMHA

25 სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები თანამედროვე პერიოდში

საკვანძო სიტყვები

- ახალი მსოფლიო წესრიგი
- 11 სექტემბრის მოვლენა
- რუსეთ–საქართველოს ომი
- გლობალიზაცია
- არაბული შემოდგომა

ცივი ომების დამთავრების შემდეგ, მსოფლიოში ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება შეიქმნა. ფიქრობდნენ, რომ ომები და კონფლიქტები დამთავრებული იყო და ადგილი ჰქონდა ერთპოლარულ ურთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბებას. მაგრამ გლობალიზაციის პირობებში ახალი კონფლიქტები და დაპირისპირებები მოხდა. ტერორიზმი მსოფლიო მასშტაბის საფრთხედ გადაიქცა.

ცივი ომის პერიოდი	ცივი ომის შემდგომი პერიოდი
სამხედრო სფერო: პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ქონა, შეიარაღების ინიციატივა, სამხედრო კავშირები, თავდაცვის ხარჯების გაზრდა, სამხედრო თვალსაზრისით ორპოლარულობა.	**სამხედრო სფერო:** მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის ქონა, განიარაღების ინიციატივა, უცხოურ ქვეყნებში სამხედრო ბაზებისა და ძალების რიცხვის შემცირება, თავდაცვის ხარჯების შემცირება, ერთპოლარულობა.
ეკონომიკური სფერო: მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის ქონა, კაპიტალიზმ-სოციალიზმის ბრძოლა, აღმოსავლეთ-დასავლეთ სავაჭრო კავშირების არ არსებობა, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების არ არსებობა.	**ეკონომიკური სფერო:** პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ქონა, ეკონომიკაზე სახელმწიფო ყურადღების შემცირება, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების გაფართოება.
პოლიტიკურ–იდეოლოგიური სფერო: სამხედრო სფეროში უპირატესობის ინიციატივა, ბლოკზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა, ფაქტიური უპირატესობისათვის ჩარევა, გაეროს უშიშროების საბჭოს გავლენის არქონა.	**პოლიტიკურ–იდეოლოგიური სფერო:** კონკურენცია მშვიდობიან პირობებში, მრავალმხრივობის ხელახალი ჩამოყალიბება, სტაბილურობის მიზნის მატარებელი ჩარევები, გაეროს გავლენის გაზრდა.

! *ცხრილის საფუძველზე შეადარეთ ერთმანეთს ცივი ომისა და ცივი ომის შემდგომი პერიოდების თავისებურებები.*

ცივი ომის დამთავრებით სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ახალი სისტემის აუცილებლობა გამოვლინდა. ორპოლარულ მსოფლიო სისტემას ბოლო მოეღო. აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ 1991 წელს ყურის ომის დროს გამოთქმული „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ცნება ორპოლარული სისტემის დასრულებასა და ახალი სისტემის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. ეს, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ახალი პროცესის, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ცვლილებების გამოვლენაზე მეტყველებდა. 1991-2000 წლებში გარდამავალ პერიოდში მყოფ რუსეთს, ევრაზიასა და სხვა გეოპოლიტიკურ მხარეებში თავისი პოზიცია დაკარგული ჰქონდა. აშშ ერთადერთი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სუპერ ძალა გახდა. 1990-იან წლებში ყურის ომსა და ბალკანეთის კონფლიქტში გაეროს მექანიზმის გამოყენებელი აშშ, სახელმწი-

ა) "საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველზე, სახელმწიფოთაშორისი კონკურენცია და ძალთა ბრძოლა დგას".

ჰენრი მორგენთაუ

მ. როშკინი და ნ.ო. ბერი. საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სამყარო. ანკარა, 2014. გვ 55

ბ) "ახალ მსოფლიოში ბრძოლის ძირითადი წყარო იდეოლოგიური და ეკონომიკური არ იქნება. კაცობრიობას შორის დიდი დანაწევრებისა და ბრძოლის ძირითადი წყარო კულტურა იქნება. ... ცივილიზაციების წინააღმდეგობა, გლობალურ პოლიტიკას უნელმძღვანელებს. ცივილიზაციას შორის არსებულმა გადაკვეთის ხაზებმა მომავლის ომის სპექტრები უნდა მოიცვას. კულტურათა შორის არსებული ბრძოლა, თანამედროვე მსოფლიოში მყოფი ბრძოლის ევოლუციის ბოლო ეტაპი იქნება".

სამუელ ჰანტინგტონი, "ცივილიზაციების შეჯახება". www.foreignaffaris.com

? *ეთანხმებით თუ არა ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს? თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა, რომ კულტურათა შორის დიალოგმა კულტურათა წინააღმდეგობრივობა დააბრკოლოს? გამოიკვლიეთ აზერბაიჯანის როლი, თანამედროვე პერიოდის კულტურათაშორის დიალოგში.*

LAY-the

ფოთაშორისი ურთიერთობების მმართველის, ზედამხედველის როლს ასრულებდა. **2001 წლის 11 სექტემბრის** ტერორისტული მოვლენის შემდეგ, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ახალი პერიოდი დაიწყო. აშშ-ს ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტებზე - პენტაგონსა და მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე შეტევების ორგანიზებამ, მის სახელმწიფოთაშორის იმიჯსა და გლობალურ რეპუტაციაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. ამგვარად, სამოქალაქო ომის შემდეგ, აშშ-ს ტერიტორიაზე მომხდარ და ყველაზე დიდი დანაკარგის გამომწვევმა 11 სექტემბრის მოვლენამ, მსოფლიოში ახალი საერთშორისო პირობები გამოავლინა.

The New York Times

"All the News That's Fit to Print"

Late Edition

VOL. CL. ... No. 51,679 — NEW YORK, WEDNESDAY, SEPTEMBER 12, 2001 — 75 CENTS

U.S. ATTACKED

HIJACKED JETS DESTROY TWIN TOWERS AND HIT PENTAGON IN DAY OF TERROR

A CREEPING HORROR

Buildings Burn and Fall as Onlookers Search for Elusive Safety

President Vows to Exact Punishment for 'Evil'

11 სექტემბრის ტერორი აშშ-ს პრესაში. "აშშ-ზე შეტევა განხორციელდა". ტერორის დღეს გატაცებულმა თვითმფრინავებმა ტყუპი ცათამბჯენები მოსპეს და პენტაგონს დარტყმა მიაყენეს. გაზეთი "ნიუ-იორკ ტაიმსი"

? *როგორ ფასდება აშშ-ს პრესაში 11 სექტემბერი?*

ევროკავშირი, რუსეთი, იაპონია, ჩინეთი და ინდოეთი რეგიონალური ძალების სახით, აშშ-ს მოქმედების სფეროს თანდათანობით შეზღუდვას ცდილობდნენ. მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგი ხელახლად ყალიბდებოდა. თურქეთის, ირანის, ბრაზილიისა და ინდონეზიის სახის სახელმწიფოები ცვალებადი მსოფლიო წესრიგის რეგიონალურ ძალებად გადაიქცნენ. ამ მრავალპოლარულ მსოფლიო წესრიგში, მსოფლიოს გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული სიმძიმის ცენტრი ატლანტიკურიდან წყნარი ოკეანის მხარეზე გადავიდა. აფრიკა-ევრაზიის მხარეში ენერგიის წყაროები და სატრანზიტო გზები გეოპოლიტიკური ბრძოლის მოედნად გადაიქცა. ევრაზიის სიმძიმის ცენტრის, შავი ზღვა-კავკასია-ცენტრალური აზიის სამკუთხედისათვის აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს შორის გეოპოლიტიკური ბრძოლა გაძლიერდა.

ახალი რეგიონალური კავშირების **(შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, გუამისა და სამხრეთ ამერიკის ერთა კავშირი)** ორგანიზება მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის თავისებურებებს მიეკუთვნება. ცივი ომის პერიოდის შემდგომ არსებული საერთაშორისო ურთიერთობების სხვა თავისებურება ეკონომიკური და ფინანსური საკითხების წინა პლანზე გადასვლა იყო. სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ისედაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ პოტენციალსა და ძალას, ამ პერიოდში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სამხედრო და იდეოლოგიური კონფლიქტების მიზეზები უკვე აღმოფხვრილი იყო, საერთაშორისო ურთიერთობები კი, ეკონომიკურ კონკურენციაზე ყალიბდებოდა. ამის მიზეზთაგან ერთ-ერთი იყო ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ომის მეთოდის ეკონომიკური და სოციალური ხარჯები ძალიან დიდი იყო. ამასობაში, მეცნიერული და ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენებას, ეკონომიკური აქტიურობის დაჩქარებასთან ერთად, საზოგადოებათშორისი კავშირებიც გაძლიერებული ჰქონდა. მესამე, ურთიერთეკონომიკურ კავშირებს, სახელმწიფოთა ეკონომიკური მგრძნობელობა გაზრდილი ჰქონდა. უკვე არა ქვეყნების სამხედრო პოტენციალს, არამედ ეროვნული შემოსავლების, ასევე ცხოვრებისა და კეთილდღეობის დონის გაზრდას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თანამედროვე პერიოდში ეკონომიკურ კონკურენციულ ბრძოლაში, აშშ-ს წინაშე ორი ძირითადი მხარე დგას: ევროკავშირი და

"ცივი ომის" შემდეგ შემოთავაზებული ერთპოლუსიანი მსოფლიოს მოდელიც არ იქცა რეალობად. რას ნიშნავს ერთპოლუსიანი მსოფლიოს მოდელი? ეს ერთ ცენტრში გაერთიანებულ ხელისუფლებას, ერთ ხელში თავმოყრილ ძალას, ერთი ცენტრიდან გაცემულ გადაწყვეტილებას ნიშნავს. ეს ერთი ბატონის, ერთი სუვერენის მსოფლიოს ნიშნავს. მიმაჩნია რომ თანამედროვე მსოფლიოსათვის ერთპოლუსიანი მოდელი არა მხოლოდ მიუღებელია, იმავდროულად შეუძლებელიცაა. დღეს ჩვენ საერთაშორისო საკითხებში ძალის, შეიძლება ითქვას თუნდაც რაიმე სახით აღუკვეთლად ჰეგემონიკული გამოყენების მოწმენი ვხდებით. თანაც სამხედრო ძალის.... იმ ძალისა, რომელიც მსოფლიოში ერთმანეთის მიმდევრობით მოქმედარ კონფლიქტებს მორევში ჩაითრევს. საბართლებრივი სისტემა შეიძლება ითქვას რომ მთლიანად....

ამერიკის შეერთებული შტატები ეკონომიკაში, პოლიტიკაში და ჰუმანიტარულ სფეროში აბიჯებს თავის ეროვნულ საზღვრებს, თავის წარმატებებს სხვა სახელმწიფოებს თავს ახვევს. ევროპაში არსებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის ელემენტების განთავსების გეგმებიც არ შეიძლება, რომ ჩვენ არ გვაშფოთებდეს.".

2007 წელს, მიუნჰენში უშიშროების კონფერენციაზე, რუსეთის პრეზიდენტ ვ. პუტინის მოხსენებიდან. https://kremlin.ru./events/president

? *გაანალიზეთ წყარო. შეადარეთ ეს მოხსენება ჩერჩილის მიერ ფულტონში გაკეთებულ მოხსენებას. თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა, ეს ცივი ომის დასაწყისად ჩაითვალოს?*

LAYLO



? *გაანალიზეთ კარიკატურის არსი. როგორ ზეგავლენას ახდენს გლობალიზაცია მსოფლიოს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე?*

აზია-წყნარი ოკეანე. ამასთან, კონკურენციული ბრძოლის მოტივებიც შეცვლილია. ამ მოტივების განმსაზღვრელია ის, თუ ვინ აწარმოებს ყველაზე უკეთესად, ასევე ცხოვრების დონის უფრო სწრაფი ამაღლება, საუკეთესო განათლების მქონე მუშაკთა ძალის ქონა, ვაჭრობაში წინსვლა და სხვ.

ამგვარად, საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის გრძნობის გაზრდას სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაზე გავლენა ჰქონდა მოხდენილი. ამის შედეგად, საერთაშორისო ურთიერთობებში ეკონომიკური ფაქტორი წინა პლანზე იყო წამოწეული. ეს კი, თავის მხრივ გლობალიზაციის პროცესის გაფართოების მიზეზი გახდა. გლობალიზაცია, ცივი ომის შემდგომი პერიოდის განმარტებისათვის ყველაზე ხშირად გამოყენებული ცნებაა. სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების შედეგად, თანამედროვე მსოფლიოს სისტემაში შემავალ სახელმწიფოთა შორის კავშირებმა მოიმატა. ამის შედეგად, მსოფლიოს ნებისმიერ მხარეში მომხდარი მოვლენები და პროცესები, სხვა სახელმწიფოებსა და საზოგადოებებზეც გავლენას ახდენს.

დიდი ეკონომიკური ძალები გავლენის ახალი სფეროების ხელში ჩაგდების მიზნით, ბრძოლას აწარმოებენ. ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა, ცენტრალური აზია, კავკასია და ლათინური ამერიკა მათი ბრძოლის მოედნად იყო გადაქცეული. სსრკ-ის დაშლის შემდეგ, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში გამოვლენილი კონკურენციული ბრძოლის საფუძველს, სტრატეგიული და პოლიტიკური ინტერესები, ასევე ბუნებრივ რესურსებზე ზედამხედველობა წარმოადგენს. აშშ და რუსეთი მხარეში გავლენის მოპოვებას ცდილობენ, ხოლო ევროკავშირი ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსებით სარეგებლობისათვის ბრძოლაში მონაწილეობს.

"ტერიტორიის სიმცირისა და მოსახლეობის ნაკლებობის მიუხედავად, აზერბაიჯანი დიდი ენერგეტიკული წყაროების გამო, გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ატარებს. თუ აზერბაიჯანი მოსკოვის ხელისუფლების სრულ დაქვემდებარებაში შევა, ცენტრალური აზიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა აზრს დაკარგავს. დასავლეთის ბაზრობებთან, რუსეთის არაკონტროლირებად ტერიტორიებზე გამავალი ერთი მილსადენით დაკავშირებული აზერბაიჯანი, დასავლეთის ენერგორესურსებით მდიდარ აზიურ ქვეყნებზე გადასასვლელ გზას უზრუნველყოფს. უკრაინის, ასევე აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის მომავალიც რუსეთის მომავალს განსაზღვრავს".

ზ. ბზეჟინსკი. "ჭადრაკის დიდი დაფა". სტამბოლი, 2005, გვ. 98-99

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი

? *წყაროს საფუძველზე გაანალიზეთ აზერბაიჯანის გეოპოლიტიკური პოზიცია, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. რა გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ატარებს აზერბაიჯანი? რა სახის ზეგავლენას ახდენს კავკასიაში კონკურენციული ბრძოლა, აზერბაიჯანზე? შეიძლება თუა არა, ამ ბრძოლის დაკავშირება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან?*

2008 წლის **რუსეთ-საქართველოს ომი**, რეგიონალური ომი იყო, მაგრამ თავისი შედეგების მიხედვით, იგი გლობალურ მნიშვნელობას ატარებდა. ეს, ცივი ომის შემდგომ ახალ მსოფლიო წესრიგში აშშ-ს ერთადერთი მმართველის როლის ოფიციალურად დასრულებაზე მეტყველებდა. დასავლური ორიენტაციის მქონე საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან შეტევასთან დაკავშირებით, აშშ-მ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა თავიანთი დამოკიდებულება მხოლოდ ოფიციალური განცხადებით გამოხატეს.

LAYTHO

თანამედროვე პერიოდში გლობალიზაცია ფართო ხასიათს იღებს, მოსახლეობის რიცხვის ზრდა და ეკოლოგიური მდგომარეობა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ახალი კონფლიქტები და ომები მთლიანი მსოფლიოსათვის საფრთხედ რჩება. ამ ომების მიზეზები, ძირითადად, ტერიტორიების ხელში ჩაგდებასა და სიმდიდრეებზე ზედამხედველობას უკავშირდება. ამ დროს დიდი სახელმწიფოების ორსტანდარტული პოზიციები, საერთაშორისო კავშირის მიერ მიღებული პრინციპების შეუსაბამო ფორმით თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვა, ამ კონფლიქტების სამართლიან გადაჭრას აბრკოლებს. გაეროს ოთხი რეზოლუციის მიუხედავად, აზერბაიჯანის 20%-ზე მეტი ტერიტორიის დამპყრობი სომხეთის წინააღმდეგ საერთაშორისო გაერთიანების მიერ ღონისძიების განუხორციელებლობა ამის დადასტურებაა. 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, გლობალიზაციის წინააღმდეგ გამოსვლებმა ფართო ხასიათი მიიღო. სხვადასხვა ქვეყნებში ნაციონალიზმი და ისლამის წინააღმდეგ მტრობა გაიზარდა.

სამხედრო ბიუჯეტების შედარება (მილიარდი დოლარი, 2006) წყარო: www.photius.com



თავისებურებები	აშშ	ევროკავშირი	რუსეთი	ჩინეთი
სამხედრო პოტენციალი	სამხედრო პოტენციალი საკმაო ოდენობით გააჩნია, მაგრამ ერაყის ომის შემდეგ დასუსტებული იყო.	სამხედრო ორგანიზაცია არ არსებობს.	XX საუკუნის 90-იან წლებში შედარებით დასუსტდა, მაგრამ თანამედროვე პერიოდში სამხედრო მრეწველობის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა	მოდერნიზაცია განხორციელებულა, მაგრამ საკმაოდ განვითარებული არ არის.
ეკონომიკური მდგომარეობა	თანამედროვე პერიოდში უკუსვლის ეტაპზეა.	საკმაოდ განვითარებულია.	ეკონომიკურ პრობლემებში ყოფნის მიუხედვად მდიდარ ენერგეტიკულ რესურსებს ფლობს	სწრაფად ვითარდება, მაგრამ სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გააჩნია.
გლობალური მდგომარეობა	გლობალურ პოლიტიკას ატარებს.	გლობალურ პოლიტიკას არ ატარებს	საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე გავლენის მოხდენის პოლიტიკას ატარებს	გლობალურ პოლიტიკას არ ატარებს.

გაანალიზეთ დიაგრამასა და ცხრილში მოცემული ცნებები. თქვენი აზრით, როგორი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ამ ფაქტორებმა მსოფლიოს არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე?

LAYIHƏ

არაბული გაზაფხული – მატყუარა გაზაფხული? დიდ ძალებს შორის კონკურენციული ბრძოლის მოედანთაგან ერთ-ერთი, შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის მხარეა. ტუნისში, ეგვიპტეში, ლიბიასა და სირიაში დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ მომხდარი აჯანყებების მიზანი, დემოკრატიის დამკვიდრება იყო. არაბული ქვეყნების მომცველი ამ აჯანყებების მიზეზები დიქტატორული რეჟიმის პარალელურად, შემოსავლების არასამართლიანი განაწილებაც იყო. 2010 წელს ტუნისში დაწყებული პროცესი დომინოს პრინციპის გავლენით სხვა არაბულ ქვეყნებზეც გავრცელდა. ტუნისში, ეგვიპტესა და ლიბიაში დიქტატორული რეჟიმები დაიშალა. მაგრამ გლობალური ძალების ჩარევებმა, მხარეში დემოკრატიზაციის ნაცვლად ქაოსი გამოიწვია. ეს ქვეყნები პოლიტიკურ არასტაბილურობამ და ტერორმა მოიცვა. სირიასა და ერაყში სამოქალაქო ომი გრძელდება. ათასობითი ადამიანი იქნა მოკლული და ათასობითი ადამიანი იძულებული გახდა საცხოვრებელი ადგილი მიეტოვებინა.

არაბული გაზაფხული, (ტუნისი)

"არაბული გაზაფხულის გასაცნობიერებლად ისტორიის ცოდნაა საჭირო. არაბული სამყაროს საფუძველს, სამართლიანობისათვის მოძრაობის ადათ-წესები წარმოადგენს. საწყისი მიზეზი, სამართლიანობის ცნების, ისლამურ ზნეობაში პირველ რიგში ყოფნაა ... როგორც ისტორია გვიჩვენებს, უსამართლობა არაბულ სამყაროში ყოველთვის აჯანყებების მიზეზი ყოფილა. ამიტომაც ვხედავთ რომ, ამ მოძრაობის ცენტრში სამართლიანობის წინააღმდეგ ბრძოლა დგას. არაბულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ტუნისსა და ეგვიპტეში კომპრადორ ბურჟუაზიას მმართველობა ხელში ჩაგდებული ჰქონდა და მას თავისი მიზნებისათვის იყენებდა. ეს კი, უცხოური ძალების მიზნებს ემთხვევებოდა. უცხოურ ძალებში ძველ კოლონიზატორ სახელმწიფოებს – ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას, ასევე მხარეში გავლენიან აშშ-ს გულისხმობთ. ყოველივე ამან, ხელისუფლების ხელთ მპყრობელი და ქვეყნის სამდიდრის მიმთვისებელი უმცირესობის გვერდით, ღატაკი და უმუშევარი უმრავლესობა შექმნა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები შემცირდა. ავრეთვე მნიშვნელოვანი რესურსების პრივატიზაცია მოხდა. ამ პრივატიზაციით ხელისუფლებასთან ახლოს მყოფებმა ისარგებლეს. ქვეყნიდან გატანილი ფულები დასავლეთის ბანკებში იქნა შეტანილი. ... შუა აღმოსავლეთში სახალხო მოძრაობის საფუძველს სამი ძირითადი საკითხი წარმოადგენს: უსამართლობა, ამის შედეგად ადამიანური თავმოყვარეობის დაკარგვა და მთავრობების პალესტინის საკითხთან დაკავშირებული პოზიციები".

დეტლეფ გიუნტერი ბრემენის უნივერსიტეტი, კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი

გაანალიზეთ წყარო. როგორ ფასდება არაბული გაზაფხულის საშინაო და საგარეო მიზეზები?

კითხვები და დავალებები

1. *რაში მდგომარეობდა ახალი მსოფლიო წესრიგის ცნების არსი?*
2. *როგორი ზეგავლენა მოახდინა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენამ, საერთაშორისო ურთიერთობებზე?*
3. *რა ცვლილებები მოხდა მრავალპოლარულ მსოფლიო წესრიგის გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ და გეოსტრატეგიულ კითარებაში?*
4. *რა თავისებურებებით ხასიათდება, ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობები?*
5. *როგორ ზეგავლენას ახდენს გლობალიზაცია, თანამედროვე პერიოდში სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე?*
6. *რატომ იყო, რომ არაბულმა გაზაფხულმა მხარეში დემოკრატიზაციის ნაცვლად ქაოსი გამოიწვია?*
7. *განსაზღვრეთ დროის ასარჩე ნაწილები მნიშვნელოვანი მოვლენები.*



LAYTHE

26 კულტურა

საკვანძო სიტყვები

- აგრარული საზოგადოება
- სამრეწველო საზოგადოება
- საინფორმაციო საზოგადოება
- ტვინის გადინება
- პირველი ხელოვნური თანამგზავრი
- ექსტრემალური რეალიზმი
- როკ-ენ-როლი

XX საუკუნის მეორე ნახევარში კაცობრიობამ დიდ სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებას მიაღწია. ატომური ენერგიის აღმოჩენამ, კოსმოსის ათვისებამ და ახალი ტექნოლოგიების (კომპიუტერი, რობოტი, სატელიტური კავშირი და სხვ.) გაჩენამ კულტურის ფორმასა და შინაარსში ცვლილებები გამოიწვია. ამ ცვლილებებს პოზიტიური და ნეგატიური შედეგები მოჰყვა.

ერთ-ერთი პირველი კომპიუტერის მოდელი

ელვის პრესლი

იური გაგარინი

! *სურათების საფუძველზე გააკეთეთ განმარტება, XX საუკუნის მეორე ნახევარში სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ სფეროში მომხდარი სიახლეების შესახებ.*

მსოფლიო კულტურის ცენტრი იცვლება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში გლობალური ცვლილებები მოხდა. ცივი ომის შემდეგ, მსოფლიოს ორპოლარულად გაყოფამ, კულტურაზეც ზემოქმედება მოახდინა.

სსრკ-ის მიერ კომუნიზმის გატანის პოლიტიკის წინააღმდეგ, აშშ-მ, ლიბერალური კულტურის ბრძოლა დაიწყო. ამ ბრძოლის მეთოდთაგან ერთ-ერთი, აშშ-ს ხელოვნების მოღვაწეებისათვის მსოფლიო პოპულარიზაციის მოპოვება იყო. ომის დროს დიდად დაზარალებულ პარიზს, მსოფლიოს ხელოვნების ცენტრად ყოფნის თავისებურება დაკარგული ჰქონდა. ასეთ ცენტრად უკვე ნიუ-იორკი ითვლებოდა. სინამდვილეში ეს, აშშ-ს კულტურული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. ამერიკული კულტურა საზღვრებს სცდებოდა და მთლიან მსოფლიოზე ზემოქმედებას ახდენდა. მჯდომარე ცხოვრებაზე გადასვლით დამწყებ აგრარულ საზოგადოება, რომელიც სოფლის მეურნეობას უპირატესობას ანიჭებდა, სამრეწველო გადატრიალების შედეგად სამრეწველო საზოგადოებამ ჩაანაცვლა. XX საუკუნის მეორე ნახევარში კი, სწრაფად განვითარებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები, საინფორმაციო საზოგადოების ცნების გაჩენის მიზეზი გახდა. ინფორმაცია, წარმოების ძირითად ფაქტორად გადაიქცა. სამრეწველო საზოგადოებაში გამოყენებული ადამიანისა და მანქანის ძალის, აზრისა და ინტელექტის ძალით ჩანაცვლება, ახალი პერიოდის თავისებურებათაგან ერთ-ერთს წარმოადგენს. საინფორმაციო საზოგადოების ზემოქმედების მომხდენი ერთ-ერთი სფერო კულტურაა.



პირველი ხელოვნური თანამგზავრი

ომის დაწყებამდე გერმანიიდან აშშ-ში გადასული „ტვინის გადინებამ“ მეცნიერების განვითარებაზე ზემოქმედება მოახდინა. ამ გადინების გავლენები 60-იან წლებამდე გაგრძელდა. მეორე მსოფლიო ომის წლებში, აშშ-ში დამზადებულ

LAYTHOS

კომპიუტერმა, ცხოვრების ყველა სფეროზე ზემოქმედება მოახდინა. სარაკეტო ტექნოლოგიის განვითარების შედეგად, 1957 წელს **პირველი ხელოვნური თანამგზავრი** კოსმოსში სსრკ-ის მიერ იქნა გაგზავნილი. ამგვარად, საერთაშორისო კონკურენცია კოსმოსურ ფრენაზეც გადავიდა. 1961 წელს საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი დედამიწის გარშემო ორბიტალური ფრენის შემსრულებელი პირველი ადამიანი გახდა. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მსოფლიო მეცნიერების ძირითად მიმართულებათაგან ერთ-ერთი **ნანოტექნოლოგიები** იყო. ნანოტექნოლოგიების განვითარებას, საინფორმაციო ტექნოლოგიის შემდეგ მესამე სამეცნიერო ტექნიკურ რევოლუციად თვლიან. ნანოტექნოლოგია ძალიან მცირე ზომის ნაწილაკებსა და ამ აგებულებებში მომხდარ ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ მოვლენებს სწავლობს. ნანოტექნოლოგიები მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროებში - მედიცინაში, ბიოტექნოლოგიებში, გარემოს დაცვაში, სამხედრო და სხვა სფეროებში შეიძლება იქნას გამოყენებული.

პრესა, ადამიანის კოსმოსში გაფრენა

? *როგორ ჰქონდა შეფასებული სხვადასხვა ქვეყნების პრესას, კოსმოსში პირველი ადამიანის გაფრენა?*

პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობის მატარებელი ბირთვი, თავდაპირველად სამხედრო სფეროში გამოიყენებოდა. შემდგომში ელექტროენერგიის წარმოებაშიც მისი გამოყენება დაიწყო. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას პოზიტიური მხარეები გააჩნდა, მაგრამ ამავდროულად ის მსოფლიოსათვის საფრთხესაც წარმოადგენდა. ჰიდროგენული ატომების დაშლის შედეგად მიმდინარე რეაქცია ინტერკონტინენტალური რაკეტების დამზადების მიზეზი გახდა. ბიოლოგიაში განსაზღვრული იქნა დნმ-ის ქიმიური აგებულება. ყოველივე ამან განვითარებული მეცნიერებისა და ტექნიკის მქონე ქვეყნებსა და ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა.



ერნესტ ჰემინგუეი

ცივი ომის დამთავრებამ, კულტურის სხვადასხვა სფეროებშიც შინაარსობრივი ცვლილებები გამოიწვია. ახალ ათასწლეულში წინა პლანზე უკვე არა ეროვნულმა და კაცობრიობის ფასეულობების წინააღმდეგობებმა, არამედ ურთიერთკავშირებმა წამოიწია. პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესმა კულტურაზეც მოახდინა ზემოქმედება.

ლიტერატურა. მეორე მსოფლიო ომმა ლიტერატურაზეც ძლიერი ზეგავლენა მოახდინა. უამრავ მწერალმა და პოეტმა ომის პერიოდი საბრძოლო მოედნებსა და ტყვეთა ბანაკებში გაატარეს. ამან, ასევე მათ შემოქმედებაზეც ზემოქმედება მოახდინა. XX საუკუნის პოპულარული მწერალი **ერნესტ ჰემინგუეი** ბრძოლებში დაჭრილი იყო. მის მიერ დაწერილმა ნაწარმოებმა "მოხუცი და ზღვა" 1954 წელს ნობელის პრემია მიიღო. ფრანგი მწერალი **ალბერტ კამიუ** კი, მიმდინარეობა აბსურდიზმის* თვალსაჩინო წარმომადგენელთაგან ერთ-ერთად იქნა ცნობილი. მას, მეორე მსოფლიო ომის დროს, ფაშისტების წინააღმდეგ მოძრაობაში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული. პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კალმის მპყრობელთაგანი კოლუმბიელი მწერალი **გაბრიელ გარსია მარკესი** იყო.

უდიდესი ბელადი ჰეიდარ ალიევი და ყირგიზი მწერალი ჩინგიზ აითმატოვი

* აბსურდიზმი- ალოგიკური, აბსურდზე დაფუძნებული ფილოსოფიურ-კულტურული მიმდინარეობა.

LAYTHA

მის ნაწარმოებში, უბრალო ცხოვრებისა და რეალობების საპირისპიროდ, ჯადოსნური გამოსახულება და მოვლენები გამოიყენებოდა. 1982 წელს, მარკესი, რომელიც XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ მწერალთაგანი იყო, ნობელის პრემიის ღირსად იქნა მიჩნეული.

XX საუკუნის მეორე ნახევრის თურქული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელთაგან, მწერალი **იაშარ ქამალი** და სატირისტი **აზიზ ნესინი** შეიძლება იქნას დასახელებული. XX საუკუნის თურქული სამყაროს კიდევ ერთი პოპულარული მწერალი **ჩინგიზ აითმათოვი** იყო. ამ ყირგიზმა მწერალმა თავისი ნაწარმოებებით თურქული კულტურის სიმდიდრე მთელ მსოფლიოს გააცნო. მის რომანში „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“ თავიანთი ეროვნული ვინაობის დამცველი ადამიანებია აღწერილი. ნაწარმოები ერთი ადამიანის ჩაგვრაზე მოგვითხრობს და ამის ფონზე, სინამდვილეში, თავიანთი ვინაობისა და ადათ-წესების დამცველი ხალხის ბედია განმარტებული. ნაწარმოები საბჭოთა კავშირის პერიოდში სოციალური და კულტურული პრობლემების კრიტიკაზე იყო აგებული. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცნობილი მანგურტის განსახიერება, სწორედ ამ რომანით იქნა შემოტანილი.

1966 -წლის მსოფლიო ჩემპიონატზე აზერბაიჯანის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ანატოლი ბანიშევსკი (მეორე ფეხბურთელი) სსრკ–ის ნაკრებში

ხელოვნება. XX საუკუნის მეორე ნახევარში, კულტურის სფეროში მეტწილად ახალგაზრდები იქნენ წარმოდგენილნი. პერიოდის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მუსიკალურ ჟანრთაგან ერთ-ერთი როკი იყო. როკი 1950 წელს დასავლურ კლასიკური მუსიკისა და სახალხო მუსიკის სინთეზის შედეგად შეიქმნა. ამ მუსიკის საფუძველს პროტესტის ფილოსოფია წარმოადგენს. ის, აფრო-ამერიკელი ახალგაზრდების მხრიდან რასიზმის წინააღმდეგ წარმოდგენილი პროტესტებია. **ელვის პრესლი** 1950-იან წლებში, ამ ჟანრის ცნობილი წარმომადგენელი იყო. **"ბიტლზის"** ჯგუფი კი, პერიოდის ახალგაზრდებისათვის კულტად იყო გადაქცეული. ამ ჯგუფს „XX საუკუნის მოცარტს“ უწოდებდნენ. აშშ-ში აფრო-ამერიკელებმა თავდაპირველად **ჯაზის**, ხოლო შემდგომში **როკ–ენ–როლის** მუსიკაში დიდი როლი შეასრულეს.

XX საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ, მხატვრობაშიც განსაზღვრული ცვლილებები მოხდა. მაგალითად, ფართოდ გავრცელებული იქნა ექსტრემალური რეალიზმი. მის წარმომადგენელთა ძირითადი ყურადღება არა ნაწარმოებების შინაარსისაკენ, არამედ ფერისა და ფორმის ზუსტი აღწერისაკენ იყო მიმართული. ომის შემდეგ, ევროპის ქალაქების აღდგენა არქიტექტურის განვითარების მიზეზი გახდა. ქალაქებში მოსახლეობის მომატებამ გავლენა მოახდინა მრავალსართულიანი სახლების მშენებლობაზე. ტელევიზიის ფართოდ გავრცელებით რადიოს მნიშვნელობა შემცირდა.

ტელევიზიის განვითარებამ კულტურის სხვადასხვა სფეროების პარალელურად, ასევე სპორტის გლობალიზაციაც გამოიწვია. მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატები და ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, მთელ მსოფლიოში დიდ მოვლენებად ფასდება. თანამედროვე პერიოდში სპორტი ზოგჯერ სახელმწიფოთაშორისი კავშირების განვითარებასაც ხელს უწყობს. ამის შედეგად, სპორტი მასობრივი კულტურის სწრაფი განვითარების მიზეზად იქცა.

კითხვები და დავალებები

1. *როგორი ზეგავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომმა კულტურაზე?*
2. *რა შედეგები გამოიწვია ტელევიზიის განვითარებამ?*
3. *როგორი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს საინფორმაციო საზოგადოებამ კულტურის განვითარებაზე?*
4. *გაანალიზეთ XX საუკუნის მეორე ნახევარში სამეცნიერო და ტექნიკური სფეროების განვითარების თავისებურებები.*
5. *შეადგინეთ ცხრილი XX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურის სფეროს შესახებ.*
6. *მოაწყვეთ დებატები, საინფორმაციო საზოგადოების მხრიდან კულტურის განვითარებაზე ზეგავლენის პოზიტიური და ნეგატიური მხრეების შესახებ.*

LAKIHO

გამოყენებული ლიტერატურა

აზერბაიჯანულ ენაზე

1. ამერიკის ისტორიის ძირითადი მხარეები. ბაქო, 1998
2. ჯასტინ მაკკარტი, თურქები და სომხები, ბაქო, 2011
3. ალიევი იბრაჰიმ „ XX საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა ხელმძღვანელობის „ გარდაქმნის“ პოლიტიკა და მისი შედეგები“. strategiya.az
4. ფათალიევი მ., გასიმლი მ. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. II ნაწილი (1945-2002). ბაქო, 2008
5. ფათალიევი მ., იუსუფზადა ფ. უახლესი ისტორია: დასავლეთ ევროპის ქვეყნები, XX საუკუნის 90-იანი წლების დასასრულიდან 2008 წლამდე. ბაქო, 2010
6. ალი ჰასანოვი. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები და აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა. ბაქო, 2005
7. ისმაილოვ რ. ახუნდოვა ნ. აზიისა და აფრიკის ქვეყნების თანამედროვე ისტორია. 1945-2000 წლები. ბაქო, 2010
8. გასიმლი მ. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 2 ნაწილად. I ნაწილი (1918-1945 წლები). ბაქო, 2003
9. მუსტაფაზადე თოფიკ, საერთო ისტორია II წიგნი. ბაქო, 2012

თურქულ ენაზე

10. Akdes Nimet Kurat. Rusya tarihi. İstanbul, 1987
11. Arnold Toynbi, Mədəniyyət mühakimə olunur. İstanbul, 1988
12. Brzezinski Zbigniew. Büyük satranç tahtası. İstanbul, 2005
13. Friedrich Nietzsche. “Deccal”. İstanbul, 2000
14. Hobsbawm Eric. “Devrim çağı”. Ankara, 2003
15. Huntington Samuel. Medeniyyetler çatışması. Ankara, 2001
16. İnqilabdan sonra İran İslam Respublikasında siyasət. Konya, 2016
17. Kennedy Paul. Büyük güclerin yükseliş ve çöküşleri. Türkiye İş Bankası. Kültür Yayınları, 2001
18. Kissinger Henry. Diplomasi. Türkiye İş Bankası, 2000
19. Lewis Bernard. Ortadoğu. Ankara, 2006
20. Liddel Hart. 2. Dünya Savaşı tarihi. İstanbul, Yapı Kredi yayınları, 2005
21. Mehmet Arslan. İsmayıl bəy Qaspıralının təhsil islahatı. Girne Amerika Universiteti.
22. Modern Ortadoğu tarihi. Anadolu Üniversitesi yayını, 2013
23. Robert Stradling. 20. yüzyıl Avrupa tarihi nasıl ögretilmeli. İstanbul, 2003
24. Roşkin M.və N.O.Berry. Uluslararası ilişkiler. Ul'nin yeni dünyası. Ankara, 2014
25. Oral Sander. Siyasi tarih. Ankara, 2009
26. Tarih. TÜSİAD yayınları. İstanbul, 2002
27. Toynbee Arnold. Tarih bilinci. İstanbul, 1978
28. William McNeil. Dünya tarihi. Ankara, 2002
29. William Woodruff. Modern Dünya tarihi. Pozitiv yayınları, 2006
30. Yusuf Halacoğlu. Ermeni tehciri. İstanbul, 2007

ინგლისურ ენაზე

31. McDougal Littell. World History, 2009
32. Walter S. Jones. The Logic of International Relations. New York, Longman, 1997

რუსულ ენაზე

33. Васильев Л.С. История Востока. Том 1, Москва 1998. // Л.С.Васильев. История Востока. Том 2, Москва 2013
34. Вернье Гораций. История Наполеона. М., Сварок и к. 1997
35. Гарибальди Дж. Мемуары. М., Наука, 1966
36. Матвеева А.Г. Германская империя 1871–1914. М., 2002
37. Новая история стран Азии и Африки. XVI–XIX вв. Ч. 2. М., 2010.
38. Новейшая история стран Азии и Африки, XX век. Ч. 1. Москва, 2001
39. Родригес А.М. История стран Азии и Африки в Новейшее время. М., 2009
40. Синха Н.К. А.Ч.Банерджи. История Индии. Москва, 1954
41. Тарле Е.В. Наполеон. Баку, 1993

ინტერნეტ რესურსები

42. www.history.com
43. www.bbc.co.uk
44. http://hyperhistory.com
45. http:// www.historychanel.com
46. www.nystromeducation.com
47. htpps://kremlin.ru./events/president
48. www.foreignaffaris.com
49. htpps://www.marshallfoundation.org
50. https://winstonchurchill.org.

LATHO

Buraxılış məlumatı

ÜMUMİ TARİX 11

Ümumtəhsil məktəblərinin 11-ci sinfi üçün
Ümumi tarix fənni üzrə

DƏRSLİK

(Gürcü dilində)

Tərtibçi heyət:

Müəlliflər: **Pərviz Ağalarov**
Rövşən Hətəmov
Niyaməddin Quliyev
Hafiz Cabbarov
Elnur Hüseynov

Elmi redaktor **Niyaməddin Quliyev**

İxtisas redaktoru **Rüfət Rizayev**

Tərcümə edən və redaktor **Abdurahmanov Çalabi**

Buraxılışa məsul **Sevil İsmayılova**
Baş redaktor **Ülkər Məmmədova**
Üz qabığının dizaynı **Nurlan Nəhmətov**
Səhifələyici **Ramin Abdurahmanov**
Texniki redaktor **Fəridə Səmədova**
Texniki direktor **Xəqani Fərzalıyev**
Nəşriyyat direktoru **Eldar Əliyev**

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin qrif nömrəsi:
2018-218

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2018

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi. Fiziki çap vərəqi 9. Formatı 70x100 1/16.
Səhifə sayı 144. Ofset kağızı. Jurnal qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 84. Pulsuz. Bakı – 2018.

"Şərq-Qərb" ASC
AZ1123, Bakı, Aşıq Ələsgər küç., 17.

LAYİHƏ

Pulsuz

Əziz məktəbli !

Bu dərslik sənə Azərbaycan dövləti tərəfindən bir dərs ilində istifadə üçün verilir.

O, dərs ili müddətində nəzərdə tutulmuş bilikləri qazanmaq üçün sənə etibarlı dost və yardımçı olacaq.

İnanırıq ki, sən də bu dərsliyə məhəbbətlə yanaşacaq, onu zədələnmələrdən qoruyacaq, təmiz və səliqəli saxlayacaqsan ki, növbəti dərs ilində digər məktəbli yoldaşın ondan sənin kimi rahat istifadə edə bilsin.

Sənə təhsildə uğurlar arzulayırıq!

LAYİHƏ